GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნატო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

ნატო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ

პუბლიკაცია შედგენილია პროექტის - "უკეთ გავიცნოთ ნატო" ფარგლებში. პროექტს, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD), ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების მხადაჭერით ახორციელებს.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების ან GCSD-ის პოზიცია.

GCSD-ის წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

2022
თბილისი

სარჩევი

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) - სამხედრო შეკავების (deterrence) ბერკეტი, თუ ფიქცია? 4
შალვა ძებისაშვილი

ნატო, როგორც რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე 24
გიორგი ბილანიშვილი

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები, უკრაინაში მიმდინარე ომის გამოცდილების გათვალისწინებით 36
ნინო ლეჟავა

თურქეთი: ნატოს სანდო მოკავშირე თუ მერყევი აქტორი განსხვავებული ინტერესებით? 53
გიორგი მჭედლიშვილი

საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა და ახალი შესაძლებლობა
(ალიანსში ფინეთისა და შვედეთის დაჩქარებული გაწევრინების გათვალისწინებით) 69
ელენე გოცაძე

რუსეთის ომი უკრაინაში, როგორც NATO-ს შემაკავშირებელი ფაქტორი 84
იაკობ ლაჩაშვილი

გერმანიის პოლიტიკის ცვლილება და მისი გავლენა ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაზე 105
ნინო ბერუაშვილი

Zeitenwende გერმანიის საგარეო პოლიტიკაში: გავლენა ნატოზე 120
ლია ჩხეტიანი

ფინეთის და შვედეთის გაწევრიანება, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაძლიერების საწინდარი 138
ბექა ირომაშვილი

ნატოს აღმოსავლეთ ევროპის ფლანგი - ალიანსის მზარდი პოლიტიკური ძალა რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის კონტექსტში 157
ანა აბრამიძე

თურქეთი: ნატოს სანდო მოკავშირე თუ მერყევი აქტორი განსხვავებული ინტერესებით? 171
მარიამ ბეჟანიშვილი

ფინეთისა და შვედეთის სავარაუდო გაწევრიანების გავლენა ალიანსზე 187
ლუკა ჩიტიანი

რუსეთის ომი უკრაინაში, როგორც ნატოს შემაკავშირებელი ფაქტორი: ილუზია თუ რეალობა? 205
მარიამ მიქიანი

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) - სამხედრო შეკავების (deterrence) ბერკეტი, თუ ფიქცია?

ავტორი: შალვა ძებისაშვილი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

"If the political ends are vague or unspecified, how can you choose methods and means that are fit for purpose" - Colin Gray[1]

შესავალი

ქვეყნის უსაფრთხოების გაგებაში, სამხედრო შეკავების/დაშინების (Deterrence) კომპონენტს ერთ-ერთი უმთავრესი როლი ენიჭება. სწორედ, შეკავება/დაშინების ეფექტი იძლევა ომის აცილების ყველაზე მყარ გარატიას. როგორც გენერალი ნიკოლსონი (Gen. John Nicholson) აცხადებს, ომის საშიშროება ყოველთვის არსებობს ხმელეთზე თუ ბირთვულ განზომილებაში, მაგრამ, სწორედ საკუთარი სიძლიერისა და მოქნილობის წყალობით, ნატო ქმნის საჭირო წინაპირობას სამხედრო დაპირისპირების ასაცილებლად.[2]

თავისი არსებობის პერიოდში, ალიანსისთვის ყოველთვის გადამწყვეტი იყო ძლიერი შეკავების მექანიზმის ქონა და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ალიანსმა 1999 წლიდან გაფართოება დაიწყო და ისეთ ქვეყნებს გაუღო კარი, რომელთა სამხედრო პოტენციალი ბევრ კითხვის ნიშანს ჰბადებდა. 1999 წლის ვაშინგტონის სამიტის გადაწყვეტილებით, ახალი წევრებისთვის ნატო-ში გაწევრიანების მექანიზმად გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) გამოცხადდა.[3] მიუხედავად იმისა, რომ MAP-ის მეშვეობით გაწევრიანების მსურველი (ასპირანტი) ქვეყანა პოლიტიკურად გაწევრიანების გარანტიას იღებდა, სწორედ ამ გარდამავალ ეტაპზე განსაკუთრებით პრობლემური ხდებოდა ასპირანტი ქვეყნის უსაფრთხოების და, შესაბამისად, სამხედრო შეკავების პრობლემა. ერთი მხრივ, ნატო იღებდა ახალი წევრის მიღების პოლიტიკურ ვალდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, სრულიად გაურკვეველი და ღია რჩებოდა MAP-ის მქონე ქვეყანაზე ალიანსის კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიის (მე-5 მუხლის) გავრცელების საკითხი. აღნიშნული პრობლემა ერთიორად იზრდება იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთა მიმართ ნატოს თავად აქვს აღიარებული ევროატლანტიკური გაწევრიანების პერსპექტივა, თუმცა ისინი მეზობელი ქვეყნის აგრესიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. შესაბამისად, MAP-ის და მსგავსი სტატუსის მქონე ქვეყნებისთვის ძლიერი სამხედრო შეკავების მექანიზმის შექმნას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც გაწევრიანების პროცესის, ისე საკუთრივ ალიანსის სანდოობის დასაცავად.

---

[1] Colin S. Gray, "Presentation to the 'Multiple Futures' Conference, NATO's Allied Command Transformation" (Brussels, May 8, 2009), https://www.act.nato.int/images/stories/events/2009/mfp/mfp_surprise_prediction.pdf.
[2] John W Nicholson, "NATO's Land Forces: Strength and Speed Matter," PRISM, European Security in the 21st Century, 6, no. 2 (July 12, 2016): 1.
[3] "Membership Action Plan (MAP)" (Press Release NAC-S(99) 066, April 24, 1999), http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27444.htm?selectedLocale=en.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ შეკავება/დაშინება გაცილებით მარტივი განსახორციელებელია, ვიდრე მოწინააღმდეგის პირდაპირი იძულება. გაცილებით რთულია მოწინააღმდეგის იძულება, რომ შეაჩეროს დაწყებული პროცესი (ომი) და დაუბრუნდეს საწყის პოზიციას, ვიდრე დასაწყისშივე ხელი ააღებინო განზრახვას.[4] ბუნებრივია, შეკავების კონცეპციის თეორიული საფუძვლების განხილვა არ წარმოადგენს ამ სტატიის ამოცანას, თუმცა მისი ძირეული გაგება უკავშირდება მოწინააღმდეგის მიმართ დამაჯერებელი სამხედრო ძალის გამოყენების მუქარას და შესაძლებლობას. აღნიშნული კი მოიცავს შეიარაღებული ძალების სპექტრის ყველა კომპონენტს, მათ შორის, სტრატეგიულ ბირთვულ არსენალსაც, რომელიც სტრატეგიული დაპირისპირების და გლობალური კონფლიქტის მთავარი შემაკავებელი ფაქტორია.[5]

საქართველოსთვის შეკავების მექანიზმის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, რადგან, უკრაინისგან განსხვავებით, რომელიც საბრძოლო ველზე თავად ამტკიცებს და ზრდის კიდევაც თავის სამხედრო პოტენციალს, მას არ გააჩნია არც საკუთარი რესურსი (არც აჩენს ამის მკაფიო სურვილს) და არც ნატოს მხრიდან არსებობს რაიმე რეცეპტი, რომელიც განსაკუთრებით სამხედრო განზომილებაში მოხსნიდა სამხედრო შეკავების პრობლემას და, ამ ხრივ, რეალურად იქცეოდა ეფექტურ მექანიზმად MAP-ის ქვეყნების უსაფრთხოების გასაძლიერებლად სრული გაწევრიანების მიღწევამდე. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი ხშირად აცხადებს, რომ ყველა მიმართულებით აძლიერებს სამხედრო ყოფნას და ძალთა მზადოფნას, საკუთარ განცხადებაშიც კი აქცენტი ძირითადად კეთდება სუსტი წევრების მიმართულებით მხოლოდ ძალთა გადასროლის და მომარაგების გაუმჯობესებაზე (ბალტიის ქვეყნები), რაც ერთგვარი აღიარებაა, რომ სამხედრო აგრესიის საფრთხე რეალურია და, შესაბამისად, შეკავების ეფექტი ნაკლებად არსებობს.[6] ბალტიის რეგიონი ყველაზე პრობლემატურ ფლანგად არის აღიარებული, მიუხედავად გაძლიერებული სამხედრო ყოფნის (EFP) ფარგლებში საბრძოლო დაჯგუფებების განლაგებისა.[7] პრობლემა იმაშია, რომ ეფექტური სამხედრო შეკავების/დაშინების კონტექსტში, ალიანსის საერთო სამხედრო, ეკონომიკურ და რესურსობრივ პოტენციალს, რომელიც გიგანტურია რუსეთთან მიმართებაში, ნაკლები მნიშვნელობა აქვს დროის მოკლე და კონკრეტულ ოპერატიულ მონაკვეთში. ხოლო

[4] Jack S. Levy and William R. Thompson, Causes of War (The Atrium, Southern Gate, Chichester, West Sussex, UK: Wiley-Blackwell, 2010), 153.
[5] Terry Lukianova Fink, "The Evolving Russian Concept of Strategic Deterrence: Risks and Responses," August 2017, 2.
[6] "The Secretary General's Annual Report 2020" (Brussels: North Atlantic Treaty Organization, NATO, 2021), 14, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/3/pdf/sgar20-en.pdf.
[7] Ben LTG(Ret.) Hodges et al., "One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO's Eastern Flank" (CEPA, Center for European Policy Analysis, May 2020), 4, https://cepa.org/one-flank-one-threat-one-presence/.

გაცილებით წინა პლანზე გადმოდის კრიზისის დროს პოლიტიკური ერთიანობის, სწრაფი გადაწყვეტილების მიღების მზაობის, კოორდინაციის, თავსებადობის და საბრძოლო შესაძლებლობების ადგილზე ქონის ფაქტორები.[8] საკუთრივ 2014 წელს მზადყოფნის სამოქმედო გეგმის (Readiness Action Plan - RAP) ფარგლებში ინიცირებულ NATO Response Force-ს (NRF - 40.000) და Very High Readiness Joint Task Force-ს (VJTF - 5.000) ჯერ კიდევ სერიოზული სირთულეები გააჩნიათ დაკომპლექტებისა და ოპერატიული მართვის/მზადყოფნის თვალსაზრისით.[9]

ამის ფონზე, კიდევ უფრო დრამატულად გამოიყურება საქართველოს მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ, უკრაინასთან ერთად, საქართველოც წარმოადგენს რუსეთის აგრესიული გეგმების მთავარ სამიზნეს, ომის დაწყების პოლიტიკურ მზადყოფნასთან ერთად, კრემლმა მნიშვნელოვნად განავითარა მთელი რიგი კონვენციური სამხედრო საშუალებებისა, რომელთა მეშვეობით მისი გადმოსახედიდან საქართველოს წინააღმდეგობის უნარი შემცირებულია.[10] შესაბამისად, კიდევ უფრო იზრდება ეფექტური შეკავების ფაქტორის მნიშვნელობა და ალიანსის მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა სამხედრო შეკავების გარანტირებისთვის იმ დროს, როცა ბრიუსელი გადაწყვეტს საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას. როგორც შვედი ანალიტიკოსები ასკვნიან, ნატოს გააჩნია დროისა და დისტანციის პრობლემა, რაც სერიოზულად ართულებს სუსტი წევრი ქვეყნისთვის სამხედრო დახმარების დროულ მიწოდებას.[11] ამგვარად, შეკავების ეფექტი შემცირებულია, ხოლო აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო იზრდება MAP-ის მინიჭების კონტექსტში, ნატოს მხრიდან გაზრდილი პოლიტიკური ვალდებულების და, ამავე დროს, კოლექტიური უსაფრთხოების მუხლის ვერგამოყენების გამო.

შეკავების ისტორიული კონტექსტი

როგორც უკვე ითქვა, შეკავება/დაშინების ძირითადი აზრი უკავშირდება აგრესორისთვის გარანტირებულად მიუღებელი მაღალი ზარალის და ხარჯის მიყენების იდეას, რაც იწვევს შიშს და აგრესიულ ჩანაფიქრზე ხელის აღებას.[12]

[8] LTG(Ret.) Hodges et al., 6.
[9] Edward Lucas, Ben Hodges, and Carsten Schmiedl, "Close to the Wind: Too Many Cooks, Not Enough Broth" (CEPA, Center for European Policy Analysis, September 9, 2021), https://cepa.org/baltic-sea-security-too-many-cooks-not-enough-broth/.
[10] Lukianova Fink, "www.armscontrol.org," 3.
[11] Jakob Gustafsson, John Rydqvist, and Robert Dalsjö, "Deterrence by Reinforcement - The Strengths and Weaknesses of NATO's Evolving Defence Strategy" (Swedish Defence Research Agency (FOI), November 2019), 10, www.foi.se.
[12] ViljarVeebel, "NATO Options and Dilemmas for Deterring Russia in the Baltic States," Defence Studies 18, no. 2 (April 3, 2018): 231, https://doi.org/10.1080/14702436.2018.1463518.

ამასთან, ხშირად აუცილებელი ხდება სწორედ სამხედრო ძალის პირდაპირი დემონსტრირება, რომლითაც ხაზი ესმევა წინააღმდეგობის და სამხედრო პასუხის გაცემის დამაჯერებელ პოტენციალს. კიდევ უფრო რთულია ე.წ. დაგრძელებული/გაფართოებული (extended) შეკავების განხორციელება, როცა ერთი მხარე ცდილობს, გავლენა მოახდინოს მეორე მხარის საქციელზე, რომელიც, თავის მხრივ, მესამე მხარეს ეხება.[13] აღნიშნული პირდაპირ იმეორებს საქართველოს სამომავლო მდგომარეობას, როცა ალიანსმა შეკავების ქმედითი მექანიზმებით უნდა დაარწმუნოს რუსეთი, რომ თბილისისთვის MAP-ის მინიჭების შემთხვევაში, საქართველოზე სამხედრო თავდასხმა მისთვის მიუღებელი ზარალით დასრულდება.

ცივი ომის პერიოდში, დასავლელი ანალიტიკოსებისთვის ნათელი იყო, რომ მოწინააღმდეგეს არასდროს უნდა ეფიქრა, რომ სამხედრო ნაბიჯი რაიმე შედეგს მოიტანდა, ხოლო მასთან ასოცირებული რისკები უმნიშვნელო და ატანადი იქნებოდა.[14] შესაბამისად, ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის მიხედვით, გარდა ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობისა, შეკავების ეფექტურ მექანიზმს უნდა ახასიათებდეს მოწინააღმდეგის მიმართ გადადგმული დამაჯერებელი ნაბიჯების, საფრთხის ზუსტი სურათის, მუქარის ნათელი კომუნკაციის და რეალური საბრძოლო შესაძლებლობების ერთობლიობა.[15] მაგალითად, 1961 წლიდან ნატოს პასუხი მის ფლანგებზე არსებულ კონვენციურ საფრთხეზე ემყარებოდა გაერთიანებული მობილური ძალების (Allied Mobile Force - AMF) გეგმას, რომელიც გაძლიერებული ქვეითი ბატალიონების სწრაფ გადასროლას ითვალისწინებდა ნორვეგიასა და თურქეთში, სადაც მათ მიჩენილი ჰქონდათ წინასწარი მოქმედების ზონები და დახვდებოდათ წინასწარ მომზადებული შეიარაღება თუ სხვა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა.[16] მიუხედავად ამისა, განსხვავებული გეოპოლიტიკური კონტექსტი განსხვავებულ აღქმებს წარმოშობს შეკავებასთან დაკავშირებით და თუ ერთ ქვეყანასთან მიმართებაში გადადგმული შეკავების ნაბიჯები საკმარისი აღმოჩნდება, მეორესთან მიმართებაში ეს შეიძლება სულაც არ იყოს საკმარისი. ალტერნატიულად შეიძლება, ასევე, დავუშვათ, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც სხვებისგან განსხვავებით უფრო იოლად ეგუებიან დაბალი შეკავებით გამოწვეულ რისკებს.

2018 წლის RAND-ის კორპორაციის მიერ განხორციელებულ კვლევაში 1945 წლიდან წარმოებული წარმატებული შეკავების შემთხვევების შესახებ დადგინდა, რომ

[13] Paul K. Davis, ed., New Challenges for Def Planning: Rethinking How Much Is Enough (Santa Monica, CA: RAND Corporation, 1994), 197.
[14] Davis, 211.
[15] "NATO Options and Dilemmas for Deterring Russia in the Baltic States," 233.
[16] Martin Zapfe, "NATO's 'Spearhead Force,'" ed. Christian Nünlist, CSS Analyses in Security Policy, no. 174 (May 2015): 2.

შეკავების პრინციპი მოქმედებს, თუ სახეზეა: (1) აგრესორის დაბალი მოტივაცია, (2) აშშ-ის (დიდი სახელმწიფოს) მკაფიო ჩართულობა, (3) ნეგატიური შედეგების სპეციფიურობა, და (4) ძალთა (შეიარაღებული ძალები) ბალანსის უპირატესობა ადგილზე.[17] აქედან ნათელია, რომ MAP-ამდე და MAP-ის მიღების შემთვევაშიც, არ არსებობს გარანტია, რომ ამ ჩამონათვლიდან ყველა ან რომელიმე ცალკე აღებულ კომპონენტს ჰქონდეს ადგილი ასპირანტი ქვეყნის შემთხვევაში. თავისთავად ეს გარემოება ეჭვის ქვეშ აყენებს საერთოდ MAP-ის როგორც გაწევრიანების მექანიზმის ზოგად ღირებულებას. ამგვარი ვითარება, რობერტ ჯერვისის თქმით (Robert Jervis), ქმნის საკმარის წინაპირობას იმისთვის, რომ აგრესორმა ქვეყანამ განახორციელოს კონტროლირებადი, მზარდი ზეწოლა და, ამავე დროს, მოახერხოს ადგილზე faits accomplis, რისი შეცვლაც კიდევ უფრო მეტ სირთულეებთან და ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული.[18] დაგვიანებული რეაგირება ისტორიულად ალიანსის მთავარ სისუსტეს წარმოადგენდა. მას წლები დასჭირდა, რომ ჩამოეყალიბებინა საერთო სარდლობები და, ქვედანაყოფების ზრდასთან ერთად, თავად ჩამოყალიბებულიყო როგორც ორგანიზაცია.[19] ჯერ კიდევ 1967 წელს ჰარმელის (Harmel) კომისიამ ცალსახად დაადგინა, რომ შეკავებისთვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა ადგილზე ადეკვატური რაოდენობის და შესაძლებლობების მქონე ქვედანაყოფების ყოლა.[20] მიუხედავად საბჭოთა კონვენციური ძალების უპირატესობისა, მოსკოვში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სამხედრო შეტევაზე ალიანსი მასიურ და გაერთიანებულ სამხედრო პასუხს გასცემდა და არც ბირთვული ესკალაციის შემთხვევაში დაიხევდა უკან, რაც თეორიაშიც გამორიცხავდა რაიმე სარგებლის არსებობას მოსკოვისთვის.[21]

ამრიგად, ამ ისტორიული გადმოსახედიდან, ბალტიის ქვეყნების მსგავსად, საქართველოს რეგიონული გეოგრაფია, პოლიტიკური სტატუსი (NATO და EU-სთან) და ძალთა ბალანსში (ანუ თავდაცვის შესაძლებლობები ადგილზე) პარიტეტის არარსებობა რუსეთთან, ქმნის საკმაოდ დიდ ცდუნებას კრემლის მხრიდან

[17] Hans Binnendijk and Conor Rodihan, Geometries of Deterrence: Assessing Defense Srrangements in Europe's Northeast (Atlantic Council, Scowcroft Center for Strategy and Security, 2020), 13, https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2020/05/Geometries-of-Deterrence-Report-Web.pdf.
[18] Robert Jervis, "Rational Deterrence: Theory and Evidence," World Politics 41, no. 2 (January 1989): 187, https://doi.org/10.2307/2010407.
[19] "The fear of imminent war made the Allies put "O" in NATO". HonkanenKaroliina, "The Influence of Small States on NATO Decision-Making. The Membership Experiences of Denmark, Norway, Hungary and the Czech Republic." (Swedish Defence Research Agency (FOI), November 2002), 22, www.foi.se.
[20] "NATO 2030: United for a New Era," Analysis and Recommendations of the Reflection Group Appointed by the NATO Secretary General (Brussels: North Atlantic Treaty Organization, NATO, November 25, 2020), 7, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf.
[21] Binnendijk and Rodihan, Geometries of Deterrence, 13–14.

სამხედრო აგრესიის განხორციელებისა.[22] ამ მხრივ, ნიშანდობლივია სკანდინავიური ქვეყნების გამოცდილება. ჯერ კიდევ 1948 წელს როგორც ნორვეგია, ასევე, დანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უსაფრთხოების გარანტიების არცერთი მოდელი არ იყო საკმარისი სრული გაწვრიანების გარდა, რომელიც მათ როგორც შეკავების/დაშინების, ასევე, ოპტიმალური თავდაცვის სრულ შესაძლებლობას მისცემდა.[23] ხოლო უკვე 2022 წლის ივნისში შვედეთი და ფინეთი ალიანსში გაწევრიანდნენ გაწევრიანების ერთადერთი არსებული მექანიზმისთვის გვერდის ავლით. აღნიშნული ფაქტი, ერთი მხრივ, ამ მექანიზმის (MAP) ფორმალობას მკაფიოდ უსმევს ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს MAP-ის კონტესტში დამატებით უსაფრთხოების გარანტიების არარსებობას, რაც სკანდინავიის გეოგრაფიულ არეალში შეკავების კუთხით ყოველთვის ისედაც პრობლემური იყო.[24]

გაფართოების პოლიტიკა და შეკავება

ვარშავის პაქტის დაშლის მომენტიდან და განსაკუთრებით კლინტონის ადმინისტრაციის დროს განხორციელებული გაფართოვების კვლევის (Enlargement Study) სულისკვეთება ცალსახად უჭერდა მხარს ალიანის გაფართოვებას მიუხედავად ახალი წევრების როგორც ეკონომიკური, ასევე, სამხედრო სისუსტისა.[25] რადგანაც რუსეთი თავად იმყოფებოდა მეტად რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული დასავლეთის ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებაზე და მისი სამხედრო პოტენციალი სერიოზულ დეგრადაციას განიცდიდა, ნატოს შეკავების პრინციპს ახალ წევრებთან მიმართებაში ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა, ისევე, როგორც მათ სამხედრო პოტენციალს. მაგალითად, 2002 წელსაც კი ალიანსი და კერძოდ ევროპელები უფრო 90-იანი წლების გამოწვევებით იყვნენ დაკავებულები, ვიდრე ბრძოლისუნარიანი ძალების შექმნით, რომელთაც სწრაფი (დღეების განმავლობაში) გადაადგილება და საბრძოლო გაშლა შეეძლოთ.[26]

ვითარება შეიცვალა 2008 და, განსაკუთრებით, 2014 წლიდან, როცა, ერთ შემთხვევაში, საქართველოზე სამხედრო აგრესიის შედეგად, რუსეთმა დაადასტურა თავისი ექსპანსიონისტური ზრახვები, ხოლო, მეორე შემთხვევაში, უკვე

[22] Dylan Motin, "Geography, Military Balance, and the Defence of NATO's Borderlands," Journal on Baltic Security 6, no. 1 (June 1, 2020): 2, https://doi.org/10.2478/jobs-2020-0002.
[23] Karoliina, "The Influence of Small States on NATO Decision-Making. The Membership Experiences of Denmark, Norway, Hungary and the Czech Republic.," 39–41.
[24] Zapfe, "NATO's 'Spearhead Force,'" 1.
[25] "NATO - Study on NATO Enlargement," NATO, 1995, http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_24733.htm.
[26] Michael Mihalka, "NATO Response Force: Rapid? Responsive? A Force?" Connections: The Quarterly Journal 04, no. 2 (2005): 68, https://doi.org/10.11610/Connections.04.2.09.

რეფორმირებული ჯარით მოახდინა ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილის ანექსია. აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რუსეთმა სწორედ იმ ქვეყნებზე განახორციელა თავდასხმა, რომელთა მიმართ ალიანსმა გაწევრიანების დაპირება გასცა 2008 წელს ბუქარესტში.[27] რუსეთის მოქმედება იყო სწრაფი და კოორდინირებული, და ნათლად ჩანდა, რომ კრემლს ნატოს საპასუხო მოქმედების არავითარი შიში ჰქონდა.[28] შესაბამისად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა მოხდება თუ რუსეთი მოინდომებს ალიანსის სანდოობის გამოცდას იმ შემთხვევაში, როცა თეორიული დაპირების გარდა ალიანსი საქართველოს MAP-ს მიანიჭებს. ამ კითხვის, ასევე, ბუნებრივი გაგრძელებაა ის, თუ შეკავების რა ნაბიჯებს გადადგამს ნატო გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მქონე ქვეყნისთვის ისე, რომ ერთობლიობაში საკმარისი აღმოჩნდეს რუსეთის შესაკავებლად. საერთო ჯამში კი მივდივართ რიტორიკულ კითხვამდე - საჭიროა თუ არა შეკავების მთელი რიგი ნაბიჯების ფორმალიზება MAP-ის მექანიზმის სანდოობისა და სიცოცხლისუნარიანობის გასამყარებლად? მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ომი თავდაყირა აყენებს რუსეთის საბრძოლო შესაძლებლობების ადრეულ შეფასებებს, ფაქტია, რომ უკრაინასთან შეუდარებლად სუსტი საქართველოსთვის მოსკოვს საკმარისი ძალები გააჩნია როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბაზების, ასევე, სომხეთსა და ჩრ. კავკასიაში არსებული ქვედანაყოფების სახით, რომლებიც წლებია მუდმივ წვრთნებს გადიან.[29]

რუსეთის რევიზიონისტულ ნაბიჯებს ალიანსმა რეაგირების ძალებით (NRF), მეტად მაღალი მზადყოფნის ძალების შექმნითა (VJTF) და 2018 წლიდან ნატოს მზადყოფნის ინიციატივით (NRI - 4x30) უპასუხა, რის შედეგად ასევე გაიზრდა ალიანსის საზღვაო ძალების ყოფნა შავი ზღვის აკვატორიაში.[30] ცხადია, საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძალების სწრაფი გადასროლისთვის საქართველოში. თუმცა მიუხედავად რუმინეთში მრავალეროვნული ბრიგადის საწვრთნელი და საჰაერო კონტროლის დამატებითი ინფრასტრუქტურის და ქვედანაყოფების განლაგებისა, საბრძოლო ქვედანაყოფების არასახარბიელო ბალანსი (ბალტიის რეგიონის მსგავსად) სრულიად ეჭვის ქვეშ აყენებს ალიანსის მზადყოფნის ხარისხს და საბრძოლო დაჯგუფებების გადასროლის პერიოდს, ზოგის შეფასებით, 30 დღიდან 10 დღემდე ამცირებს.[31] თავისი არსით

[27] "Bucharest Summit Declaration," Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008, Press Release (2008) 049, April 3, 2008, http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_8443.htm?selectedLocale=en.
[28] Veebel, "NATO Options and Dilemmas for Deterring Russia in the Baltic States," 230.
[29] LTG(Ret.) Hodges et al., "One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO's Eastern Flank," 12, 16–17.
[30] LTG(Ret.) Hodges et al., 40, 43–44.
[31] "The Secretary General's Annual Report 2020," act 15; Lucas, Hodges, and Schmiedl, "Close to the Wind: Too Many Cooks, Not Enough Broth."

ალიანსის ძალთა გაძლიერებული მზადყოფნა აღმოსავლეთ ფლანგზე ერთგვარ ხაფანგს (tripwire) წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს აგრესიის შემთხვევაში დამატებით ძალების გადასროლას აღმოსავლეთ ევროპის საბრძოლო თეატრზე და, მათ შორის, ბირთვული ძალების გამოყენებას.[32]

მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი ძალების განლაგებით რეგიონში ალიანსმა თეორიულად გაზარდა შეკავების ეფექტი, პრობლემები არსად გამქრალა. აგრესიის შემთხვევაში სრულად აღჭურვილი და საფრთხის ადეკატური ძალების დროული და მასიური გადასროლის უნარი კვლავინდებურად სერიოზულ ეჭვს ბადებს. მსგავსი ეჭვი არსებობდა, ასევე, ადგილზე განთავსებულ ნატოს კონტინგენტის ადეკვატურობასთან დაკავშირებით რუსული ქვედანაყოფების მოულდნელი შეტევის შემთხვევაში.[33] შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდებოდა კითხვა მობილური ხაფანგის (tripwire) კონცეპციის ვარგისიანობასთან დაკავშირებით ალიანსის შეკავების დოქტრინალურ ხედვაში. თუ შეკავების ხედვა ითვალისწინებს მეტად მაღალი მზადყოფნის მძიმე ქვედანაყოფების უსწრაფეს გადასროლას მოშორებულ რეგიონში და ამის ალბათობა დაბალია (სხვადასხვა მიზეზის გამო), ბუნებრივია, შეკავების ყველაზე ლოგიკურ ალტერნატივად მხოლოდ ძალთა მუდმივი განლაგების ვარიანტი განიხილება აგრესიის განხორციელების მომენტამდე. უელსის სამიტის დროსაც კი ნატოს წევრები ვერ თანხმდებოდნენ ბალტიის ქვეყნების მიმართ რუსეთის საფრთხის საპასუხო ნაბიჯებზე და მეტად ფრთხილი პოზიცია ეკავათ ქვედანაყოფების მუდმივი განლაგების იდეასთან დაკავშირებით (მიუხედავად იმისა, რომ ყველას ესმის VJTF-ის არაადეკვატური სიმცირე და ის, რომ NAC-ის გადაწყვეტილების გარეშე, ალიანსის ძალთა გადაადგილება SACEUR-ს არ შეუძლია).[34] გასაგებია, რომ საკუთარი გიგანტური სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით, ალიანსს შეუძლია ე.წ. ,,ჰორიზონტალური ესკალაციის“ მიდგომის გამოყენება, როცა რუსეთის სამხედრო შეტევას ბალტიის ქვეყნების მიმართულებით, ის პასუხობს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში რუსულ ქვედანაყოფებზე და კრიტიკულ ობიექტებზე დარტყმების განხორციელებით. მიუხედავად ამისა, უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებამდე ნატოს, როგორც ორგანიზაციის, და მისი წევრ ქვეყნების პოზიცია მაინც ძირითადად

[32] Gustafsson, Rydqvist, and Dalsjö, “Deterrence by Reinforcement - The Strengths and Weaknesses of NATO’s Evolving Defence Strategy,” 18.
[33] Ben Hodges, Tony Lawrence, and Ray Wojcik, “Until Something Moves: Reinforcing the Baltic Region in Crisis and War” (CEPA - Center for European Policy Analysis, ICDS - International Center for Defence and Security, April 2020), iv, 1, https://cepa.org/cepa_files/2020-CEPA-report-Until_Something_Moves.pdf.
[34] Christian Nünlist and Martin Zapfe, “NATO after Wales: Dealing with Russia – Next Steps,” ed. Matthias Bieri, CSS Analyses in Security Policy, no. 161 (October 2014): acts 3–4; John R. Deni, “Disband the NATO Response Force,” NATO20/2020 (Atlantic Council, Scowcroft Center for Strategy and Security, October 14, 2020), acts 38–39, https://www.atlanticcouncil.org/content-series/nato20-2020/disband-the-nato-response-force/.

ეყრდნობოდა 1997 წლის ნატო-რუსეთის საწყის დოკუმენტს, რომელიც ალიანსისგან მოითხოვდა ახალი წევრების ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ძალების მუდმივ განლაგებაზე უარის თქმას.[35] აღნიშნული გარემოება კი უკვე სამხედრო განზომილებაში სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს, ქმედითი სამხედრო შეკავების განსახორციელებლად.

რას ნიშნავს MAP შეკავების კუთხით?

რადგანაც ალიანსისთვის დამაჯერებელი და ეფექტური სამხედრო შეკავების პრინციპს არსებითი მნიშვნელობა აქვს პოტენციური აგრესორის დასაშოშმინებლად, პრინციპულად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მოქმედებს ან იმოქმედებს თუ არა იგივე პრინციპი იმ ქვეყნების მიმართ, ვისაც ალიანსი MAP-ს მიანიჭებს. თუ იგივე ხარისხით არა, როგორც მინიმუმ, გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭება უნდა გულისხმობდეს უფრო მეტი ხარისხით ამ ქვეყნების უსაფრთხების, ანუ შეკავების ეფექტის ზრდას, ვიდრე ეს გეგმის მინიჭებამდე არსებობდა.

ალიანსის არცერთ სტრატეგიულ დოკუმენტში (მათ შორის, საკუთრივ 1999 წლის სამიტის MAP-ის დოკუმენტში) სამწუხაროდ, არ ჩანს რაიმე მინიშნება უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმების შესახებ სამოქმედო გეგმის მქონე ქვეყანასთან დაკავშირებით. თუ 1999 წელს, რუსეთის სტრატეგიული და სამხედრო სისუსტიდან გამომდინარე, ამ მინიშნების აუცილებლობა არ არსებობდა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა 2008 წლიდან და MAP-ის მინიჭება რუსეთის ინტერესების სფეროში შემავალი ქვეყნისთვის ავტომატურად ნიშნავდა, ერთი მხრივ, მეტი პოლიტიკური ვალდებულების გაჩენას ალიანსის მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ, მეტი საფრთხის გაჩენას ასპირანტი ქვეყნისთვის უკვე საკუთრივ რუსეთის მხრიდან. ეს კი ავტომატურად მოითხოვდა დამატებითი უსაფრთხოების გარანტიების/მექანიზმების შემუშავებას ნატოს მხრიდან გაწევრიანების გეგმის წარმატებით შესრულების, ანუ საბოლოო გაწევრიანების უზრუნველსაყოფად. 2020 წელს Reflection Group-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, რომელიც 2030 წლამდე ალიანსის განვითარებისთვის რჩევებს იძლევა, MAP-ის ქვეყნები ზოგადად პარტნიორი ქვეყნების კატეგორიაშია გაყვანილი და არაფრისმომცემი ფორმულირებებით არიან შემკული, როგორიცაა, მაგალითად, "Enjoy deeper strategic and mutually reinforcing connections with partners that share these principles and aspirations..."[36] მიუხედავად იმისა, რომ თავის მოხსენებაში ჯგუფი პირდაპირ

[35] Rainer L Glatz and Martin Zapfe, “NATO Defence Planning Between Wales and Warsaw: Politico-Military Challenges of a Credible Assurance against Russia,” SWP Comments 5 (January 2016): 3–4.
[36] “NATO 2030: United for a New Era,” 11.

აღიარებს რუსეთიდან მომავალ მწვავე სამხედრო საფრთხეს ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგისთვის და მიმდინარე ოკუპაციას საქართველოსა და უკრაინაში, ამ ორი ქვეყნის უსაფრთხოების გააზრება MAP-ის კონტესტში ან თუნდაც ზოგადად MAP-ის ახლებური კონცეპტუალური გააზრება და მოწოდება მისი დახვეწისკენ შეკავების მექანიზმების კონტექსტში სრულიად გამოტოვებულია.[37]

გაწევრიანების გეგმის მქონე ქვეყნები, სტატუსის შინაარსით, გარკვეულწილად ემსგავსებიან აშშ-ის ძირითად მოკავშირე ქვეყნებს სხვა რეგიონებში, როგორიცაა: ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა ან, თუნდაც, ტაივანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებთან აშშ-ს აქვს თავდაცვის ორმხრივი ხელშეკრულებები, სამხედრო შეკავების დილემა ამ ქვეყნებთან მიმართებაშიც არსებობს და, განსაკუთრებით, ტაივანის შემთხვევაში. როგორც ენდრიუ კრეპინევიჩი (Andrew Krepinevich Jr.) ამტკიცებს, სწორედ მკაფიო სიგნალის გაგზავნა, რომ კოალიციურ ძალებს აქვთ შესაძლებლობა, უნარი და რესურსი ადგილზე, რომ დიდი ხნით აწარმოონ ომი სანამ არ დადგება სასურველი შედეგი, წარმოადგენს სტრატეგიული შეკავების აუცილებელ სამხედრო კომპონენტს.[38] აღნიშნული, ასევე, გულისხმობს განსაკუთრებით იაპონიის და აშშ-ის ერთობლივ მოქმედებას ჩინეთის შესაკავებლად, ხოლო შეკავების ჩავარდნის შემთხვევაში - ჩინეთის დასამარცხებლად.[39] სკანდინავიის ქვეყების შემთხვევაში, საკუთრივ ნატოს წევრი ნორვეგიისთვის შეკავების გაძლიერება გამოიხატა მხოლოდ სამხედრო მარაგების და საწყობების წინასწარ მომზადებაში და მოკავშირე ძალების სწრაფი გადმოსროლის უნარის დახვეწაში, ხოლო ფინეთმა და შვედეთმა უელსის სამიტის დროს ხელი მოაწერეს HNS-ს (მოკავშირე ძალების მიღების ლოგისტიკურ შეთანხმებას).[40] ვითარების აბსურდულობა იმ დონემდე მივიდა, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მნიშვნელობის და ეფექტურობის გაანალიზების მაგივრად, კეთდებოდა მთელი რიგი განცხადებებისა, რომლებიც კიდევ უფრო დამაბნეველი და არაფრის მომტანი იყო. მაგალითად, ჰარვარდის კენედის სკოლის ბელფერის ცენტრის მიერ გამოშვებულ კვლევაში წერია:"Further, NATO should shift the focus of its partnership efforts from individual states to regional international organizations."[41]

---

[37] "NATO 2030: United for a New Era," 16.
[38] Andrew F. Krepinevich Jr., "Archipelagic Defense: The Japan-U.S. Alliance and Preserving Peace and Stability in the Western Pacific" (The Sasakawa Peace Foundation, August 2017), 5, https://www.spf.org/en/jpus/publications/20170810_1.html.
[39] KrepinevichJr., 102.
[40] JamesBlacketal., "Enhancing Deterrence and Defence on NATO's Northern Flank: Allied Perspectives on Strategic Options for Norway" (SantaMonica, CA: RAND Corporation, 2020), ix, www.rand.org/t/RR4381; NünlistandZapfe, "NATO afterWales: DealingwithRussia – NextSteps," 3–4.
[41] Douglas Lute and Nicholas Burns, "NATO at Seventy: An Alliance in Crisis," Project on Europe and the Transatlantic Relationship (Kembridge: Harvard Kennedy School, BELFER Center for Science and International Affairs, February 2019), 33, www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis.

საერთო ჯამში, იკვეთება როგორც ნატოს ზოგადი ფუნქციონალური უუნარობა MAP-ის და მსგავსი სტატუსის მქონე ქვეყნების მიმართ დამატებითი უსაფრთხოების და, შესაბამისად, სამხედრო შეკავების მექანიზმების მიცემის კუთხით, ასევე, საკუთრივ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის წმინდა ფორმალური და ბიუროკრატიული ხასიათი, რომელიც ფუნდამენტურად ვერანაირ როლს ასრულებს კანდიდატი ქვეყნისთვის საფრთხეების და გამოწვევების შესამცირებლად. აღნიშნული შეესაბამება სიმართლეს, მათ შორის, ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში, როცა ნატომ პრაქტიკულად ვერანაირი არსებითი დახმარება გაუწია უკრაინას 2022 წლამდე, ხოლო კონვენციური სამხედრო საფრთხის შემთხვევაში უკრაინა საქართველოსთან ერთად პირდაპირ არის დამოკიდებული ნატოს წევრ ქვეყნების სამხედრო დახმარებაზე.[42] ამრიგად, MAP-ის სტატუსი, როგორც ასეთი, მიუხედავად მისი პოლიტიკური მნიშვნელობისა, არანაირ დამატებით ღირებულებას წარმოადგენს კანდიდატი ქვეყნისთვის შეკავების დამატებითი ეფექტების შექმნის გარეშე. მისი ფორმალური მინიჭებაც კი ეჭვის ქვეშ დგება, თუ ეს იწვევს სამხედრო საფრთხის ზრდას, რაზეც ალიანსს არც პოლიტიკურად, არც ორგანიზაციულ-პროცედურულად და არც სამხედრო თვალსაზრისით პასუხი არ გააჩნია. ბუნებრივია, ალიანსს კარგად ესმის ეს დილემმა და, შესაბამისად, ,,რისკის შემცველ" ქვეყნებთან მიმართებაში, თავადვე იკავებს თავს MAP-ის მინიჭებაზე, მიუხედავად ამ ქვეყნების მიერ საშინაო დავალებების უკეთ შესულებისა, ვიდრე ეს ზოგიერთმა აწ უკვვე ნატოს წევრმა ქვეყანამ თავის დროზე შეასრულეს.

MAP-ის ღირებულება კონვენციური შეკავების მექანიზმის გარეშე

როგორც აღინიშნა, ძირითადი პრობლემა, რაც MAP-ის მიმღები ქვეყნისთვის რუსეთის გაზრდილი საფრთხეა, დაკავშირებულია იმ სცენართან, როცა კრემლი უპირატესი სამხედრო ძალებით შეტევაზე გადადის, ქმნის fait accompli-ს და შემდეგ, მასშტაბური, სისხლისმღვრელი ბრძოლების პერსპექტივის ან ბირთვული მუქარის ფონზე, ნატოს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას აიძულებს.[43] აქამდე, ალიანსის პასუხი მოვლენების განვითარების ამ სცენარზე მეტად სუსტი იყო. სისუსტე გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციის და messaging-ის არაადეკვატურობაში, როცა ალიანსი თვითკმაყოფილებით აცხადებდა, რომ ბალტიის ქვეყნებში EFP-ის კონტექსტში საბრძოლო ჯგუფები შეიქმნა და მკაცრად

[42] Rebecca Blum et al., "The Future of NATO in the Face of Hybrid Threats" (February 24, 2015), https://www.academia.edu/11044703/THE_FUTURE_OF_NATO_IN_THE_FACE_OF_HYBRID_THREATS; LTG(Ret.) Hodges et al., "One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO's Eastern Flank," 32.
[43] Veebel, "NATO OptionsandDilemmasforDeterringRussiaintheBalticStates," act 238; Hodges, Lawrence, andWojcik, "UntilSomethingMoves: ReinforcingtheBalticRegioninCrisisandWar," act 7.

იქნებოდა დაცული–მე-5 მუხლი. ხოლო, მეორე მხრივ, იგივე განცხადებაში ალიანსი ამატებდა, რომ მას კვლავინდებურად სურდა დიალოგი, რისკების შემცირება და გამჭვირვალობა.[44] ამას ემატება ალიანსის რეალური პრობლემა, რომ, ერთი მხრივ, მეტად რთულია დროული პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა NAC-ში ძალთა გადასროლის შესახებ საფრთხის შემცველ რეგიონში, ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს ამ ძალების გადასროლა სასურველ მოკლე პერიოდში (რამოდენიმე დღეში). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ 2020 წელს იქნა საბოლოოდ დამტკიცებული პოლონეთის და ბალტიის ქვეყნების თავდაცვის გეგმა (Eagle Defender), ცხრა კორპუსისგან მხოლოდ ერთ კორპუსს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამომქედო გეოგრაფიული არეალი (ოპერატიული სივრცე) და ალიანსის ოპერატიული მართვის ჯაჭვს შტაბების ზედმეტი სიმრავლე ახასიათებს, გასაგები გახდება შეკავების სამხედრო შემადგენელის მთელი სირთულე.[45]

ნათელია, რომ აღნიშნული სირთულეები კიდევ უფრო მწვავდება საქართველოს, ანუ MAP-ის კანდიდატ ქვეყანასთან მიმართებაში. დაწყებული სტრატეგიული პოლიტიკური ერთიანობიდან და დამთავრებული წინმსწრები ოპერატიული გეგმის დამტკიცებით, ალიანს გაუჭირდება რაიმე პოზიციის შემუშავება ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად შავი ზღვის აუზის მნიშვნელობის აღიარებისა, ნატო გარკვეულწილად ,,მორიდებულად“ იქცევა რეგიონში და შეუდარებლად სუსტი შეკავების პოტენციალი აქვს, თუნდაც, ბალტიის რეგიონთან შედარებით. მხოლოდ საწვრთნელი მრავალეროვნული ბრიგადის შექმნა რუმინეთში და საჰაერო თუ საზღვაო პატრულირების გაზრდა შავ ზღვაზე არ ქმნის შეკავების სათანადო დონეს, მით უფრო როცა ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული რეგიონში ოპერაციების მართვისთვის აუცილებელი გაერთიანებული შტაბი.[46] საქართველოსთან მიმართებაში, ბუნებრივია, სამხედრო შეკავების პრობლემა უფრო მეტად მოითხოვს ძალთა გადმოსროლის და მიღების, მომარაგების და საწყობების წინასწარი განთავსების საკითხების მოგვარებას ისევე, როგორც ადგილობრივი (ქართული) შეიარაღებული ძალების, ინფრასტრუქტურის და თავდაცვის სისტემის მედეგობის საგრძნობ გაზრდას. საწყის ეტაპზე, აღნიშნული მიდგომა მოითხოვს რუმინეთის სამხედრო და ლოგისტიკური შესაძლებლობების საგრძნობ გაუმჯობესებას და შავი ზღვის ძირითადი საზღვაო ინფრასტრუქტურის საფუძვლიან სამხედრო დაცულობას სამხედრო-ლოგისტიკურ ჰაბებად ქცევის მიზნით.[47] უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებაში ოდესის, ფოთის და

[44] Veebel, “NATO Options and Dilemmas for Deterring Russia in the Baltic States,” 240.
[45] Lucas, Hodges, and Schmiedl, “Close to the Wind: Too Many Cooks, Not Enough Broth.”
[46] “The Secretary General’s Annual Report 2020,” act 15; LTG(Ret.) Hodges et al., “One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO’s Eastern Flank,” acts 43–48.
[47] LTG(Ret.) Hodges et al., “One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO’s Eastern Flank,” 48, 64.

ბათუმის პორტების გადაქცევა აღნიშნულ ჰაბებად ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს აღნიშნული ნაბიჯების ტექნიკური და რესურსობრივი მხარე. მაგალითად, ერთი ბრიგადის გადმოსროლა აშშ-დან (ჩარლსტონი) ანტვერპენამდე მოითხოვს 3 კვირას და გულისხმობს 3500 პერსონალის და 3000 ტექნიკის და აღჭურვილობის ტრანსპორტირებას 4 სატვირთო გემის მეშვეობით; ხოლო ნატოს მეტად მაღალი მზადყოფნის ძალების გაძლიერებული ბრიგადის ზომის ქვედანაყოფის მომზადებას გადასროლისთვის საჭიროებს 5-დან 7 დღემდე.[48] 2017 წელს კი მე-2 ბრიგადის საბრძოლო ჯგუფის (BCT) გადასროლას მოყვა 395 მუხლუხოიანი ტექნიკა, 976 ბორბლებიანი და 349 სატვირთო ტრაილერის გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე.[49] მიმღები ქვეყნის უნარი, რომ დროულად მიიღოს დახმარება ალიანსისგან და განახორციელოს გადმოსროლილი საბრძოლო ქვედანაყოფების ლოგისტიკური უზრუნველყოფა, არსებითად მნიშვნელოვანია ამ მიზნით წვრთნებისა და მთელი რიგი ინფრასტრუქტურული ობიექტების და საგზაო კომუნიკაციების სწრაფ მომზადებასთან ერთად.[50]

როგორც ჩანს, მინიმალისტური ხედვითაც კი MAP-ის მიმღები ქვეყანა მინიმუმ სამხედრო შეკავების იგივე tripwire კონცეპციით უნდა სარგებლობდეს, როგორც ეს ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში იყო გათვალისწინებული უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე. აღნიშნული გულისხმობს როგორც დამატებითი ძალების სწრაფი გადმოსროლის უნარს, ასევე, ადგილზე თუნდაც როტაციულ საფუძველზე რამდენიმე ათასი (გაძლიერებული ბრიგადა) ნატოელი ჯარისკაცის განთავსებას. ეფექტური სამხედრო შეკავების განუყოფელი ნაწილია მუდმივი და ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებების ჩატარება, როგორც ეს, მაგალითად, მოხდა 2018 წელს ნორვეგიაში (Trident Juncture - 50 ათასი მონაწილე სამხედრო, 60 ხომალდი) ან 2020 წელს Defender-Europe 20-ის დროს, როცა 20 ათასი სამხედრო პერსონალის გადმოსროლას ევროპაში მოყვა 20 ათასი სატრანსპორტო და 13 ათასი სხვა ტექნიკური საშუალება.[51]

დიდწილად მსგავსი სწავლებები წააგავს ცივი ომის დროს ალიანსის მიერ ჩატარებულ ფართომასშტაბიან სწავლებას-Reforger. საქართველოსთან მიმართებაში, ეს მსგავსება კიდევ უფრო იზრდება შავი ზღვით (ატლანტიკის მსგავსად ევროპისთვის) სამხედრო დახმარების მიწოდების აუცილებლობის გამო.

[48] Hodges, Lawrence, and Wojcik, "Until Something Moves: Reinforcing the Baltic Region in Crisis and War," 11; Gustafsson, Rydqvist, and Dalsjö, "Deterrence by Reinforcement - The Strengths and Weaknesses of NATO's Evolving Defence Strategy," 12, 20, 38.
[49] Hodges, Lawrence, and Wojcik, "Until Something Moves: Reinforcing the Baltic Region in Crisis and War," 17.
[50] Hodges, Lawrence, and Wojcik, iv, v, vi.
[51] Hodges, Lawrence, and Wojcik, 4.

ანუ MAP-ის მინიჭების შემთხვევაში პირდაპირ იკვეთება შეკავება არდაშვებით (deterrence by denial) მოდელის განხორციელების აუცილებლობა, რაც გაცილებით ფართო და სრული მასშტაბით ცივი ომის დროს მოქმედებდა დასავლეთ გერმანიაში. აღნიშნული ითვალისწინებდა საკმარისი რაოდენობის და შესაძლებლობის მქონე ქვედანაყოფების მუდმივ განლაგებას საბჭოთა ჯარების შეტევის ეფექტური შეკავება/შეჩერებისთვის სანამ დამხმარე ძალების გადმოსროლა მოხდებოდა აშშ-დან.[52] საბოლოო ჯამში, ალიანსის დამხმარე ძალებს იმხელა პოტენციალი უნდა ჰქონდეს, რომ მოხდეს მტრის შეკავება, შეჩერება, კონტრშეტევა და შეტევა, თან ისე, რომ ძალთა საკმარისი ძალების გადმოსროლა არ იყოს დაგვიანებული.[53] შავი ზღვის გამოყენებით კომუტირებასთან შედარებით, კიდევ უფრო სწრაფი გზა ნატოს დამატებითი ძალების გადმოსროლისა საქართველოში არის სახმელეთო კომუტირება თურქეთის გავლით. საქართველოზე რუსეთის შეტევის შემთხვევაში, ქვეყნის გეოგრაფიული სიმცირის გამო, შეუძლებელია დროის მოგება ტერიტორიების დათმობით და უკანდახევის გზით. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა თურქეთიდან მეტად მოკლე დროში (რამოდენიმე საათში) საჭირო რაოდენობით დამხმარე ქვედანაყოფების გადმოსროლა.[54] სხვა შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს საზღვართან ახლოს თურქეთის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს დივიზიის ზომის კონტინგენტი, რაც, ბუნებრივია, თურქეთის მხრიდან მყარი პოლიტიკური თანხმობის მიღებას გულისხმობს.[55]

დასკვნა

შვედეთის და ფინეთის სწრაფი გაწევრიანებით ალიანსში MAP-ის გარეშე, კიდევ ერთხელ, დადასტურდა ამ მექანიზმის მხოლოდ ფორმალური და პოლიტიკური (პოლიტიზებული) ხასიათი. სამხედრო თვალსაზრისით, მისი მნიშვნელობა დღეს უდრის ნულს, რადგანაც თავსებადობის მიღწევა, როგორც ეს საქართველომ აჩვენა, MAP-ის გარეშეც შეიძლება, ხოლო საკუთრივ MAP-ის მიღება მისი დღევანდელი ფორმით არაფრის მომტანია სამხედრო შეკავების ზრდის თვალსაზრისით და, პირიქით, პოლიტიკური დაძაბულობის და საფრთხეების ზრდის გამომწვევია. შეკავების ეფექტური მექანიზმის გარეშე გაწევრიანების სამოქმედო გეგმა და ალიანსში ინტეგრაციის ნებისმიერი ნაბიჯი, აგრესიული და რევიზიონისტული მოწინააღმდეგის ფონზე, მხოლოდ დაძაბულობის ზრდის გამომწვევია და

[52] Glatz and Zapfe, "NATO Defence Planning Between Wales and Warsaw: Politico-Military Challenges of a Credible Assurance against Russia," 6.
[53] Nicholson, "NATO's Land Forces: Strength and Speed Matter," 33–34, 42–43.
[54] Motin, "Geography, Military Balance, and the Defence of NATO's Borderlands," 3.
[55] Motin, 3.

გარანტირებულად აზიანებს ალიანსის სანდოობას თუ ინტეგრაციის ყოველ ნაბიჯს შეკავების მზარდი ნაბიჯი არ მოჰყვა ალიანსის მხრიდან. შესაბამისად, ან MAP ამ სახით უნდა გაუქმდეს, ან მის მინიჭებას ავტომატურად უნდა სდევდეს თან დამატებითი ქმედებების განხორციელება ნატოს მხრიდან კანდიდატ ქვეყანაში ეფექტური შეკავების ყველა კომპონენტის გასაძლიერებლად და ეს მექანიზმი ახლიდან უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული ალიანსის მიერ.

დამაჯერებელი და ეფექტური სამხედრო შეკავება მოითხოვს ადეკვატურ ძალებს და სწორედ აღნიშნულ ძალებზე მოთხოვნა განსაზღვრავს მოთხოვნას საბრძოლო შესაძლებლობებზე.[56] რუსეთის შეჭრა საართველოში და უკრაინაში არის ყველაზე კარგი დასტური იმისა, თუ რა მოსდევს ალიანსში ინტეგრაციის სურვილს შესაბამისი გარანტიების გარეშე ალიანსის მხრიდან, როცა საქმე გვაქვს რევიზიონისტ და აგრესიულ სახელმწიფოსთან. მხოლოდ საბრძოლო შესაძლებლობების ზრდა და სამხედრო დახმარება ,,სამიზნე ქვეყნისთვის“ წარმოადგენს ყველაზე სწრაფ და ეფექტურ ნაბიჯს აგრესიის პრევენციისთვის ან შეჩერებისთვის, რაც სამხედრო შეკავების საფუძველია და რასაც ეთანხმება აღმოსავლეთ ევროპის საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსთა მთელი არმია.[57] ფინეთის და შვედეთის მიერ პირდაპირი გაწევრიანების პროცესის დაწყება MAP-ის გამოტოვებით ასევე მრავლისმეტყველია. ეს ნიშნავს იმას, რომ როგორც ორივე ქვეყნისთვის, ასევე, საკუთრივ ალიანსისთვის ნათელი იყო MAP-ის მექანიზმის ნომინალური და არაფრის მომცემი ხასიათი უსაფრთხოების გარანტიების და გაზრდილი შეკავების თვალსაზრისით. შესაბამისად, სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილება იყო ფორმალურ მექანიზმზე უარის თქმა (რაც თავისთავად უკვე პრობლემურია ალიანსის სანდოობის მხრივ) და მიღებული იქნა დაჩქარებული გაწევრიანების გადაწყვეტილება სწორედ უსაფრთხოების გარანტიების მიცემის, ე.ი. გაზრდილი სამხედრო შეკავების ეფექტის შესაქმნელად. ნატომ ამ ნაბიჯით თავად დაადასტურა MAP-ის სრული არარელევანტურობა, თუ ქვეყანა გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფება. სწორედ სრული გაწევრიანება იძლევა დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებს, გაზრდილი შეკავების ეფექტს და, კონფლიქტის ესკალაციის პირობებში, ალიანსის უწყვეტ დომინირებას. ესკალაციის პირობებში დომინირება კი არის ის, რაც ენდრიუ კრეპინევიჩს მიაჩნია დამაჯერებელი სამხედრო შეკავების ფუნდამენტურ კომპონენტად.[58]

---

[56] Mihalka, “NATO Response Force,” 68.
[57] “Schwere Waffen Jetzt! Replik Auf „Waffenstillstand Jetzt!“,” Focus Online, July 19, 2022, https://www.focus.de/politik/ausland/ukraine-krise/96-osteuropa-experten-weltweit-fordern-schwere-waffen-jetzt_id_119428660.html?fbclid=IwAR2d08VURbEus_pV_-LQ6MtJe-TTQEgyg87SxYSRoffnX8fcjuea0B3vwcA.
[58] Krepinevich Jr., “Archipelagic Defense: The Japan-U.S. Alliance and Preserving Peace and Stability in the Western Pacific,” 103.

ჩვენ არ ვიცით, ალიანსი რა გზას აირჩევს მომავალში საქართველოს და უკრაინის გასაწევრიანებლად. ფაქტია რომ, როგორც წარსულში, ასევე, მომავალშიც მას დასჭირდება ,,ნატო-ს სულისკვეთების“ შენარჩუნება გადაწყვეტილების მისაღებად, რაც საერთო კონსულტაციების და გრძელვადიან პერსპექტივაში საერთო სარგებლის გამოკვეთას გულისხმობს.[59] თუმცა, რამდენად საერთო სულისკვეთება იქნება გადამწყვეტი სამოქმედო გეგმის მისაცემად საქართველოსთვის (უკრაინას, ვვეჭვობ, აღარ დასჭირდება), აბსოლუტურად უცნობია, მით უფრო, როცა ჯერ კიდევ არავითარი მინიშნება არ არსებობს ალიანსში, რომ მოხდეს MAP-ის ფუნდამენტური გადახედვა და დახვეწა მისი სამხედრო კომპონენტის, კერძოდ კი დაშინების მექანიზმის გასაუმჯობესებლად. სწორედ აქ იქნებოდა საჭირო აშშ-ის წამყვანი როლი "directorship but not dictatorship"-ის პრიციპის გამოყენებით, რომ ჯერ თავად აშშ-მ გაიაზროს MAP-ის როგორც გაწევრიანების მთავარი მექანიზმის ძირითადი სისუსტე და მოახდინოს სხვა წევრების აყოლიება ამ სისუსტის სწრაფი გამოსწორებისთვის.[60] თუ ეს მცდელობა გადაულახავ სირთულედ იქცევა, მაშინ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა კარგავს ზოგადად თავის პოლიტიკურ, სამხედრო და ბიუროკრატიულ-პროცედურულ მნიშვნელობას და ის უნდა გაუქმდეს. სხვა შემთხვევაში, ნატოს ისედაც შერყეული სანდოობა კიდევ ერთ სერიოზულ დარტყმას მიიღებს და არც არავინ მოინდომებს მომავალში MAP-ის მიღებას სამხედრო შეკავების გარანტიების მიღების გარეშე. შვედეთის და ფინეთის პირდაპირი მიღებაც ხომ სწორედ იმის გამო მოხდა, რომ MAP-ის მიცემის შემთხვევაში (რაც ფორმალურად ლოგიკური იქნებოდა), ალიანსი ვერ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას და რუსეთის სათანადო შეკავებას. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო მათი პირდაპირი გაწევრიანება უსაფრთხოების იგივე დამატებითი გარანტიების მისაცემად, რომლებითაც სხვა წევრები სარგებლობენ. თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში აღქმები დიდ როლს თამაშობს და, შესაბამისად, აგრესიულად განწყობილი ქვეყანა უნდა დარწმუნდეს რომ, MAP-ის მინიჭებით, ქვეყანა იღებს დამატებით თავდაცვის შესაძლებლობებს და გარანტიებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ალიანსის მხრიდან შექმნილი სამხედრო შეკავების ხარისხი გახდება სავსებით რეალური და დამაჯერებელი.[61]

[59] Karoliina, “The Influence of Small States on NATO Decision-Making. The Membership Experiences of Denmark, Norway, Hungary and the Czech Republic.,” 23.
[60] Karoliina, 29.
[61] Black et al., “Enhancing Deterrence and Defence on NATO’s Northern Flank: Allied Perspectives on Strategic Options for Norway,” v, summary.

ბიბლიოგრაფია:

Binnendijk, Hans, and Conor Rodihan. Geometries of Deterrence: Assessing Defense Srrangements in Europe's Northeast. Atlantic Council, Scowcroft Center for Strategy and Security, 2020. https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2020/05/Geometries-of-Deterrence-Report-Web.pdf.

Black, James, Stephen Flanagan, Gene Germanovich, Ruth Harris, Marina Favaro, Katerina Galai, and Emily Ryen Gloinson. "Enhancing Deterrence and Defence on NATO's Northern Flank: Allied Perspectives on Strategic Options for Norway." Santa Monica, CA: RAND Corporation, 2020. www.rand.org/t/RR4381.

Blum, Rebecca, Evina Zouganeli, Sadia Rao, and Elcheikh Soliman. "The Future of NATO in the Face of Hybrid Threats," February 24, 2015. https://www.academia.edu/11044703/THE_FUTURE_OF_NATO_IN_THE_FACE_OF_HYBRID_THREATS.

"Bucharest Summit Declaration." Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Bucharest on 3 April 2008. Press Release (2008) 049, April 3, 2008. http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_8443.htm?selectedLocale=en.

Davis, Paul K., ed. New Challenges for Def Planning: Rethinking How Much Is Enough. Santa Monica, CA: RAND Corporation, 1994.

Deni, John R. "Disband the NATO Response Force." NATO20/2020. Atlantic Council, Scowcroft Center for Strategy and Security, October 14, 2020. https://www.atlanticcouncil.org/content-series/nato20-2020/disband-the-nato-response-force/.

Glatz, Rainer L, and Martin Zapfe. "NATO Defence Planning Between Wales and Warsaw: Politico-Military Challenges of a Credible Assurance against Russia." SWP Comments 5 (January 2016): 8.

Gray, Colin S. "Presentation to the 'Multiple Futures' Conference, NATO's Allied Command Transformation." Brussels, May 8, 2009. https://www.act.nato.int/images/stories/events/2009/mfp/mfp_surprise_prediction.pdf.

Gustafsson, Jakob, John Rydqvist, and Robert Dalsjö. "Deterrence by Reinforcement - The Strengths and Weaknesses of NATO's Evolving Defence Strategy." Swedish Defence Research Agency (FOI), November 2019. www.foi.se.

Hodges, Ben, Tony Lawrence, and Ray Wojcik. "Until Something Moves: Reinforcing the Baltic Region in Crisis and War." CEPA - Center for European Policy Analysis, ICDS - International Center for Defence and Security, April 2020. https://cepa.org/cepa_files/2020-CEPA-report-Until_Something_Moves.pdf.

Jervis, Robert. "Rational Deterrence: Theory and Evidence." World Politics 41, no. 2 (January 1989): 183–207. https://doi.org/10.2307/2010407.

Karoliina, Honkanen. "The Influence of Small States on NATO Decision-Making. The Membership Experiences of Denmark, Norway, Hungary and the Czech Republic." Swedish Defence Research Agency (FOI), November 2002. www.foi.se.

Krepinevich Jr., Andrew F. "Archipelagic Defense: The Japan-U.S. Alliance and Preserving Peace and Stability in the Western Pacific." The Sasakawa Peace Foundation, August 2017. https://www.spf.org/en/jpus/publications/20170810_1.html.

Levy, Jack S., and William R. Thompson. Causes of War. The Atrium, Southern Gate, Chichester, West Sussex, UK: Wiley-Blackwell, 2010.

LTG(Ret.) Hodges, Ben, Janusz Gugaijski, Ray COL(Ret.) Wojcik, and Carsten Schmiedl. "One Flank, One Threat, One Presence: A Strategy for NATO's Eastern Flank." CEPA, Center for European Policy Analysis, May 2020. https://cepa.org/one-flank-one-threat-one-presence/.

Lucas, Edward, Ben Hodges, and Carsten Schmiedl. "Close to the Wind: Too Many Cooks, Not Enough Broth." CEPA, Center for European Policy Analysis, September 9, 2021. https://cepa.org/baltic-sea-security-too-many-cooks-not-enough-broth/.

Lukianova Fink, Terry. "The Evolving Russian Concept of Strategic Deterrence: Risks and Responses," August 2017, 10.

Lute, Douglas, and Nicholas Burns. "NATO at Seventy: An Alliance in Crisis." Project on Europe and the Transatlantic Relationship. Kembridge: Harvard Kennedy School, BELFER Center for Science and International Affairs, February 2019. www.belfercenter.org/publication/nato-seventy-alliance-crisis.

"Membership Action Plan (MAP)." Press Release NAC-S(99) 066, April 24, 1999. http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27444.htm?selectedLocale=en.

Mihalka, Michael. "NATO Response Force: Rapid? Responsive? A Force?" Connections: The Quarterly Journal 04, no. 2 (2005): 67–79. https://doi.org/10.11610/Connections.04.2.09.

Motin, Dylan. "Geography, Military Balance, and the Defence of NATO's Borderlands." Journal on Baltic Security 6, no. 1 (June 1, 2020): 9. https://doi.org/10.2478/jobs-2020-0002.

NATO. "NATO - Study on NATO Enlargement," 1995. http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_24733.htm.

"NATO 2030: United for a New Era." Analysis and Recommendations of the Reflection Group Appointed by the NATO Secretary General. Brussels: North Atlantic Treaty Organization, NATO, November 25, 2020. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf.

Nicholson, John W. "NATO's Land Forces: Strength and Speed Matter." PRISM, European Security in the 21st Century, 6, no. 2 (July 12, 2016): 29–47.

Nünlist, Christian, and Martin Zapfe. "NATO after Wales: Dealing with Russia – Next Steps." Edited by Matthias Bieri. CSS Analyses in Security Policy, no. 161 (October 2014): 4.

Focus Online. "Schwere Waffen Jetzt! Replik Auf „Waffenstillstand Jetzt!"," July 19, 2022. https://www.focus.de/politik/ausland/ukraine-krise/96-osteuropa-experten-weltweit-fordern-schwere-waffen-jetzt_id_119428660.html?fbclid=IwAR2d08VURbEus_pV_-LQ6MtJe-TTQEgyg87SxYSRoffnX8fcjuea0B3vwcA.

"The Secretary General's Annual Report 2020." Brussels: North Atlantic Treaty Organization, NATO, 2021. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/3/pdf/sgar20-en.pdf.

Veebel, Viljar. "NATO Options and Dilemmas for Deterring Russia in the Baltic States." Defence Studies 18, no. 2 (April 3, 2018): 229–51. https://doi.org/10.1080/14702436.2018.1463518.

Zapfe, Martin. "NATO's 'Spearhead Force.'" Edited by Christian Nünlist. CSS Analyses in Security Policy, no. 174 (May 2015): 4.

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნატო, როგორც რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე

ავტორი: გიორგი ბილანიშვილი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

თანამედროვე რუსეთის ფედერაცია უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა რევიზიონისტულ ძალად, რომელიც, მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით, აძლიერებს საკუთარ გავლენას სხვა ქვეყნების უსაფრთხოებისა და ინტერესების შელახვის ხარჯზე. რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას ხშირად ჰიბრიდულ ომად მოიხსენიებენ, რომლის მეშვეობით მოსკოვი ახდენს მისი ინტერესებისათვის სასარგებლო პროცესებისა და ტენდენციების ინიცირებას.

რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მთავარი სამიზნე დასავლეთია, რომელსაც იგი თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს. ამასთან, მოსკოვი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ფასეულობებისა და ინსტიტუტებისთვის ზიანის მიყენებაზე, რომელსაც დასავლეთი ეფუძნება. ამ მხრივ, რუსული პროპაგანდა გამორჩეულად აქტიურია.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც დასავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ინსტიტუტია, რუსეთის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ არის გადაქცეული. თუ დავა-კვირდებით რუსეთის მოქმედებებს, იგი ნატოს დასუსტების მიზნით აქცენტს შემდეგი მიმართულებით აკეთებს:

1) ნატოს გაფართოების პროცესის ჩაშლა;
2) ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებს შორის უთანხმოების ხელშეწყობა;
3) ნატოს იმიჯის შელახვა, მისი აგრესიულ და ექსპანსიონისტურ სამხედრო ალიანსად წარმოჩენით.

მართალია, რუსეთს გარკვეული წარმატება ზემოხსენებული სამივე მიმართულებით გააჩნია, მაგრამ მისი ქმედებები, ალბათ, ყველაზე ეფექტიანი მაინც ნატოს იმიჯის შელახვის თვალსაზრისით აღმოჩნდა. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მოსკოვის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კომპონენტს სწორედ რუსული პროპაგანდა წარმოადგენს. რუსეთს საკმაოდ დიდი რესურსები აქვს მობილიზებული პროპაგანდისთვის, მასში ჩართულნი არიან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო აქტორები, რის შედეგადაც რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა მისთვის სასურველი არაერთი მოსაზრების დამკვიდრება საკუთარი ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებით წარმატებული რუსული პროპაგანდა მაინც ქვეყნის შიგნით აღმოჩნდა, რადგან, როგორც სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვითაც დასტურდება, მთლიანად დასავლეთის და, კერძოდ, ნატოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დომინირებს რუსეთის საზოგადოებრივ აზრში.

ნატოს მიმართ რუსეთის საზოგადოების განწყობა

ნატოსთან მიმართებაში, რუსეთის პროპაგანდა გაჯერებულია მკვეთრად ნეგატიური გზავნილებით, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის იმიჯის შელახვას ემსახურება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რუსული პროპაგანდა ეფუძნება ე.წ. კონსპირაციის თეორიას, რომელიც რუსეთის საზოგადოებაში ტრადიციულად საკმაოდ პოპულარულია და სეროზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ამას ხელს უწყობს რუსული საზოგადოების ისტორიული მეხსიერება, რომლის შექმნაშიც პროპაგანდას, ასევე, სერიოზული წვლილი მიუძღვის. ღრმა ისტორიულ წიაღსვლებში რომ არ წავიდეთ, ცივი ომის პერიოდში დასავლეთისგან მტრის ხატის შექმნა საბჭოთა პროპაგანდისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენდა. შესაბამისად, არსებობს საკმაოდ ხელსაყრელი ნიადაგი, რომელიც რუსულ პროპაგანდას უადვილებს საკუთარი საზოგადოების დიდი ნაწილის დარწმუნებას იმაში, რომ დასავლეთი რუსეთის მტერია და მას გამუდმებით ებრძვის.

ნატოსთან მიმართებაში, რუსეთის საზოგადოების უარყოფითი განწყობა დასტურდება სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვით. შესაძლოა, ეს გამოკითხვები, გარკვეულ-წილად, მანიპულირებულია, რადგან რუსეთის ხელისუფლებას ლამის ტოტალური კონტროლი აქვს დამყარებული ყველა სფეროზე, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორი გვაფიქრებინებს, რომ ისინი, მეტწილად, რეალისტურად ასახავენ საზოგადოების განწყობას.

ერთ-ერთი ასეთი ბოლო გამოკითხვის თანახმად, რომელიც რუსეთის საზოგადო-ებრივი აზრის შესწავლის ცენტრმა ჩაატარა, ნატოს მიმართ რუსეთის საზოგადოებაში შემდეგი განწყობები დომინირებს (ВЦИОМ, 2022):

როგორია თქვენი დამოკიდებულება ნატოს მიმართ?

უმეტესად უარყოფითი	59%
უმეტესად ნეიტრალური	23%
უმეტესად დადებითი	2%
უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა	16%

რომელი საფრთხეები ახასიათებს ნატოს და მის პოლიტიკას ყველაზე ზუსტად?

ნატო სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც გამიზნულია რუსეთის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებზე	62%

ნატო თავდაცვითი კავშირია, რომელიც მიზნად ისახავს წვერი ქვეყნების დაცვას	15%
სხვა	4%
უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა	20%

გსმენიათ თუ არა ნატოს სამხედრო ოპერაციებისას კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ფაქტები ჩადენის თაობაზე?	
მსმენია	73%
არ მსმენია	5%
უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა	19%

თავის დროზე ნატო შექმნის მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური შეკავება. შეიცვალა თუ არა ნატოს ეს მიზანი დღეს?	
არ შეცვლილა	46%
შეიცვალა	32%
უარი პასუხზე/მიჭირს პასუხის გაცემა	22%

რუსეთის საზოგადოების უარყოფითი განწყობა მთლიანად დასავლეთის და, მათ შორის, ნატოს მიმართ ახდენს მის კონსოლიდაციას პუტინის ხელისუფლების გარშემო. საზოგადოებრივი აზრის კონტროლის პირობებში, პუტინის რეჟიმს უადვილდება ხისტი და სარისკო გადაწყვეტილებების მიღება, რაც, ხშირ შემთხვევაში, ვლინდება რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაში საერთაშორისო ასპარეზზე და, განსაკუთრებით, მის მეზობლებთან მიმართებაში. ამის უკანასკნელი გამოვლინებაა რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთლიანად ევროპულ და მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებას სერიოზულ რისკებს უქმნის.

ნატოს წინააღმდეგ რუსული პროპაგანდის რამდენიმე მთავარი გზავნილი

შიდა განზომილების გარდა, რუსულ პროპაგანდას საგარეო განზომილებაც გააჩნია. რა თქმა უნდა, მისი მიზანი ამ შემთხვევაშიც იდენტურია, რაც უცხო ქვეყნებში რუსეთისთვის სასურველი მოსაზრებების გამყარებას და დამკვიდრებაში მდგომარეობს. იქიდან გამომდინარე, რომ რუსულ პროპაგანდას საკმაოდ ხელშესახები შედეგები გააჩნია, უკანასკნელ წლებში მის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლეთის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად ჩამოყალიბდა.

უშუალოდ ნატოსთან დაკავშირებული რუსული პროპაგანდის გზავნილების გასანეიტრალებლად ბოლო წლებში არაერთი ანალიტიკური მასალა გამოქვეყნდა. ამ დოკუმენტებში ნაჩვენებია ის, თუ როგორ ცდილობს რუსული პროპაგანდა საზოგადების შეცდომაში შეყვანას ნატოს თაობაზე სხვადასხვა სახის მითების შექმნით. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აანალიზებს რუსული პროპაგანდის გზავნილებს, ხელმისაწვდომია თავად ნატოს ოფიციალურ ვებ გვერდზე.[1]

ზემოხსენებულ ანალიტიკურ მასალებზე დაყრდნობით, ქვემოთ მიმოხილულია ნატოს წინააღმდეგ მიმართული რუსული პროპაგანდის რამდენიმე მთავარი გზავნილი. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით, იგივე გზავნილები საქართველოშიც არის გავრცელებული.

ნატო როგორც ინსტრუმენტი აშშ-ის ხელში - რუსული პროპაგანდის ამ გზავნილის თანახმად, ნატო მხოლოდ და მოლოდ იარაღია აშშ-ის ხელში, რომელსაც იგი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიმართული გეგმის განსახორციელებლად იყენებს. იგივე ნარატივის თანახმად, აშშ-ს ნატო მხოლოდ ევროპაში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად სჭირდება (Wilhelmsen, Julie; Hjermann, Anni Roth, 2022).

რუსული პროპაგანდის ეს ნარატივი სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში იღებს. მაშინაც საბჭოთა სპეცსამსახურები ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ მოსაზრება, რომ აშშ წარმოადგენდა იმპერიალისტურ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარ ნებას თავს ახვევდა მის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფოებს. ამასთან, ნატოს თაობაზე მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ იგი წარმოადგენდა ექსპანსიონისტური ტიპის ორგანიზაციას, რომელსაც აკონტროლებდა ვაშინგტონი და იყენებდა მას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ (Bugajski 2019). ცხადია, როგორც ახლა, ისე წარსულში, რუსული პროპაგანდა შეგნებულად უკეთებდა იგნორირებას იმ გარემოებას, რომ ნატო სწორედ მოკავშირეების საბჭოთა კავშირისგან თავდაცვის მიზნით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელშიც გადაწყვეტილებები არა ერთპიროვნულად, არამედ კონსენსუსის საფუ-ძველზე მიიღება.

ნატოს არგაფართოების თაობაზე არსებული პირობა - კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც, მათ შორის, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე რუსეთის მხრიდან ხშირად ისმის ხოლმე დასავლეთის მიმართ, დაკავშირებულია ნატოს გაფართოებასთან. კერძოდ, რუსული პროპაგანდის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, როდესაც საუბარი მიდიოდა გერმანიის გაერთიანებაზე, დასავლეთმა რუსეთის ფედერაციას აღუთქვა, რომ ნატოს გაფართოება არ მოხდებოდა.

[1] NATO-Russia relations: the facts. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_111767.htm#c101

ამ გზავნილთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს არგაფართოების თაობაზე თითქოსდა დადებული პირობა თავად საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ლიდერმა, მიხეილ გორბაჩოვმა, უარყო რამდენიმე წლის წინ და მას უბრალოდ მითი უწოდა (Kamp, 2016).

ასეც რომ ყოფილიყო, გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ვარშავის პაქტის ორგანიზაცია და თავად საბჭოთა კავშირიც არ იყო დაშლილი. მას შემდეგ, რაც ორივე მათგანი დაიშალა, ფუნდამენტურად შეიცვალა საერთაშორისო პოლიტიკური სურათი. გაჩნდნენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებსაც საკუთარი საგარეო-პოლიტიკური არჩევანის სუვერენული უფლება გააჩნიათ. ეს უფლება, მათ შორის, ითვალისწინებს მათ გაწევრიანებას ისეთ ალიანსებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებასა და ხელს შეუწყობენ მათ განვითარებას. მით უმეტეს, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა თავად უბიძგებს ამ ქვეყნებს, რომ იზრუნონ ახლა გარანტიებზე საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ნატოს გაფართოება, როგორც ეგზისტენციალური საფრთხე რუსეთისთვის - რუსული პროპაგანდის თანახმად, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებამ ეგზისტენციალური რისკები და გამოწვევები შეუქმნა რუსეთის ფედერაციას. შესაბამისად, მოსკოვი იძულებული გახდა საპასუხო ზომები მიიღო, რათა უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მართლაც დაიწყო ნატოს გაფართოების პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. პირველმა ტალღამ სათავე 1997 წელს აიღო, როდესაც მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ნატოში ვარშავის პაქტის ყოფილი ქვეყნების - ჩეხეთის, უნგრეთის და პოლონეთის გაწევრიანების თაობაზე, რაც 1999 წელს სისრულეში მოვიდა (NATO, 2022). ამის შემდეგ, 2002 წლის ნატოს პრაღის სამიტზე, ალიანსში აღმოსავლეთ ევროპის კიდევ შვიდი სახელმწიფო - ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია მიიწვიეს, ხოლო 2004 წელს კი გააწევრიანეს (NATO, 2002).

ნატო იმთავითვე ანგარიშს უწევდა იმას, რომ რუსეთი საკუთარ უსაფრთხოებას ზედმეტად მწვავედ აღიქვამდა. სწორედ ამიტომ, გაფართოების პირველი ტალღისასვე დადო პირობა, რომ ალიანსის ახალი წევრების ტერიტორიაზე არც ბირთვულ იარაღს და არც სამხედრო კონტიგენტს არ განალაგებდა (Klein and Markus, 2014).

ბირთვული იარაღის ნაწილში ეს პირობა დღემდე დაცულია. რაც შეეხება სამხედრო კონტიგენტს, მისი გაზრდის თაობაზე ნატომ პირველად მხოლოდ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში ინტერვენციის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება. იგი განპირობებული იყო ობიექტური გარემოებებით, რადგან რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიით თავად გააუარესა

ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების გარემო და გაზარდა მათ წინაშე არსებული რისკები. აქედან გამომდინარე, ნატომ იზრუნა საკუთარი წევრების უსაფრთხოების განმტკიცებაზე და 2017 წელს რუსეთის მოსაზღვრე ნატოს წევრ ოთხ ქვეყანაში - ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და პოლონეთში ჯამში 4530 სამხედრო განათავსა (Dempsey, 2017).

ანალოგიური შემთხვევა განმეორდა ახლახან. კერძოდ, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა აგრესიამ ამჯერად კიდევ უფრო დრამატულად შეცვალა ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების გარემო და გაზარდა მათ წინაშე არსებული საფრთხეები. ამ შემთხვევაშიც, ნატო იძულებული იყო გადაედგა საპასუხო ნაბიჯები. შესაბამისად, 2022 წლის ივნისის ბოლოს გამართულ ნატოს მადრიდის სამიტზე, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება აღმოსავლეთ ევროპაში დამატებით 40 000 სამხედრო მოსამსახურის განთავსების თაობაზე (Monaghan; Pierre and Colin, 2022).

ნატო ყველანაირად ცდილობს უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას - რუსული პროპაგანდის მტკიცებით, ნატოს წევრი ქვეყნები ძალისხმევას არ იშურებენ უკრაინის და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის. 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მართლაც განიხილებოდა უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანების თემა. თუმცა, კონსენსუსი ამ საკითხზე მოკავშირეებს შორის არ არსებობდა, რადგან ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, განსაკუთრებით კი გერმანია, უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო. სწორედ ამიტომ, ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში გაჩნდა მხოლოდ ისეთი ჩანაწერი, რომელიც, მართალია იზიარებდა ამ ქვეყნების სწრაფვას ნატოში გაწევრიანების თაობაზე, მაგრამ ღიად ტოვებდა მთავარ საკითხს - როდის დაიწყებოდა მათი გაწევრიანების პროცესი.

კერძოდ, დეკლარაციაში არსებული ჩანაწერის თანახმად, ალიანსის წევრები მიესალმებოდნენ უკრაინისა და საქართველოს სწრაფვას ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ისინი, ასევე, თანხმდებოდნენ იმაზე, რომ უკრაინა და საქართველო გახდებოდნენ ნატოს წევრები, მაგრამ გაწევრიანებისთვის ორივე მათგანს უნდა მიეღო წევრობის სამოქმედო გეგმა (NATO, 2008).

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ არც საქართველოს და არც უკრაინას ნატოში გაწევრიანების გზაზე არსებითი პროგრესი არ ჰქონია. უფრო მეტიც, ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანების თაობაზე კონსენსუსის მიღწევა მოკავშირეებს შორის კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც 2008 წელის აგვისტოში რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და შემდეგ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდე-ბლობა, ხოლო 2014 წელს კი ყირიმის ანექსია მოახდინა.

სინამდვილეში, არა თუ ნატოს წვერი ქვეყნები ცდილობენ საქართველოს და უკრაინის ალიანსში გაწევრიანებას, არამედ თავად რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უბიძგებს მათ აქეთკენ უსაფრთხოების გარანტიების დამატებითი მისაღებად. ამის ბოლო ნათელი მაგალითი შვედეთი და ფინეთია, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს, მაგრამ 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო აგრესიის შემდეგ გადაწყვიტეს ნატოში გაწევრიანება.

ნატოს გაფართოვების საკითხი უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის მზადების კონტექსტში

ოფიციალური მოსკოვი პოლიტიკურ დონეზე ხშირად დგამს ხოლმე ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც სრულ თანხვედრაშია რუსულ პროპაგანდასთან. ამ ნაბიჯებით კიდევ უფრო უნდა გამყარდეს რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი, რომლის თანახმად რუსეთი თითქოს ეგზისტენციალური საფრთხის წინაშეა და მის გასანეიტრალებლად იძულებულია ხისტად და აგრესიულად იმოქმედოს.

ასეთი კონკრეტული ნაბიჯები მოსკოვის მხრიდან გადაიდგა უშუალოდ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის მზადების პროცესშიც და მასში ნატო ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა. 2021 წლის დეკემბერში, მაშინ როდესაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან შეირაღებული ინტერვენციის მზადებას უკვე ფართო რეზონანსი ჰქონდა და მისი პრევენცია აშშ-ისთვის და დასავლეთის სხვა ქვეყნებისთვის ერთ-ერთ მთავარ საკითხად იყო გადაქცეული, ოფიციალურმა მოსკოვმა ულტიმატუმის ფორმით წამოაყენა ის პირობები, რომლის შესრულებასაც იგი დასვლეთის მხრიდან ითხოვდა.

კერძოდ, საუბარია საერთაშორისო ხელშეკრულების ორ პროექტზე, რომლებიც გასული წლის 17 დეკემბერს გამოქვეყნდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე. აქედან, ერთი მათგანი აშშ-ისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე კი - ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის. ნიშანდობლივია, რომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებში დომინირებ-და ნატოს საკითხი. მათ შორის, მოსკოვი აყენებდა ისეთ პირდაპირ და ირიბ მოთხოვნებს, რომლებიც არა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალს ეხებოდა, არამედ ითხოვდა წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების რევიზიასაც.

ამასთან, ორივე საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი შეიცავდა მუხლებს, რომლის მიხედვითაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებს უარი უნდა ეთქვათ ნატოს შემდგომ გაფართოებაზე:

ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და აშშ-ს შორის უსაფრთხოების გარანტიების თაობაზე - ამერიკის შეერთებული შტატები იღებს ვალდებულებას, რომ არ მოხდება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით და უარს აცხადებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში იმ ქვეყნების მიღებაზე, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (МИД, РФ, 2021);

შეთანხმება უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების თაობაზე რუსეთის ფედერაციასა და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის - ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი ქვეყნები უარს ამბობენ ნატოს შემდგომ გაფართოებაზე, მათ შორის, მასში უკრაინისა და სხვა ქვეყნების გაწევრიანებაზე (МИД, РФ, 2021);

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზემოხსენებულ ჩანაწერები პირდაპირ თანხვედრაშია რუსულ პროპაგანდასთან. ნატოს გაფართოების საკითხის ხელშეკრულების ორივე პროექტში მოხვედრით და უკრაინის გამოყოფილად მოხსენიებით რუსეთი აშკარად ცდილობდა ხელოვნურად გაეზარდა ამ თემის პოლიტიკური მნიშვნელობა.

მოსკოვის მიერ ნატოს გაფართოებაზე ყურადღების გადატანის მცდელობა, მხოლოდ ზემოხსენებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებში ამ საკითხის ხსენებით არ ამოწურულა. მოგვიანებით ოფიციალურმა მოსკოვმა კიდევ ერთხელ სცადა ამ თემის წინა პლანზე წამოწევა.

2022 წლის თებერვლის დასაწყისში, ზამთრის ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალთან დაკავშირებით, რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი, ჩინეთს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გავრცელდა რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთობლივი განცხადება, რომელშიც, ასევე, წინა პლანზე იყო წამოწეული ნატოს თემა. კერძოდ, ერთობლივი განცხადების ტექსტის თანახმად, რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან ნატოს გაფართოებას. ისინი მოუწოდებენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანს, რომ უარი თქვას ცივი ომის დროინდელ იდეოლოგიზებურ მიდგომებზე, პატივი სცეს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას და ინტერესებს (Kremlin, 2022).

ამავე ერთობლივ განცხადებაში, საუბარია იმაზეც, რომ ჩინეთი გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის წინადადებებს ევროპაში უსაფრთხოების იურიდიული გარანტიების ფორმირების თაობაზე (Kremlin, 2022). მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის ნახსენები, ამ ჩანაწერში, ცხადია რუსეთის მიერ წამოყენებული ზემოხსენებული ორი საერთაშორისო ხელშეკრულება იგულისხმება.

უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დაწყების წინა ეტაპზე ჩინეთთან ერთად გაკეთებული განცხადება და მასში ნატოს გაფართოების მიმართ უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება მოსკოვისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხი იყო. გასათვალისწინებელია, რომ ჩინეთი სწორედ ის ქვეყანაა, რომელთანაც რუსეთმა

ბოლო წლებში მჭიდრო პარტნიორობის ჩამოყალიბება შეძლო. ეს პარტნიორობა კი უმეტესად საერთაშორისო პოლიტიკაში დასავლეთის და განსაკუთრებით აშშ-ის პოზიციების დასუსტებაზეა მიმართული.

შესაბამისად, ნატოს გაფართოებაზე ერთობლივ განცხადებაში ასახული პოზიცია მიზნად ისახავდა ე.წ. სკეპტიკურ ქვეყნებში რუსეთის სასარგებლო განწყობების სტიმულირებას. ეს კი, საბოლოო ჯამში, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, ისე ზოგადად დასავლეთის დასუსტებას ემსახურება.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიო ტურბულენტური გარემოთი და უსაფრთხოების რისკების გამრავალფეროვნებით გამოირჩევა. რუსეთის ქმედებები მიმართულია საერთაშორისო ასპარეზზე გავლენის გაძლიერებაზე და მიზნად მსოფლიო პოლიტიკაში მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ გავლენის ცენტრად ჩამოყალიბებას ისახავს. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია დასავლეთის დასუსტების მცდელობა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს.

რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა ნატოს მიმართ სრულად თავსდება დასავლეთის წინააღმდეგ მისი ქმედებების ერთიან კონტექსტში. იმ საკითხზე აპელირება, რომ ნატოს გაფართოება რუსეთის უსაფრთხოების წინააღდეგ მიმართული სასიცოცხლო მნიშვნელობის მუქარაა, რუსული პროპაგანდის მიერ შექმნილი ერთ-ერთი მთავარი მითია.

ზოგადად, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შექმნილი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსული პროპაგანდა ძალზე ეფექტიანია უშულოდ ქვეყნის შიგნით. რუსეთის საზოგადოების დიდ ნაწილში იკვეთება ანტიდასავლური და ანტიუკრაინული განწყობები, რაც დიდწილად განაპირობებს საზოგადოების მხარდაჭერას პუტინის რეჟიმის აგრესიული პოლიტიკის მიმართ. რაც შეეხება რუსული პროპაგანდის საგარეო განზომილებას, ამ თვალსაზრისთაც, აშკარაა გარკვეული შედეგები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ემსახურება, თუმცა მათი მასშტაბი ბევრად უფრო მცირეა რუსეთის შიდა განზომილებასთან შედარებით.

ამასთან, ხშირად ისე ხდება ხოლმე, რომ რუსეთი საკუთარი აგრესიული პოლიტიკის გამო, მისი პოლიტიკისთვის უარყოფით შედეგებს იღებს. ამის ბოლო თვალსაჩინო მაგალითია ფინეთისა და შვედეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნატოში გაწევრიანების თაობაზე, რომელიც რუსეთის უკრაინაში ინტერვენციამ გამოიწვია. ამ ქვეყნების გადაწყვეტილება, რომლებსაც წარსულში ნეიტრალიტეტი ჰქონდათ გამოცხადებული, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ნატოს მიმართ ნდობას და, მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსს ცივი ომის დასრულების

მიუხედავად არ დაუკარგავს აქტუალობა საკუთარი წევრების უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფის თვალსაზრისით.

2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინის მიმართ წარმოადგენს ამ ქვეყნის რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკის კულმინაციას. ეს აგრესია, რომელიც მოსკოვს სწრაფ სამხედრო წარმატებაზე ჰქონდა გათვლილი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა უკრაინაზე და სხვა მეზობელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე დაკარგული გავლენის აღდგენას, მეორე მხრივ კი - დასავლეთის დასუსტებას.

დასავლეთის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში კარგად აქვთ გაცნობიერებული უკრაინის საკითხის არსებითი მნიშვნელობა და მისი გრძელვადიანი შედეგები ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. სწორედ, ეს განაპირობებს მათი მხრიდან უკრაინის აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას და ზეწოლას რუსეთზე, რომელიც უპრეცედენტო მასშტაბის სანქციებში გამოიხატება.

ბიბლიოგრაფია

- *Bugajski, Janusz. 2019. "Moscow's Anti-NATO Deception" CEPA. July 23, 2019. Available at: https://cepa.org/moscows-anti-nato-deception/ (accessed 12/07/2022)*
- *Dempsey, Judy. 2017. "NATO's Eastern Flank and Its Future Relationship with Russia". October 23, 2017. Available at: https://carnegieeurope.eu/2017/10/23/nato-s-eastern-flank-and-its-future-relationship-with-russia-pub-73499 (accessed 26.07.2022)*
- *Kamp, Karl-Heinz. 2016. "Russia's myths about NATO: Moscow's propaganda ahead of the NATO Summit." July 25, 2016. Available at: https://www.baks.bund.de/en/working-papers/2016/russias-myths-about-nato-moscows-propaganda-ahead-of-the-nato-summit (accessed 12/07 2022)*
- *Klein, Margarete and Kaim, Markus. 2014. „NATO-Russia Relations after the Newport Summit. "SWP Comments, October, 2014. pp 1.*
- *Monaghan, Sean; Morcos, Pierre and Wall, Colin. 2022. "What Happened at NATO's Madrid Summit?" July 1, 2022. Available at: https://www.csis.org/analysis/what-happened-natos-madrid-summit (accessed 26/07/2022)*
- *NATO. 2002. "Prague Summit Declaration". November 21, 2002. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_19552.htm (accessed 25/07/2022)*
- *NATO. 2008. Bucharest Summit Declaration. April 3, 2008. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm (accessed 25/07/2022)*
- *Wilhelmsen, Julie; Hjermann, Anni Roth. 2022. "Russian Certainty of NATO Hostility: Repercussions in the Arctic." Norwegian Institute of International Affairs (NUPI). Vol. 13, 2022, pp. 114–142, pp. 11.*
- *ВЦИОМ. 2022. "НАТО и Россия: вчера, сегодня… завтра?" April 04, 2022. Available at: https://wciom.ru/analytical-reviews/analiticheskii-obzor/nato-i-rossija-vchera-segodnja-zavtra (accessed 25/07/2022)*
- *Министерство Иностранных Дел, РФ, 2021. "Договор между Российской Федерацией и Соединенными Штатами Америки о гарантиях безопасности". December 17, 2021. Available at: https://www.mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790818/ (accessed 16.07.2022)*
- *Министерство Иностранных Дел, РФ, 2021. "Соглашение о мерах обеспечения безопасности Российской Федерации и государств-членов Организации Североатлантического договора". December 17, 2021. Available at: https://www.mid.ru/ru/foreign_policy/rso/1790803/ (accessed 16/07/2022)*
- *Kremlin. 2022. "Совместное заявление Российской Федерации и Китайской Народной Республики о международных отношениях, вступающих в новую эпоху, и глобальном устойчивом развитии". February 2, 2022. Available at: http://kremlin.ru/supplement/5770 (accessed 18/07/2022)*

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები, უკრაინაში მიმდინარე ომის გამოცდილების გათვალისწინებით

ავტორი: ნინო ლეჟავა

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

რუსეთ-უკრაინის ომი 21-ე საუკუნის ყველაზე ფართომასშტაბიანი კონვენციური დაპირისპირებაა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების და ბრძოლის მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ განვითარებულმა საბრძოლო მოქმედებებმა ცხადყო, რომ როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსი, ისე მისი წევრი და პარტნიორი ქვეყნები საჭიროებენ თავდაცვის პრიორიტეტების გადახედვას და თანამედროვე ბრძოლის მეთოდებთან სინქრონიზაციას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ძალები დღემდე ტრანსფორმაციის პროცესშია და ისწრაფვის ნატოსთან თავსებადობის ამაღლებისკენ. თუმცა, უკრაინაზე რუსეთის უკანონო თავდასხმამ ცხადყო, რომ საქართველოს გაცილებით სწრაფად მზარდი და მოქნილი თავდაცვის შესაძლებლობები ესაჭიროება. ფაქტია, რომ რუსეთის ექსპანსიონისტური ხედვა და სწორება ხისტ ძალაზე არ შეცვლილა, ისევე როგორც ადამიანის უფლებების და ომის სამართლის უგულებელყოფა. ძირეულ განსხვავებას მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების მასშტაბი წარმოადგენს, რამაც რეალურად ხელი შეუწყო რუსეთის შეიარაღებული ძალების ლაფსუსების გამოვლენას.

უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები ასიმეტრიული ომის ხელშესახები მაგალითია. მასზე დაკვირვების შედეგად, შესაძლოა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ეფექტიანობას გაზრდის. დღეის მდგომარეობით, „ნატოს თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდში“ (Defence and Related Security Capacity Building Trust Fund - DCB TF)[1] საქართველოს მხარდასაჭერად 7 მლნ ევროზე მეტი ფინანსური რესურსია მობილიზებული, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიმართულებების, (კავშირგაბმულობის სისტემები, კიბერთავდაცვა, სამხედრო-საინჟინრო და პროფესიული განათლება და ა.შ.) განვითარებას ხმარდება.[2]

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) წარმოადგენს. იგი ქვეყნის მდგრადობის, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამჟამად პაკეტი 16 ინიციატივას აერთიანებს და მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ავიაცია და საჰაერო თავდაცვა, კიბერთავდაცვა, სტრატეგიული კომუნიკაციები, კრიზისების მართვა და ა.შ.[3] ამ პროცესში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს მთავარ უწყებას, რომელიც ახორციელებს ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატში გათვალისწინებული დახმარების სინქრონიზაციას და უზრუნველყოფს როგორც საქართველოს, ასევე მისი პარტნიორი ქვეყნების რესურსების მიზნობრივ ხარჯვას.[4]

---

[1] „ნატოს თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდი” 2015 წელს შეიქმნა.

[2] ,,ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი” (SNGP), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi

[3] 2022 წლის მაისის მონაცემებით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში ნატო-ს 30 წევრი ქვეყანა და 2 პარტნიორი სახელმწიფოა ჩართული.

[4] ,,ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი” (SNGP), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi

უკრაინაზე რუსეთის არაპროვოცირებულმა და უკანონო თავდასხმამ ნატოს დღის წესრიგი რადიკალურად შეცვალა.[5] მადრიდის სამიტზე, ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფციის თანახმად, ტრანსატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის, რუსეთის ფედერაცია ყველაზე მნიშნელოვან და პირდაპირ საფრთხედ დასახელდა.[6] ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთი როგორც ნატოს წევრი, ისე პარტნიორი ქვეყნების წინააღმდეგ იყენებს კონვენციური, კიბერ და ჰიბრიდული ომის ელემენტებს. შესაბამისად, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არა მხოლოდ მოკავშირეებს, არამედ რუსეთის პოტენციური აგრესიის საფრთხის ქვეშ მყოფ საქართველოს, პრაქტიკულ დონეზე დაეხმაროს და მისი თავდაცვის შესაძლებლობები, მდგრადობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა გაძლიეროს.[7] სამიტზე დამტკიცდა „საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა დოკუმენტი“, რომელიც მოიცავს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების კიდევ უფრო განვითარების და ამ პროცესში ნატოს ქმედითი ჩართულობის კონკრეტულ ღონისძიებებს.[8]

2008 წლის შემდეგ რუსეთმა მილიარდობით დოლარი დახარჯა შეიარაღებული ძალების მოდერნიზებისთვის,[9] რაც მოიცავდა საბჭოთა სისტემების განახლებას, ახალი თაობის სამხედრო შეიარაღების შესყიდვას და ჯარების პროფესიულ გადამზადებას.[10] კრემლმა ინტენსიური და დესტრუქციული საჰაერო კამპანია აწარმოა სირიაში, ხოლო 2014 წლიდან აქტიურად იყენებდა ჰიბრიდული ომის ტაქტიკას აღმოსავლეთ უკრაინაში. შესაბამისად, არსებობდა მოლოდინი, რომ რუსეთის ფართომასშტაბიანი შეტევა უკრაინაზე იქნებოდა დამანგრეველი და კიევი 72 საათში დაეცემოდა,[11] თუმცა მოვლენები განსხვავებული სცენარით განვითარდა.[12] საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში, ნატო-ს მონაცემებით რუსეთმა 15 000-მდე ჯარისკაცი დაკარგა, რაც ლეტალობის უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე აშშ-ის მთლიანი დანაკარგი ავღანეთში[13] და ერაყში 20 წლის განმავლობაში. [14]

რა შეცდომები დაუშვა რუსეთმა და რა მახასიათებლები აქვს მე-2 მსოფლიოს ომის შემდგომ ყველაზე ფართო მასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებას? რამ განაპირობა უკრაინის სიმტკიცე?

---

[5] Garamone, Jim, “Sweden, Finland Move Closer to NATO Membership”, U.S. Department of Defense, July 5, 2022, Available at: https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/3083359/sweden-finland-move-closer-to-nato-membership/

[6] NATO Strategic Concept, NATO, Available at: https://www.nato.int/strategic-concept/

[7] Madrid Summit Declaration, NATO, Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm

[8] ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ნატოს მადრიდის სამიტთან დაკავშირებით”, ნანახია 05/08/2022 ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/News/sagartvelos-sagareo-saqmeta-saministros-ganck-(77).aspx?CatID=5

[9] Giles, Keir, “Assessing Russia’s Reorganized and Rearmed Military”, May 3, 2017, Available at: https://carnegieendowment.org/2017/05/03/assessing-russia-s-reorganized-and-rearmed-military-pub-69853

[10] Konaev, Margarita, Brathwaite, Kirstun J.H, “Russia’s Urban Warfare Predictably Struggles - Fighting in cities is hard for any military”, Available at: https://foreignpolicy.com/2022/04/04/russia-ukraine-urban-warfare-kyiv-mariupol/

[11] Heinrich, Jacqui, Sabes, Adam. “Gen. Milley says Kyiv could fall within 72 hours if Russia decides to invade Ukraine”, Fox News, February 5, 2022, Available at: https://www.foxnews.com/us/gen-milley-says-kyiv-could-fall-within-72-hours-if-russia-decides-to-invade-ukraine-sources

[12] Konaev, Margarita Brathwaite, Kirstin J.H. “Russia’s Urban Warfare Predictably Struggles Fighting in cities is hard for any military“, Available at: https://foreignpolicy.com/2022/04/04/russia-ukraine-urban-warfare-kyiv-mariupol/

[13] Rauhala, Mily, Lamothe, Dan, Suliman, Adela, Hassan, Jennifer, 2022. “Entire 20-year U.S. war in Afghanistan resulted in 2,461 American fatalities, according to Pentagon figure“, Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/24/russia-troops-casualties-nato-ukraine/

[14] Ibid.

ომის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, ამ საკითხების ანალიზმა შესაძლოა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებს გაცილებით მეტ ეფექტიანობა შესძინოს.

მდგრადობა - თანამედროვე, ჰიბრიდული ომის საპასუხო მექანიზმი

რუსეთის უკანონო, შეიარაღებული თავდასხმა უკრაინაზე მხოლოდ კონვენციური შეტევით არ შემოიფარგლება და კონფლიქტი ჰიბრიდულ ფორმატში მიმდინარეობს, რაც გულისხმობს დეზინფორმაციის გავრცელებას, მოწინააღმდეგის რიგებში პანიკის დათესვას, დივერსიას და კიბერ შეტევების განხორციელებას.[15] არაერთი ფაქტი მოწმობს, რომ რუსული ბრძოლის მეთოდები არ ითვალისწინებს მოწინააღმდეგეზე სამხედრო უპირატესობის მოპოვებას და შესაბამისი წერტილოვანი დარტყმების განხორციელებას, არამედ იგი ემსახურება მასიურ ნგრევას, მას ახასიათებს მაღალი ლეტალობა და ფსიქოლოგიური ტერორი.[16] ომის საწყის ეტაპზე რუსული მხარე ცდილობდა ე.წ. „შოკის ეფექტის“ შექმნას უწყვეტი ცეცხლის, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვის და სახმელეთო ჯარების რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებით,[17] რასაც უკრაინის მოსახლეობამ მორალური სიმტკიცით და კოორდინაციით უპასუხა. **გამოიკვეთა სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობა როგორც თავშესაფრების ინფრასტრუქტურული მოწყობის კუთხით, ისე მოქალაქეების საბაზისო საბრძოლო მომზადების, აღჭურვის და ფსიქოლოგიური თავდაცვის მიმართულებით.**[18] რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში, **ასევე, დიდი დოზითაა წარმოადგენილი პროპაგანდა და დეზინფორმაციის გავრცელება,** რომელიც რუსეთმა ჯერ კიდევ 24 თებერვლამდე დაიწყო.[19] თუმცა, სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანი დაგეგმვის და საერთო ეროვნული ნარატივის შექმნა-გავრცელებით, უკრაინამ შეძლო კრიტიკულ მომენტში აუდიენციის შექმნა და შენარჩუნება, რამაც შესაძლებელი გახადა რუსული დეზინფორმაციის განეიტრალება.[20] ომის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ კი, უკრაინელი მოსახლეობის ერთობის და თანამიმდევრულობის, ასევე, უკრაინის საერთაშორისო მხარდაჭერის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა საინფორმაციო ომი წააგო.[21]

საქართველოში, სამოქალაქო და ფსიქოლოგიური თავდაცვის კომპონენტის, ასევე, კრიზისების მართვის დაგეგმვა, 2018 წლის შემდეგ, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებშია გათვალისწინებული.[22] თუმცა, პრაქტიკულ დონეზე,

---

[15] Tom Nagorski. 2022. Keys to Ukrainian victory? Logistics, heavy weapons and the 'test of will'. Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/04/keys-to-ukrainian-victory-logistics-heavy-weapons-and-the-test-of-will/

[16] Fasola, Nicola, 2022, "How Russia fights? NATO Defence College, Research Division, NDC Policy Brief No. 12 June 2022. Available at: https://www.ndc.nato.int/research/research.php?icode=6

[17] Mellen, Ruby, "Scenes of ruin and resilience from 100 days of war in Ukraine", Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/03/scenes-ruin-resilience-100-days-war-ukraine/

[18] Hale, Erin, "Civil defence is trending in Taiwan after Ukraine war", Available at: https://www.aljazeera.com/features/2022/4/28/civil-defence-is-trending-in-taiwan-after-ukraine-war

[19] Centre for Strategic Communications StratCom Ukraine, Available at: https://stratcomua.org/en

[20] Babarinde, Muyiwa, "Strategic communication in times of war: Lessons from Ukraine's masterful control of its own narrative", Available at: https://businessday.ng/bd-weekender/article/strategic-communication-in-times-of-war-lessons-from-ukraines-masterful-control-of-its-own-narrative/

[21] Åslund, Anders, "Why Vladimir Putin is losing the information war to Ukraine", Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/why-vladimir-putin-is-losing-the-information-war-to-ukraine/

[22] „ტოტალური თავდაცვის თანამედროვე გამოწვევები", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/6958/totaluri-tavdacvis-tanamedrove-gamowvevebi

აქტიური დინამიკა ამ მიმართულებებით არ შეინიშნება, რაც საკითხის კომპლექსურობით შეიძლება აიხსნას. ნატო-საქართველოს თანამშრომლობა ითვალისწინებს როგორც კრიზისების მართვის, ისე სტრატეგიული კომუნიკაციების მოწყობას. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე ომი ცხადყოფს, რომ ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი გადაუდებელი მნიშვნელობისაა და დაუყოვნებლივ საჭიროებს განვითარებას.

კიბერ უსაფრთხოება - თანამედროვე ომის განუყოფელი ელემენტი

როგორც ნატოს მადრიდის სამიტზე აღინიშნა, **რუსეთი მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, კონვენციურ იარაღთან ერთად, კიბერ თავდასხმებს აქტიურად იყენებს.** რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომში, უკრაინის სამთავრობო ინსტიტუტებზე და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე[23] არაერთი კიბერ შეტევა დაფიქსირდა.[24] ასევე, კიბერ იერიში განახორციელდა ამერიკულ კომპანია Space-X-ზე, რომელმაც უკრაინას სატელიტური მხარდაჭერა აღმოუჩინა და უსაფრთხო კომუნიკაციის ასპექტში, დიდი უპირატესობა მიანიჭა.[25]

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებას სწორედ კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს. იგი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მნიშნელოვანი ნაწილია და, ამ მიმართულებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და კიბერუსაფრთხოების ბიურო[26] აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ესტონეთის შესაბამის ინსტიტუტებთან.[27] ასევე, საქართველო რეგულარულად მონაწილეობს ალიანსის კიბერსწავლებებში.[28]

მადრიდში გამართულ ნატოს სამიტზე, საქართველოს და დიდ ბრიტანეთს შორის კიბერ თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო.[29] ბრიტანული მხარე დამატებით 5 მილიონ ფუნტ სტერლინგს გამოყოფს საქართველოს კიბერუსაფრთხოების გაძლიერებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს „კიბერ უსაფრთხოების სტრატეგიით“ და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.[30]

თუმცა, უკრაინაში მიმდინარე ომის მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ **მიუხედავად რუსული მხარის აქტიური კიბერ შეტევებისა, არც ერთი მათგანი არ იყო ლეტალური და მასშტაბური ზიანის გამომწვევი, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინაზე**

---

[23] Lewis, James, “Cyber War and Ukraine, Available at: https://www.csis.org/analysis/cyber-war-and-ukraine
[24] Nye, Joseph S. JR, “Eight lessons from the Ukraine War“, Available at: https://www.project-syndicate.org/commentary/russia-war-in-ukraine-eight-lessons-by-joseph-s-nye-2022-06?barrier=accesspaylog
[25] Howell, Elizabeth, “Elon Musk says Russia is ramping up cyberattacks on SpaceX's Starlink systems in Ukraine”, Available at: https://www.space.com/starlink-russian-cyberattacks-ramp-up-efforts-elon-musk
[26] ,,კიბერუსაფრთხოების ბიუროს წარმომადგენლები ნატოს კიბერწვრთნაში მონაწილეობენ”, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/tavdacva/246884/kiberusaprtkhoebis-biuros-tsarmomadgenlebi-natos-kibertsvrtnashi-monatsileoben
[27] ,,საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში - ,,საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი 2020", ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-ministrma-davit-zalkalianma-monaci.aspx
[28] “ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი”, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi
[29] “New UK support to protect Georgia against Russian cyber attacks“, Available at: https://www.gov.uk/government/news/new-uk-support-to-protect-georgia-against-russian-cyber-attacks?fbclid=IwAR1J9f4ZAemZfadCKUtlIYga4Zq5lERqDCKX3lW585DGpSd4yvu6hD7ceZc
[30] საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0

რუსეთის მიერ განხორციელებულ კინეტიკურ დარტყმებზე.[31] ყველაზე მნიშვნელოვანი კიბერ წარმატება, რომელსაც რუსულმა მხარემ მიაღწია "Viasat Inc's KA-SAT" სატელიტის დაზიანება იყო, რამაც უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიძულა საკომუნიკაციო არხი შეეცვალათ. აღნიშნულ კიბერ შეტევას სხვა არანაირი სამხედრო სარგებელი არ მოუტანია რუსეთისთვის.

მართალია, რომ კიბერ სივრცე თანამედროვე ომის განუყოფელ ნაწილად იქცა, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში მას კრიტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია. შესაბამისად, როგორც ნატოსთვის, ისე მისი წევრი და პარტნიორი ქვეყნებისთვის, ტრადიციული ომისთვის თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება მეტად პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.[32]

რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის კონვენციური ომის გაკვეთილებს:

რეზერვი, მობილიზაცია და ტერიტორიული თავდაცვა

ომის პირველ ფაზაში, რუსეთის დარტყმას უკრაინამ 145 000 აქტიური სამხედრო მოსამსახურით უპასუხა, შემდგომში კი 240 000 რეზერვისტის სწრაფი მობილიზაცია შეძლო.[33] ბუნებრივია, რუსეთი რიცხობრივ უპირატესობას ფლობდა, თუმცა რუსული სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის მოულოდნელი იყო უკრაინელი რეზერვისტების სწრაფი მობილიზაცია და პოზიციებზე გამაგრება, რაც კიევის დაცემის თავიდან არიდების ერთ-ერთი ფაქტორი გახდა.[34]

გარდა ამისა, უკრაინა ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს ახლადდაკომპლექტებული ტერიტორიული თავდაცვის კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეების საბრძოლო მომზადების დონე შედარებით დაბალია, ისინი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ სამოქალაქო და ფსიქოლოგიური თავდაცვის კუთხით.[35] ასევე, აღსანიშნავია მათი მხარდამჭერი როლი ურბანულ საბრძოლო მოქმედებებშიც, ვინაიდან ისინი კარგად იცნობენ მათ საცხოვრებელ, ადგილობრივ ტერიტორიებს და შესაძლებლობა აქვთ მოსახლეობას დახმარება გაუწიონ.[36]

საქართველოში რეზერვის ახალი სისტემა 2018 წელს ამოქმედდა,[37] იგი ტერიტორიული რეზერვის კომპონენტსაც მოიცავს.[38] გარდა ამისა, 2020 წლიდან აქტიურად მიმდინარეობის თანამშრომლობა სამოქალაქო მოხალისეობრივ ორგანიზაციებსა და თავდაცვის სამინისტროს შორის.[39]

---

[31] Nye, Joseph S. JR, „Eight lessons from the Ukraine War", Available at: https://www.project-syndicate.org/commentary/russia-war-in-ukraine-eight-lessons-by-joseph-s-nye-2022-06?barrier=accesspaylog

[32] Lewis, James, "Cyber War and Ukraine", Available at: https://www.csis.org/analysis/cyber-war-and-ukraine

[33] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html

[34] Ibid.

[35] კიევმა 2022 წელს დანერგა ტერიტორიული თავდაცვა და მიზნად ისახავდა 130,000 მოხალისის გაერთიანებას. წყარო: "Ukrainian reservists gear up in case of conflict with Russia", Available at: https://www.reuters.com/world/ukrainian-reservists-gear-up-case-conflict-with-russia-2022-01-29/

[36] 2022 წლის 3 მაისს რადას მიერ გამოცემული კანონის თანახმად ტერიტორიული თავდაცვის ქვედანაყოფებს და ეროვნულ გვარდიას შესაძლებლობა მიეცათ ადგილობრივი ტერიტორიულ დანაყოფებს გარეთ ჩართულიყვნენ საბრძოლო მოქმედებებში.

[37] ,,რეზერვის ახალი სისტემა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/6726/rezervis-axali-sistema

[38] ,,რეზერვში რეგისტრაცია", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://onlinebct.mod.gov.ge/regions

[39] ,,საქართველოს თავდაცვის მინისტრი „გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის" ხელმძღვანელებს შეხვდა", ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/8280/saqartvelos-tavdacvis-ministri-general-mazniashvilis-saxelobis-axalgazrduli-legionis-xelmdzgvanelebs-shexvda

უკრაინაში მიმდინარე ომი ცხადყოფს რეზერვის და მობილიზაციის სისტემის ეფექტიანი მოწყობის მნიშვნელობას, ასევე, სამოქალაქო მოხალისეობრივი ორგანიზაციების აუცილებელ როლს ქვეყნის თავდაცვის პროცესში საერთო წინააღმდეგობის და მედეგობის შექმნის კუთხით. ნატოს ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს სამაგალითოდ აქვთ მოწყობილი ზემოაღნიშნული სისტემური კომპონენტები, შესაბამისად, სასურველია მათთან ამ კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება.

მაღალი ინტენსივობის წვრთნა და მასშტაბური სამხედრო მომზადება - საბრძოლო მოქმედებების გარდამტეხი ფაქტორი

მას შემდეგ, რაც 2014 წელს, რუსეთმა ყირიმის უკანონო ანექსია განახორციელა, უკრაინელი სამხედროები რეალურად ჩაებნენ მოწინააღმდეგესთან ომში. შესაბამისად, რვა წლის განმავლობაში უკრაინის შეარაღებულ ძალებს შეემატნენ ბრძოლაში გამოცდილი სამხედრო მოსამსახურეები.[40] ამავე პერიოდის განმავლობაში, უკრაინელ მებრძოლებს წვრთნისა და გადამზადების კუთხით, აქტიურ დახმარებას უწევდნენ დასავლელი მოკავშირეები. 2014 წლის შემდეგ, ყოველწლიურად, 10 000 უკრაინელი სამხედრო იღებდა მონაწილეობას ნატოს წევრ ქვეყნებში განხორციელებულ სამხედრო წვრთნებში. ამასთანავე, უკრაინის შეიარაღებული ძალების ბრიგადების დაახლოებით 75% მონაწილეობდა აშშ-ის მიერ ორგანიზებულ ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებში. მხოლოდ 2021 წელს, 21,000 უკრაინელი სამხედრო იყო ჩართული აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და რუმინეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო წვრთნებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტიურმა წვრთნამ ხელი შეუწყო უკრაინელების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას და ნატოს სტანდარტების შეიარაღების ათვისებას, მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყებამდე, უკრაინის საბრძოლო არსენალი ძირითადად დაკომპლექტებული იყო საბჭოთა შეიარაღებით.[41]

უკრაინაში მიმდინარე ომმა ცხადყო, რომ გასულ წლებში, რუსეთის ფართომასშტა-ბიანი სამხედრო წვრთნები მეტწილად ძალის დემონსტრირებას ემსახურებოდა და არა რეალურ წვრთნას, რაც რუსი სამხედროების ბრძოლის უნარიანობაზე, მორალურ სიმტკიცესა და პროფესიონალიზმზე აისახა.[42]

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნას და გადამზადებას, ამ პროცესში როგორც ნატო ისე, მისი წევრი და პარტნიორი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულები. საქართველოს თავდაცვის ძალები რეგულარულად მონაწილეობენ ორმხრივ, რეგიონულ[43] და საერთაშორისო სწავლებებში.[44] ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობებია ჩამოყალიბებული საქართველოს თავდაცვის ძალებსა და ალიანსის სამხედრო სტრუქტურებს შორის.[45] ასევე, ნატოს სპეციალური ოპერაციების შტაბი აქტიურადაა

[40] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html
[41] Milburn, Andrew, "U.S. Billions to Ukraine, But Not What They Need", Available at: https://www.realcleardefense.com/2022/05/21/us_billions_to_ukraine_but_not_what_they_need_833576.html
[42] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html
[43] ,,სამმხრივი სწავლება Eternity 2018 დასრულდა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/7005/sammxrivi-swavleba-eternity-2018-dasrulda
[44] ,,თანამშრომლობა ნატოსთან", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan
[45] მათ შორის ნატოს სახმელეთო სარდლობასა (LANDCOM) და ნატოს საზღვაო სარდლობასთან (MARCOM).

ჩართული საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების განვითარებაში. მნიშნელოვანია, რომ აშშ-სთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, 2018-2021 წლებში საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელებამ უზრუნველყო არა მხოლოდ ტაქტიკური დონის საბრძოლო ქვედანაყოფების (9 ქვეითი ბატალიონი) საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება, არამედ დაკომპლექტების, წვრთნის, აღჭურვის და ძალების შენარჩუნების მდგრადი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

გარდა ამისა, ქართველმა სამხედროებმა მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება შეიძინეს სამშვიდობო მისიებში ჩართულობით. ცნობილია, რომ ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის და ერთ სულ მოსახლეზე, მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის მიხედვით საქართველო მტკიცე მხარდაჭერის მისიის (RSM) უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო, თუმცა მისიის დასრულების შემდგომ, 2021 წლის ივნისში, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა საქართველოს თავდაცვის ძალების ბოლო ქვედანაყოფმა დატოვა.

რუსეთ-უკრაინის ომი მიუთითებს, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობა სამხედრო წვრთნებისა და გადამზადების მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და მეტად ინტენსიური სახე მიიღოს.

ოპერაციების ცენტრალიზებული მართვა - სტრატეგია, რომელიც გადახედვას საჭიროებს

რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების კომპლექსურმა და არაპროგნოზირებადმა ბუნებამ, მართვის თვისებრივად ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა წარმოშვა. დღის წესრიგში დადგა საბრძოლო ქვედანაყოფების მართვის და კონტროლის საკითხის გადახედვა.[46]

ომამდე რუსული ცენტრალიზებული მართვის სტილი წარმატებულად ითვლებოდა, განსაკუთრებით კიბერ ოპერაციების, დეზინფორმაციის და მოწინააღმდეგის რიგებში დივერსიული ოპერაციების განხორციელების დროს. თუმცა, აღნიშნულმა მიდგომამ უკრაინაზე ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელებისას არ გაამართლა, სხვადასხვა დონეზე კავშირის გაწყვეტის შედეგად, ქვედანაყოფები მოუმზადებლები აღმოჩდნენ დამოუკიდებლად მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის. ფრონტის წინა ხაზზე რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგა არაერთი მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურე.[47] საერთო ჯამში, ომის დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში, რუსეთის შეიარაღებული ძალების ცენტრალიზებულმა მართვისა და კონტროლის სისტემამ ხელმძღვანელ პირებს შორის უნდობლობამ და ოპერაციების დაგეგმვის საბჭოთა ტრადიციებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. [48]

რაც შეეხება, უკრაინულ მხარეზე დაკვირვებას, ამ შემთხვევაში, ზედა რგოლში ცენტრალიზებულმა მართვამ და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლაზე მტკიცე კონტროლმა გაამართლა, თუმცა ბრიგადის დონეზე შენარჩუნებული იქნა დიდი

[46] ,,ამოცანით მართვა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mc.mod.gov.ge/pages/about-project
[47]„ Berkowitz, Bonnie, Galocha, Artur, 2022. "Why the Russian military is bogged down by logistics in Ukraine", Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/30/russia-military-logistics-supply-chain/
[48] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html

დოზით ავტონომიურობა.[49] აღნიშნულმა ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომის პირველ კვირაში. უკრაინული საბრძოლო ქვედანაყოფების მობილურმა, სწრაფად ადაპტირებადმა მანევრებმა თავისი წვლილი შეიტანა კიევის სიმტკიცის შენარჩუნებაში მაშინ, როდესაც რუსული ქვედანაყოფები პარალიზებულები ელოდნენ ბრძანებას ზემდგომებისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბრძოლო ქვედანაყოფების კოორდინაციის დაკარგვით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების მიზნით, **ბრძანებების დეცენტრალიზებული აღსრულება საუკეთესო გამოსავალია ბრძოლის ველზე.[50] მართვის ეს მიდგომა ცნობილია, როგორც „ამოცანით მართვა“**. იგი ხელს უწყობს რთულ რელიეფურ პირობებში რიცხობრივად და ტექნოლოგიურად გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას და ამ უპირატესობის დროულ და ეფექტურ გამოყენებას.[51] ნატო ყველა პარტნიორს ურჩევს, რომ გამოიყენონ „ამოცანაზე-ორიენტირებული მართვა", შესაბამისად, მოკავშირეები და ალიანსის პარტნიორი ქვეყნები აქტიურად გადადიან ამოცანით მართვის ფილოსოფიასა და მართვისა და კონტროლის სისტემებზე.[52]

საქართველოს თავდაცვის ძალებში „ამოცანით მართვის“ ფილოსოფიის დანერგვა 2019 წლიდან დაიწყო. საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის ძალებს დინამიურად ცვალებად უსაფრთხოების გარემოში მოუწევს მოქმედება, სადაც ოპერაციების ხასიათი კიდევ უფრო ცვალებადი გახდება, ხოლო ტემპი - ზრდადი. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა შეძლონ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა და მჭიდრო თანამშრომლობა მოკავშირეებთან და პარტნიორებთან. [53]

ლოგისტიკური ჯაჭვი

თანამედროვე გრძელვადიან ომში მებრძოლებს, ისევე როგორც შეიარაღებას, მუდმივად ესაჭიროება ტექნიკური, სამედიცინო, საინჟინრო და სატრანსპორტო მხარდაჭერა. სხვა შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია.[54]

მიმდინარე ომი დღითიდღე ადასტურებს,[55] რომ რუსეთის სამხედრო ლოგისტიკური შესაძლებლობები შეუთავსებელია საექსპედიციო ოპერაციასთან, რომელიც მოწინააღმდეგის გამოფიტვას ისახავს მიზნად.[56] მოსკოვის მცდელობამ, საწყის ეტაპზე საბრძოლო მოქმედებები ეწარმოებინა უკრაინის სრული მასშტაბით, არათუ გაამწვავა არსებული ლოგისტიკური პრობლემები, არამედ უკრაინულ მხარეს

[49] Nagorski, Tom, 2022. "Keys to Ukrainian victory? Logistics, heavy weapons and the 'test of will'", Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/04/keys-to-ukrainian-victory-logistics-heavy-weapons-and-the-test-of-will/
[50] WI Speaker series: Brig. Gen. Pat Work on mission Command, Available at: https://mwi.usma.edu/mwi-speaker-series-brig-gen-pat-work-on-mission-command/
[51] „ამოცანით მართვა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mc.mod.gov.ge/source/doc-pdf/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf
[52] ,,ამოცანით მართვა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mc.mod.gov.ge/faq
[53] "ამოცანით მართვის ახალი პრინციპები", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/amocanit-martvis-akhali-principebi/
[54] Nagorski, Tom, "Keys to Ukrainian victory? Logistics, heavy weapons and the 'test of will'", Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/04/keys-to-ukrainian-victory-logistics-heavy-weapons-and-the-test-of-will/
[55] Berkowitz, Bonnie, Galocha, Artur, "Why the Russian military is bogged down by logistics in Ukraine", Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/30/russia-military-logistics-supply-chain/
[56] Fasola, Nicola, "How Russia fights?", NATO Defense College, Research Division, NDC Policy Brief No.12-June 2022, Available at: https://www.ndc.nato.int/research/research.php?icode=6

შესაძლებლობა მისცა მოეგო დრო, შეექმნა წინააღმდეგობა, ეკონტროლებინა ქვედანაყოფების როტაცია და გადაჯგუფება.[57] არაჯეროვნად ორგანიზებული მომარაგების ჯაჭვი ცალსახად აღმოჩნდა რუსეთის აქილევსი ქუსლი, რაც განპირობებული იყო რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის არასწორი გათვლებით და მოლოდინებით, რომ ე.წ. ბლიცკრიგის ტაქტიკა გაამართლებდა.[58] რუსეთის შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური გაუმართაობა, პირველად, კიევისკენ მიმავალი შეჯავშნული მანქანების კოლონაზე აისახა. რუსი სამხედროები სამ კვირაზე მეტ ხანს ცდილობდნენ დანიშნულების ადგილამდე მისვლას საკვების, საწვავის და სათადარიგო ნაწილების დეფიციტით.[59] რუსეთის ჯარმა თითქმის ყველა საბაზისო წესი დაარღვია მომარაგებაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფების დაცვის, ტრანსპორტირების და ესკორტირების კუთხით. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უკრაინის კონტრშეტევამ მრავალჯერ შეაცვლევინა მარშრუტი რუსულ ლოგისტიკურ ქვედანაყოფებს, ვინაიდან მათ შესაბამისი თავდაცვის სისტემა არ ჰქონდათ მოწყობილი.[60] არაერთი ვიდეო გავრცელდა სოციალურ ქსელშიც, როდესაც ქვედანაყოფს ჩამორჩენილმა რუსმა ჯარისკაცებმა მიატოვეს შეჯავშნული მანქანები და, ასევე, საწვავის ტრანსპორტირებისას მარტივად გახდნენ სამიზნე უკრაინის მოქალაქეებისათვის. აშშ-ის თავდაცვის წარმომადგენლების განცხადებით, დაფიქსირდა შემთხვევებიც, როდესაც რუსს ჯარისკაცებს არ ჰქონდათ საკვები, კლიმატის შესაბამისი ფორმა და საწვავი ტანკების გადაადგილებისათვის.[61]

მეორე მხრივ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა მომარაგების დეცენტრალიზებული ჯაჭვი შექმნეს მინიმალური ტრადიციული მახასიათებლებით.[62] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეები კიევს თანამედროვე ტიპის შეიარაღებით აქტიურად ეხმარებიან, გამოწვევას წარმოადგენს მიწოდების სიჩქარე.[63] საბრძოლო მოქმედებები მეტწილად კიევიდან მოშორებით მიმდინარეობს, უკრაინელებს გრძელი გზის გავლა უწევს როგორც მომარაგების ქვედანაყოფების, ისე სამხედრო პერსონალის როტაციისთვის, შეიარაღების მიწოდების ორგანიზებისთვის, დაჭრილების ევაკუაციისა და აღჭურვილობის შენახვისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიარაღებისგან დამოუკიდებლად, მოკავშირეების მიერ უკრაინისთვის მიწოდებული სამხედრო ტვირთის ჩამონათვალშია შეჯავშნული სატრანსპორტო საშუალებები, პირადი შემადგენლობის გადასაყვანი ტრანსპორტერები, ვერტმფრენები, რომელთაც როგორც აღჭურვილობის, ისე პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირება შეუძლიათ.[64]

უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი შეხსენებაა როგორც ნატოსთვის, ისე საქართველოსთვის, რომ მომავალშიც, ბრძოლის ველზე ლოგისტიკას აუცილებლად

[57] Ibid.
[58] Everdsen, Andrew, "US Army secretary: 5 lessons from the Ukraine conflict", 1 June 2022, Available at: https://breakingdefense.com/2022/06/us-army-secretary-5-lessons-from-the-ukraine-conflict/
[59] Konaev, Margarita, Brathwaite, Kirstun J.H., Russia's Urban Warfare Predictably Struggles Fighting in cities is hard for any military. Available at: https://foreignpolicy.com/2022/04/04/russia-ukraine-urban-warfare-kyiv-mariupol/
[60] დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/DefenceHQ/status/1504595426963509251
[61] Berkowitz, Bonnie, Galocha, Artur, "Why the Russian military is bogged down by logistics in Ukraine", Bonnie Berkowitz and Artur Galocha, Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/30/russia-military-logistics-supply-chain/
[62] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html
[63] Nagorski, Tom, "Keys to Ukrainian victory? Logistics, heavy weapons and the 'test of will', Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/04/keys-to-ukrainian-victory-logistics-heavy-weapons-and-the-test-of-will/
[64] Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html

სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება.[65] აღსანიშნავია, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, 2020 წელს „ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა“ წარმატებით დასრულდა.[66]

თანამედროვე ტექნოლოგიების და გადაიარაღების აუცილებლობა

უკრაინაში მიმდინარე მაღალი ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებებმა ცხადყო, რომ **ასიმეტრიულ ომში თანამედროვე, კონვენციურ შეიარაღებას გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს და საბჭოთა შეიარაღების ერა დასასრულს მიუახლოვდა.[67] ნათლად გამოჩნდა მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემების (HIMARS), მობილური ტანკსაწინააღმდეგო და პორტატული საჰაერო თავდაცვის სისტემების (Javelin, NLAW) უპირატესობა.[68]** შეიცვალა საბრძოლო დინამიკა[69] და შემცირდა რუსეთის უპირატესობა.[70] ამერიკული მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემების გამოყენებით,[71] უკრაინა თავდაცვის პოზიციიდან კონტრშეტევაზე გადავიდა.[72]

საბრძოლო მოქმედებების საწყის ეტაპზევე ნათელი გახდა, რომ ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, **უკრაინა საჭიროებს თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შეიარაღებას.** შესაბამისად, ალიანსის 25-მა წევრმა ქვეყანამ ოფიციალურ კიევს მილიარდობით აშშ დოლარის ოდენობის სამხედრო აღჭურვილობა და შეიარაღება გადასცა, რაც მოიცავს ჰაერსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო (Cheetah, MANPAD, NLAW, Stinger, MILAN Javelin, Harpoon), შეჯავშნულ ავტომობილებს, არტილერიას, სადაზვერვო და მოიერიშე დრონებს, ვერტმფრენებს, ამუნიციას და სამხედრო აღჭურვილობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შეიარაღების კუთხით, უკრაინა კვლავ დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რაც ნატო-საქართველოს თანამშრომლობისთვისაც გასათვალისწინებელია. კერძოდ:

- უკრაინის შეიარაღებულ ძალებში **მაღალი სიზუსტის შორს მსროლელი საარტილერიო სისტემების დეფიციტია,** რაც მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარებოდათ;[73]
- მიუხედავად ნატო-ს სამხედრო სწავლებებში აქტიური მონაწილეობისა, **უკრაინა მაინც საჭიროებს მებრძოლების პარალელურ რეჟიმში**

[65] Eversden, Andrew “US Army secretary: 5 lessons from the Ukraine conflict“, Available at: https://breakingdefense.com/2022/06/us-army-secretary-5-lessons-from-the-ukraine-conflict/
[66] ,,თანამშრომლობა აშშ-სთან“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan
[67] Beaumont, Peter, “Ukraine’s ammunition becomes defining issue in battle for Donbas”, Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/27/ukraine-ammunition-becomes-defining-issue-in-battle-for-donbas
[68] Fact Sheet on U.S. Security Assistance to Ukraine, Available at: https://media.defense.gov/2022/Aug/02/2003047740/-1/-1/0/UKRAINE-FACT-SHEET.PDF
[69] Nardelli, Alberto, “Russia Orders Forces to Strike Ukraine’s Long-Range Weapons”, Available at: https://www.bloomberg.com/news/articles/2022-07-18/russia-orders-forces-to-strike-ukraine-s-long-range-weapons
[70] Ostrovsky, Simon, “Russia ramps up long range strikes as Ukraine gets precision weapons from the West”, Available at: https://www.pbs.org/newshour/show/russia-ramps-up-long-range-strikes-as-ukraine-gets-precision-weapons-from-the-west
[71] ვაშინგტონის დათქმის თანახმად, არა რუსეთის ტერიტორიის შიგნით მდებარე ქალაქებზე.
[72] Westfall, Sammy, Lamothe, Dan, Bault, Reis, “Deadly Crimea blasts are ‘just the beginning,’ Ukraine warns Russia”, Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/08/09/crimea-explosion-russian-air-base/
[73] Milburn, Andrew, “Time is not on Kyiv’s side: training, weapons, and attrition in Ukraine”, Available at: https://mwi.usma.edu/time-is-not-on-kyivs-side-training-weapons-and-attrition-in-ukraine/?fbclid=IwAR0H19i8rElt8qeWlvsjSuI9OiG6kvY_bogPPhg99kYPy-T3ga6vMGCF5OM

გადამზადებას, რათა მათ შეძლონ თანამედროვე შეიარაღების გამოყენება,[74] რაც მნიშვნელოვან დამატებით რესურსს მოითხოვს ომში მყოფი სახელმწიფოსგან;[75]

– მოკავშირეების დახმარების მიუხედავად, უკრაინა, რომელსაც აქტიური 200,000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, მაინც ჩამორჩება რუსეთს შეიარაღებით.[76]

1997 წლიდან, საქართველოს აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების (FMF) ფარგლებში, 445 მილიონ აშშ დოლარზე მეტი აქვს მიღებული. გამოყოფილი თანხები მიმართულია საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარებაზე და სრულად არის გადანაწილებული წვრთნებისა და ნატოს სტანდარტების თანამედროვე შეიარაღებითა და სისტემებით აღჭურვის პროგრამებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2018 წლიდან საქართველოს თავდაცვის ძალები იღებს მესამე თაობის გადასატან მართვად ტანსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებს „ჯაველინებს“ და მუდმივად ატარებს წვრთნებს და სწვავლებებს ახალი შეიარაღების ასათვისებლად.[77] უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ცხადყო, რომ სასურველია საქართველომ, ასევე, იზრუნოს, სამხედრო მოსამსახურეების კიდევ უფრო მასიურ გადამზადებაზე, ნატოს სტანდარტის შეიარაღებით აღჭურვაზე და ამასთანავე, დაგეგმვის პროცესში, გაითვალისწინოს მაღალი სიზუსტის შორს მსროლელი საარტილერიო სისტემების ეფექტიანობა.

უპილოტო საფრენი აპარატები

უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა **უპილოტო საფრენი აპარატების როლი კიდევ ერთხელ გამოკვეთა.**[78] დრონებმა მრავალფუნქციური დატვირთვა შეიძინეს. მოწინააღმდეგეგეები მათ დაზვერვა-დაკვირვებისთვის, საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის, ზუსტი საავიაციო შეიარაღების მიზან ჩვენებისთვის, საცეცხლე მხარდაჭერისთვის, ჯარების და მარაგების დროებითი ან მუდმივი დისლოკაციის ჰაერიდან დაცვისთვის და რადიო სიხშირეების რეტრანს-ლაციისთვის იყენებენ.

უკრაინის შეიარაღებული ძალებს თურქული წარმოების სამხედრო „ბაირაქტარების“ (Bayraktar TB-2) და ამერიკული წარმოების კამიკაძე დრონების მხარდაჭერა აქვთ,[79] ხოლო რუსებს _ “Orlan-10“-ის.[80] სწორედ თურქული ბაირაქტარების გამოყენებით განახორციელდა შეტევა რუსულ შეჯავშნულ კოლონაზე კიევის ჩრდილოეთით, რამაც რუსეთს 2 მილიონამდე ზარალი მიაყენა.[81] აღსანიშნავია, რომ საბრძოლო მოქმედებებში ჩართულია კომერციული დრონებიც.

---

[74] Baele, Jonathan, “Inside the room where Ukraine orders arms from the West”, Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61816337

[75] “Ukraine fact Sheet”, Available at: https://media.defense.gov/2022/Aug/02/2003047740/-1/-1/0/UKRAINE-FACT-SHEET.PDF

[76] Duggal, Hanna, Ali, Marium, “What weapons has Ukraine received from the US and allies?”, Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/15/infographic-what-weapons-has-ukraine-received-from-the-us-and-al

[77] ,,თანამშრომლობა აშშ-სთან“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan

[78] Everdsen, Andrew, “US army secretary: 5 lessons from the Ukraine“, Available at: https://breakingdefense.com/2022/06/us-army-secretary-5-lessons-from-the-ukraine-conflict/

[79] Malyasov, Dylan, “Ukraine claims suicide drone destroyed Russian tank”, Available at: https://defence-blog.com/ukraine-claims-suicide-drone-destroyed-russian-tank/

[80] Beale, Jonathan, “Ukraine-Russia: Hidden tech war as Slovyansk battle looms”, Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-62090791

[81] Milburn, Andrew, “U.S. Billions to Ukraine, But Not What They Need”, Available at: https://www.realcleardefense.com/2022/05/21/us_billions_to_ukraine_but_not_what_they_need_833576.html

მათი მოხმარება მეტად ხარჯეფექტიანია, თუმცა ისინი ეფექტურად გამოიყენება მოწინააღმდეგის პოზიციების დასადგენად და შესაძლებელია მათი ფეთქებადი საშუალებებით აღჭურვა.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის ძალების აღჭურვას თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატებით, ოფიციალურად დაანონსებულია, რომ თავდაცვის სამინისტროს შვილობილი კომპანია, შპს ,,დელტა ვებე" წლის ბოლომდე გამოუშვებს ქართული წარმოების უპილოტო საფრენ აპარატებს.[82] ასევე, 2020 წლის დეკემბერში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დაანონსა 2021 წელს ოპერატიული და ტაქტიკური, უპილოტო სადაზვერვო და საბრძოლო დრონების შეძენა და რადიო და ელექტრონულ სადაზვერვო და სათვალთვალო საშუალებების განვითარება.[83]

უკანასკნელ შეიარაღებულ კონფლიქტებს თუ გადავავლებთ თვალებს, შესაძლოა ვივარაუდოთ რომ მომავალში მთლიანად ჩანაცვლდეს მთელი რიგი სხვადასხვა დანიშნულების პილოტირებადი საფრენი მოწყობილობები.[84] შესაბამისად, სასურველი იქნებოდა, როგორც ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატში, ისე ორმხრივი თანამშრომლობის მიმართულებით ქართულ მხარეს თურქულ კომპანია BAYKAR-თან თანამშრომლობა განევითარებინა.

საკომუნიკაციო არხები და კერძო სატელიტური კავშირები

უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ხაზი გაუსვა საომარ ვითარებაში უსაფრთხო საკომუნიკაციო არხების მნიშვნელობას. ამ მიმართულებით, რუსეთის ჯარმა საბაზისო შეცდომები დაუშვა. ისინი აქტიურად იყენებდნენ დაუშიფრავი კავშირის წყაროებს, მათ შორის, პირად მობილურ ტელეფონებს, რათა კონტაქტი დაემყარებინათ სხვა ქვედანაყოფებთან და ოჯახებთან, რაც პირდაპირ პროპორციულად მოქმედებდა მათ მოწყვლადობაზე.[85] ერთ-ერთი რუსი გენერლის ადგილმდებარეობა უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა სწორედ მის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის მიხედვით დაადგინა, რის შედეგადაც მასზე საჰაერო იერიში განხორციელდა.[86] მეტიც, რუსებმა ქ. ხარკოვში ის საკომუნიკაციო ანძა დაბომბეს, რომელიც მათივე უსაფრთხო კავშირს უზრუნველ-ყოფდა.

რაც შეეხება უკრაინულ მხარეს, ამერიკული კომპანია "Space X"-ის დახმარებით, უკრაინას უდიდესი უპირატესობა მიენიჭა, რომ ტრადიციულ სატელეფონო და ინტერნეტ კავშირს აღარ დაყრდნობოდა.[87] მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში,

---

[82] ბიზნეს მედია საქართველო. 2022. „დრონების საწარმოებლად თავდაცვის სამინისტრომ პოლონურ WB Electronics-თან ერთობლივი კომპანია დააფუძნა", ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/dronebis-sawarmoeblad-tavdacvis-saministrom-polonur-wb-electronics-tan-ertoblivi-kompania-daafudzna/110673

[83] „სოხუმი თბილისის 2021 წლის თავდაცვის პროგრამას აპროტესებს – რა ხდება სინამდვილეში", 2020. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/508826/

[84] ,,მრავალფუნქციური უპილოტო ვერტმფრენები, მათი დანიშნულება და პერსპექტივები", დელტა, 2020. ხელმისაწვდომია: https://delta.gov.ge/blog/%e1%83%9b%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%a4%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%a5%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%a3%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%9d/

[85] Harper, Jon, „Ukraine-Russia war teaching US military a lesson about secure communications", Available at: https://www.fedscoop.com/ukraine-russia-war-teaching-us-military-a-lesson-about-secure-communications%ef%bf%bc/

[86] The New York Times. "As Russian troop death climb, morale becomes an issue, officials say", Available at: www.nytimes.com/2022/03/16/us/politics/russia-troop-deaths.html

[87] Howell, Elizabeth, "How Elon Musk's Starlink Is Helping Ukraine During War With Russia", VOA News, Available at: https://www.voanews.com/a/how-elon-musk-s-starlink-is-helping-ukraine-during-war-with-russia/6641210.html

150,000-მა ადამიანმა გამოიყენა "Space X"-ის კავშირი, რაც ახალი სიტყვაა უსაფრთხო კომუნიკაციების სფეროში და უკრაინას უდიდესი უპირატესობა მიანიჭა.

უკრაინაში მიმდინარე ომი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ომი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასაც მოითხოვს და წარმოადგენს მედეგობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.[88]

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი ცხადყოფს, რომ ხისტი ძალა რუსეთის იმპერიალისტური მიზნების განხორციელების მექანიზმად რჩება, ხოლო თანამედროვე ბრძოლის მეთოდები სუვერენული სახელმწიფოებისგან მუდმივ ადაპტაციას მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ ნატოსთან და მის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, მაქსიმალურად უნდა ეცადოს, უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე დაკვირვებით, თავდაცვის შესაძლებლობების და მედეგობის განმტკიცებას.

ბიბლიოგრაფია

- *„ამოცანით მართვა", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2022. ხელმისაწვდომია: https://mc.mod.gov.ge/pages/about-project*
- *„დრონების საწარმოებლად თავდაცვის სამინისტრომ პოლონურ WB Electronics-თან ერთობლივი კომპანია დააფუძნა", BM, 2022. ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/dronebis-sawarmoeblad-tavdacvis-saministrom-polonur-wb-electronics-tan-ertoblivi-kompania-daafudzna/110673*
- *„თანამშრომლობა აშშ-სთან", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2022. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan*
- *,,თანამშრომლობა ნატოსთან", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan*
- *„კიბერუსაფრთხოების ბიუროს წარმომადგენლები ნატოს კიბერწვრთნაში მონაწილეობენ", Imedi News. 12 აპრილი, 2022, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/tavdacva/246884/kiberusaprtkhoebis-biuros-tsarmomadgenlebi-natos-kibertsvrtnashi-monatsileoben*

[88] Walker, Leah, "The Role of Crisis Communications in the Russo-Ukrainian War", Available at: https://securityandtechnology.org/blog/the-role-of-crisis-communications-in-the-russo-ukrainian-war/

- „მრავალფუნქიური უპილოტო ვერტმფრენები, მათი დანიშნულება და პერსპექტივები,“, დელტა, 26 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://delta.gov.ge/blog/%e1%83%9b%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%a4%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%a5%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%a3%e1%83%9e%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%9d/
- ,,ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი", საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2022. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi
- „რეზერვის ახალი სისტემა“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2022. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/6726/rezervis-axali-sistema
- „რეზერვში რეგისტრაცია“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2022. ხელმისაწვდომია: https://onlinebct.mod.gov.ge/regions
- ,,საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში - საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი 2020", 25 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/News/sagareo-saqmeta-ministrma-davit-zalkalianma-monaci.aspx
- ,,სამმხრივი სწავლება Eternity 2018 დასრულდა“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/7005/sammxrivi-swavleba-eternity-2018-dasrulda
- „საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია“, 2022. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0
- „საქართველოს თავდაცვის მინისტრი „გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის“ ხელმძღვანელებს შეხვდა“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/8280/saqartvelos-tavdacvis-ministri-general-mazniashvilis-saxelobis-axalgazrduli-legionis-xelmdzgvanelebs-shexvda
- ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ნატოს მადრიდის სამიტთან დაკავშირებით", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mfa.gov.ge/News/saqartvelos-sagareo-saqmeta-saministros-ganck-(77).aspx?CatID=5
- „ტოტალური თავდაცვის თანამედროვე გამოწვევები“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://mod.gov.ge/ge/news/read/6958/totaluri-tavdacvis-tanamedrove-gamowvevebi
- Åslund, Anders, 2022. "Why Vladimir Putin is losing the information war to Ukraine", Atlantic Council, March 6, 2022. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/why-vladimir-putin-is-losing-the-information-war-to-ukraine/
- Babarinde, Muyiwa, 2022. "Strategic communication in times of war: Lessons from Ukraine's masterful control of its own narrative", Business Day, March 5, 2022. Available at: https://businessday.ng/bd-weekender/article/strategic-communication-in-times-of-war-lessons-from-ukraines-masterful-control-of-its-own-narrative/
- Baczynska, Gabriela, 2022. "Ukrainian reservists gear up in case of conflict with Russia", Reuters, January 29. 2022. Available at: https://www.reuters.com/world/ukrainian-reservists-gear-up-case-conflict-with-russia-2022-01-29/
- Baele, Jonathan, 2022. "Inside the room where Ukraine orders arms from the West", BBC, June 15, 2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61816337
- Beale, Jonathan, 2022. "Ukraine-Russia: Hidden tech war as Slovyansk battle looms", BBC, July 8. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-62090791
- Beaumont, Peter, 2022. "Ukraine's ammunition becomes defining issue in battle for Donbas", The Guardian, June 27, 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/27/ukraine-ammunition-becomes-defining-issue-in-battle-for-donbas
- Berkowitz, Bonnie, Galocha, Artur, 2022. "Why the Russian military is bogged down by logistics in Ukraine", The Washington Post, March 30, 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/30/russia-military-logistics-supply-chain/

- *Centre for Strategic Communications StratCom Ukraine. Available at: https://stratcomua.org/en*
- *Duggal, Hanna, Ali, Marium, 2022. "What weapons has Ukraine received from the US and allies?", Aljazeera, June 15, 2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/15/infographic-what-weapons-has-ukraine-received-from-the-us-and-al*
- *Everdsen, Andrew, 2022. "US Army secretary: 5 lessons from the Ukraine conflict", 1 June 2022, Breaking Defense, June 1, 2022. Available at: https://breakingdefense.com/2022/06/us-army-secretary-5-lessons-from-the-ukraine-conflict/*
- *Fact Sheet on U.S. Security Assistance to Ukraine, August 1, 2022. Available at: https://media.defense.gov/2022/Aug/02/2003047740/-1/-1/0/UKRAINE-FACT-SHEET.PDF*
- *Fasola, Nicola, 2022. "How Russia fights?", NATO Defense College, Research Division, NDC Policy Brief No. 12 June 2022. Available at: https://www.ndc.nato.int/research/research.php?icode=6*
- *Hale, Erin, 2022 "Civil defence is trending in Taiwan after Ukraine war", Aljazeera, April 28, 2022. Available at: https://www.aljazeera.com/features/2022/4/28/civil-defence-is-trending-in-taiwan-after-ukraine-war*
- *Heinrich, Jacqui, Sabes, Adam 2022. "Gen. Milley says Kyiv could fall within 72 hours if Russia decides to invade Ukraine", Fox News, February 5, 2022. Available at: https://www.foxnews.com/us/gen-milley-says-kyiv-could-fall-within-72-hours-if-russia-decides-to-invade-ukraine-sources*
- *Harper, Jon, 2022, "Ukraine-Russia war teaching US military a lesson about secure communications", Fedscoop, May 31, 2022. Available at: https://www.fedscoop.com/ukraine-russia-war-teaching-us-military-a-lesson-about-secure-communications%ef%bf%bc/*
- *Howell, Elizabeth, 2022, "Elon Musk says Russia is ramping up cyberattacks on SpaceX's Starlink systems in Ukraine", May 12, 2022. Available at: https://www.space.com/starlink-russian-cyberattacks-ramp-up-efforts-elon-musk*
- *Garamone, Jim. 2022 "Sweden, Finland Move Closer to NATO Membership", U.S. Department of Defense, July 5, 2022. Available at: https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/3083359/sweden-finland-move-closer-to-nato-membership/*
- *Giles, Keir. 2017 "Assessing Russia's Reorganized and Rearmed Military", Carnegie Endowment for International Peace, May 3, 2017. Available at: https://carnegieendowment.org/2017/05/03/assessing-russia-s-reorganized-and-rearmed-military-pub-69853*
- *Konaev, Margarita, Brathwaite, Kirstun J.H., 2022. "Russia's Urban Warfare Predictably Struggles - Fighting in cities is hard for any military", Foreign Policy, April 4, 2022. Available at: https://foreignpolicy.com/2022/04/04/russia-ukraine-urban-warfare-kyiv-mariupol/*
- *Lewis, James, 2022. "Cyber War and Ukraine", Center for Strategic and International Studies, June 16, 2022. Available at: https://www.csis.org/analysis/cyber-war-and-ukraine*
- *Malyasov, Dylan, 2022. "Ukraine claims suicide drone destroyed Russian tank", Defence blog, May 24, 2022. Available at: https://defence-blog.com/ukraine-claims-suicide-drone-destroyed-russian-tank/*
- *Ministry of Defence of the UK, "Intelligence Update", Twitter, March 18, 2022. Available at: https://twitter.com/DefenceHQ/status/1504595426963509251*
- *Milburn, Andrew, 2022. "Time is not on Kiev's side: training, weapons, and attrition in Ukraine", Modern War Institute for War, June 27, 2022. Available at: https://mwi.usma.edu/time-is-not-on-kyivs-side-training-weapons-and-attrition-in ukraine/?fbclid=IwAR0H19i8rElt8qeWlvsjSuI9OiG6kvY_bogPPhg99kYPy-T3ga6vMGCF5OM*
- *Milburn, Andrew, 2022. "U.S. Billions to Ukraine, But Not What They Need", Real Clear Defense, Modern Institute for War, June 5, 2022. Available at: https://www.realcleardefense.com/2022/05/21/us_billions_to_ukraine_but_not_what_they_need_833576.html*
- *Nagorski, Tom, 2022. "Keys to Ukrainian victory? Logistics, heavy weapons and the 'test of will'", GRID, August 4, 2022. Available at:*

https://www.grid.news/story/global/2022/08/04/keys-to-ukrainian-victory-logistics-heavy-weapons-and-the-test-of-will/

- Nardelli, Alberto, 2022. "Russia Orders Forces to Strike Ukraine's Long-Range Weapons", Bloomberg, July 18, 2022. Available at: https://www.bloomberg.com/news/articles/2022-07-18/russia-orders-forces-to-strike-ukraine-s-long-range-weapons
- NATO, "NATO Strategic Concept", 2022. Available at:
- https://www.nato.int/strategic-concept/
- NATO, Madrid Summit Declaration", 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm
- "New UK support to protect Georgia against Russian cyber attacks", UK government, 2022. Available at: https://www.gov.uk/government/news/new-uk-support-to-protect-georgia-against-russian-cyber-attacks?fbclid=IwAR1J9f4ZAemZfadCKUtlIYga4Zq5lERqDCKX3lW585DGpSd4yvu6hD7ceZc
- Nye, Joseph S. JR, 2022 „Eight lessons from the Ukraine War", Project Syndicate, June 6, 2022. Available at: https://www.project-syndicate.org/commentary/russia-war-in-ukraine-eight-lessons-by-joseph-s-nye-2022-06?barrier=accesspaylog
- Ostrovsky, Simon, 2022. „Russia ramps up long range strikes as Ukraine gets precision weapons from the West", PBS News Hour, July 26, 2022. Available at: https://www.pbs.org/newshour/show/russia-ramps-up-long-range-strikes-as-ukraine-gets-precision-weapons-from-the-west
- Rauhala, mily, Lamothe, Dan, Suliman, Adela, Hassan, Jennifer, 2022. „Entire 20-year U.S. war in Afghanistan resulted in 2,461 American fatalities, according to Pentagon figure", The Washington Post, March 24, 2022, Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/03/24/russia-troops-casualties-nato-ukraine/
- Ruby Mellen, 2022 "Scenes of ruin and resilience from 100 days of war in Ukraine", The Washington Post, June 3, 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/03/scenes-ruin-resilience-100-days-war-ukraine/
- Vincent, Elise, Pietralunga, Cédric, 2022. "Ten military lessons from the war in Ukraine", Le Monde, May 23, 2022. Available at: https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/05/23/ten-military-lessons-from-the-war-in-ukraine_5984380_4.html
- VOA Russian Service, 2022. "How Elon Musk's Starlink Is Helping Ukraine During War With Russia", July 1, 2022. Available at: https://www.voanews.com/a/how-elon-musk-s-starlink-is-helping-ukraine-during-war-with-russia/6641210.html
- Walker, Leah, 2022. "The Role of Crisis Communications in the Russo-Ukrainian War", Institute for Security and Technology, May 18, 2022. Available at: https://securityandtechnology.org/blog/the-role-of-crisis-communications-in-the-russo-ukrainian-war/
- WI Speaker series 2022." Brig.Gen. Pat Work on mission Command", Modern War Institute, June 4, 2022. Available at: https://mwi.usma.edu/mwi-speaker-series-brig-gen-pat-work-on-mission-command/
- Westfall, Sammy, Lamothe, Dan, Bault Reis 2022. "Deadly Crimea blasts are 'just the beginning,' Ukraine warns Russia", The Washington Post, August 9, 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/08/09/crimea-explosion-russian-air-base/

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

თურქეთი: ნატოს სანდო მოკავშირე თუ მერყევი აქტორი განსხვავებული ინტერესებით?

ავტორი: გიორგი მჭედლიშვილი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

მსოფლიო ისტორიის ახალი თავი - ცივი ომის შემდგომი პერიოდის საბოლოო დასასრული

2022 წლის 24 თებერვლიდან მთელ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა დადგა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაზე ფართომასშტაბიანი აგრესიული აქტი განახორციელა. გადამეტების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ეს აგრესია იყო მთელი დასავლური, ცივილიზებული სამყაროს გამოწვევა, რამეთუ სასწორზე დგას არა მხოლოდ უკრაინის სახელმწიფოებრიობა, არამედ მთელი ევროპის სტაბილურობა და დასავლეთის (აშშ-ის, ნატოს, ევროკავშირის) რეპუტაცია. რა თქმა უნდა, რუსეთისთვის არ არის უცხო საერთაშორისო ნორმების ცინიკურად უგულებელყოფა და სამხედრო აგრესია იმ მეზობლებზე, რომლებიც არ ემორჩილებიან მის ინტერესებს. 2008 და 2014 წლებში საქართველომ და იგივე უკრაინამ ეს საკუთარ ტყავზე იგრძნეს. მაშინ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებით და ყირიმის ანექსიით, რუსეთმა არა მხოლოდ მასზე უფრო სუსტი სახელმწიფოების სუვერენიტეტი შელახა, არამედ შეერთებულ შტატებსა და მთელ დასავლეთ სამყაროს „პოლიტიკური სილა“ გააწნა, რამეთუ დასავლეთის რეაქცია ორივე შემთხვევაში იყო საკმაოდ სუსტი. ყირიმის ანექსიის შედეგად, რუსეთს კი დაუწესეს სანქციების პაკეტი, რომელმაც მოახდინა გარკვეული გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე, მაგრამ ეს არ იყო იმ მასშტაბის რეაქცია, რომელიც აიძულებდა პუტინს და მის გარემოცვას გადაეხედათ საკუთარი აგრესიული საგარეო პოლიტიკა.[1]

24 თებერვლის აგრესია, იმ ენით აღუწერელი სისასტიკით, რომელსაც რუსული არმია სჩადის მშვიდობიანი უკრაინის მოქალაქეების მიმართ და ომის წარმოების სამართლის ცინიკური ხელყოფით, არის მთელი კაცობრიობისთვის და, განსაკუთრებით, დასავლეთისთვის, გამოწვევის თვისებრივად ახალი დონე. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო დემოკრატიული სახელმწიფოების მთელი სახოგადოებ-ბისთვის ზნეობრივი გამოწვევა: მშვიდად ყოფნა და ,,ღრმა შეშფოთების" გამოხატვებით შემოფარგვლა, 2008 და 2014 წლების მსგავსად, მაშინ, როდესაც მეთოდურად იბომბება მილიონიანი ქალაქები და ასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, ბავშვებიც იღუპებიან, საკმარისი აღარ იყო.[2] დასავლეთის ბევრმა პოლიტიკურმა ლიდერმაც შეცვალა როგორც თავისი რიტორიკა, ასევე, ქმედებები;

[1] "The 2008 Russo-Georgian War: Putin's Green Light", by Peter Dickinson, Atlantic Council, August 2021. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/the-2008-russo-georgian-war-putins-green-light/

[2] "Our Moral Obligation to Help Ukraine Against Russia", by William Galston, Wall Street Journal, March 2022. Available at: https://www.wsj.com/articles/america-us-moral-obligation-ukraine-russia-war-air-patrol-poland-polish-jets-aircraft-risk-nuclear-nato-putin-humanitarian-crisis-civilian-deaths-11647354056

თუმცა, ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც 24 თებერვლის აგრესიის შემდეგ ევროპის პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს საზოგადოებამ (განსაკუთრებით კი დასავლეთი, ,,ძველი“ ევროპის) ძლიერი მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა მხარდაჭერა აშშ-ის, ნატოს და ევროკავშირის მიმართ და შემცირდა რუსეთისადმი მხარდაჭერა და მოსკოვის ინტერესებისადმი ,,გაგებით მოკიდება“.[3]

დასავლეთის რეაქცია: მეტ-ნაკლებად ერთიანი

დასავლეთის მიზანი იყო მძლავრი სანქციებით (დღესდღეობით მუშავდება უკვე მეშვიდე პაკეტი) დაესუსტებინა რუსეთის ეკონომიკა და აგრესორი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცია. მაგრამ, ჯერჯერობით, დასავლეთმა მიზნებს ვერ მიაღწია, და ,,გლობალური სამხრეთის“ ბევრმა სახელმწიფომ ან არ დაუჭირა მხარი და არ მიუერთდა სანქციებს, ანდა საერთოდ რუსეთს მიემხრო. თუკი ჩინეთისგან, ბელარუსისგან, ჩრდილოეთ კორეისა და რიგი უკიდურესად არადემოკრატიული ანტიდასავლური სახელმწიფოებისგან რუსეთის პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა სრულიად მოსალოდნელი იყო, ისეთი დემოკრატიული ქვეყნებისგან, როგორიცაა: ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა, თავის შეკავება გაეროს კენჭისყრაში შეეჩერებინათ რუსეთისთვის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობა და სავაჭრო ბრუნვის გაზრდა, ბევრი დასავლელისთვის მოულოდნელი იყო.



იმ ვითარებაში, როდესაც დასავლეთმა ვერ მიაღწია კონსენსუსს არა მხოლოდ გლობალურად, არამედ საკუთარ რიგებშიც (გავიხსენოთ უნგრეთის სიჯიუტე სანქციების პაკეტების მიღებისას), ბადებს კითხვას, თუ რით ხელმძღვანელობს ესა თუ ის სახელმწიფო თავის საგარეო პოლიტიკაში, რამდენად არის მისი ქმედებები ნაკარნახევი მხოლოდ საკუთარი მოკლე და საშუალოვადიანი ინტერესებით, რამდენად ფასეულობებით და საზოგადოების ზეწოლის შედეგად და რა შეიძლება გაკეთდეს ამ

[3] "Pew poll: Global views on NATO and U.S. rise; for Russia, a decline", by Sammy Westfall and Karina Tsui, Washington Post, June 22, 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/22/pew-poll-russia-nato-us/

სახელმწიდოების მსოფლიო პოლიტიკაში უფრო პოზიტიური და ინტენსიური ჩართვისთვის.[4]

„ძველი ევროპის“ რამდენიმე წევრსაც დასჭირდა გარკვეული დრო იმისათვის, რომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა ჯეროვნად დაეწყოთ. ამავდროულად, ისინი და, პირველ რიგში, გერმანია, ცდილობენ შეამცირონ მათი ეკონომიკური და, კერძოდ, ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე.[5] ამ ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებში ახლაც ისმის ხმები რუსეთის სტრატეგიული ინტერესების პატივისცემაზე, რომელიც, თითქოსდა, დაეხმარება ევროპას ამერიკის ,,დიქტატისგან“ თავის დახსნაში.[6]

თურქეთის ,,ჭეშმარიტების მომენტი“ 24 თებერვალს: ბაირაქთარები

ამ თვალსაზრისით, თურქეთის რესპუბლიკის პოზიცია და საგარეო პოლიტიკა 24 თებერვლის შემდეგ განსაკუთრებულ ინტერესს უნდა იწვევდეს. თურქეთი არის ნატოს წევრი 1952 წლიდან და მისი ჯარი სიდიდით მეორეა (აშშ-ის შემდეგ) ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოს შორის. ამავე დროს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ანკარასა და დასავლეთს შორის ურთიერთობები საკმაოდ გართულდა, რაც გამოწვეულია როგორც თურქეთის ლიდერის სულ უფრო და უფრო ავტორიტარული მმართველობის სტილით, ასევე, ნატოს ზოგიერთ წევრს (კერძოდ, საბერძნეთი და საფრანგეთი) შორის ინტერესთა კონფლიქტით ხმელთაშუა ზღვაში და უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების სურვილით.[7] ამავდროულად, პუტინის რუსეთი ყოველთვის ცდილობს, შეავსოს ვაკუუმი და, დასავლეთის დასუსტების მიზნით, გააძლიეროს პარტნიორობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც დასავლეთთან ურთიერთობაში ნაპრალი გაუჩნდება. სამწუხაროდ, დასავლეთისთვის, ბოლო წლებში, შეიქმნა მეტად

[4] “The West Must Bridge the Global Divide Over Ukraine“, by the editors, Bloomberg, June 6, 2022. Available at: https://www.bloomberg.com/opinion/articles/2022-06-06/the-west-is-behind-ukraine-the-developing-world-not-so-much

[5] “Ukraine war: How Germany is getting rid of Russian oil” by Damien McGuinness, BBC News, 4 May 2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61318690

[6] “Marine Le Pen proposes closer Nato-Russia ties after Ukraine war“, by Angelique Chrisafis, The Guardian, 13 April 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/apr/13/marine-le-pen-proposes-closer-nato-russia-ties-after-ukraine-war

[7] “Turkey: persistently further from EU values and standards“, European Parliament Report, 7 June 2022. Available at: https://www.europarl.europa.eu/news/pt/press-room/20220603IPR32136/turkey-persistently-further-from-eu-values-and-standards

არასახარბიელო სიტუაცია, როდესაც თურქეთი არა მხოლოდ ეკონომიკურ კავშირებს აძლიერებდა რუსეთთან, არამედ მეცნიერულ, ენერგეტიკულ და სამხედრო სფეროში ურთიერთობებსაც, რაც იწვევდა კიდევ უფრო მეტი ნდობის დაკარგვას მის ნატოს წევრ პარტნიორებში. 2020 წლის ბოლოს მოხდა თითქმის წარმოუდგენელი რამ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ თურქეთს სანქციები დაუწესა რუსული S-400 სარაკეტო სისტემის შეძენის გამო. სულ რაღაც ოციოდე წლის წინ ანკარა იყო ვაშინგტონის ძალზე სანდო პარტნიორი და მთავარი დასაყრდენი ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში.[8]

ომის დაწყებისთანავე თურქეთის ლიდერმა და რამდენიმე საკვანძო მინისტრმა ცალსახად და მკვეთრად გამოხატეს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის აგრესიის მიმართ და არაერთხელ გაუსვეს ხაზი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, თან ყირიმის ანექსიაც ახსენეს, როგორც ყოვლად მიუღებელი ქმედება. გაეროს გენერალური ასამბლეის ორივე რეზოლუციაში - მარტის, რუსეთის ჯარის უკრაინის ტერიტორიიდან დაუყონებლივ გაყვანაზე, და აპრილის, რუსეთისთვის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობის შეჩერებაზე - თურქეთმა დააფიქსირა პოზიცია უკრაინის სასარგებლოდ. მაგრამ თურქეთის მხარდაჭერა პოლიტიკური განცხადებებით არ შემოიფარგლა: ომის დაწყებისთანავე უკრაინამ თურქეთიდან შეისყიდა 50-ზე მეტი „ბაირაქტარი“ (Bayraktar TB2 - თურქული უპილოტო საბრძოლო საფრენი აპარატი, ე.წ. ,,დრონი“), რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს ომის მსვლელობაზე და რამდენიმე ფრონტზე შეაფერხეს ან საერთოდ შეაჩერეს რუსეთის საომერი წინსვლა.[9] ამასთან ერთად, ივლისის თვეში Baykar Defense-მა, თურქეთის თავდაცვის კონტრაქტორმა, რომელიც „ბაირაქთარებს“ აწარმოებს და სადაც პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანის სიძე, სელჩუქ ბაირაქთარი, არის ერთერთი მსხვილი ხელმძღვანელი დირექტორი (Chief Technology Officer), უკრაინას

[8] “U.S. sanctions Turkey over purchase of Russian S-400 missile system“, by Amanda Macias, 14 December 2020. Available at: https://www.cnbc.com/2020/12/14/us-sanctions-turkey-over-russian-s400.html

[9] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი დრონები უკრაინამ თურქეთისგან შეიძინა ჯერ კიდევ 2019 წელს. 2020 წლის შემოდგომაზე ამ საფრენმა აპარატებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს როდესაც მათი დახმარებით აზერბაიჯანის ჯარმა პირწმინდად დაამარცხა სომხეთის შეიარაღებული ძალები და მთიანი ყარაბაღის უდიდესი ნაწილი გაათავისუფლა.

უსასყიდლოდ აჩუქა სამი შეიარაღებულ თვითმფრინავი.[10] ამასთან, კომპანიის მთავარმა დირექტორმა, ჰალუქ ბაირაქთარმა (სელჩუკის უფროსმა ძმამ), განაცხადა, რომ კომპანია არასდროს მიჰყიდის უპილოტო აპარატს რუსეთს, რადგან ის ამაყობს იმით, რომ Bayraktar TB2 დრონები უკრაინის წინააღმდეგობის სიმბოლოდ გადაიქცნენ.[11]

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ომის დაწყებიდან რამოდენიმე დღეში თურქეთმა აამოქმედა მონტროს 1936 წლის კონვენციის - რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს არეგულირებს - ის დებულება, რომელიც თურქეთს ანიჭებს უფლებამოსილებას ომის დროს სრუტეებში სამხედრო გემების გაშვება აკრძალოს. შედეგად, რუსეთის ოთხი სამხედრო გემი ვერ შევიდა შავ ზღვაში. შეერთებულმა შტატებმა და უკრაინამ გამოხატეს მადლიერება თურქეთის ქმედების მიმართ სრუტეების დახურვის შესახებ.[12]

„სხვა თურქეთი“: არა - სანქციებს, დიახ - მოლაპარაკებებს

ამავდროულად, თურქეთი ნატოს ერთადერთი წევრი სახელმწიფოა, რომელიც არ შეუერთდა საერთაშორისო (მეტწილად, დასავლეთის) სანქციებს რუსეთი წინააღმდეგ. ამ ნაბიჯის ოფიციალური ახსნა რამდენიმეჯერ გააჟღერეს, როგორც პრეზიდენტ ერდოღანმა, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ: თურქეთი პრინციპულად ეწინააღმდეგება სანქციებს, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმოების მეთოდს, და თვლის რომ ეს არ არის სწორი გზა აიძულო ქვეყანა შეცვალოს თავისი საქციელი.[13] თურქეთმა არც მისი საჰაერო სივრცე ჩაკეტა რუსული ავიახაზებისთვის - ნატოს დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით.

[10] “With drone gift to Ukraine, Turkey's Baykar wins fans and clients“, by SINAN TAVSAN, Nikkei Asia, 29 June 2022. Available at: https://asia.nikkei.com/Politics/Ukraine-war/With-drone-gift-to-Ukraine-Turkey-s-Baykar-wins-fans-and-clients

[11] “Turkey’s Baykar drone company ‘will never’ supply Russia: CEO“, Al Jazeera, 19 July 2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/7/19/turkish-firm-wont-supply-uavs-widely-used-by-ukraine-to-russia#:~:text=Ukraine%20has%20bought%20more%20than,since%20Russia's%20February%2024%20invasion

[12] “Turkey has no intention of joining sanctions against Russia”, Daily Sabah, 1 March 2022. Available at: https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-has-no-intention-of-joining-sanctions-against-russia

[13] Ibid.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთის მიზანია ყველანაირად დაუჭიროს მხარი უკრაინას, მაგრამ ისე, რომ არ გააღიზიანოს და არ გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთთან. ამ პოლიტიკას, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტს, რომ კიევიც და მოსკოვიც ენდობა ანკარას, მოაქვს გარკვეული დივიდენდები. ყოველ შემთხვევაში, 24 თებერვლის შემდეგ რუსეთის და უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრები მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე და ანკარის შუამდგომლობით იმართება. ომის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, 10 მარტს, ანტალიაში გაიმართა რუსეთის და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. თურქეთის გარდა, მხოლდ ბელარუსს ჰქონდა მცდელობა, დაეახლოვებინა მოწინააღმდეგე მხარეები, მაგრამ რადგან დღეს მინსკი მოსკოვის ახლო მოკავშირე და დეფაქტო საომარი მხარეა, მედიატორის როლი მხოლოდ თურქეთს ერგება.

23 ივლისს სტამბულში უკრაინის და რუსეთის დელეგაციებმა, გაეროს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტერეშის, და თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, შუამდგომლობით, ხელი მოაწერეს ე.წ. ,,მარცვლეულის შეთანხმებას". საქმე იმაშია, რომ უკრაინა მარცვლეულის უმსხვილესი ექსპორტიორია: ბოლო წლების მონაცემებით, ის ამარაგებს მსოფლიოში ხორბლის 11%-ს, სიმინდის ექსპორტის 12%-ს და მზესუმზირის ზეთის ექსპორტის 43%-ს. რუსეთის შემოჭრამ და შემდგომმა საზღვაო ბლოკადამ შეაჩერა მარცვლეულის ექსპორტი უკრაინიდან, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი პურის კალათიდან, რამაც ძლიერ გაზარდა მარცვლეულის ფასები მთელ მსოფლიოში, რამაც უკიდურესად მწვავე მსოფლიო სასურსათო კრიზისის საშიშროება შექმნა. ახლო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის მარცვლეულის იმპორტის დიდი ნაწილი ზუსტად უკრაინიდან მოდის. შეთანხმებამ შესაძლებელი გახადა ათობით მილიონი ტონა მარცვლეული, რომელიც უკრაინულ გემებსა და საწყობებში იყო ჩაკეტილი, გაიყიდოს მსოფლიო ბაზრებზე შავ ზღვაში უსაფრთხო გადაზიდვის დერეფნის მეშვეობით.[14]

რა უნდა პუტინს ერდოღანისგან?

ერდოღანი ნატოს წევრი სახელმწიფოების ერთადერთი ლიდერია, რომელიც რამდენიმეჯერ შეხვდა პუტინს. ისე ჩანს, რომ ამ შეხვედრების ინიციატორი არის ვლადიმერ პუტინი, რამეთუ რუსეთი ეძებს ახალ გზებს აუაროს გვერდი უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებულ სანქციებს. რა თქმა უნდა, რუსეთს ჰყავს ნავთობის ორი

[14] "Odesa official: Ukraine grain exports to begin soon", By Arvin Donley, 27 July 2022. Available at: https://www.world-grain.com/articles/17231-odesa-official-ukraine-grain-exports-to-begin-soon#:~:text=Ukraine%20is%20a%20major%20grain,out%20of%20its%20southern%20ports

დიდი მყიდველი, ჩინეთის და ინდოეთის სახით, თუმცა, ინდოეთისა და ჩინეთის მიერ მიღებული ნედლი ნავთობის წილი ბოლო თვეებში შემცირდა, რაც იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ ამ ორი ქვეყნის ,,მადა" დაკმაყოფილებულია. რუსეთს სჭირდება სხვა პარტნიორები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. დასავლეთშიც და უკრაინაშიც მატულობს შეშფოთება იმის გამო, რომ მოსკოვი ერდოღანს დახმარებას სთხოვს დასავლეთის მიერ დაწესებულ საბანკო, ენერგეტიკულ და სამრეწველო სექტორებზე შეზღუდვებს გვერდის ავლაში. უკრაინის დაზვერვის მიერ 5 აგვისტოს შეხვედრის წინ მოპოვებულ და The Washington Post-ისთვის გაზიარებულ რუსეთის შემოთავაზებაში მოსკოვი მოუწოდებდა ერდოღანის მთავრობას, ნება დართოს მას, იყიდოს წილები თურქულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, ტერმინალებსა და რეზერვუარებში. ეს ნაბიჯი, ეკონომისტების აზრით, შეიძლება დაეხმაროს რუსეთს ექსპორტის წარმოშობის შენიღბვაში.[15]

ალბათობა იმისა, რომ თურქეთი დათანხმდება ასეთ ,,შემოთავაზებებზე" არ არის მაღალი, რადგან არსებობს ე.წ. ,,მეორადი სანქციების" საკმაოდ მაღალი ალბათობა. ორი პრეზიდენტის შეხვედრას არ მოჰყოლია პრესკონფერენცია და პრესსპიკერების კომენტარები,

შესაბამისად, თურქეთი საჯაროდ საკმაოდ ფრთხილად იქცევა. მაგალითად, 16 აგვისტოს რუსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ განაცხადა, რომ რუსეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ანკარას S-400 საჰაერო თავდაცვის სისტემების მეორე პარტიისთვის გადაგზავნაზე, მაგრამ თურქეთის თავდაცვის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაუყონებლივ უარყო ეს ინფორმაცია.[16]

ერდოღან-პუტინის ორმხრივ შეხვედრამდე ორიოდე კვირით ადრე, 19 ივლისს თეირანში ჩატარდა სამმხრივი შეხვედრა თურქეთის, რუსეთისა და ირანის პრეზიდენტების შორის. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ რეგიონში და რამდენ საკითხში აქვთ ამ სამ სახელმწიფოს ერთმანეთთან ,,ინტერესთა ჯახი", გასაგებია,

[15] "Russia turns to Turkey, other trading partners to blunt sanctions' impact", By Catherine Belton and Kareem Fahim, The Washington Post, 5 August 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/08/05/russia-turkey-war-sanctions-trade/?utm_campaign=wp_main&utm_medium=social&utm_source=facebook&fbclid=IwAR0ZXsYCbGDbH-GMYLCpUgvq7iWlQMSvqeX1Hs-3gNmk21_pKEaZDfvdE8A

[16] "Turkish official casts doubt on report of new Russian air defense sale", by Reuters, 16 August 2022. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/russia-turkey-sign-contract-second-batch-s-400-air-defence-systems-tass-2022-08-16/

რომ მათი დღევანდელი პარტნიორობა არის წმინდა ,,სიტუაციური“ და მოკლევადიანი და სტრატეგიული პარტნიორობა მათ შორის ფაქტობრივად გამორიცხულია.

მით უმეტეს, ანკარას (უფრო სწორედ - ერდოღანს) კარგად ესმის, რომ ნებისმიერი დაახლოვება რუსეთთან და ირანთან კიდევ უფრო დააშორებს მას დასავლეთთან, რაც თურქეთის ხელმძღვანელობას არანაირად არ აწყობს. ერთია ანტიდასავლური რიტორიკა, რომლითაც გაჟღენთილია თურქეთის მასმედია და რომლის მიზეზებს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით, მაგრამ სულ სხვაა კავშირების გაწყვეტის და ახალი სანქციების საშიშროება, რასაც თურქეთის ეკონომიკა ვერ გაუძლებს.

რა უნდა ერდოღანს პუტინისგან?

მაგრამ დღესაც, დასავლეთთან გართულებული, მაგრამ მაინც ,,ნელთბილი“ ურთიერთობების ფონზე, თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ბოლო წლის განმავლობაში თურქული ლირა 55%-ით გაუფასურდა, საკმაოდ შეთხელდა უცხოური ვალუტის (დოლარი, ევრო) რეზერვები. ამ ტენდენციებმა შექმნა ბალანსის გადახდის საშიშროება, რაც უკიდურესაც სახიფათოა პოლიტიკურად 2023 წლის არჩევნების მოლოდინში. ამიტომაც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებში მონაწილეობა ძალიან მტკივნეულად დაარტყამდა თურქეთის ეკონომიკას არჩევნებამდე. დღეს კი რუსეთში 46%-ით გაზრდილი ექსპორტით (შარშანდელ პერიოდთან შედარებით) თურქეთი ხეირობს ეკონომიკურად.[17] პანდემიის ორი ჩავარდნილი ტურისტული ზაფხულის შემდეგ ხმელთაშუაზღვის სანაპირო ისევ აივსო რუსი დამსვენებლებით, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეღავათია. უამისოთ თურქეთის ეკონომიკას ძალიან გაუჭირდებოდა.

რამდენიმე დასავლელმა ოფიციალურმა პირმა გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ანკარა ხედავს დასავლური კომპანიების რუსეთიდან გამოსვლას, როგორც თურქული ბიზნესის ჩარევის შესაძლებლობას, რასაც თურქეთის ოფიციალური პირები არც უარყოფენ. მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ პოტენციური ქმედება გართულებულია მისი ნატოს წევრის სტატუსით (და თან სიდიდით მეორე ჯარით) და მისი როლით თითქმის 4 მილიონი სირიელი ლტოლვილის მიღების გამო. დასავლეთში აღიარებენ, რომ ერდოღანის უნარი, პუტინთან აწარმოოს მოლაპარაკებები, არის საკმაოდ დიდი შეღავათი და ამას ადასტურებს უკვე ნახსენები, თურქეთის პრეზიდენტის შუამავლობით მიღწეული ,,მარცვლეულის შეთანხმება“, რომელმაც უკრაინას საშუალება მისცა განაახლებინა მარცვლეულის საზღვაო ექსპორტი.

[17] “Surge in Turkish exports to Russia raises western fears of closer ties“, Financial Times, 16 August 2022. Available at: https://www.ft.com/content/caee1ae3-41c5-4c85-8d66-a8d3eea3112d

თურქეთს და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვა ხასიათდება ძლიერი დისბალანსით რუსეთის სასარგებლოდ. ამ დისბალანსის ლომის წილი ბუნებრივი აირისა და ნავთობპროდუქტებისგან შედგება. თურქეთისთვის რუსეთისგან ბუნებრივი აირის შესყიდვები სასიცოცხლოა (2021 წელს რუსეთის წილი იმპორტში 45% შეადგენდა), თანაც ანკარა, გაზს რუსეთიდან იაფად ყიდულობს. ამასთან, 2020 წლის იანვარში ამუშავებული ახალი გაზსადენი ,,თურქული ნაკადი", რომელსაც ყოველწლიურად 31 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გატარება შეუძლია, თურქეთს აქცევს ბუნებრივი აირის საკვანძო სახელმწიფოდ (ჰაბად). ამ როლის დაკარგვა კი, ქვეყნისთვის უმძიმესი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეტიული მარცხი იქნებოდა.

მაგრამ ამ ყველა გათვლის მიუხედავად, ერდოღანი, გაეროს გენ. მდივან გუტიერეშთან ერთად, 18 აგვისტოს ჩავიდა ქალაქ ლვივში პრეზიდენტ ზელენსკისთან შესახვედრად. მკაცრი სიტყვებით ერგოგანმა დაგმო რუსეთის ბირთვული შანტაჟი ზაპორიჟიეს სადგურზე და იმედი გამოთქვა, რომ დიპლომატია იმარჯვებს და ომი მოლაპარაკებების მაგიდასთან დასრულდება.[18]

დასავლეთი, როგორც შიდა პოლიტიკური ფაქტორი

ჩვენ საქართველოში ხშირად ვართ მოწმენი იმისა, თუ რაოდენ მწვავედ და მტკივნეულად აღიქმება პოლიტიკური სპექტრის და საზოგადოების ნაწილში რუსეთთან დაახლოება. ეს თემა - ვინ არის პრორუსული და ვინ არის პროდასავლური - საქართველოში პოლიტიკური დისკურსის და, ხშირად, სპეკულაციების მთავარი თემაა. თან, რამდენჯერმე კიდევ მარგინალური ჯგუფის გამონაკლისით, პრორუსულობა და რუსეთისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება ითვლება ან ცუდ ტონად ანდა პირდაპირ ღალატად. თურქეთში საპირისპირო სიტუაციაა: როგორც პოლიტიკურ წრეებში, კერძოდ, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, ასევე, საზოგადოების დიდ ნაწილში დისკურსი და ნარატივები არის ძირითადად ანტიდასავლური, უფრო ზუსტად კი ანტიიმპერიალისტური და დასავლეთი აღიქმება მეტწილად ნეოკოლონიალურ და ნეოიმპერიალისტურ კონტექსტში. ეს მოხდა ერდოღანის ,,სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" ხელისუფლებაში მოსვლიდან (2002 წლის ნოემბერი) 10-15 წლის განმავლობაში. ისტორიულად, სამხედრო ძალები თურქეთში იდგნენ ქამალისტური (ათათურქის) საერო და

[18] "Ukraine war: Erdogan and Guterres meet with Zelenskyy in a bid to halt the conflict", Euronews, 18 August 2022. Available at: https://www.euronews.com/2022/08/18/ukraine-war-erdogan-and-guterres-meet-with-zelenskyy-in-a-bid-to-halt-the-conflict

პროევროპული იდეების სადარაჯოზე და მათმა დასუსტებამ, ანუ დეფაქტო ნეიტრალიზაციამ, გამოიწვია ქვეყანაში ამ იდეების ნიველირება.

კიდევ ერთი ,,თურქული ფენომენი" (თუმცა ის სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება) არის ის, რომ რუსეთის ხელისუფლება და ზოგადად სახელმწიფო არ აღიქმება თურქეთში ,,მსოფლიო იმპერიალიზმის" ნაწილად. ამიტომ, როდესაც რუსეთი ეწინააღმდეგება დასავლეთს, ის თურქეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის სიმპატიებით სარგებლობს. ეს სენტიმენტი გამოჩნდა წინა თვეს, ფეხბურთის ევროპის ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი მატჩის დროს სტამბულის ფენერბახჩეს და კიევის დინამოს შორის. სტამბულის გულშემატკივრებმა მიიჩნიეს, რომ უკრაინელმა ფეხბურთელმა მათთვის დამამცირებლად აღნიშნა გოლის გატანა თურქული კლუბის კარში და დაიწყეს ,,ვლადიმირ პუტინის" სკანდირება.[19] სპეციალისტები თვლიან, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილის სიმპატია რუსეთის პრეზიდენტისადმი გამოხატავს ერდოღანის ხელისუფლების ბოლო ათწლეულის უკიდურესად ანტიდასავლურ რიტორიკას, რომლის შედეგად 24 თებერვლის აგრესიამდე ერთი თვით ადრე ჩინეთი და რუსეთი თურქეთში მეტი ნდობით სარგებლობდნენ ვიდრე აშშ და ევროკავშირი (39.4%, 37.5%-ის წინააღმდეგ).[20]

რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის და მათი ჯარის მიერ ჩადენილი ბარბაროსობის შემხედვარე, თურქეთის ხელისუფლება, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მეთაურობით, აქტიურად ცდილობს დასავლეთთან ალიანსის აღდგენას გრძელი უთანხმოების პერიოდის შემდეგ. ამისთვის, ნატოს სამიტში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად, ერდოღანი რამდენიმე დასავლელ ლიდერს მასპინძლობს. ხელისუფლების რიტორიკის და ქმედებების ცვლილების მიუხედავად, საზოგადოებას გარკვეული დრო დასჭირდება ახალი ნარატივების ასათვისებლად. თუმცა, საზოგადოებრივი აზრი გარკვეულწილად შეიცვალა ომის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში და მარტის გამოკითხვაში რუსეთის და ჩინეთის მომხრეების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 29.5% (10%-იანი ვარდნა), ხოლო ევროკავშირის და აშშ-ის მხარდამჭერების რაოდენობამ უმნიშვნელოდ მოიმატა და შეადგინა 39.3%. საინტერესოა გამოკითხვის დეტალური ცხრილიც, სადაც ამა თუ იმ პარტიის მომხრეების პოლიტიკური გემოვნებაა შეფასებული. მმართველი პარტიის მომხრეები

[19] "Ukraine war: Pro-Putin chants cause outrage at Turkish football match" by Matt Murphy, BBC News. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-62332847
[20] "Turkey's division between East and West", by İhsan Dağı, 25 April 2022, International Politics and Society. Available at: https://www.ips-journal.eu/topics/democracy-and-society/turkeys-divided-public-between-the-west-and-russia-5886/

ბევრად უფრო ანტიდასავლურ პოზიციებზე დგანან ვიდრე მთელი საზოგადოების საშუალო მონაცემები გვიჩვენებს.[21] ასევე, რუსეთის აგრესიის დაგმობის მიუხედავად, მეტი თურქი მიიჩნევს, რომ ომზე პასუხისმგებლობას ეკისრება შეერთებულ შტატებს და ნატოს (48.3%) და არა - რუსეთს (33.7%).

რა თქმა უნდა, 24 თებერვლის აგრესიის შემდეგ რუსეთს თურქეთის მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა ვერანაირად ვერ ექნება, თუმცა კვლევითი კომპანიის Aksoy Research-ის მარტში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა საზოგადოების საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება კონფლიქტის მიმართ. მხოლოდ 2,4% უჭერს მხარს რუსეთს, ხოლო 19,4% ნატოს და უკრაინას. რესპონდენტების უდიდესმა ნაწილმა - 78.2%-მა უპასუხა, რომ თურქეთმა ნეიტრალიტეტი უნდა შეინარჩუნოს. აგრეთვე, მოსახლეობის 63% თვლის, რომ რუსეთ-უკრაინის ომი უარყოფით გავლენას მოახდენს თურქეთზე.[22]



აგრეთვე, როდესაც თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი საუბრობს რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ხელყოფაზე და მსოფლიო და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნების პრობლემაზე, ის, ასევე, საუბრობს საერთაშორისო სისტემის გადახედვის აუცილებლობაზე, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისთვის ვეტოს უფლების ჩამორთმევაზე ან ძირეულ შეცვლაზე. 11 მარტს,

[21] "European Union and NATO", Metropoll, March 2022. Available at: https://metropoll.com.tr/upload/content/files/1908-eu-and-nato-section-tp-mar22.pdf
[22] "What Should Turkey Do in the Ukraine-Russia War?". Available at: https://www.turkeyresearchcompany.com/what-should-turkey-do-in-the-ukraine-russia-war/

ანტალიის დიპლომატიური ფორუმის გახსნაზე, სადაც უკრაინას და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მოხერხდა, ერდოღანმა განაცხადა: ,,აუცილებელია შეიქმნას ახალი გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც დაიცავს მშვიდობას სტატუსკვოს და მოემსახურება მთელ კაცობრიობას ხუთი ქვეყნის ინტერესების ნაცვლად".[23] თანაც, Metropoll-ის გამოკითხვაში, რომელიც მარტის ბოლოს ჩატარდა, თურქეთის გაცილებით მეტი მოქალაქე აშშ-ს მსოფლიოში ყველაზე დიდ საფრთხედ (51.7%) აღიქვამს, რუსეთი ,,შორეულ მეორე ადგილზეა" და მას მთავარ საფრთხედ 19.4% მიიჩნევს (თუმცა ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა იანვრის 5.1%-თან შედარებით).[24]

დასკვნა: მაშ სად დგას თურქეთი?

თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ თაიპ ერდოღანი და სახელისუფლებო პარტია დებდნენ ფსონს ანტიდასავლურ რიტორიკაზე. ეს ეხმარებოდა მათ არჩევნებში გამარჯვების მოპოვებაში და როდესაც ეს არ გამოსდიოდათ, არადემოკრატიული ქმედებებითა და პროვოკაციებით აიძულებდნენ არჩევნების მეორადი ვარიანტის ჩატარებას. ნატოს წევრობა იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიებს და სირიიდან მილიონობით ლტოლვილის შეფარება, რაც, თავისთავად, უდაოდ ჰუმანიტარული აქტია, ასევე, გამოიყენებოდა ევროპასთან ურთიერთობაში ბრიუსელისგან დათმობების და ფინანსური დახმარების მისაღწევად. ამავდროულად, თურქეთს საკმაოდ აქტიური ურთიერთობები ჰქონდა პუტინის რუსეთთან, მოუხედავად მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა რამდენიმე რეგიონში (სირია, ლიბია, სამხრეთ კავკასია). 24 თებერვალმა დიდი საფრთხის ქვეშ დააყენა წინა ათწლეულის ,,წონასწორობა" (თუმცა არც თუ ისე სტაბილური), როგორც ეკონომიკური, ასევე, უშიშროების კუთხით. ამიტომ, თურქეთი ცდილობს პირველ რიგში საკუთარი ინტერესებიდან იმოქმედოს, რაოდენ ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს და რაოდენ უკმაყოფილონიც არ უნდა იყვნენ ზოგჯერ დასავლელი პარტნიორები. ამასთან ერთად, წინა ათწლეული, დასავლეთთან გართულებული ურთიერთობებით, რუსეთზე საჭიროზე მეტად ეკონომიკური დამოკიდებულებით და მოსახლეობის დიდი ნაწილის ანტიდასავლური განწყობებით, წარმოადგენს იმ ,,ბალასტს", რომელიც აკნინებს ანკარის დიპლომატიურ მოქნილობას. ამიტომაც, მომდევნო თვეებში, ისევე, როგორც გასული 6 თვის განმავლობაში, ანკარა იმოქმედებს სიტუაციურად. ეს ნიშნავს, რომ

[23] "Turkey urges new global order amid war in Ukraine" by SEVİL ERKUŞ-ANTALYA, 11 March 2022. Available at: https://www.hurriyetdailynews.com/turkey-urges-new-global-order-amid-war-in-ukraine-172149
[24] "European Union and NATO", Metropoll, March 2022. Available at: https://metropoll.com.tr/upload/content/files/1908-eu-and-nato-section-tp-mar22.pdf

ზოგჯერ ის მოიქცევა როგორც დასავლეთის და ნატოს სანდო მოკავშირე, ხოლო ზოგჯერ კი - არა. სტაბილურობა და ეკონომიკური აღორძინება თურქეთის ხელისუფლებას სჭირდება მომავალი წლის არჩევნებისთვის და თუ დასავლეთიდან მოსული სიგნალები ანკარაში აღიქმება (შესაძლოა, განზრახ, პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად), როგორც არამეგობრული და მისი მთავარი კონკურენტის, უფრო პრო-დასავლური (რასაც მხარდამჭერთა გამოკითხვებიც ადასტურებს) და ლაიცისტური რესპუბლიკური სახალხო პარტიის, სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯები, უნდა ველოდოთ დასავლეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო გართულებას. ამიტომ, დასავლეთმა, როგორც შეერთებულმა შტატებმა, ასევე, ევროკავშირმა, თავიდან უნდა შეიმუშავონ პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება თურქეთს, გახდეს უფრო მკვეთრად დასავლური სახელმწიფო, როგორიც იყო 1990-2000-იანებში. ამისთვის, ყველაზე კარგი სცენარი იქნება რუსეთის დამარცხება ომში. მაგრამ თუკი ეს მარცხი მალე არ მოხდება, დღეს რუსეთს თავად სჭირდება ანკარისგან დახმარება და თურქეთს მეტი შესაძლებლობა ექნება, რომ დროთა განმავლობაში შეამციროს მისი დამოკიდებულება მოსკოვზე და ეკონომიკურად ბევრად უფრო სასარგებლო პარტნიორობა აღადგინოს დასავლეთთან. ამის ნათელი მაგალითია ერდოღანის გზავნილი „ყირიმის პლატფორმის“ მონაწილეებისთვის, რომ ყირიმი ისტორიულად უკრაინის განუყოფელი ნაწილია და თურქეთი სრულად უჭერს მხარს მის ტერიტორიულ მთლიანობას. 5 აგვისტოს სოჭის შეხვედრის პათოსისა და ერდოღანის ზემოხსენებული განცხადების შემდეგ, ისევე, როგორც ზელენსკისთან გაეროს გენერალური მდივნის თანხლებით შეხვედრის შემდეგ, კითხვა, თუ სად დგას თურქეთი, კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური. მასზე არ არსებობს მარტივი, ,,ორობითი“ შავ-თეთრი პასუხი, რამეთუ ანკარა საგრეო პარტნიორების შერჩევაში ნაკლებად იხელმძღანელებს პარტნიორის დამოკრატიულობით ან არადემოკრატიულობით, არამედ - საკუთარი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და შიდა სტაბილურობის ინტერესებით.

ბიბლიოგრაფია

- *Aksoy Arastirma Egitim ve Danismanlik Limited Şirketi, "What Should Turkey Do in the Ukraine-Russia War?". Available at: https://www.turkeyresearchcompany.com/what-should-turkey-do-in-the-ukraine-russia-war/*
- *Al Jazeera, "Turkey's Baykar drone company 'will never' supply Russia: CEO", 19 July 2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/7/19/turkish-firm-wont-supply-uavs-widely-used-by-ukraine-to-russia#:~:text=Ukraine%20has%20bought%20more%20than,since%20Russia's%20February%2024%20invasion*
- *Belton, Catherine, and Kareem Fahim, "Russia turns to Turkey, other trading partners to blunt sanctions' impact", the Washington Post, 5 August 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/08/05/russia-turkey-war-sanctions-trade/?utm_campaign=wp_main&utm_medium=social&utm_source=facebook&fbclid=IwAR0ZXsYCbGDbH-GMYLCpUgvq7iWlQMSvqeX1Hs-3gNmk21_pKEaZDfvdE8A*
- *Bloomberg, "The West Must Bridge the Global Divide Over Ukraine", June 6, 2022. Available at: https://www.bloomberg.com/opinion/articles/2022-06-06/the-west-is-behind-ukraine-the-developing-world-not-so-much*
- *Chrisafis, Angelique, "Marine Le Pen proposes closer Nato-Russia ties after Ukraine war", The Guardian, 13 April 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/apr/13/marine-le-pen-proposes-closer-nato-russia-ties-after-ukraine-war*
- *Dağı, İhsan, "Turkey's division between East and West", 25 April 2022, International Politics and Society. Available at: https://www.ips-journal.eu/topics/democracy-and-society/turkeys-divided-public-between-the-west-and-russia-5886/*
- *Daily Sabah, "Turkey has no intention of joining sanctions against Russia", 1 March 2022. Available at: https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/turkey-has-no-intention-of-joining-sanctions-against-russia*
- *Dickinson, Peter, The 2008 Russo-Georgian War: Putin's Green Light", Atlantic Council, August 2021. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/the-2008-russo-georgian-war-putins-green-light/*
- *Donley, Arvin, "Odesa official: Ukraine grain exports to begin soon", 27 July 2022. Available at: https://www.world-grain.com/articles/17231-odesa-official-ukraine-grain-exports-to-begin-soon#:~:text=Ukraine%20is%20a%20major%20grain,out%20of%20its%20southern%20ports*
- *ERKUŞ-ANTALYA, SEVİL, "Turkey urges new global order amid war in Ukraine", 11 March 2022. Available at: https://www.hurriyetdailynews.com/turkey-urges-new-global-order-amid-war-in-ukraine-172149*
- *Euronews, "Ukraine war: Erdogan and Guterres meet with Zelenskyy in a bid to halt the conflict",18 August 2022. Available at: https://www.euronews.com/2022/08/18/ukraine-war-erdogan-and-guterres-meet-with-zelenskyy-in-a-bid-to-halt-the-conflict*

- *Financial Times, "Surge in Turkish exports to Russia raises western fears of closer ties", 16 August 2022. Available at: https://www.ft.com/content/caee1ae3-41c5-4c85-8d66-a8d3eea3112d*
- *Galston, William, "Our Moral Obligation to Help Ukraine Against Russia", Wall Street Journal, March 2022. Available at: https://www.wsj.com/articles/america-us-moral-obligation-ukraine-russia-war-air-patrol-poland-polish-jets-aircraft-risk-nuclear-nato-putin-humanitarian-crisis-civilian-deaths-11647354056*
- *Macias, Amanda, "U.S. sanctions Turkey over purchase of Russian S-400 missile system", 14 December 2020. Available at: https://www.cnbc.com/2020/12/14/us-sanctions-turkey-over-russian-s400.html*
- *McGuinness, Damien, "Ukraine war: How Germany is getting rid of Russian oil", BBC News, 4 May 2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61318690*
- *Metropoll, "European Union and NATO", March 2022. Available at: https://metropoll.com.tr/upload/content/files/1908-eu-and-nato-section-tp-mar22.pdf*
- *Murphy, Matt, "Ukraine war: Pro-Putin chants cause outrage at Turkish football match", BBC News. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-62332847*
- *Reuters, "Turkish official casts doubt on report of new Russian air defense sale", 16 August 2022. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/russia-turkey-sign-contract-second-batch-s-400-air-defence-systems-tass-2022-08-16/*
- *TAVSAN, SINAN, "With drone gift to Ukraine, Turkey's Baykar wins fans and clients", Nikkei Asia, 29 June 2022. Available at: https://asia.nikkei.com/Politics/Ukraine-war/With-drone-gift-to-Ukraine-Turkey-s-Baykar-wins-fans-and-clients*
- *The European Parliament, "Turkey: persistently further from EU values and standards", 7 June 2022. Available at: https://www.europarl.europa.eu/news/pt/press-room/20220603IPR32136/turkey-persistently-further-from-eu-values-and-standards*
- *Westfall, Sammy, and Karina Tsui, "Pew poll: Global views on NATO and U.S. rise; for Russia, a decline", Washington Post, June 22, 2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/22/pew-poll-russia-nato-us/*

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა და ახალი შესაძლებლობა

(ალიანსში ფინეთისა და შვედეთის დაჩქარებული გაწევრინების გათვალისწინებით)

ავტორი: ელენე გოცაძე

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს შეიქმნა, მსოფლიოს ისტორიაში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებს შორის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი კავშირი აღმოჩნდა. 1949 წლის 4 აპრილს ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში 12-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც ევროპამ მის კონტინენტზე უსაფრთხოების გარანტიები, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი - თავისი ეროვნული ინტერესების გაძლიერება მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ერთობამ პირველ ეტაპზე მიაღწია წარმატებას - ცივი ომი დასრულდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა და მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შესაბამისად, საფრთხეებმაც სახე იცვალა. სწორედ, სახეცვლილი საფრთხეები განაპირობებს იმ ქაოსს, რომელიც დღეს კონტინენტზე მძვინვარებს და რომლის პირისპირ აღმოჩნდა საქართველოც.

ნატოში დღეს 30 წევრი ქვეყანაა და ის ერთ მილიარდ ადამიანს აერთიანებს. მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ნატომ მრავალი სირთულე გადალახა. მისი სტრუქტურა, მართვის ინსტიტუტები, ოპერატიული და სტრატეგიული შესაძლებლობები იმდენად მოქნილი და ეფექტური აღმოჩნდა, რომ ალიანსმა ყველა გამოწვევას ღირსეულად გაართვა თავი და კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნება უზრუნველყო. დღეს მისი კარი კვლავ ღიაა და ახლა უკვე შვედეთი და ფინეთი მიუსხდებიან „ძლიერთა მაგიდას“. ამით მათი ნეიტრალური სტატუსის ეფექტიანობის შესახებ არსებული მითი დასამარდა და ნატოს სახმელეთო საზღვარი რუსეთის ფედერაციას კიდევ უფრო მიუახლოვდა.

საინტერესოა, გავიხსენოთ ის გარემოება, რამაც ალიანსის შექმნა განაპირობა. სამწუხაროდ, ამ ასპექტის მინავლებამ განაპირობა ალიანსის „მოდუნება“ და მის სტრატეგიულ ამოცანასთან დაშორიშორება. საბჭოთა კავშირის ლიდერების მიზანს მსოფლიო მასშტაბით საბჭოთა კომუნისტური გავლენის გავრცელება წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირი ცდილობდა მოწინააღმდეგის სისუსტეების თავის სასარგებლოდ გამოყენებას როგორც ნატოს ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. აქვე, ნატოს წევრები ხაზს უსვამდნენ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მექანიზმებს, პროპაგანდას, სამხედრო შესაძლებლობებსა და დივერსიას, აგრეთვე კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებას და იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტს.[1]

საბჭოთა ოკუპაციისა და წითელი მსოფლმხედველობის შეჩერება, რომელიც მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფად მიიწევდა წინ, გახლდათ საბაბიც და მიზანიც, რამაც განაპირობა ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების გაფორმება. ალიანსმა ცალკეულ ეტაპზე ყველა გამოწვევის წარმატებით გამკლავება შეძლო. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ალიანსმა სტრატეგიული გამარჯვება მოიპოვა, საბჭოთა კავშირი დაიშალა და ცივი ომი დასრულებულად გამოცხადდა. მაგრამ დასრულდა კი? სწორედ აქ შეცდა დასავლეთი, რომელმაც ნაადრევად გადაწყვიტა ,,მოდუნება“ და რომელსაც, სამწუხაროდ, უპირატესობის მოპოვების

[1] Report by the Military Committee to the Defense Panning Committee MC14; 16 January. 1968. Available at: https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a680116a.pdf

შემდეგ „გამარჯვების სტრატეგია“ არ აღმოაჩნდა. ნატო რომ დროზე ადრე „მოდუნდა“, ამის შედეგს ჩვენ ახლა ვიმკით. სამწუხაროდ, საქართველომ და უკრაინამ ყველაზე სასტიკად იწვნია ,,დიდი რუსეთის“ ახალი ამბიციების მძიმე დარტყმა. დასავლეთის დემოკრატიულმა სამყარომ გამარჯვება გამოაცხადა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დამარცხებული რუსეთისთვის უარი ეთქვა მის იმპერიულ ზრახვებზე. პირიქით, ახალი ენერგიითა და გორჩაკოვისა[2] და გერასიმოვის[3] სტრატეგიებით აღჭურვილმა, ცხადად გამოავლინა თავისი მიზნები. ზუსტად ასე იყო, როცა სტუმრად მყოფ ამერიკის პრეზიდენტს საუზმეზე რუსეთის პრეზიდენტმა რუსული სამხედრო ჩექმით ანთებული „სამოვრიდან“ დაალევინა ჩაი და მსოფლიოს დაანახა, რომ რუსული ჩექმა მოდის![4]

საქართველოსა და უკრაინით რომ არ შემოიფარგლება რუსეთის მადა, ეს უკვე ცხადია. ამან განაპირობა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება როგორც სწრაფი რეაგირების ძალების განლაგებით, ასევე, ახალი სტრატეგიული იარაღისა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე თავდაცვის ზღუდის განთავსებით. ნატო ხაზს უსვამს, რომ ის ყველა არსებული საშუალებით დაიცავს თავის ტერიტორიას და მის წევრ სახელმწოფოებს. გადალახავს თუ არა რუსეთის ფედერაცია „წითელ ხაზს“, ამას უკრაინაში მიმდინარე სასტიკი ომი გადაწყვეტს. სწორედ ამიტომ იბრძვის იქ დასავლეთი და იქ წყდება, თუ როგორ მსოფლიოში მოგვიწევს ცხოვრება უახლოესი ათწლეულების მანძილზე მაინც.[5]

[2] ალექსანდრე გორჩაკოვი (1798-1883) - რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კანცლერი, დიპლომატი, პეტერბურგის მეცნიერებათა კადემიის საპატიო წევრი, მე-19 საუკუნიეს ერთ-ერთი გავლენიანი დიპლომატი. ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/biography/Aleksandr-Mikhaylovich-Prince-Gorchakov

[3] გენერალი ვალერი გერასიმოვი - დაიბადა 1955 წელს. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი. ის არის ავტორი ეგ წ. „გერასიმოვის დოქტრინის“, რომელიც სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სამხედრო, ტექნოლოგიური, დიპლომატიური, ეკონომიკური, საინფორმაციო, კულტურული და სხვა საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებს. ხელმისაწვდომია: https://www.iswresearch.org/2018/10/russia-in-review-gerasimov-doctrine-is.html

[4] 2009 წლის 7 ივლისი, რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ნოვო ოგარიავოში, რუსეთის ფედერაცია. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=5P1q3lDjBaI

[5] ნატოს სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელ გაცხადდა (განსაკუთრებით 2022 წლის თებერვლის შემდეგ), რომ ნატოს ტერიტორიის ერთი სანტიმეტრით

საინტერესოა, წარმოვიდგინოთ საქართველოს პოზიციონირება ახალ გეოპოლიტიკურ კონტექსტში და ის შესაძლებლობები, რაც ჩვენს დემოკრატიულ განვითარებას შეუწყობს ხელს და ჩვენს მყიფე სუვერენიტეტს მყარ გარანტიებს შესძენს.

დღეს საქართველო, უკრაინასა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ერთად, ნატოს ასპირანტ ქვეყნად რჩება. მართალია, საქართველოს ნატოში გაწევრიანების (ისევე, როგორც თავად ნატოს) მომავალი უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაღებულ სასტიკ ომში წყდება, მაგრამ ეს არ გვაძლევს არც ,,მოდუნების" და არც უკან დახევის უფლებას. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად იმ შესაძლებლობისთვის, რომელიც შესაძლოა მოულოდნელად გამოჩნდეს. ჩვენ სწრაფად ცვალებად გარემოში გვიწევს ცხოვრება და ასეთი შესაძლებლობა ძალიან სწრაფად, რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებისთანავე, შესაძლოა, დადგეს. უკრაინის გამარჯვება დემოკრატიული სამყაროს გამარჯვებად აღიქმება. გამარჯვების შემთხვევაში უკრაინას დაჭირდება ძლიერი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა. თუ დავუშვებთ, რომ უკრაინა გაიმარჯვებს, ის გახდება ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცისათვის ახალი მიმართულების განმსაზღვრელი და მასთან ჰორიზონტალურ სიბრტყეში თანამშრომლობა ყველა საერთაშორისო მოთამაშისთვის იქნება სასურველი. სტრატეგიული მარცხის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს თავის არსებობას და ვერც რაციონალური და პროგნოზირებადი მოთამაშე გახდება. როგორც კი მიეცემა შანსი, ის კვლავ შეუქმნის საფრთხეს მოქმედ საერთაშორისო წესრიგს. ამიტომ იქნება საჭირო იმ ქვეყნების უსაფრთხოების დაცვა და გამყარება, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სამეზობლოში მდებარეობენ და რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში ცდილობენ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების შექმნას. ამ ვითარებაში, შესაძლებელია ნატომ კვლავ გაფართოების ტალღა გამოაცხადოს და ახალ წევრებად მიიწვიოს უკრაინა და საქართველო (რა თქმა უნდა, ბოსნია-ჰერცეგოვინაც). საქართველო სწორედ ამ მომენტისთვის უნდა იყოს მზად; ხელისუფლება უნდა იყოს პროაქტიული და ჰქონდეს მკაფიო მესიჯები; ნატოსთან თანამშრომლობის ინსტრუმენტები მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ, ამასთან, უნდა გვქონდეს აქტიური დიალოგი უკრაინასთან, რათა ნატოში ინტეგრაციისა და გაწევრიანების პროცესში არ მოხდეს ჩვენი განცალკევება. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ერთ-ერთი გაცხადებული მიზეზი სწორედ უკრაინის ნატოში გაწევრიანების სურვილი გახდა, მაშინ ამ ომის დასრულების შემდეგ ნატოს პასუხი უნდა იყოს მკაფიო - გაფართოება და უკრაინისა და საქართველოს ალიანსში მიწვევა. ეს იქნება სწორედ რუსეთის სტრატეგიული მარცხი და ნატოს მკაფიო პასუხი, რომ მის და სხვა სუვერენული ქვეყნების ბედს მესამე სახელმწიფო ვერ გადაწყვეტს. ნატოს მხრიდან „ღია კარის პოლიტიკით"

გადაკვეთა ან მის წევრ ქვეყანაზე თავდასხმა იქნება ის წითელი ხაზი, რაზეც ალიანსს კოლექტიური პასუხი ექნება.

LAURENCE KOTLIKOFF. 2022. NATO must set additional red lines for Russia — immediately. THE HILL. Available at: https://thehill.com/opinion/national-security/598201-nato-must-set-additional-red-lines-for-russia-immediately/

ვაჭრობის შესაძლებლობის რუსეთისთვის არ მიცემა საქართველოსთვის გადამწყვეტია. ამ სცენარით ნატო კიდევ უფრო ძლიერი, რუსეთი - სტრატეგიულად დამარცხებული, საქართველო და უკრაინა კი გამარჯვებული გამოვა.

არსებობს მეორე არასასურველი სცენარი, რომლის მიხედვით რუსეთ-უკრაინის ომი ტრადიციული მოგებულ-წაგებულის დაზავებით არ დასრულდება და უკრაინის გვერდით მდგომი დემოკრატიული საზოგადოება დამარცხებული რუსეთის სახის შენარჩუნებას შეეცდება. ამ სცენარით გამარჯვებული უკრაინა კვლავ ევრო-ატლანტიკური სივრცის სტრატეგიული მოთამაშე იქნება, პატარა საქართველო კი რუსეთის გავლენის სფეროში მოექცევა. სამწუხაროდ, ეს რეალობა შეიძლება დადგეს, მით უმეტეს თუ ამას ჩვენ თავად შეუწყობთ ხელს და იმ დროს, როცა ჩვენთვის სასარგებლო მომენტი შეიქმნება ჩვენ უკვე გაცხადებული გვექნება, რომ ნატოში გაწევრიანება ჩვენი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტი არ არის. ასევე, რისკის შემცველია უკრაინის ხელისუფლებასთან კონფრონტაცია და ჩვენი პოზიციების დაშორიშორება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაფართოებას თავისი ლიმიტი აუცილებლად ექნება. ასევე, ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ის იქნება გაფართოების ბოლო ტალღა და ამის შემდეგ ალიანსი დიდხანს მხოლოდ მისი წევრების უსაფრთხოების გამყარებაზე იქნება კონცენტრირებული. ასეთი სცენარით ზიანდება საქართველო, რუსეთი შეძლებს სახის შენარჩუნებას და საქართველოს მის ორბიტაზე დაბრუნებას წარმატებად გაყიდის, განსაკუთრებით - შიდა აუდიტორიასთან. ამიტომ, ჩვენთვის სასი-ცოცხლოდ მნიშვნელოვანია, დავრჩეთ აქტიურ ასპირანტ სახელმწიფოდ და ხელიდან არ გავუშვათ ისტორიული შანსი, რომელიც, შესაძლოა, არც თუ ისე შორს იყოს.

ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების პროცესი ნატოში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოთა პოზიციონირებას ცვლის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ნატოს მომავალი გაფართოების შესახებ რთულია მკაფიოდ საუბარი, ყურადსაღებია ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკის დღემდე არსებული მექანიზმებისა და შვედეთისა და ფინეთის მაგალითები, რომლებმაც ალიანსში დაჩქარებული გაწევრიანების პრეცედენტი შექმნა.

შედეთისა და ფინეთის გაწევრიანება

პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საკნდინავიის ორი ძლიერი სახელმწიფო, შვედეთი და ფინეთი (ნორვეგიის სამეფო უკვე გახლავთ ნატოს წევრი ქვეყანა), ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ბოლო ეტაპს გადის და, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში ნატოს წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 32-ს შეადგენს.[6] ამ გადაწყვეტილებით, ნატომ აჩვენა, რომ:

1. ღია კარის პოლიტიკა გრძელდება;
2. ნატო არის მოქნილი და სწრაფად მოქმედების უნარი აქვს;
3. ალიანსში გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის დემოკრატიული და კონსენსუსის პრინციპი მუშაობს;

[6] საჭიროა ხელშეკრულების რატიფიცირებმა მოხდეს ეროვნული პარლამენტების მიერ.

4. გაწევრიანება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება;
5. გაწევრიანების მსურველი ქვეყანა მზად უნდა იყოს, რომ როცა ხელსაყრელი პოლიტიკური გარემოება შეიქმნება (ე.წ. მომენტუმი), დროულად და ეფექტურად გამოიყენოს შესაძლებლობა;
6. ასევე, რაც მთავარია, შეიქმნა პრეცედენტი და შეიცვალა გაწევრიანების ფორმულა: ფინეთი და შვედეთი „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“[7] გარეშე გახდებიან ალიანსის სრულუფლებიანი წევრები.

ღია კარის პოლიტიკა და გაფართოების დღემდე არსებული მექანიზები

ნატო ცოცხალი ორგანიზაციაა. მისი არებობის განმავლობაში და გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ალიანსმა გაფართოების 7 ტალღა გაიარა. თავად გაფართოება რთული, ხანგრძლივი და მკაცრად განსაზღვრული პროცესია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მე-10 მუხლში ვკითხულობთ: ,,ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, ხელშეკრულებაში გაწევრიანების მიზნით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეუძლიათ მოიწვიონ ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაბამისი შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და თავისი წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.“

ალიანსის შესაძლებლობები და პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება მისი მოწინააღმდეგების, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ნატოს ერთიანმა თავდაცვის ბიუჯეტმა დაახლოებით 959 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2018 წლის გათვლებით ნატოს ერთიანი თავდაცვის ბიუჯეტი 1 ტრილიონ აშშ დოლარს გადასცდა, საიდანაც 702 მილიარდი აშშ დოლარი მოდის აშშ-ზე, 21 მილიარდი აშშ დოლარი - კანადაზე, ხოლო 285,7 მილიარდი აშშ დოლარი - ნატოს ევროპელ მოკავშირეებზე. თუ შევადარებთ ნატოს მთავარი მოწინააღმდეგის, რუსეთის ფედერაციის, თავდაცვის ბიუჯეტს, რომელმაც 2017 წელს 66,3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ალიანსის უპირატესობა ერთმნიშვნელოვანია.[8]

ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც უკავშირდება ალიანსის გაფართოებას და გასაწევრიანებლად სახელმწიფოს მიწვევას, იღებს ჩრდიოატლანტიკური საბჭო. გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსის საფუძველზე. ნატოს არაწევრი სახელმწიფო ამგვარი გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობს. ნატოს კარი ღიაა სახელმწოფოსთვის, რომელიც მზადაა წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები შეასრულოს და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყოს ხელი. 1949 წლიდან ნატოს წევრ ქვეყანათა რაოდენობა, გაფართოების 7

[7] NATO. Membership Action Plan. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_37356.htm
[8] მიხეილ დარჩიაშვილი. ნატოს ჰიბრიდული საფრთხეების პოლიტიკა. წიგნიდან „ჰიბრიდული ომების ანატომია“.

ტალღის შედეგად, 12-დან 30-მდე გაიზარდა. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ გაფართოების ახალი, მე-8 ტალღისა, რის შემდეგაც ნატოს წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 32 გახდება და ნატოსა და რუსეთს შორის დღემდე არსებული 1250-კილომეტრიანი საზღვარი გაორმაგდება.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ გაფართოების პროცესი დებატების ფონზე მიმდინარეობდა. ანალიტიკოსები არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ გაფართოება სასურველ შედეგს მოიტანდა. ისინი შიშობდნენ, თუ როგორ აისახებოდა გაფართოების პოლიტიკა ალიანსის კავშირებსა და სოლიდარობაზე სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი - რუსეთთან.

მას შემდეგ, რაც ნატომ 1999 წელს ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მიიწვია,[9] დღის წესრიგში დადგა იმ მექანიზმის შემოღება, რომლებიც მომავალ გაფართოების ტალღებს გარკვეულ მიმართულებას მისცემდა. სწორედ 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე შეიმუშავეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს წევრობისთვის მომზადებაში დაეხმარებოდა. შესაბამისად, გაწევრიანების სამოქმედო გეგმა გაფართოების პროცესში სავალდებულო ეტაპად განისაზღვრა. ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია, ალბანეთი, მონტენეგრო და ჩრდილოეთ მაკედონია ალიანსის წევრები სწორედ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შესრულების შემდგომ გახდნენ.

ხსენებული პროცესი ამგვარად მიმდინარეობდა 2022 წლის მადრიდის სამიტამდე, როდესაც ფინეთმა და შვედეთმა ალიანსისგან ფორმალურად მიიღეს მიწვევა ისე, რომ მათ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ეტაპი არ გაუვლიათ. ამით შეიქმნა პრეცედენტი, რომელიც საქართველოსთვის ახალ შესაძლებლებას ხსნის და გვაძლევს საშუალებას, ნატოსთან დიპლომატიური მოლაპარაკებების სტრატეგია ახალი მიმართულებით წარვმართოთ. იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ ჩვენს წინაშე შექმნილი ახალი შესაძლებლობა, განვიხილოთ შვედეთისა და ფინეთის მაგალითები.

შვედეთი

შვედეთის სამეფო წარმოადგენს კონსტიტუციურ მონარქიას საპარლამენტო დემოკრატიის მმართველობის სტილით. მისი მოსახლეობა შეადგენს 10,456 მლნ მოქალაქეს. შვედეთი ორი საუკუნის მანძილზე ინარჩუნებდა ნეიტრალურ სტატუსს. ის ევროკავშირის წევრია, აქვს ძლიერი ეკონომიკა და სტაბილური პოლიტიკა. შვედეთსა და ნატოს შორის თანამშრომლობა დაიწყო 1996 წელს, როდესაც

[9] ეს ქვეყნები გახდნენ ნატოს წევრი პირველი სახელმწიფოები ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებიდან.

შვედეთი შეუერთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.[10] ბოლო პერიოდამდე ნატოსა და შვედეთის სამეფოს შორის თანამშრომლობა მიმდინარეობდა ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში (Individual Partnership Cooperation Programme (IPCP), რომელიც მხარეებს შორის თანხმდებოდა ორ წელიწადში ერთხელ.

შვედეთი აქტიურად მონაწილეობდა ნატოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში. 2014 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა შვედეთისთვის. რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ შვედეთის ხელისუფლებამ თავისი თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება გადაწყვიტა. შვედეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თავდაცვის ბიუჯეტი, ყოველწლიური მატების გათვალისწინებით, 2025 წლისთვის 95%-ით უნდა გაიზარდოს და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2% უნდა შეადგინოს. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება გაზარდონ შეიარაღებული ძალები 55000-დან 90000-მდე; შეიმუშავეს გაძლიერებული შესაძლებლობების გეგმა, რაც გულისხმობს ახალი წყალქვეშა ხომალდების, საფრენი აპარატების, კიბერ შესაძლებლობების შექმნა-შესყიდვას, დაიწყეს მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებთან პატრიოტის ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემების შესაძენად, განათავსეს სამხედრო დანაყოფები ბალტიის ზღვის კუნძულ გოთლანდზე. ასევე, განაახლეს სავალდებულო სამსახური, რომელიც 2010 წელს შეაჩერეს.[11]

შვედეთის ძლიერებას, აგრეთვე, მოწმობს მისი საავიაციო მრეწველობა და მზარდი საზღვაო შესაძლებლობები. შვედეთი ხშირად მონაწილეობდა ნატოს წვრთნებში და თავადაც უთმობდა მის სამხედრო ბაზებს ალიანსის წევრ ქვეყნებს სპეციალური ტიპის წვრთნებისა და ტრენინგებისათვის.

ფინეთი

ფინეთის რესპუბლიკა ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფოა. ის ესაზღვრება შვედეთს, ნორვეგიას, ესტონეთსა და რუსეთს. მისი მოსახლეობა შეადგენს 5.5 მლნ ადამიანს. ფინეთი საპარლამენტო ქვეყანაა. მას ხელმძღვანელობს პრემიერ მინისტრი. ფინეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. ის ამ დრომდე პოლიტიკურ მიუმხრებლობას იცავდა. ფინეთის სამხედრო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მაღალი იყო და მისი სამხედრო დოქტრინა ტოტალურ თავდაცვაზე იყო აგებული. მიმდინარე წლის

[10] 1994 წლის 10-11 იანვარს ნატომ წარადგინა პრაქტიკული თანამშრომლობის ორმხრივი პროგრამა - ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომელიც საშუალებას აძლევს პარტნიორ ქვეყნებს, დაამყარონ ინდივიდუალური ურთიერთობა ნატოსთან საკუთარი პრიორიტეტების არჩევის გზით თანამშრომლობისათვის.

[11] Gary Schmitt and Craig Kennedy. 2022. Sweden in NATO: Prepared from day one. Available at: https://thehill.com/opinion/national-security/3495813-sweden-in-nato-prepared-from-day-one/

თებერვალში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის კვალდაკვალ ფინეთის პოზიცია შეიცვალა. ფინეთი ნატოსთან აქტიურად თანამშრომლობდა სამშვიდობო ოპერაციებში, აწარმოებდნენ ერთობლივ წვრთნებს და ცვლიდნენ საიდუმლო ინფორმაციას. ფინეთის, ისევე როგორც შვედეთის, პრაქტიკული თანამშრომლობის საწყისი წერტილი იყო 1994 წელი, როდესაც ფინეთი შეუერთდა „პარნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას. ფინეთმა წვლილი შეიტანა ბალკანეთის, ერაყისა და ავღანეთის კამპანიებში. ის აქტიურად თანამშრომლობდა ნატოსთან სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის, ჰიბრიდული საფრთხეების შესწავლის, კიბერ უსაფრთხოების გაძლიერებისა და სხვადასხვა მიმართულებით.

2022 წლის ივნისში გამართულ ნატოს მადრიდში სამიტზე ფინეთმა და შვედეთმა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ ალიანსში ფორმალური მიწვევა მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ქვეყანას გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არ ჰქონდა, გაწევრიანების პროცესი უპრეცედენტოდ სწრაფად მიმდინარეობს. ძალიან მალე ორივე ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდებიან.

ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანება „ღია კარის“ პოლიტიკის გამარჯვება და რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული მარცხია. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის სამხედრო ბალანსის (2021 წელი) კვლევის მიხედვით, შვედეთის და ფინეთის ერთობლივი კონტრიბუცია მხოლოდ და მხოლოდ გააძლიერებს ალიანსის საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო შესაძლებლობებს.[12] ფინეთი ევროპაში მოწინავეა საარტილერიო საშუალებებით და აქვს უფრო მეტი საარტილერიო შესაძლებლობები ვიდრე საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. აღსანიშნავია, რომ შვედეთი და ფინეთი დიდი ხანია მონაწილეობენ ნატოს სხვადასხვა სწავლებაში, ალიანსში მათი გაწევრიანების შემდეგ კი მათი შესაძლებლობები სრულად იქნება ინტეგრირებული ალიანსის სამხედრო შესაძლებლობებში და მისი განუყოფელი ნაწილი გახდება.

ფინელები მალე გადავლენ ეფ-35 ტიპის თვითმფრინავებზე, რომლებსაც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი არმია (აშშ) იყენებს. შვედეთს არაჩვეულებრივი საზღვაო ძალები ჰყავს, ხოლო ფინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სახმელეთო ჯარი და საარტილერიო შესაძლებლობები აქვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხსენებული ორი სახელმწიფოს ალიანსში გაწევრიანებით, ბალტიის ზღვის სანაპიროს 95% ნატოს ტერიტორიაში მოექცევა.[13]

---

[12] Bradley Bowman, Ryan Brobst, Jack Sullivan, and John Hardie. 2022. Finland and Sweden in NATO are strategic assets, not liabilities. Available at: https://www.defensenews.com/opinion/commentary/2022/07/20/finland-and-sweden-in-nato-are-strategic-assets-not-liabilities/

[13] ია მეურმიშვილი. 2022. ბჟეზინსკი: ნატომ რუხი ზონების არსებობა უნდა დაასრულოს და თბილისს და კიევს მკაფიო სიგნალები გაუგზავნოს. ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/6645838.html

საზოგადოების მხარდაჭერა[14]

საზოგადოების მხარდაჭერა ნატოში გაწევრიანების გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ცხადია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად ქვეყნის განვითარების გზას და მის მომავალს ცვლის, საზოგადოების კონსენსუსს უნდა ემყარებოდეს. ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა შვედეთში, ისევე, როგორც ფინეთში, არასოდეს იყო მაღალი და 35-40%-ის ფარგლებში მერყეობდა. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სასტიკი ომის ფონზე, საზოგადოების მხარდაჭერა ორივე ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2022 წლის თებერვლამდე ფინელების 24% და შვედების 37% მხარს უჭერდა ნატოში გაწევრიანებას. 2022 წლის მაისს-ივნისში მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ახლა უკვე ფინელთა 76%, ხოლო შვედების 60% უჭერს მხარს მათი ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას.[15]



გახდება საქართველო ნატოს 33-ე წევრი სახელმწიფო?

შვედეთისა და ფინეთის მაგალითები საქართველოსთვის დიდწილად რელევანტურია და, ამიტომ, საჭიროა მათი გათვალისწინება. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს განვითარების გზა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას დაუკავშირდა. ამ გზას „საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნება“ ჰქვია და ის არ შეცვლილა 30 წლის განმავლობაში. პირიქით, უახლესი ისტორიის ყველა ეტაპზე ყველა მთავრობა დეკლარილებურად

[14] Jill Robbins. 2022. Support Grows in Finland, Sweden for NATO Membership. Available at: https://learningenglish.voanews.com/a/support-grows-in-finland-sweden-for-nato-membership/6469126.html
[15] Martin Armstrong. 2022. How Putin's War Pushed Finland and Sweden Toward NATO. Available at: https://www.statista.com/chart/27422/public-support-joining-nato-finland-sweden/

უჭერდა მხარს საქართველოს განვითარების ევროპულ გზას; ყველა ეტაპზე შეიმჩნეოდა პროგრესი ამ მიმართულებით.

შვედეთისა და ფინეთის მსგავსად, საქართველომ 1994 წლიდან დაიწყო ალიანსთან პრაქტიკული თანამშრომლობა, როდესაც საქართელოსთვისაც გაიხსნა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა. ნატო-საქართველოს ისტორიაში აღსანიშნავია 2002 წელს პრაღაში გამართული ნატოს სამიტი, რომელზეც საქართველოს მეორე პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, პირველად განაცხადა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

ნაბიჯ-ნაბიჯ ეს თანამშრომობა სხვადასხვა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში გადაიზარდა და დღეისათვის მან სტრატეგიული პარტნიორობის სახე მიიღო. გარდამტეხი ამ ურთიერთობებში 2008 წლის ბუქარესტის სამიტი აღმოჩნდა, სადაც წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდებოდა ალიანსის წევრი. ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და მნიშვნელოვან გზავნილად გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც დღესაც ჩვენი თანამშრომლობის ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს წარმოადგენს.

ფორმულა „მეტი ნატო საქართველოში“ ქვეყნის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. ეს თანამშრომლობა განაპირობებს საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. სამხედრო თვალსაზრისით საქართველო მუდმივად მაღალ შეფასებას იმსახურებდა. მათ შორის, ეს მზადყოფნა არაერთხელ დაიტესტა როგორც ავღანეთში, ისე ერაყსა და კოსოვოში. საქართველოში თანდათან შეიქმნა ნატოს სამხედრო და სამოქალაქო ცენტრები. 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო „ნატო-საქართველოს არსებითი შესაძლებლობების პაკეტი“,[16] რომლის მიზანს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და ნატოსთან თავსებადობის ამაღლება წარმოადგენს. წლიური სამოქმედო გეგმის[17] შესრულებითა და

[16] 2014 წლის ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში, მოკავშირეები შეთანხმდნენ საქართველოსთვის „არსებითი პაკეტის" შემუშავების თაობაზე. პროგრამის მიზანია, თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლებისა და ალიანსთან თავსებადობის გაზრდის მიზნით.

[17] 2008 წლის დეკემბერში ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო შეიმუშავებს წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP), რომელიც დაფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო რეფორმა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება და სხვ. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ANP-ის შემუშავება ხელს შეუწყობს

ნატო საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ინიციატივების ეფექტიანად განხორციელებით, საქართველო მუდმივად აუმჯობესებს მის თავდაცვისუნარიანობასა და ნატოსტან თავსებადობის ხარისხს. 2015 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას, ასევე, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოში რეგულარულად ტარდება სამხედრო წვრთნები ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და და თავსებადობის ამაღლებას.

ალიანსმა უელსის სამიტზე კიდევ ერთი მნიშნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ნატოს გადაწყვეტილებით, „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის" ფარგლებში (Partnership Interoperability Initiative), საქართველო, შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასა და იორდანიასთან ერთად, ჩაერთო და გაწევრიანდა თავსებადობის პლატფორმისა (Interoperability Platform) და გაძლიერებული შესალებლობების პარტნიორების ჯგუფში (Enhanced Opportunity Partners Group). აღნიშნული ფორმატი ჯგუფში შემავალ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ალიანსის სტრატეგიული მნიშვნელობის დისკუსიებში, გაცვალონ ინფორმაცია ნატოსა და მოკავშირეებთან, ჩაერთონ ოპერაციების საწყისი ფაზის დაგეგმვაში და ჰყავდეს მეტი წარმომადგენელი ნატოს სტრუქტურებ-ში.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო ევროპის ნაწილია და ეს საკითხი განხილვას (მით უმეტეს გადახედვას) არც ალიანსში და არც მის რომელიმე წევრ ქვეყანაში არ ექვემდებარება. ამასთან, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფება და, თავის მხრივ, ნატოს მზაობა, რომ საქართველო გახდეს მისი წევრი, უმაღლეს დონეზე არაერთხელ დაფიქსირდა და ამის ყველაზე ნათელი გამოხატულება 2008 წლის ბუქარესტის სამიტის ჩანაწერია. ასევე, ნატოს კომუნიკეში ჩაიწერა, რომ საქართველოს აქვს ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა გაწევრიანების გზაზე ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის. ეს ინსტრუმენტები გახლავთ ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებების პაკეტი.

საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების საკითხი აქტუალობას არ კარგავს, რასაც საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და საზოგადოების მაღალი მხარდაჭერა ამტკიცებდს. საქართველოს შემთხვევაში, ნატოში გაწევრიანების მზარდაჭერის მაჩვენებელი 70%-ზე დაბალი არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხზე საზოგადოებაში კონსენსუსია. მხარდაჭერა კიდევ უფრო იზრდება რუსეთის აგრესიის ზრდის პროპორციულად.

საქართველოს, წარმატებით გაატაროს რეფორმები, რომლებსაც ისინი ყოველწლიურად შეაფასებენ.

დასკვნა

ბოლო ათწლეულში, ნატოსთან პოლიტიკური დიალოგის დროს, შეგნებულად ვცდილობდით გვესაუბრა „გაწერიანებაზე“ და არა - „ინტეგრაციაზე“ (ვინაიდან ვფიქრობდით, რომ ინტეგრაციის გზა საქართველომ წარმატებით გაიარა და ახლა გაწევრაიების ამოცანის წინ ვიდექით). ამით მუდმივად ვუსვამდით ხაზს საქართველოს ამბიციას და ნატოს წევრობისთვის მზაობას. პარალელურად, ვემზადებოდით და ყოველწლიური შეფასებებით მუდმივად წარჩინებულთა რიგებში ვიყავით, მაგრამ თავად ნატოში პოლიტიკური კონსენსუსი საქართველოს შემთხვევაში არ შედგა. ამით კი რუსეთი არაფორმალური ვეტოს ძალას იძენდა და ოსტატურად იყენებდა ევროპის ქვეყნებში მის პოლიტიკურ გავლენასა თუ ბუნებრივი რესურსებით მანიპულირების უნარს.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ნატოს სამიტებსა და მინისტერიალებზე მუდმივად ხდებოდა ხაზგასმა, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა აუცილებელი ნაბიჯი იყო გაწევრიანების პროცესის დასასრულებლად და სწორედ ეს მექანიზმი იქცა ჩვენთვის „აქილევსის ქუსლად“. ამის გათვალისწინებით, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების პროცესი ახალი პრეცედენტია და ჩვენს წინააღმდეგ შეკრული წრის გარღვევის საშუალებას გვაძლევს.

საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრიანების გზაზე „ღია კარს“ მიღმა აღმოჩნდნენ მაშინ, როდესაც შვედეთსა და ფინეთს წევრობისთვის დიდხანს ლოდინი არ დასჭირდათ. შესაძლოა, ეს გარემოება პესიმისტებმა ისტორიულ უსამართლობად შეაფასონ, ოპტიმისტებმა კი კარგი მაგალითი და ახალი შესაძლებლობა დაინახონ, თუმცა, რეალპოლიტიკის პირობებში, საჭიროა მეტი დაკვირვება, რა უნდა ვისწავლოთ იმ ახალი მოცემულობიდან, რამაც ნატო რუსეთის საზღვრებთან მიაახლოვა.

ამ შემთხვევაში, შვედეთისა და ფინეთის უპირატესობა ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, მყარი სახელმწიფო ინსტიტუტები და ძლიერი უსაფრთხოებისა და თვადაცვის სისტემები იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმებს ისინი უკვე აკმაყოფილებდნენ და ყოველგვარი დათქმის გარეშე მზად აღმოჩნდნენ, რომ საჭირო დროს საჭირო ნაბიჯი გადაედგათ. უნდა აღინიშნოს, რომ ნატოში გაწევრიანების გზაზე საქართველოს შვედეთსა და ფინეთთან მსგავსებაც აქვს. „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის“ ფარგლებში, საქართველო შვედეთსა და ფინეთთან ერთად ჩაერთო და გაწევრიანდა თავსებადობის პლატფორმისა და გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების ჯგუფში, ანუ ეს სამი სახელმწიფო ერთ ჯგუფში აღმოჩნდა. სამივე სახელმწიფო ნატოს სერიოზული პარტნიორია და ინტენსიურად მონაწილეობს ნატოს საწვრთნელ მისიებში. ამ სამი სახელმწიფოდან ორი გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გარეშე ხდება ნატოს წევრი. ჩვენ, როგორც ამ ჯგუფის ერთ-ერთი სახელმწიფო, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ამ ჯგუფიდან არ გამოვითიშოთ და ასპირანტი ქვეყნების რიგებიდან ჩვეულებრივ პარტნიორთა რიგებში არ გადავინაცვლოთ.

სამუშაო ყოველთვის არის, გაჩერება არ შეიძლება. თავდაცვისუნარიანობის მუდმივი ამაღლება ჩვენი უპირველესი ამოცანაა. ქვეყნის ნატოში გაწევრიანების პროცესში პოლიტიკური რეფორმებისა და აღებული ვალდებულებების

განხორციელება უმნიშვნელოვანესია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი თვითმიზანი ხომ ნატოში გაწევრიანება არ არის. ჩვენი თვითმიზანი დემოკრატიული, ევროპული და უსაფრთხო ქვეყნის აშენებაა. უსაფრთხოება კი განვითარების წინაპირობაა. ისტორიამ აჩვენა, რომ „ვარშავის პაქტისა“ და საბჭოთა კავშირის ყოფილი სახელმწიფოები ჯერ ნატოს წევრები გახდნენ და მიიღეს რა უსაფრთხოების გარანტიები, მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ უკვე პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების - ევროკავშირის წევრები. ევროკავშირში დაიწყო მათი სტაბილური განვითარება. დღეს ევროპამ კეთილდღეობის წარმოუდგენელ დონეს მიაღწია; კონტინენტზე მშვიდობა 70 წელზე მეტია არ დარღვეულა და ეს განვითარების წინაპირობა გახდა. ევროპულ სივრცეში გაერთიანებულ 500 მილიონ ადამიანს კარგად ესმის, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას, ერთად თანაცხოვრება სჯობს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია აღმოჩნდა და ეს სიძლიერე დიდწილად ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობამ განაპირობა. მან ყველა გამოწვევას გაართვა თავი და ევროპის კონტინენტზე ათწლეულების განმავლობაში მშვიდობის შენარჩუნება მოახერხა. დღეს მშვიდობა მყიფეა და ევრო-ამერიკული ერთობა ახალ გამოცდას გადის. ევროპის კონტინენტზე ისევ ქვემეხები აგუგუნდნენ. 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-უკრაინის ომი ნატოს წინაშე არსებული ყველაზე დიდი გამოწვევაა.

ჩვენ ვაკვირდებით შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების პროცესს. ვიმედოვნოთ, ნატოს ღია კარის პოლიტიკა კვლავ გაგრძელდება და მიაღწევს იმ ნიშნულს, როცა მისი ქოლგის ქვეშ აღმოჩნდება ყველა ის ქვეყანა, რომელსაც თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნების გზად ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოთა გვერდით თანაცხოვრება სურს.

რეგიონში შექმნილი ახალი ვითარება, საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტების გადახედვის წინაპირობად კი არა, არამედ უკვე განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა აქტიური კონსულტაციების გამართვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - გარეთ. როგორი იქნება ნატოს გადაწყვეტილების მიღების მოქნილობა უახლოეს პერიოდში ან რამდენად იქნება ალიანსი მზად სწრაფი გადაწყვეტილებისათვის, რთული სათქმელია, თუმცა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და წარმართოს აქტიური დიპლომატიური კამპანია და ამოცანებზე მორგებული სტრატეგია.

აუცილებელია გავაძლიეროთ ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმები იმ ქვეყნებთან, რომელიც ამავე დროს ნატოს წევრები არიან. ალიანსში საქართველოს მხარდამჭერთა რიცხვს ფინეთი და შვედეთი ემტება და მათი მხარდაჭერის მობილიზება საქართველოს საკითხის მიმართ ალიანსში კონსენსუსის მიღწევაში, ასევე, მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში, თუ ალიანსი კვლავ არ აღმოჩნდება მზად საქართველოს მისაღებად, ჩვენი თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარანტიები სტრატეგიულ პარტნიორებთან ნდობაზე დამყარებული მყარი და გაძლიერებული თანამშრომლობით უნდა ჩავანაცვლოთ. ორივე შემთხვევაში, სამუშაო ბევრია, მიზანი კი ერთი - დამოუკიდებლობისა და ქვეყნის უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია:

- *დარჩიაშვილი, მიხეილ. 2020. ნატოს ჰიბრიდული საფრთხეების პოლიტიკა. წიგნიდან „ჰიბრიდული ომების ანატომია";*
- *მეურმიშვილი, ია. 2022. ბჟეზინსკი: ნატომ რუხი ზონების არსებობა უნდა დაასრულოს და თბილისს და კიევს მკაფიო სიგნალები გაუგზავნოს. ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/6645838.html*
- *ნატო და ევროკავშირი - საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, ნატოსა და ევროკავშრის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, 2015;*
- *რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ნოვო ოგარიავოში, რუსეთის ფედერაცია. 2009 წლის 7 ივლისი. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=5P1q3IDjBaI*
- *Armstrong, Martin. 2022. How Putin's War Pushed Finland and Sweden Toward NATO. Available at: https://www.statista.com/chart/27422/public-support-joining-nato-finland-sweden/*
- *Bowman, Bradley, Ryan Brobst, Jack Sullivan, and John Hardie. 2022. Finland and Sweden in NATO are strategic assets, not liabilities. Available at: https://www.defensenews.com/opinion/commentary/2022/07/20/finland-and-sweden-in-nato-are-strategic-assets-not-liabilities/*
- *KOTLIKOFF, LAURENCE. 2022. NATO must set additional red lines for Russia — immediately. THE HILL. Available at: https://thehill.com/opinion/national-security/598201-nato-must-set-additional-red-lines-for-russia-immediately/*
- *NATO. Membership Action Plan. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_37356.htm*
- *Report by the Military Committee to the Defense Panning Committee MC14; 16 January. 1968. Available at: https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a680116a.pdf*
- *Robbins, Jill. 2022. Support Grows in Finland, Sweden for NATO Membership. Available at: https://learningenglish.voanews.com/a/support-grows-in-finland-sweden-for-nato-membership/6469126.html*
- *Schmitt, Gary, and Craig Kennedy. 2022. Sweden in NATO: Prepared from day one. Available at: https://thehill.com/opinion/national-security/3495813-sweden-in-nato-prepared-from-day-one/*
- *Secor, Laura. 2022. Henry Kissinger Is Worried About 'Disequilibrium'. The Wall Street Journal. Available at: https://www.wsj.com/amp/articles/henry-kissinger-is-worried-about-disequilibrium-11660325251*

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

რუსეთის ომი უკრაინაში, როგორც NATO-ს შემაკავში-რებელი ფაქტორი

ავტორი: იაკობ ლაჩაშვილი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

უკრაინაში არაპროვოცირებული და გაუმართლებელი შეჭრის ერთ-ერთ მთავარ გამამართლებელ არგუმენტად რუსეთის ლიდერები, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჩათვლით, NATO-ს, კერძოდ კი - რუსეთისადმი აგრესიულობას, რუსეთის საზღვრებთან მიახლოებასა და რუსეთისთვის ეგზისტენციალური საფრთხის შექმნას ასახელებდნენ. ომის წინა პერიოდის კრიზისის დროს, როდესაც უკრაინის საზღვრებთან რუსეთმა ჯარის დიდი ნაწილი გადაისროლა და უკრაინას აშანტაჟებდა, უკრაინისგან NATO-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას მოითხოვდა, რადგან NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოება და უკრაინის ალიანსში გაწევრიანება კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნდა. კრიზისის დროს, რუსეთმა თავისი მოთხოვნები აშშ-სა[1] და NATO-სადმი[2] - ე.წ. უსაფრთხოების გარანტიები - საჯაროდაც გამოაქვეყნა. მათში საუბარი იყო, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს არ გამოეყენებინათ სხვა სახელმწიფოს ტერიტორია ერთმანეთზე თავდასხმისთვის ან თავდასხმის მოსამზადებლად, NATO აღარ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით და უარს იტყოდა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც უკრაინა და საქართველო NATO-ს წევრები გახდებიან.

21 თებერვალს პუტინი კვლავ NATO-სგან მომდინარე საფრთხეზე საუბრობდა და მას რუსეთის მთავარი ოპონენტი უწოდა, რომელსაც შეეძლო უკრაინა რუსეთზე თავდასხმისათვის პლაცდარმად გამოეყენებინა. უკრაინის NATO-ს წევრობის საწინააღმდეგო მოთხოვნა პუტინმა სრულმასშტაბიან შეჭრამდე ორი დღით ადრე, 22 თებერვალსაც კი გააჟღერა. მის არგუმენტით, კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუ კიევის რეჟიმი თავად იტყოდა უარს NATO-ში გაწევრიანებაზე და ნეიტრალიტეტს აირჩევდა, რათა დასავლეთს სახე

[1] Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Treaty between The United States of America and the Russian Federation on security guarantees. 2021. Available at: https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790818/?lang=en

[2] Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Agreement on measures to ensure the security of The Russian Federation and member States of the North Atlantic Treaty Organization. 2021. Available at: https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790803/?lang=en&clear_cache=Y

შეენარჩუნებინა[3] - ე.ი. დასავლეთს არ დასჭირვებოდა, განეცხადებინა, რომ უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ვერ გახდებოდა, რითაც 2008 წლის NATO-ს ბუქარესტის სამიტის დეკლარაციით მიცემულ პირობას დაარღვევდა.

მართლა უქმნის თუ არა NATO, რომელიც თავდაცვით ალიანსს წარმოადგენს, რუსეთს უსაფრთხოების გამოწვევას, თუ ეს ერთგვარი გამოგონილი საფრთხეა, ცალკე განსჯის საგანია. თუმცა ერთი რამ ფაქტია, რომ უკრაინაში ომის დაწყების წინ რუსეთი სწორებას დიდწილად მაინც NATO-ზე აკეთებდა და უკრაინაზე თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ უკრაინის NATO-ში გაწევრიანებისადმი მისწრაფება იყო. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის NATO-სადმი სწრაფვა არაა, თავის მხრივ, უარყოფითი მოვლენა ან ომის გაჩაღებაში უკრაინის დადანაშაულების საბაბი, რამეთუ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, თავად განსაზღვროს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ვექტორი. თუმცა, ეს კრემლის გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. სხვა სტრატეგიულ ამოცანებთან ერთად, უკრაინაზე თავდასხმით რუსეთი მიზნად ისახავდა/ისახავს NATO-ს დასუსტებას - აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებითა და NATO-ს აღმოსავლეთით, კერძოდ, უკრაინაში (და, ასევე, საქართველოში) გაფართოების შეჩერებით; ასევე, რუსეთი ომთან დაკავშირებით NATO-ში შიდა დაპირისპირებასა და უთანხმოების გაჩენის იმედოვნებდა, რაც, ერთი მხრივ, შეუძლებელს გახდიდა რუსეთისადმი ერთიანი მძლავრი ერთიანი პოზიციის დაფიქსირებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების, ხოლო, მეორე მხრივ, NATO-ს დაასუსტებდა. თუმცა მოვლენები მოსკოვისთვის გეგმის მიხედვით არ განვითარდა რამდენიმე კუთხით, მათ შორის, არ გამართლდა NATO-ს ქცევის შესახებ მოლოდინები. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრა რუსეთისთვის კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა და NATO-ს შეკავშირება გამოიწვია. აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, განაცხადა, რომ პუტინი NATO-ს გახლეჩილობას იმედოვნება, თუმცა ის იღებს ზუსტად იმის საწინააღმდეგოს, რაც მას სურდა.[4] მსგავსი შეფასება გამოთქვა უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმაც,

[3] Жанна Звягина. Путин призвал Украину самостоятельно отказаться от вступления в НАТО. 2022. «Парламентская газета». https://www.pnp.ru/politics/putin-prizval-ukrainu-samostoyatelno-otkazatsya-ot-vstupleniya-v-nato.html

[4] ABC News. Rare show of unity as NATO meets over war in Ukraine. 2022. Available at: https://www.youtube.com/watch?v=zL5nEquSDyM

რომლის აზრითაც, ომმა NATO და ევროკავშირი გააერთიანა.[5] ომის ფონზე NATO-ს გაერთიანებაზე ბევრი იწერება მედიაშიც და აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ანალიტიკურ წრეებშიც. მოცემული სტატია სწორედ NATO-ს შეკავშირებულობის საკითხის განხილვას ემსახურება. კერძოდ, იქნება მცდელობა, გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რამდენად შეკავშირებულია NATO უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე - ე.ი. რამდენად გააერთიანა, ან, პირიქით, დაჰყო დასავლეთი უკრაინაში მიმდინარე ომმა. მასში გაანალიზებული იქნება NATO-ს მდგომარეობა და ერთიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები ომის წინა პერიოდში, NATO-ს შეკავშირებულობის გამოხატულებები და მათი მიზეზები/საფუძვლები და პრობლემები, რომლებსაც NATO დღეს აწყდება და რომლებიც მის ერთიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

NATO ომის გარიჟრაჟზე

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, NATO-ს ერთიანობის საკითხზე მსჯელობა შეუძლებელი იქნება ომამდე NATO-ს მდგომარეობის, რელევანტური მოვლენებისა და კონტექსტის განხილვის გარეშე. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ეს თავი უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთის მოლოდინების შესახებ შესავალში გამოთქმული მოსაზრების უფრო ვრცლად განხილვით დაიწყება.

2008 წლის ბუქარესტის სამიტის ზემოხსენებული ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ, რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ, ხოლო 2014 წელს უკრაინის მიმართ (ყირიმის ანექსია და დონბასის რეგიონში სეპარატიზმის გაღვივება და საბრძოლო მოქმედებების წარმოება) აგრესია განახორციელა და ქვეყნების ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია/ანექსია მოახდინა, რითაც, სხვა მიზნებს შორის, მათი განვითარებისა და დასავლურ სტრუქტურებში, როგორიც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაა, ინტეგრაციის შეფერხება სურდა. 2008 წლის აგვისტოს ომს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რუსეთისათვის მძიმე პასუხი არ მოჰყოლია - კერძოდ, არ დაწესებულა სანქციები, დასავლეთმა რუსეთთან ომიდან სულ მალევე ურთიერთობა სტანდარტულ სამუშაო რეჟიმში განაგრძო, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, რუსეთთან მიმართებით ე.წ. „გადატვირთვის პოლიტიკის“ გატარებაც კი სცადა. 2014 წლის

[5] Peter Kenny. Russia-Ukraine war has united Europe, NATO: Ukraine's president. 2022. Available at: https://www.aa.com.tr/en/europe/russia-ukraine-war-has-united-europe-nato-ukraines-president/2629928

უკრაინის მოვლენებს მეტი საერთაშორისო გამოხმაურება და რუსეთზე დაწესებული სანქციები მოჰყვა, თუმცა ისინი განსაკუთრებით მკაცრი არ ყოფილა და რუსეთი აღნიშნული სანქციების პირობებში ცხოვრებას მარტივად შეეგუა; ასევე, არ მომხდარა რუსეთის იზოლაცია არც პოლიტიკურ-დიპლომატიურ და არც ეკონომიკურ ჭრილში. შეიძლება ითქვას, რომ წინა ორი აგრესია, რასაც სირიაში ასადის რეჟიმის სამხედრო ჩართვის მხარდაჭერაც მოჰყვა, რუსეთს მეტ-ნაკლებად მარტივად გამოუვიდა და საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტური ნორმების დარღვევისთვის ადეკვატური საფასური არ გადაუხდია. მოვლენათა მსგავსი განვითარება კი საერთაშორისო არენაზე რუსეთს უფრო ძლიერ ძალად, ხოლო NATO-ს უფრო სუსტ ან ნაკლებად ქმედითუნარიან მოთამაშედ წარმოაჩენდა. წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბუნებრივია, უკრაინაში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებისას კრემლში მორიგ „მარტივ გასეირნებას“ ელოდნენ და დასავლეთის მხრიდან მსგავსი ერთიანი და მძაფრი პასუხი მოსალოდნელი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ომის წინა კრიზისის პერიოდში მოვლენების ამგვარად განვითარების გარკვეული კონტურები უკვე გამოკვეთილი იყო.

გარდა უახლესი წარსულის გამოცდილებისა, რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე NATO-ს მოკავშირეების მტკიცე პასუხისა და ერთიანობის ჩვენების ნაკლებ მოლოდინს თავად NATO-ს შიდა მდგომარეობა იწვევდა. შეიძლება ითქვას, რომ NATO ერთგვარი შიდა კრიზისის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 2019 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, განაცხადა, რომ NATO-ს „ტვინი მკვდარი“ იყო, როდესაც ის აშშ-ის, როგორც მთავარი უსაფრთხოების გარანტორის, ალიანსისადმი მხარდაჭერისა და პასუხისმგებლობის შემცირებასა და აშშ-ის მიერ ჩრდილოეთ სირიიდან ძალების გაყვანამდე NATO-ს მოკავშირეებთან კონსულტაციების გაუმართაობის შესახებ აკეთებდა კომენტარს. მაკრონის მოსაზრება არ გაიზიარა, მაგალითად, NATO-ს მოკავშირე გერმანიამ, რომლის იმდროინდელმა კანცლერმა, ანგელა მერკელმა, რომელმაც პრობლემების არსებობა აღიარა, თუმცა ფრანგი კოლეგის მკაცრ შეფასებას არ დაეთანხმა. საგულისხმოა, რომ მაკრონის აღნიშნულ განცხადებას თანამოაზრეები მოსკოვში გამოუჩნდნენ - კრემლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს NATO-სთვის ზიანის მიყენება წარმოადგენს, მათ შორის, რეპუტაციული სახის დარტყმების სახითაც და შესაბამისად, საფრანგეთის პრეზიდენტის გამონათქვამი მათთვის კარგ შესაძლებლობას ქმნიდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა, მარია ზახაროვამ, განაცხადა, რომ ეს NATO-ს

იმჟამინდელი მდგომარეობის ზუსტი აღწერა იყო.[6] აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი NATO-სადმი და ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი გარკვეულწილად სკეპტიკურად იყო განწყობილი და ევროპელი მოკავშირეებისგან საკუთარი თავდაცვისთვის მეტის გაღებას მოითხოვდა. ტრამპმა NATO-ს მოძველებულიც კი უწოდა.[7] თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის, NATO-სადმი გატარებულ პოლიტიკაში, ტრამპის რიტორიკა და ქმედებები ერთმანეთთან თანხვედრაში არ იყო - ტრამპის განცხადებები ხშირად მეტად რადიკალური იყო, რის გამოსწორებასაც შემდგომ მისი ადმინისტრაცია ცდილობდა. ასევე, ტრამპმა საკუთარი სიტყვების გამოსწორება სცადა და განაცხადა, რომ NATO მოძველებული (obsolete) იყო, მაგრამ ამჟამად უკვე აღარ.[8] მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში გატარებული ქმედებები დონალდ ტრამპის განცხადებებისავით მკვეთრი არ ყოფილა, რადიკალური რიტორიკა მოკავშირეებში გარკვეულწილად ამცირებდა ნდობას აშშ-ის მიერ ევროპის დაცვისათვის არსებული სრული მზაობისადმი. პირვანდელი გამონათქვამის გამოსწორების მიუხედავად, ზიანი უკვე დამდგარი იყო - ევროპელი მოკავშირეები ტრამპის მიდგომით აღშფოთდნენ და შეშინდნენ და აშშ-ისადმი, როგორც უსაფრთხოების მთავარი გარანტორისამი, ნდობა შესუსტდა. ფაქტი, რომ NATO-ს უსაფრთხოების მთავარი გარანტორი სახელმწიფოს, აშშ-ის, პრეზიდენტი NATO-ს მოძველებულობაზე საერთოდ საუბრობდა და საჯაროდ განიხილავდა, განგაშის ზარების გააქტიურებისთვის უკვე საკმარისი იყო და ევროკავშირში აშშ-სა და NATO-სგან დამოუკიდებელი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის მშენებლობის შესახებ დაიწყეს მსჯელობა.

ექსპერტების ნაწილი ტრამპის პოლიტიკას ნეოიზოლაციონისტურად აფასებდა, რისი გამოხატულებაც იყო, მაგალითად, ტრამპის გადაწყვეტილება გერმანიაში განთავსებული აშშ-ის საჯარისო კონტიგენტის ნაწილი გაეყვანა (თუმცა მათი

[6] BBC. Nato alliance experiencing brain death, says Macron. 2019 Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-50335257
[7] BBC. Trump worries Nato with 'obsolete' comment. 2017. Available at: https://www.bbc.com/news/world-us-canada-38635181
[8] Jenna Johnson. Trump on NATO: 'I said it was obsolete. It's no longer obsolete.' 2017. The Washington Post. Available at: https://www.washingtonpost.com/news/post-politics/wp/2017/04/12/trump-on-nato-i-said-it-was-obsolete-its-no-longer-obsolete/

ნაწილი კვლავ ევროპაში დარჩებოდა რუსეთისგან მომდინარე საფრთხის ფონზე).[9] აღნიშნული გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა აშშ-ის მიერ ევროპის თავდაცვის შესახებ აღებული პასუხისმგებლობის ერთგულებას. ახალმა პრეზიდენტმა, ბაიდენმა, წინამორბედის მიერ NATO-ში შექმნილი დაძაბულობისა და ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში აშშ-ის როლის დაკნინების გამოსწორება სცადა. ეს პოლიტიკა აისახებოდა, როგორც რიტორიკის ცვლილებაში - ბაიდენი NATO-სადმი აშშ-ის სრული ერთგულების შესახებ საუბრობდა, ისე ქმედებაში - მაგალითად, გერმანიიდან ჯარის ნაწილის გაყვანის გადაწყვეტილება შეაჩერა.[10]

თუმცა, NATO-ში ერთიანობისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების დინამიკა ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდშიც ვერ შენარჩუნდა. პირველ რიგში, აღსანიშნავი იყო ავღანეთიდან მოკავშირეთა ძალების ქაოტური გასვლა, რაზეც პასუხისმგებლობა აშშ-ს ეკისრებოდა, რამეთუ ყველაზე დიდი შესაძლებლობები და უსაფრთხოების კონტროლის მოვალეობები ადგილზე სწორედ აშშ-ს ჰქონდა. ევროპული სახელმწიფოები გააღიზიანა აშშ-ის მხრიდან მათთან კონსულტაციების ნაკლებობამ და მათი პოზიციების გაუთვალისწინებლობამ, რის შედეგადაც NATO-ში მეტი ბზარი და აშშ-ისადმი, როგორც უსაფრთხოების მთავარი გარანტორისადმი, ნდობის ხარისხი შემცირდა. ავღანეთის გარდა აღსანიშნავია, AUKUS-ის შექმნა - აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიას შორის გაფორმებული ალიანსი, რასაც საფრანგეთისგან უკიდურესად მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგან საფრანგეთის არგუმენტით, ის NATO-ს მოკავშირე იყო, რომელიც ასევე მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენდა ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში, თუმცა ის არც ალიანსში მიიწვიეს და არც მასთან გაიარეს კონსულტაციები. საფრანგეთისთვის წინასწარ ინფორმირება, კონსულტაცია, ალიანსში არმიწვევა და ზოგადად, AUKUS-ის შეთანხმების გაფორმება, გარდა გეოსტრატეგიული კონტექსტისა, განსაკუთრებით იმ ფონზე იყო მიუღებელი, რომ AUKUS-ი ავსტრალიისთვის ბირთვულ საწვავზე მომუშავე წყალქვეშა ნავების შექმნას

[9] Phil Stewart, Idrees Ali. U.S. to withdraw about 12,000 troops from Germany but nearly half to stay in Europe. 2020. Reuters. Available at: https://www.reuters.com/article/us-usa-trump-germany-military-idUSKCN24U20L

[10] Helene Cooper. Biden Freezes Trump's Withdrawal of 12,000 Troops From Germany. 2021. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2021/02/04/us/politics/biden-germany-troops-trump.html

მოიცავს, რის გამოც ავსტრალია ფრანგული კომპანიებისთვის დაკვეთილ წყალქვეშა ნავებზე კონტრაქტებს წყვეტს. საფრანგეთს სხვა ევროპელმა მოკავშირეებმაც დაუჭირა მხარი და შედეგი კვლავ NATO-ს შიგნით გახლეჩილობის წახალისება და აშშ-ის მიმართ ევროპული სახელმწიფოების ნდობის შესუსტება აღმოჩნდა. ასევე, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა საფრთხეების შეფასებისა და პრიორიტეტების შესახებ, რადგან აშშ ჩინეთზე გაზრდილ ფოკუსს ითხოვდა, რასაც ევროპელი მოკავშირეები არცთუ დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდნენ.[11]

სწორედ ამგვარი შიდა დაძაბულობისა და განხეთქილებების ფონზე შეხვდა NATO რუსეთის მიერ უკრაინის საზღვართან ჯარების მასშტაბურ მობილიზებას. ალიანსები კრიზისების, საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ იქმნება, ისევე როგორც NATO წარმოიშვა ცივი ომის ფონზე. მართალია, NATO-მ, როგორც ღირებულებით ერთიანობაზე დაფუძნებულმა ორგანიზაციამ, ცივი ომის დასრულების შემდეგ ტრანსფორმაცია შეძლო, მაგრამ ბოლო პერიოდის შიდა განხეთქილებების დამძლევი ფაქტორი ევროპაში შექმნილი უსაფრთხოების კრიზისი აღმოჩნდა. რუსეთის მიერ უკრაინის საზღვრებთან ჯარის მობილიზება მთლიანი კონტინენტის უსაფრთხოების არქიტექტურას უთხრიდა ძირს და რუსეთისგან მომდინარე საფრთხე ცივი ომის ყველაზე დაძაბული წლების შემდეგ ყველაზე დიდი იყო. შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც მისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური გახდა. რუსეთის მიერ სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის საფრთხეც ბოლო პერიოდის განმავლობაში სრული სერიოზულობით პირველად იყო აღქმული, განსხვავებით 2008 და 2014 წლების შემთხვევებისა.

აქედან გამომდინარე, NATO-ს შეკავშირება ჯერ კიდევ 24 თებერვლამდე (რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე) დაიწყო. NATO-ს წევრი სახელმწიფოები ერთხმად გმობდნენ რუსეთის მიერ კრიზისის შექმნასა და თავდასხმისთვის სამზადისს და სოლიდარობას უცხადებდნენ უკრაინას. რაც მნიშვნელოვანია, NATO-ს მოკავშირეები, აგრეთვე, მხარს უჭერდნენ პოლიტიკას, რომლის თანახმადაც, ისინი წინასწარ აფრთხილებდნენ რუსეთს, რომ უკრაინაზე თავდასხმას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა, მათ შორის, ეკონომიკური სანქციები. ამასთან, აშშ უკრაინას შეიარაღებასაც აწვდიდა, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის მსუბუქ შეიარაღებას, როგორიცაა „ჯაველინის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო სისტემები. NATO, ასევე, ერთიანი აღმოჩნდა აღმოსავლეთის ფლანგის მეტად გამაგრებაში და

[11] Joe Gould. Russia fears complicate NATO's new China focus. 2021. DefenceNews. Available at: https://www.defensenews.com/pentagon/2021/10/22/russia-fears-complicate-natos-new-china-focus/

იანვარში აღმოსავლეთ ევროპაში მეტი სამხედრო გემისა და თვითმფრინავის გაგზავნის გადაწყვეტილებები მიიღეს,[12] რითაც ალიანსის წევრების დაცვისა და მეხუთე მუხლის (კოლექტიური უსაფრთხოება) ერთგულებისადმი მზაობა აჩვენეს.

თუმცა, ამავე პერიოდში, გამოჩნდა NATO-ს არაერთსულოვნების ნიშნები. ომის დაწყებამდე NATO-ს მრავალი სახელმწიფო ცდილობდა რუსეთთან მოლაპარაკებას და პუტინის დარწმუნებას, რომ ომი არ დაეწყო (მაგალითად, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ) და შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკებების სტრატეგია ერთმანეთში აქტიური კოორდინაციის შთაბეჭდილებას ნაკლებად ტოვებდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საფრანგეთის შემთხვევაში - ემანუელ მაკრონის მიერ უკრაინის ომის შესაჩერებლად გაწეული დიპლომატიური ძალისხმევის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც, მათ შორის, მაკრონი-პუტინის საუბრის ჩანაწერებსაც მოიცავს, ნათელს ხდის, რომ მაკრონი პუტინთან „ერთი კაცის დიპლომატიის“ წარმოებას ცდილობდა[13] და, ზოგადად, პროცესში რაიმე საერთო სრულყოფილი სტრატეგია არ ყოფილა.

მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთა უშუალოდ ომის დაწყების შემდეგაც.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ომის დროს

24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში არაპროვოცირებული და გაუმართლებელი ომი წამოიწყო, თუმცა ომის დასაწყისში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსკოვში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მხედველობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის კონტინენტზე ყველაზე დიდი ომის წარმოება ჰქონოდათ. რუსეთის თავდაპირველი ტაქტიკა ადასტურებს, რომ რუსეთი კიევის სწრაფ აღებას და ომის მალე დასრულებას მოელოდა და, შესაძლოა, მართლაც „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ჩატარება ჰქონდა მიზნად და იმედოვნებდა, რომ სრულმასშტაბიანი

[12] NATO. NATO Allies send more ships, jets to enhance deterrence and defence in eastern Europe. 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_191040.htm
[13] CLEA CAULCUTT. Inside Emmanuel Macron's failed one-man diplomacy mission on Ukraine. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/emmanuel-macron-ukraine-war-vladimir-putin-russia-diplomacy-france-documentary/

ომი არ დასჭირდებოდა. კერძოდ, თავდაპირველი გეგმა, სავარაუდოდ, მოიაზრებდა კიევში დივერსიული ჯგუფების შეგზავნას პრეზიდენტის ოფისზე შტურმის მისატანად და პრეზიდენტის ხელში ჩასაგდებად, კიევთან ახლოს სადესანტო ოპერაციით სპეციალური ძალების მიერ აეროდრომების დაკავებას დამატებითი სადესანტო ძალების სწრაფი გადმოსროლის მიზნით და კიევზე მასშტაბური თავდასხმის მიტანას. თუმცა რუსეთმა არასწორად შეაფასა სამხედრო სიტუაცია - როგორც საკუთარი, ისე უკრაინის სამხედრო შესაძლებლობები, უკრაინის მოსახლეობის განწყობები (ჰქონდა მოლოდინი, რომ მოსახლეობა მხარს დაუჭერდა ან ნეიტრალური მაინც იქნებოდა, თუმცა უკრაინელების დიდი უმრავლესობა რუსეთის თავდასხმას წინ აღუდგა) და აქედან გამომდინარე, გაწეული წინააღმდეგობა. შედეგად, რუსეთმა დასახული სამხედრო ამოცანების მიღწევა ვერ შეძლო და შემდგომ მიზნების ცვლილებაც მოუწია. რუსეთის ომამდელი გათვლების კიდევ ერთი ჩავარდნა, უკრაინის არასწორი შეფასების გარდა, საერთაშორისო განზომილებას შეეხებოდა - პუტინი იმედოვნებდა, რომ უკრაინაში საკუთარ მიზნებს სწრაფად მიაღწევდა და NATO-ს fait accompli-ის სახით წარუდგენდა შედეგებს, დასავლეთი მტკიცე პასუხის გაცემას ვერ შეძლებდა (მოსკოვის ოფიციალური პირები თავად საჯაროდ აღიარებდნენ, რომ რუსეთზე დაწესებული სანქციები უპრეცედენტო იყო) და პირიქით, მორიგ შიდა განხეთქილებას ექნებოდა ადგილი. უკრაინის მედგარმა წინააღმდეგობამ და, ზოგადად, ფაქტმა, რომ უკრაინა 3-4 დღეში არ დაეცა, როგორც ამას ზოგი დასავლური სადაზვერვო სამსახური პროგნოზირებდა, NATO-ს საშუალება და დრო მისცა, ომის ფონზე გაერთიანებულიყო. როგორც ბაიდენმა აღნიშნა, პუტინმა მიიღო ზუსტად იმის საწინააღმდეგო, რისი იმედიც ჰქონდა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის დასაგმობად და წინ აღსადგომად NATO გაერთიანდა და ბოლო ხანებში ყველაზე მეტად შეკავშირდა.

თუმცა შეცვლილი ტაქტიკით - არტილერიის მასობრივი გამოყენებით, რუსეთმა ბრძოლის ხაზზე სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში გარკვეული წარმატებების მიღწევა მაინც შეძლო და ასევე შეცვალა/გააძლიერა დასავლეთის წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის ტაქტიკები. კერძოდ, რუსეთი ცდილობს უკრაინის გრძელ ომში, დასავლეთის ერთიანობა შეარყიოს და შეაჩეროს უკრაინისადმი მხარდაჭერა - რუსეთისთვის სანქციების დაწესება და უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაწევა. ამ მიზნით, რუსეთი ცდილობს გამოიყენოს (1) დიპლომატიური შესაძლებლობები - დასავლეთის ცალკეული ქვეყნები დაარწმუნოს, რომ უკრაინას ტერიტორიების დათმობით ომის დასრულებისკენ უბიძგონ; (2) ენერგეტიკული ბერკეტი - რუსეთის ენერგიას იარაღად იყენებს და ევროპისათვის ბუნებრივი აირის

მიწოდებას ზღუდავს, რითაც ევროპაში მასზე დეფიციტს ქმნის და, ასევე, ფასებს კრიტიკულად ზრდის, რაც ევროპაში ეკონომიკურ პრობლემებს ამძაფრებს, ხელს უწყობს ინფლაციას და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ შექმნილი ენერგეტიკული კრიზისი, რაც ეკონომიკური კრიზისის განვითარებას უწყობს ხელს, დასავლეთის ერთიანობისთვის მთავარი გამოცდა და გამოწვევაა, თუ რამდენად შეძლებენ შეკავშირებულობას და უკრაინის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას; (3) პროპაგანდის ტექნიკა - რუსეთის მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა მომართულია დასავლეთის მოსახლეობაში უკრაინის მხარდამჭერი პოლიტიკებისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე, რაც შემდეგ მთავრობების პოლიტიკაზეც უნდა აისახოს. კერძოდ, რუსული პროპაგანდა ცდილობს, ეკონომიკური პრობლემები გაამძაფროს და უკრაინას გადააბრალოს, სანქციები არაეფექტიანად და კონტრპროდუქტიულად წარმოაჩინოს, სამხედრო დახმარება კი უსარგებლოდ და ესკალაციის წყაროდ მიიჩნიოს. შესაბამისად, მიმდინარე ომი NATO-სთვის ერთგვარი ტესტია, ნამდვილად ერთიანია თუ არა და რამდენად შეინარჩუნებს ერთიანობას.

ჯერჯერობით აღნიშნულ კითხვაზე შემდეგი პასუხი არსებობს, რომ NATO გაერთიანებულია რუსეთის შეჭრისადმი წინ აღდგომის აუცილებლობაში, რაც პოზიტიური მოვლენაა და ყოველი შემდგომი გადაწყვეტილების საფუძველია. თუმცა, ამავე დროს, ყველა საჭირო ასპექტში გაწეული ძალისხმევა ერთიანობისთვის არასაკმარისი იყო ომამდელ კრიზისის ფაზაში და არასაკმარისია ომის პერიოდშიც (რაც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული). ომამდელ პერიოდში NATO-ს სახელმწიფოებმა ვერ მიაღწიეს სხვა გადაწყვეტილებებში ერთიანობას, გარდა სანქციების დაწესებისა და შეიარაღების მიწოდებისა, რაც უკრაინას დაეხმარებოდა. მაგალითად, რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო ომამდე NATO-ს მიერ უკრაინაში ჯარების განლაგება და არა - მხოლოდ შეჭრის შემთხვევაში სანქციების დაწესებით დამუქრება, რადგან მოსკოვი აქამდე დაწესებული სანქციების მასშტაბით აწარმოებდა გათვლებს და მისთვის ეს იმხელა დანახარჯს არ წარმოადგენდა, რომ შეჭრა გადაეფიქრებინა. ამასთან, ცალკე აღებული სანქციები, როგორც ისტორია აჩვენებს, არცთუ ეფექტური ხერხია გადაწყვეტილებების შეცვლაზე ზემოქმედებისთვის - მაგალითად, სანქციებმა არ იმუშავა მრავალი წლის განმავლობაში კუბას პოლიტიკის შეცვლაზე და ნაკლებად სავარაუდო იყო, მას რუსეთისთვის უკრაინაში შეჭრა გადაეფიქრებინა (მით უმეტეს, ნაკლები დონის სანქციების მოლოდინის და ენერგეტიკული ბერკეტის ქონის პირობებში), თუ სანქციები მხარდაჭერილი არ იქნებოდა სხვა საშუალებებითაც, მაგალითად,

როგორიც უკრაინაში სამხედრო ყოფნა იქნებოდა. თუმცა აშშ-მა პირიქით, 24 თებერვლამდე უკრაინიდან იქ არსებული საწვრთნელად მივლენილი ჯარისკაცებიც კი გაიყვანა.

ომის დაწყების შემდეგ, NATO უკრაინის ხელისუფლების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მაგალითად, დავოსის ფორუმზე, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულებამ, განაცხადა, რომ რუსეთის შესაჩერებლად NATO, როგორც ალიანსი და ინსტიტუტი, საერთოდ არაფერს აკეთებს. ამავდროულად, მან რევოლუციური გადაწყვეტილებებისთვის ევროკავშირი შეაქო.[14] მართალია, აღნიშნული კრიტიკა დიდწილად NATO-სა და ევროკავშირის განსხვავებული ინსტიტუციების ფორმებითაა განპირობებული. კერძოდ, ევროკავშირი საერთაშორისო ასპარეზზეც კი წარმოდგება ცალკეულ აქტორად და მას აქვს ინსტიტუციები მოცულობითი დამოუკიდებელი ბიუჯეტით, რომელთაც დელეგირებული აქვთ გადაწყვეტილებების ნაწილის მიღება და წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე შეუძლია რიგი პოლიტიკების გატარება; ხოლო ნაწილზე გადაწყვეტილებას წევრი სახელმწიფოების ჩართულობით იღებენ. კულებაც, სავარაუდოდ, სწორედ ევროკავშირის სანქციების პაკეტებს გულისხმობდა, რომლებზეც ევროკომისიის შუამავლობით ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო თანხმდება. მაშინ, როდესაც ევროკავშირთან შედარებით, NATO-ს, როგორც ინსტიტუციის, როლი შედარებით შეზღუდულია და მასში მთავარი წევრი სახელმწიფოების რესურსები და შესაძლებლობებია. მაგალითად, უკრაინას შეიარაღებით NATO-ს წევრი სახელმწიფოები ეხმარებიან და არა უშუალოდ NATO, მაგრამ თავად NATO-ს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა ქვეყნებისთვის გადასაცემი შეიარაღების მარაგები არ გააჩნია, ამიტომ NATO-ს წევრების დახმარება, NATO-ს დახმარებად შესაძლებელია იყოს აღქმული. მაგრამ კულებას მწვავე შეფასება მაინც მიუთითებს NATO-ში მკვეთრი ნაბიჯების, რომლებიც უკრაინას მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა და რუსეთის შეჩერებაში გარდამტეხ როლს შეასრულებდა, გადადგმის შესახებ ერთიანობის არარსებობასა და პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე. ასეთი საკითხები, მაგალითად, იყო ზემოთ უკვე დასახელებული რუსეთის შეჭრამდე უკრაინაში ჯარის განლაგება, ომის დაწყების შემდეგ უკრაინაში ჰუმანიტარული მისიის განხორციელება (რაც

[14] Samantha Lock et al. Nato 'doing literally nothing' to stop Russia, says Kyiv – as it happened. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/live/2022/may/25/russia-ukraine-war-latest-russians-trying-to-destroy-donbas-says-zelenskiy-as-fighting-intensifies-live?filterKeyEvents=false

პოლონეთმა გააჟღერა) ან უფრო რადიკალური - უკრაინის ცის ჩაკეტვა, რასაც ომის საწყის ეტაპებზე უკრაინა დაჟინებით მოითხოვდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს უნგრეთის დესტრუქციული როლი, რომელსაც ის NATO-ში ასრულებს. ბევრი უნგრეთს NATO-სა და ევროკავშირში რუსეთის „ტროას ცხენადაც“ კი მიიჩნევს. უნგრეთი აფერხებს რუსეთისადმი სანქციების დაწესების გადაწყვეტილებებს და უკრაინის მხარდაჭერის პოლიტიკასაც გარკვეულწილად აკრიტიკებს. შეიძლება ითქვას, რომ უნგრეთი ხშირად ევროპაში რუსეთის პოზიციების გამჟღერებელია და ბუნებრივია, NATO-ს ერთიანობის მშენებლობაში უარყოფით როლს თამაშობს. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით NATO და ევროკავშირიც უნგრეთის დაბრკოლების გადალახვას ახერხებენ, რაც მიუთითებს, რომ ბლოკის დანარჩენ წევრების შორის გარკვეულ საკითხებზე არსებობს იმდენად მტკიცე პოზიციები, რომ უნგრეთი ვერ ახერხებს მას წინ აღუდგეს, რადგან თუ ის ყოველთვის ღიად გაილაშქრებს NATO-ს გადაწყვეტილებების და ვეტოს უფლებებს გამოიყენებს, ის NATO-ს მოკავშირეებისგან გარიყვასა და იზოლაციას გარისკავს.

რაც შეეხება ერთიანობის გამომხატველ სხვა გადაწყვეტილებებს, გარდა რუსეთის უკრაინაში შეჭრისადმი დაპირისპირების შესახებ თავდაპირველად შეთანხმებული ზოგადი პოზიციისა, რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საკითხია გამოსაყოფი. პირველ რიგში, NATO-ს მადრიდის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთისგან მომდინარე მზარდი საფრთხის გასანეიტრალებლად აღმოსავლეთის ფრონტზე NATO-ს სამხედრო ყოფნა გაეძლიერებინათ დამატებითი სამხედრო ტექნიკის გადასროლით (მათ შორის გაერთიანებული სამეფო ესტონეთის თავდაცვისთვის მის უახლეს მეხუთე თაობის ავიამზიდს გამოიყენებს). ამასთან, აღმოსავლეთის ფრონტზე უკვე 40 ათასი ჯარისკაცია NATO-ს სარდლობის ქვეშ, რაც ომამდელ მაჩვენებელზე თითქმის 10-ჯერ მეტია.[15] ამასთან, NATO ასევე შეთანხმდა, რომ სწრაფი რეაგირების ძალების რიცხვი 40 ათასიდან 300 ათასამდე

[15] Euronews. NATO now has 40,000 soldiers on Europe's border with Russia. 2022. Available at: https://www.euronews.com/my-europe/2022/05/18/nato-now-has-40-000-soldiers-on-europe-s-border-with-russia

გაეზარდა.[16] ასევე, ზოგმა სახელმწიფომ გაიაზრა, რომ თავდაცვისთვის მეტი ძალისხმევა უნდა გასწიონ და მეტი ხარჯი გაიღონ და მაგალითად, ესპანეთმა[17] და გერმანიამ გადაწყვიტეს, NATO-ს სტანდარტი - მინიმუმ მშპ-ის 2% თავდაცვისთვის - დააკმაყოფილონ, ხოლო გერმანია ერთჯერადად 100 მილიარდის ინვესტიციასაც აპირებს თავდაცვის მოდერნიზებისთვის.[18] მოკავშირეები მშპ-ის 2%-ის თავდაცვისთვის გაღების ნიშნულის ყველა წევრის მიერ დაკმაყოფილების შესახებაც ასევე NATO-ს მადრიდის სამიტზე შეთანხმდნენ.

გარდა ჯარების გაზრდის, აღმოსავლეთის მიმართულებაზე შეიარაღების დამატებისა და თავდაცვის დანახარჯებზე შეთანხმებისა, მადრიდის სამიტზე დამტკიცებული NATO-ს სტრატეგიული კონცეფციის დოკუმენტი რუსეთს NATO-ს მთავარ საფრთხედ ასახელებს და, ასევე, გამოწვევად მიიჩნევს ჩინეთს.[19] ეს შეთანხმებებიც მნიშვნელოვანია NATO-ში ერთიანობის განმტკიცებისთვის. თუმცა, აღნიშნული შეთანხმებების კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ NATO-ს მეტი შეკავშირებულობა და ერთიანობა არსებობს უშუალოდ წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების განმტკიცებასა და თავდაცვის უზრუნველყოფაზე, ვიდრე უკრაინის დახმარებაზე.

მორიგი უმნიშვნელოვანესი საკითხი ერთიანობის ჭრილში ფინეთისა და შვედეთის NATO-ში გაწევრიანებაა. ფინეთი და შვედეთი ისტორიულად უსაფრთხოების განსხვავებულ პარადიგმას - ნეიტრალიტეტის პოლიტიკას მისდევდნენ. უკრაინაში არაპროვოცირებული შეჭრა და პუტინის, აწ უკვე მისივე პირით გაცხადებული, იმპერიალისტური პოლიტიკა კი შვედეთსა და ფინეთს, რომელსაც სსრკ-სთან ომი

[16] Aislinn Laing, Andrea Shalal and Robin Emmott. U.S. to boost military presence in Europe as NATO bolsters its eastern flank. 2022. Reuters. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-boost-military-presence-europe-nato-bolsters-its-eastern-flank-2022-06-29/
[17] JOSEPH WILSON. Spain boosts military spending to close gap with NATO goal. AP News. Available at: https://apnews.com/article/nato-russia-ukraine-spain-eastern-europe-madrid-61f2e9644404358defb517dcd37a2170
[18] HANS VON DER BURCHARD. 5 things to know about Germany's historic military investment fund. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/5-things-to-know-about-germanys-historic-military-investment-fund/#:~:text=Germany%20will%20now%20(mostly)%20meet,the%20course%20of%20five%20years.
[19] Martin Belam. Nato 2022 Madrid summit: what has been agreed?. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed

კვლავ ახსოვს, უსაფრთხოების ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის. ხოლო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელიც ცივი ომის და შემდგომ პერიოდში ეფექტიანი იყო, შეცვლილ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში სრულიად არარელევანტური გახდა. მართალია, ფინეთი და შვედეთი, როგორც ევროკავშირის წევრები, ევროკავშირის ურთიერთთავდაცვის პუნქტით - 42(7) - უზრუნველყოფილნი არიან, თუმცა ევროკავშირის, ამბიციების მიუხედავად, ჯერჯერობით უსაფრთხოების ისეთ სანდო გარანტორად, როგორიც NATO-ა, არ განიხილავენ. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ ფინეთმა და შვედეთმა NATO-ში გაწევრიანების განაცხადები გააკეთეს. მართალია, ფინეთი და შვედეთი NATO-ში გაწევრიანებას რუსეთისგან მომდინარე საფრთხის დასაბალანსებლად ცდილობენ, თუმცა აღნიშნული ქვეყნები არა მხოლოდ უსაფრთხოების მიმღები, არამედ მათი შეიარაღებული ძალებით, განსაკუთრებით ფლოტით, NATO-სთვის უსაფრთხოების კონტრიბუტორებიც არიან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება, მათი გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, NATO-ს რუსეთთან დაპირისპირებაში სტრატეგიულ უპირატესობას მიანიჭებს, გააძლიერებს ბალტიის ზღვაში NATO-ს პოზიციებს, მათ შორის რუსული წყალქვეშა ნავების აღმოჩენის (detection) კუთხით.

შედეგად, რუსეთს, უკრაინაში ომის დაწყებით, NATO-ს მისი საზღვრებისკენ სვლის შეკავება სურდა, მაგრამ საპირისპირო მიიღო და NATO-ში წევრიანდება რუსეთის ორი მეზობელი სახელმწიფო, რომლებიც ომამდე ამ საკითხზე სერიოზულად არც კი მსჯელობდნენ. შედეგად, იზრდება NATO-ს საზღვარი რუსეთთან, ასევე, NATO-მ ომამდე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ჯარების რაოდენობა აღმოსავლეთის ფლანგზე და გადაისროლა დამატებითი ტექნიკა, ეს კი სწრაფი რეაგირების ძალების რიცხვის მასშტაბური ზრდის ფონზე. სხვა სიტყვებით, რუსეთს ომით სურდა მიეღწია ნაკლები NATO-სთვის მის საზღვრებთან და უფრო ფრაგმენტული NATO-სთვის, მაგრამ მიიღო მეტი და მეტად შეკავშირებული NATO.

ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანების შესახებ თურქეთი წინააღმდეგი იყო აღნიშნული ქვეყნების მიერ თურქეთისთვის შეიარაღებაზე დაწესებული ემბარგოებისა და „ქურთების მუშათა პარტიის მხარდაჭერის“ გამო. ეს, ერთი შეხედვით, NATO-ში გახლეჩილობას თესავდა, მაგრამ გაუგებრობების აღმოფხვრისა და ერთიანობის განმტკიცების შანსს აჩენდა. ეს შანსი კი თურქეთსა და შვედეთსა და ფინეთს შორის გაფორმებული მემორანდუმით იქნა გამოყენებული, რომლის თანახმადაც, შვედეთი და ფინეთი

თურქეთს შეიარაღებაზე ემბარგოს უხსნიან და გააძლიერებენ მუშაობას ქურთი პოტენციურად ტერორიზმში ბრალდებული პირების ექსტრადიციაზე.[20]

დასკვნა

მიუხედავად ზემოთ განხილული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და შეკავშირებულობის გამოჩენისა, დღეს NATO-ში კვლავ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა და პოლიტიკური უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა უპასუხონ რუსეთის ომს - რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯები, რა სასურველი შედეგის მიღწევა სურთ. შესაძლოა, ყველა მოკავშირეს გარკვეულწილად განსხვავებული ინტერესები აქვთ, თუმცა ძირითადად ორი ჯგუფი[21] გამოიყოფა[22] - 1) აშშ, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რუსეთი უნდა დასუსტდეს და უკრაინისთვის დახმარების მიწოდება უნდა გაგრძელდეს, რათა არ დაუშვან უკრაინის დამარცხება. თუმცა აქაც არის გარკვეული ბუნდოვანებები - აშშ უკრაინას ჯერჯერობით იმ რაოდენობის შეიარაღებას არ აწვდის, რაც რუსეთის დასამარცხებლად და ომში გამარჯვებისთვის იქნება საკმარისი, არამედ იმდენს, რომ უკრაინა არ დამარცხეს, თუმცა მიწოდებას „ლენდ-ლიზის“ პროგრამის ფარგლებში თანდათანობით ზრდის. ხოლო ბრიტანეთი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, უკრაინას გამარჯვებამდე დახმარებას ჰპირდება, მათ შორის, ათი ათასობით უკრაინელის ბრიტანეთში საბრძოლოდ გაწვრთნით. ზოგადად, შეიარაღების მიწოდებაზე აშკარა იყო NATO-ს მხრიდან არათანმიმდევრულობა, რადგან თავდაპირველად იმ შეიარაღების მიწოდებაზე აცხადებდნენ NATO-ს სახელმწიფოები უარს, რომელსაც ახლა აწვდიან და

[20] Humeyra Pamuk and Anne Kauranen. Turkey lifts veto on Finland, Sweden joining NATO, clearing path for expansion. 2022. Reuters. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-press-turkey-finland-sweden-hope-nato-breakthrough-2022-06-28/

[21] Eldar Mamedov. NATO boasts unity but potential for division lies ahead. 2022. Responsible Statecraft. Available at: https://responsiblestatecraft.org/2022/06/30/nato-talks-unity-but-potential-for-division-lies-ahead/

[22] Yana Dlugy. Getting Back to Peace Talks. 2022. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2022/06/17/briefing/russia-ukraine-war-diplomacy.html

ბუნებრივია, მათი უფრო მალე გადაცემა უკრაინისთვის მეტად ხელსაყრელი იქნებოდა; 2) საფრანგეთი და გერმანია, ასევე ამ ჯგუფში მოიაზრება იტალიაც - ცდილობენ რუსეთ-უკრაინის ომში დიპლომატიური გადაჭრის გზა იპოვონ, რაც ომის ამ ეტაპზე უკრაინის მიერ პოტენციურად მნიშვნელოვან დათმობებს საჭიროებს. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულმა სახელმწიფოებმაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს უკრაინას, როგორც იარაღის მიწოდების კუთხით (გერმანიის მიერ უკრაინისთვის გადაცემული სამხედრო ტექნიკა საკმაოდ ღირებულია, თუმცა საინტერესოა, რომ არსებობდა[23] და არსებობს[24] კითხვები კანცლერ ოლაფ შოლცთან[25] მიმართებით, რომ ხდება მიწოდების დაგვიანება), ისე რუსეთისათვის სანქციების დაწესების მხრივ. თუმცა, მათი მიდგომა, სხვა მიზეზებს შორის, სავარაუდოდ, ომის დამანგრეველი ეკონომიკური ზეგავლენის შემსუბუქება/გაქრობითაც არის განპირობებული. NATO-ს წევრ სახელმწიფოებს შორის უკრაინის ომის საბოლოო შედეგის და შემდგომი ნაბიჯების შესახებ ერთიანობის არარსებობა საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს, როგორც უკრაინაზე, ისე თავად NATO-ს შეკავშირებულობაზე. საჭიროა, ალიანსმა შიდა კონსულტაციების გზით ერთი მკაფიო გზა აირჩიოს და იმისკენ იაროს, რადგან ერთდროულად ორი, განსხვავებულ შედეგებზე ორიენტირებული, პოლიტიკის გატარება აპრიორი არაეფექტიანი იქნება.

ამდენად, არასწორი იქნება, თუ ყურადღება მხოლოდ იმაზე გამახვილდება, რამდენად შეკავშირებული გახდა NATO და ეს ერთგვარი აღსანიშნავი საკითხი გახდება, რადგან ეს მხოლოდ პრობლემებს მალავს, რომელიც რეალურად არსებობს და არსად წასულა. არსებული ერთიანობის დონისთვისაც კი ეკონომიკა და ენერგეტიკა მნიშვნელოვან წნეხს ქმნის - სანქციების დაწესებასა და მათ აღსრულებას გრძელვადიან პერიოდში დიდი ძალისხმევა და საფასურის გადახდა

[23] France24. Weapons delays cast doubt on Germany's support for Ukraine. 2022. Available at: https://www.france24.com/en/live-news/20220616-weapons-delays-cast-doubt-on-germany-s-support-for-ukraine

[24] HANS VON DER BURCHARD. Germany promised swift tank swaps to aid Ukraine. It hasn't happened. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/germany-olalf-scholz-pressure-tank-deliveries-ukraine/

[25] Kate Connolly. Scholz defends Ukraine policy as criticism mounts in Germany. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/may/01/scholz-defends-ukraine-policy-as-criticism-mounts-in-germany

ესაჭიროება და სანქციების აღსრულების კუთხით უკვე შეინიშნება ერთიანობაში გარკვეული ბზარები.

საყურადღებოა ამ კონტექსტში აშშ-ის როლიც. აშშ-ის, როგორც დასაყრდენი ძალისა და უსაფრთხოების გარანტორის, სანდოობისა და მთელს მსოფლიოში მისი იმიჯის შესახებ სწორედ უკრაინაში წყდება, სადაც გამოჩნდება, თუ რამდენად ეხმარება მის მოკავშირეებს განსხვავებით 2008 და 2014 წლებისა და ავღანეთიდან ქაოტური გასვლისა. ამიტომ, აშშ-ისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია უკრაინის საკითხში აქტიური და შედეგიანი პოლიტიკის გატარება, მათ შორის, NATO-ში ერთიანობის მიღწევით. NATO-ს შეკავშირებულობა უკრაინის კონფლიქტში არა მხოლოდ რუსეთის შეკავებას ეხება, არამედ შემდგომში უფრო დიდი სისტემური საფრთხის - ჩინეთის ქმედებებსაც განსაზღვრავს, რომელიც უკრაინასთან მიმართებაში NATO-ს ქმედებებს დააკვირდება და ისე განახორციელებს პოტენციურად აგრესიულ პოლიტიკის თაივანის მიმართ ან სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებში.

შესაბამისად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ომამდე დაქსაქსული NATO-ს შეკავშირება გამოიწვია, მაგრამ რიგ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითებზე კვლავ უთანხმოებაა. მათი გადაჭრა კი, როგორც უკრაინის ომისთვის, ისე მსოფლიოში შემდგომი პროცესებისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ბიბლიოგრაფია

- ABC News. Rare show of unity as NATO meets over war in Ukraine. 2022. Available at: https://www.youtube.com/watch?v=zL5nEquSDyM;
- Aislinn Laing, Andrea Shalal and Robin Emmott. U.S. to boost military presence in Europe as NATO bolsters its eastern flank. 2022. Reuters. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-boost-military-presence-europe-nato-bolsters-its-eastern-flank-2022-06-29/;
- BBC. Nato alliance experiencing brain death, says Macron. 2019 Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-50335257;
- BBC. Trump worries Nato with 'obsolete' comment. 2017. Available at: https://www.bbc.com/news/world-us-canada-38635181;
- Belam, Martin. Nato 2022 Madrid summit: what has been agreed?. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed;
- BURCHARD, HANS VON DER. 5 things to know about Germany's historic military investment fund. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/5-things-to-know-about-germanys-historic-military-investment-fund/#:~:text=Germany%20will%20now%20(mostly)%20meet,the%20course%20of%20five%20years;
- BURCHARD, HANS VON DER. Germany promised swift tank swaps to aid Ukraine. It hasn't happened. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/germany-olalf-scholz-pressure-tank-deliveries-ukraine/;
- CAULCUTT, CLEA. Inside Emmanuel Macron's failed one-man diplomacy mission on Ukraine. 2022. Politico. Available at: https://www.politico.eu/article/emmanuel-macron-ukraine-war-vladimir-putin-russia-diplomacy-france-documentary/;
- Connolly, Kate. Scholz defends Ukraine policy as criticism mounts in Germany. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/may/01/scholz-defends-ukraine-policy-as-criticism-mounts-in-germany;

- Cooper, Helene. Biden Freezes Trump's Withdrawal of 12,000 Troops from Germany. 2021. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2021/02/04/us/politics/biden-germany-troops-trump.html;
- Dlugy, Yana. Getting Back to Peace Talks. 2022. The New York Times. Available at: https://www.nytimes.com/2022/06/17/briefing/russia-ukraine-war-diplomacy.html;
- Euronews. NATO now has 40,000 soldiers on Europe's border with Russia. 2022. Available at: https://www.euronews.com/my-europe/2022/05/18/nato-now-has-40-000-soldiers-on-europe-s-border-with-russia;
- France24. Weapons delays cast doubt on Germany's support for Ukraine. 2022. Available at: https://www.france24.com/en/live-news/20220616-weapons-delays-cast-doubt-on-germany-s-support-for-ukraine;
- Gould, Joe. Russia fears complicate NATO's new China focus. 2021. DefenceNews. Available at: https://www.defensenews.com/pentagon/2021/10/22/russia-fears-complicate-natos-new-china-focus/;
- Johnson, Jenna. Trump on NATO: 'I said it was obsolete. It's no longer obsolete.' 2017. The Washington Post. Available at: https://www.washingtonpost.com/news/post-politics/wp/2017/04/12/trump-on-nato-i-said-it-was-obsolete-its-no-longer-obsolete/;
- Kenny, Peter. Russia-Ukraine war has united Europe, NATO: Ukraine's president. 2022. Available at: https://www.aa.com.tr/en/europe/russia-ukraine-war-has-united-europe-nato-ukraines-president/2629928;
- Lock, Samantha, et al. Nato 'doing literally nothing' to stop Russia, says Kyiv – as it happened. 2022. The Guardian. Available at: https://www.theguardian.com/world/live/2022/may/25/russia-ukraine-war-latest-russians-trying-to-destroy-donbas-says-zelenskiy-as-fighting-intensifies-live?filterKeyEvents=false;
- Mamedov, Eldar. NATO boasts unity but potential for division lies ahead. 2022. Responsible Statecraft. Available at: https://responsiblestatecraft.org/2022/06/30/nato-talks-unity-but-potential-for-division-lies-ahead/;

- Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Agreement on measures to ensure the security of The Russian Federation and member States of the North Atlantic Treaty Organization. 2021. Available at: https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790803/?lang=en&clear_cache=Y;
- Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Treaty between The United States of America and the Russian Federation on security guarantees. 2021. Available at: https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790818/?lang=en;
- NATO. NATO Allies send more ships, jets to enhance deterrence and defence in eastern Europe. 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_191040.htm;
- Pamuk, Humeyra and Anne Kauranen. Turkey lifts veto on Finland, Sweden joining NATO, clearing path for expansion. 2022. Reuters. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-press-turkey-finland-sweden-hope-nato-breakthrough-2022-06-28/;
- Stewart, Phil, and Idrees Ali. U.S. to withdraw about 12,000 troops from Germany but nearly half to stay in Europe. 2020. Reuters. Available at: https://www.reuters.com/article/us-usa-trump-germany-military-idUSKCN24U20L;
- WILSON, JOSEPH. Spain boosts military spending to close gap with NATO goal. AP News. Available at: https://apnews.com/article/nato-russia-ukraine-spain-eastern-europe-madrid-61f2e9644404358defb517dcd37a2170;
- Звягина, Жанна. Путин призвал Украину самостоятельно отказаться от вступления в НАТО. 2022. «Парламентская газета». https://www.pnp.ru/politics/putin-prizval-ukrainu-samostoyatelno-otkazatsya-ot-vstupleniya-v-nato.html.

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

გერმანიის პოლიტიკის ცვლილება და მისი გავლენა ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაზე

ავტორი: ნინო ბერუაშვილი



NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრით დაიწყო ომი, რომლის მსგავსიც ევროპას 1945 წლის შემდეგ აღარ უნახავს. რუსეთის პრეზიდენტმა „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყება გამოაცხადა უკრაინაში, მისი „დენაციფიკაციის“ და ქვეყანაში ეთნიკურად რუსი მოქალაქეების დასაცავად. 2014 წელს, მაშინ როდესაც რუსეთი ყირიმის ანექსირებას ახდენდა, ვლადიმერ პუტინი სწორედ ეთნიკურად რუსების დაცვას ასახელებდა კონფლიქტის საბაბად. ევროპის სახელმწიფოები ბევრჯერ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ 2014 წელს საკმარისად არ დაეხმარნენ უკრაინას. თუმცა, დღესდღეობით ვითარება რადიკალურად განსხვავებულია.

„რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე გარდამტეხი მოვლენაა, რომელიც მთელ ჩვენს ომის შემდგომ წესრიგს ემუქრება. ჩვენი ვალია, გავაკეთოთ ჩვენი მაქსიმუმი უკრაინის დასახმარებლად, რათა მან ვლადიმერ პუტინის არმიისგან დაიცვას თავი. გერმანია მჭიდროდ დგას უკრაინის გვერდით“ - განაცხადა გერმანიის კანცერმა ოლაფ შულცმა 26 თებერვალს, ომის დაწყებიდან ორ დღეში.[1] სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო გერმანიის მხარდაჭერა უკრაინისადმი, რომელიც ევროპულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებების მხარდაჭერაში, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ისტორიული ცვლილებაში გამოიხატა.

2022 წლის უკრაინის ომამდე გერმანია მტკიცედ უჭერდა მხარს „სტრატეგიული მოთმინების“ კონცეფციას პოლიტიკაში და ევროპელ მოკავშირეებს არწმუნებდა, რომ რუსეთთან თანამშრომლობა ევროპისთვის გარდაუვალი იყო, ვინაიდან ევროპის უსაფრთხოება და კეთილდღეობა რუსეთთან პარტნიორობის გარეშე ვერ მიიღწეოდა. უკრაინის ომმა ევროპის სახელმწიფოები, მათ შორის, გერმანიაც, დაარწმუნა, რომ მრავალხრივი დიპლომატიის ფორმატი აღარ მუშაობს.

მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა გერმანიის მიერ საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები - თავდაცვის ხარჯების ზრდა, უკრაინისთვის მძიმე იარაღის მიწოდება, ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ შეჩერება.

მიუხედავად ევროპისა და ამერიკის სოლიდარობისა უკრაინისადმი, ომი სიმწვავეს მაინც არ კარგავს. თუმცა, ნათელია, რომ ევროპული წესრიგი, რომელსაც 2022 წლის თებერვლამდე ვიცნობდით, აღარ არსებობს. რა ადგილს დაიკავებს ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ახალი წესრიგის ფარგლებში, რომელიც

[1] David M. Herszenhorn. & Lili Bayer & Hans Von Der Burchard, “Germany to send Ukraine weapons in historic shift on military aid”, Politico, February 26, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/ukraine-war-russia-germany-still-blocking-arms-supplies/

ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდება, და როგორი იქნება გერმანიის როლი მასში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპის მომავალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმის გარკვევა, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილებას ნატოზე: გერმანიის ბოლო გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ნატოს სტრატეგიული კონცეფციის ძირითადი მიზნების შესრულებას თუ პირიქით, ახალი გამოწვევების წყარო შეიძლება გახდეს ალიანსისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილება გამოწვეული იყო ნატოს ერთიანი ხედვის ცვლილებით თუ თავად გერმანიამ უბიძგა ალიანსს ცვლილებისაკენ.

რა სიახლეებია ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში?

მიმოხილვა

4 ივნისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანალენა ბიერბოკმა, ნატოს მადრიდის სამიტზე განაცხადა: „რუსეთის სასტიკმა თავდასხმამ არა მხოლოდ უკრაინას მოუტანა განუსაზღვრელი ტანჯვა, არამედ მტვრად აქცია ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედიც, რომელსაც ცივი ომის შემდეგ ვემყარებოდით“.

მადრიდის სამიტზე სახელმწიფო ლიდერები ალიანსის წინაშე არსებული გამოწვევების განსახილველად შეიკრიბნენ, სადაც, ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაზე ხელმოწერით, ნატოს სამომავლო სტრატეგიული მიმართულება განისაზღვრა.[2]

ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება ალიანსის 2030 დღის წესრიგის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა. ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ, თავისი მნიშვნელობით, ნატოს 2030 დღის წესრიგი სრულად ჩაანაცვლა და, უკრაინის ომის გათვალისწინებით, დამატებითი ღირებულებაც შეიძინა, ვინაიდან კონცეფციის უკანასკნელი ვერსია 2010 წელს იყო მიღებული და არ ასახავდა ალიანსის წინაშე მდგარ უსაფრთხოების გამოწვევებს.

რითი გამოირჩევა ახალი სტრატეგიული კონფეფცია მისი წინამორბედი სტრატეგიული დოკუმეტებისგან? ამ კითხვას გერმანიის კანცლერი პასუხობს: „ახალი ისაა, როგორ

[2] “2022 NATO Summit.” NATO, June 30, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_196144.htm

ვხედავთ ახლა რუსეთს.“[3] მისი თქმით, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა ნატოსთვის საფრთხეს წარმოადგენს და „მათ [რუსეთმა] საერთაშორისო წესრიგი რისკის წინაშე დააყენეს“.

ეს დამოკიდებულება აისახა დოკუმენტზეც: თუკი 2010 წლის კონცეფციაში რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება იყო ალიანსის მიზანი (და ეს თანხვედრაში იყო გერმანიის მიდგომასთან რუსეთის მიმართ), ახალი კონფეციის მიხედვით, რუსეთი წარმოადგენს „ალიანსის უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და პირდაპირ საფრთხეს“.[4]

ამავდროულად, 2010 წლის კონცეფციისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ნატოზე კონვენციური საფრთხის საშიშროება ძალიან დაბალი იყო, ახალ კონფეფციაში უსაფრთხოების გარემო მთლიანადაა შეცვლილი - ევროატლანტიკური სივრცე მშვიდობის მდგომარეობაში აღარ იმყოფება და არსებობს მოკავშირეების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე თავდასხმის საფრთხე.[5] რა თქმა უნდა, ეს ყოველივე უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის გვერდითი ეფექტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფეცია სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: I - შეკავება და თავდაცვა - თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. II – კრიზისების პრევენცია და მენეჯმენტი - კონფეციის 38 პუნქტში ალიანსი მზაობას გამოთქვამს, სამეზობლოში მოწყვლად პარტნიორებს დაეხმაროს უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავებასა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებაში; III - კოლექტიური თავდაცვა - ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკისადმი ერთგულება.[6]

ალიანსის წინაშე მდგარ ძირითად საფრთხეებად აღქმულია არა მხოლოდ სახელმწიფო აქტორები, მაგალითად, რუსეთი და ჩინეთი, არამედ ასიმეტრიული საფრთხეებიც - ტერორიზმი, გლობალური დათბობა.

ახალი სტრატეგიული კონცეფციის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა იმის დადგენა, რამდენადაა თანხვედრაში გერმანიის მთავრობის მიერ მიღებული

[3] “Scholtz at the NATO summit in Madrid”, The Federal Government, June 30, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/search/nato-summit-madrid-2058998
[4] “Outcome of the Madrid NATO Summit”, European Parliament, June, 2022. Available at: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2022/733604/EPRS_ATA(2022)733604_EN.pdf
[5] “Outcome of the Madrid NATO Summit”, European Parliament, June, 2022. Available at: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2022/733604/EPRS_ATA(2022)733604_EN.pdf
[6] “NATO 2022 Strategic Concept”, NATO, June 29, 2022. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf

გადაწყვეტილებები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით ალიანსის სტრატეგიულ მიმართულებასა და ამოცანებთან; ამასთანავე, იქონია თუ არა ამ გადაწყვეტილებებმა გავლენა ალიანსის ხედვაზე; თუ პირიქით, ალიანსმა უბიძგა გერმანიას გარკვეული ნაბიჯების გადადგმისკენ.

გადაწყვეტილება I - ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“

,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“ წყალქვეშა მილსადენის სისტემაა, რომლის მიზანიც ბუნებრივი აირის რუსეთიდან გერმანიაში ტრანსპორტირება გახლავთ. 1,224 კილომეტრიანი მილსადენები პირდაპირ კავშირს ამყარებს რუსულ ბუნებრივი აირის რესურსებსა და ევროპულ ენერგო ბაზარს შორის.[7] ვინაიდან პროექტის ძირითადი მეწილე რუსული გაზპრომია, რომელზეც პროექტის დაფინანსების 50% მოდის,[8] პროექტის რუსეთთან კავშირისა და მასზე შესაძლო დამოკიდებულების ზრდის გამო, მოკავშირეებმა გერმანია არაერთხელ გააკრიტიკეს. თუმცა, გერმანიის დამოკიდებულება წლების განმავლობაში უცვლელი იყო - „ესაა წმინდად ეკონომიკური პროექტი, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს“. ანგელა მერკელმა მხოლოდ 2018 წელს აღიარა, რომ პროექტს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, განსაკუთრებით უკრაინისათვის: „ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური პროექტი, არამედ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ფაქტორებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში.“[9] უკრაინის შემთხვევაში, შემაშფოთებელი იყო ის, რომ მილსადენის პროექტი უკრაინის, როგორც ენერგო სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობას აკნინებდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ევროპელი პარტნიორები თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტისა და აფრთხილებდნენ მას, რომ ევროპა ზედმეტად დამოკიდებული გახდებოდა რუსულ გაზზე, რასაც, მათი თქმით, რუსეთის პრეზიდენტი თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა დასავლეთთან კამათის ან კონფლიქტის დროს. სწორედ ამ მიზეზით, აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ

[7] “The Pipeline”, Nord Stream, Accessed July 21, 2022. Available at: https://www.nord-stream.com/the-project/pipeline/
[8] Julian Wettengel, “Gas pipeline Nord Stream 2 links Germany to Russia, but splits Europe”, Clean Energy Wire, April 20, 2022. Available at: https://www.cleanenergywire.org/factsheets/gas-pipeline-nord-stream-2-links-germany-russia-splits-europe
[9] Andrew Rettman, “Merkel: Nord Stream 2 is ‘political’”, euobserver, April 11, 2018. Available at: https://euobserver.com/green-economy/141570

ტრამპმა, 2018 წელს სანქციები დაუწესა ყველას, ვინც მილსადენების პროექტთან იყო დაკავშირებული.[10]

მშენებლობის ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, რომლის დროსაც გერმანია მუდმივად ლობირებდა პროექტს, მეტად მოულოდნელი გამოდგა გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის, გადაწყვეტილება: ,,დღეს, მდგომარეობა ფუნდამენტურად განსხვავებულია და, მაშასადამე, უკანასკნელი მოვლენების გათვალისწინებით, ჩვენ უნდა გადავაფასოთ სიტუაცია... მათ შორის ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2"-თან მიმართებაშიც... ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2" არ ამუშავდება." აღნიშნული გადაწყვეტილება ომში ჩართული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულებამ, შემდეგნაირად შეაფასა: „ამჟამინდელი გარემოებების გათვალისწინებით, ეს მორალურად, პოლიტიკურად და პრაქტიკულად სწორი ნაბიჯია ... ნამდვილი მმართველობა ნიშნავს რთული გადაწყვეტილებების მიღებას რთულ დროს. გერმანიის ქმედება ამას ადასტურებს."[11]

მართალია, გერმანიის კაცლერის განცხადებით, გადაწყვეტილება შექმნილი გარემოებების შედეგია, თუმცა ოლაფ შოლცის 19 ივლისის სტატიაში ვკითხულობთ, რომ გერმანია ჯერ კიდევ გასულ დეკემბერს ფიქრობდა, როგორ შეეძლოთ ქვეყნის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა უარეს შემთხვევაში. შესაბამისად, პუტინის ქმედებებს გერმანია მომზადებული დახვდა.[12] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის უპრეცენდენტო ნაბიჯები, შეეჩერებინა ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2" და დაეწყო ენერგორესურსების დივერსიფიკაციაზე ფიქრი, ევროპელი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგი სულაც არაა და ომის კონტექსტში გერმანიამ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. გერმანიის კანცლერმა ეს შემდეგნაირად ახსნა: „გასული დღეების მოვლენებმა აჩვენა, რომ

[10] Nik Martin, "Nord Stream 2: The gas pipeline's second power struggle", Deutsche Welle, February 8, 2022. Available at: https://www.dw.com/en/nord-stream-2-the-gas-pipelines-second-power-struggle/a-60613442
[11] Zia Weise, "Germany shelves Nord Stream 2 pipeline", Politico, February 22, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/germany-to-stop-nord-stream-2/
[12] "After the Watershed", The Federal Chancellor, The Federal Government, July 19, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/search/after-the-watershed-2063256

პასუხისმგებლიანი, შორსმჭვრეტელი ენერგოპოლიტიკა გადამწყვეტია არა მხოლოდ ეკონომიკისა და გარემოსთვის, არამედ ჩვენი უსაფრთხოებისთვისაც.“[13]

ამ დამოკიდებულებამ ასახვა ჰპოვა ალიანსის ახალ სტრატეგიულ დოკუმენტშიც. ახალი სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით, ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ალიანსის ძირითადი ამოცანებიდან ერთ-ერთის, „შეკავებისა და თავდაცვის“, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ალიანსი ენერგოუსაფრთხოების უზუნველყოფას სტაბილურ და სანდო ენერგო წყაროებში, მომმარაგებლებსა და მარაგებში ინვესტირებით შეეცდება.[14] გერმანიის მიერ ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შეჩერება ამ ამოცანას ზუსტად პასუხობს, ვინაიდან სტრატეგიული მოწყვლადობისა და დამოკიდებულების აღმოფხვრისკენ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყოველთვის იყო ალიანსის ხედვის ნაწილი და წარსულში თავად გერმანია მოდიოდა მასთან წინააღმდეგობაში.

გადაწყვეტილება II - თავდაცვაში ინვესტირება

გერმანიის მთავრობამ, ოლაფ შოლცის მეთაურობით, ბუნდესტაგში განაცხადა, რომ შეიქმნება ბიუჯეტს მიღმა ფონდი 100 მილიარდი ევროთი გერმანიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით. გერმანიის ეს წინადადება პარლამენტმა უკვე მიიღო: „ჩვენ იმ მომენტში ვართ, როცა გერმანია ამბობს, რომ ჩვენ იქ ვართ, სადაც ევროპას ვჭირდებით, და ევროპას ვჭირდებით ახლა.“

გარდა მოდერნიზებისა, შოლცმა პირობა დადო, რომ გერმანიის სამხედრო შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე ქვეყანა მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 2%-ზე მეტს დახარჯავს.[15]

ეს გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი გამოდგა გერმანიის მოკავშირეებისთვის, განსაკუთრებით აშშ-ისათვის. 2014 წელს ნატოს წევრმა

[13] Zuzanna Szymanska,“Cermany aims to get 100% of energy from renewable sources by 2035”, Reuters, February 28, 2022. Available at: https://www.reuters.com/business/sustainable-business/germany-aims-get-100-energy-renewable-sources-by-2035-2022-02-28/
[14] “NATO 2022 Strategic Concept”, NATO, June 29, 2022. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf
[15] Guy Chazan. “Germany approves 100 bn fund to modernise its armed forces”, Financial Times, June 3, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197

სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ შეასრულებენ დათქმას თავდაცვაში ინვესტირების შესახებ და შეხვდებიან ნატოში შეთანხმებულ პირობებს - მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს დახარჯავენ თავდაცვის მიმართულებით, ყოველწლიური თავდაცვითი ხარჯების 20%-ს კი - ახალი აღჭურვილობის შეძენაზე 2024 წლამდე.[16]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმების ნაწილი გერმანიაცაა, როგორც ალიანსის მნიშვნელოვანი სახელმწიფო, 2%-იანი ზღვარი მას წარსულში არასდროს გადაულახავს. პირიქით, თავდაცვის ხარჯების საკითხი დავის საგანი წარსულში არაერთხელ გამხდარა მოკავშირეებს შორის. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, 2016 წელს „თავისუფალი-მგზავრები“ გააკრიტიკა, რომლებიც ამერიკის უსაფრთხოების გარანტიებს ცუდად იყენებენ და თავის წილს არ იხდიან ნატოს კოლექტიური უსაფრთოების უზრუნველყოფაში. დონალდ ტრამპმაც არაერთხელ მკაცრად გააკრიტიკა ყოფილი კანცლერი, რადგან მან ვერ შეძლო 2%-იანი მიზნის რეალიზება, „ანგელა, უნდა გადაიხადო“,[17] -ასე მიმართავდა პრეზიდენტი კანცლერს.

გერმანიის გადაწყვეტილება, თავდაცვის ხარჯებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2% დახარჯოს სრულ თანხვედრაშია ნატოს ხედვასთან და ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ჩამოყალიბებულ მთავარ ამოცანასთან, გააძლიეროს ალიანსის თავდაცვითი შესაძლებლობები. ამავდროულად, 100 მილიარდი ევროს შეიარაღებულ ძალებზე დახარჯვა, ქვეყანას საშუალებას მისცემს აღმოფხვრას ის „გარღვევები“ და ჩამორჩენა, რაზეც დიდი ხანია საუბრობენ. გერმანიის თავდაცვის მინისტრის, ლამბრეხტის თქმით, სამხედრო მოსამსახურეებთან საუბრისას, ხშირად ესმის ფრაზები: „ჩვენ არ გვაქვს ის, ჩვენ ეს ძალიან ცოტა გვაქვს, ეს ამოწურულია, ის დეფექტური - და ჩვენ ეს უნდა შევაჩეროთ.“[18]

დავდაცვისუნარიაობის გადადგმული ეს ორი ნაბიჯი გერმანიას არა მხოლოდ ალიანსის დონეზე მისცემს საშუალებას კოლექტიურ უსაფრთხოებაში შეიტანოს თავისი წვლილი, არამედ ეროვნულ დონეზეც მნიშვნელოვანი პროგრესის საწინდარი შეიძლება გახდეს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული ფაქტები მიგვანიშნებს, რომ გერმანია უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე არ იზიარებდა ალიანსის ხედვას თავდაცვაში ინვესტირების შესახებ (თუმცა ამის ვალდებულება ჰქონდა აღებული) მიუხედავად მოკავშირეების მხრიდან წამოსული ზეწოლისა. შესაბამისად, მისი

[16] “NATO 2030”, NATO, June, 2021. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/6/pdf/2106-factsheet-nato2030-en.pdf
[17] Guy Chazan. “Germany approves 100 bn fund to modernise its armed forces”, Financial Times, June 3, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197
[18] Guy Chazan. “Germany approves 100 bn fund to modernise its armed forces”, Financial Times, June 3, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197

გადაწყვეტილებები არაა ალიანსთან შეთანხმებული კოლექტიური პოლიტიკის გატარების მცდელობა ან ნატოს ხედვის გაზიარება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ომის დაწყების შემდეგ მასზე ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა და, შესაძლოა, ამას ებიძგა საბოლოოდ ნაბიჯის გადადგმისაკენ.

გადაწყვეტილება III - უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდება

ეპოქალური მნიშვნელობის გამოდგა გერმანიის გადაწყვეტილება უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდების თაობაზე. 26 თებერვალს გერმანიის მთავრობამ პირობა დადო, რომ ომში ჩართულ უკრაინას 1,000 ანტისატანკო იარაღს და 500 ანტისაავიაციო დამცავ სისტემას მიაწვდიდა. სიცხადისთვის, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის კურსი მანამდე ყოველთვის ითვალისწინებდა კონფლიქტურ ზონაში იარაღის გაგზავნისგან თავის შეკავების პოლიტიკას. უფრო მეტიც, გერმანიამ ესტონეთს ნება არ დართო გერმანიაში წარმოებული საარტილერიო იარაღი მიეწოდებინა უკრაინისთვის.[19]

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანალენა ბერბოკმა, ზემოაღნიშნულ ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა: ,,შესაძლოა ესაა დღე, როდესაც გერმანია უკან მოიტოვებს „მხოლობითი“ და განმარტოებითი სახის თავშეკავებას საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში. ამ თვითდადგენილმა წესებმა არ შეიძლება უფლება მოგვცეს, რომ თავი ავარიდოთ ჩვენს პასუხისმგებლობას. თუ ახლა მსოფლიო განსხვავებული ადგილია, მაშინ ჩვენი პოლიტიკაც განსხვავებული უნდა იყოს.“[20]

თუ დღევანდელ კონფლიქტს გავცდებით და უფრო ფართო კონტექსტში შევხედავთ სიტუაციას, დავინახავთ, რომ გერმანია წარსულში დარწმნებული იყო, რომ რუსეთი აუცილებლად დარჩებოდა ევროკავშირის ყველაზე მნიშვნელოვან მეზობლად (ნებისმიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში) და ევროპული უსაფრთხოების მშენებლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ „რუსეთთან ერთად და არა - მის

[19] Michael R. Gordin. & Bojan Pancevski, “Germany Blocks NATO Ally From Transferring Weapons to Ukraine“, The Wall Street Journal, January 21, 2022. Available at: https://www.wsj.com/articles/germany-blocks-nato-ally-from-transferring-weapons-to-ukraine-11642790772

[20] Christos Katsioulis, “Where is Germany’s foreign policy heading?” IPS, March, 10, 2022. Available at: https://www.ips-journal.eu/topics/foreign-and-security-policy/where-exactly-is-germanys-foreign-policy-heading-5782/

წინააღმდეგ“. ამავდროულად, რუსეთი აღიქმებოდა სახელმწიფოდ, რომელსაც განადგურების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია.[21] ამ „ორმაგი“ საგარეო პოლიტიკის გამოხატულება იყო „ცვლილება შერიგებით“ (Wandel durch Annäherung) და „ცვლილება ვაჭრობით“ (change through trade), რის ლობირებასაც თავის მოკავშირეებში გერმანია აქტიურად ახდენდა.

გერმანიისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდება რუსეთთან მიმართებაში მსგავსი სენტიმენტალური მიდგომების მიტოვებას მოიაზრებს. გერმანიის მმართველ კოალიციასა და გარკვეულწილად ოპიზიციაშიც, გაჟღერდა რუსეთის ქმედებებისადმი უკმაყოფილება და ბრაზი საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევების გამო. გერმანია საბოლოოდ უარს ამბობს თავშეკავების, ნეიტრალურობის პოზიციაზე, რომელიც რუსეთთან „მეზობლური“ ურთიერთობის შენარჩუნებას გულისხმობს; იდეალისტური შეხედულებები, რომ ვაჭრობა კონფლიქტურ სახელმწიფოებს, აღნიშნულ შემთხვევაში, რუსეთს, თავის ძალისმიერ მეთოდებზე ათქმევინებს უარს, რეალობას სცილდება და ამის გაცნობიერება, უკვე გერმანიამაც დაიწყო.

გერმანიის ახალი საგარეო პოლიტიკა თანხვედრაშია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციასთან, სადაც რუსეთი ალიანსისთვის „პირდაპირ მტრად“ არის მოხსენიებული. კონცეფციაში სტრატეგიული გარემოს შეფასებისას ნათქვამია: ,,რუსეთის ფედერაცია ევროატლანტიკური სივრცეში მოკავშირეების უსაფრთხოების, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ... ევროატლანტიკური სივრცე მშვიდობის მდგომარეობაში არ იმყოფება. რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ნორმები და პრინციპები, რომლებიც ევროპის უსაფრთხოების წესრიგის სტაბილურობასა და მოსალოდნელობას უზრუნველყოფდა.“[22]

რუსეთის პირდაპირ საფრთხედ მოხსენიება ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში პირველად მოხდა. ახალია გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსიც, რომელიც რუსეთთან უპირობო მეზობლურ ურთიერთობას და „რუსეთთან ერთად და არა - მის წინააღმდეგ“ კონცეფციაზე უარს ამბობს. ეს ნატოს შიგნით გაამარტივებს ალიანსის სამი ძირითადი ამოცანის - კოლექტიური თავდაცვა, კრიზისის მართვა, თანამშრომლობითი უსაფრთოება - წარმატებულად შესრულებას.

---

[21] Anna Kwiatskowska & K Frymark, “Germany in the Russian-Ukrainian conflict: a political or humanitarian mission?”, Centre for Eastern Studies, February, 18. 2015. Available at: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2015-02-18/germany-russian-ukrainian-conflict-a-political-or-a

[22] “NATO 2022 Strategic Concept”, NATO, June 29, 2022. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf

არ უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობამ ალტრუისტული მიზნებით მიიღო. მაშინ, როდესაც უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე და ომის დაწყების შემდეგაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და აშშ იარაღს აწვდიდა უკრაინას, გერმანია კვლავ ინარჩუნებდა ნეიტრალურ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ესტონეთს გერმანული წარმოების იარაღის მიწოდებაც კი აუკრძალა უკრაინისთვის. შესაბამისად, ნათელია, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან გერმანიისადმი მიმართული ზეწოლის შედეგია. გერმანიამ საბოლოოდ გადაწყვიტა მოკავშირეთა პოლიტიკას შეერთებოდა და ალიანსის ხედვა გაეზიარებინა ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზების შესახებ.

გადაწყვეტილება IV – „ღია კარის“ პოლიტიკის ერთგულება

გერმანიის კანცლერმა მადრიდის სამიტზე განაცხადა: „ნატო მრავალი წელია ასეთი მნიშვნელოვანი არ ყოფილა ჩვენი უსაფრთხოების, ევროპის უსაფრთხოებისა და მსოფლიო მშვიდობის კუთხით.“ შოლცმა ხაზი გაუსვა თავდაცვითი ალიანსის ერთიანობას - ნატო არის „30 სახელმწიფოსგან შემდგარი ორგანიზაცია, რომელიც ერთად დგას საერთო მოტივით ‘ერთი ყველასთვის და ყველა ერთისათვის’.[23]

ალიანსი სულ მალე კიდევ ორ სახელმწიფოს, შვედეთსა და ფინეთს მიიღებს. ნატოში გაწევრიანების მსურველი ორი სახელმწიფოსთვის გერმანია გახდა ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი მათ გაწევრიანებას. ბუნდესტაგმა და ბუნდესრატმა უვკე დაამტკიცა ფედერალური კაბინეტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი. თავად კანცლერმა კი მოიწონა პროცესის ასე სწრაფად წარმართვა: „კარგია, რომ ბუნდესტაგმა და ბუნდესრატმა მხარი დაუჭირეს ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებას. ეს უკეთეს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს - ნატოს წევრებისა და ევროპისათვის“.[24]

ფინეთისა და შვედეთის მიერ ალიანსის წევრობაზე განაცხადის გაკეთება სწორედ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგია, ვინაიდან დაიმსხვა ილუზია, რომ „ფინლანდიზაცია“ ეფექტური შეიძლება იყოს რუსეთთან მიმართებაში. გერმანიის მიერ ნატოს ღია კარის პოლიტიკის მხარდაჭერა ალიანსში ერთობლივი, შეთანხმებული პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს. მადრიდის სამიტზე ალიანსმა

[23] “NATO has not been this important for many years”, The Federal Government, June 20, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-summit-madrid-2058998
[24] The Federal Government. “Germany agrees to alliance expansion”. June 8, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-expansion-2060644

ნატოში გაწევრიანებისთვის ოფიციალური მოწვევა გაუგზავნა სკანდინავიის ორ ქვეყანას, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პროცესი დაბრკოლებების გარეშე ჩაივლის.

ამავდროულად, ღია კარის პოლიტიკის მხარდაჭერა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის ძირითადი ამოცანის, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გერმანია ასეთი მონდომებული იქნება ალიანსმა თავისი კარი გაუხსნას ალიანსში გაწევრიანების მსურველ უკრაინას ან საქართველოს, ვინაიდან ამ ქვეყნებთან მიმართებაში უსაფრთხოების რისკები მატულობს. ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება, გერმანიის თვალთახედვით, „მართვადი რისკია“ და ამ საკითხს არც პოლიტიკური ლობირება სჭირდება, განსხვავებით უკრაინისა და საქართველოსგან.

„ღია კარის“ პოლიტიკა ყოველთვის იყო ნატოს სტრატეგიული დოკუმენტების შემადგენელი ნაწილი. შედეგად, ფინეთისა და შვედეთის ალიანსში გაწევრიანება თანხვედრაშია როგორც მთლიანი ალიანსის ხედვასთან, ასევე, გერმანიის ინტერესებთანაც (როგორც ზემოთ აღინიშნა). შესაბამისად, ესაა ერთადერთი გადაწყვეტილება, სადაც დასავლელ მოკავშირეებს გერმანიის დარწმუნება არ დასჭირვებიათ.

დასკვნა

ესეში განხილული გადაწყვეტილებები - ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შეჩერება და ემბარგო რუსულ გაზზე, თავდაცვაში ინვესტირება, უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდება, ნატოს „ღია კარის პოლიტიკის ერთგულება - გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ისტორიულ ცვლილებაზე მიანიშნებს.

უკრაინის კონფლიქტამდე (და მის საწყის ეტაპზეც) გერმანია იყო სახელწიფო, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობას და მასთან საერთო ენის გამონახვას ლობირებდა თავის მოკავშირეებთან; რჩებოდა „ვაჭრობით ცვლილების“ პოლიტიკის ერთგული; არ აწვდიდა შეიარაღებას კონფლიქტში ჩართულ სახელმწიფოებს; მხარს უჭედა რუსეთთან უმსხვილესი ენერგო სატრანზიტო გზის მშენებლობას. დღეისათვის ყველა ზემოხსენებულ საკითხში გერმანია საპირისპირო პოლიტიკას ირჩევს - „წარმოუდგენელია უახლოეს მომავალში პუტინის აგრესიული, იმპერიალისტური რუსეთთთან პარტნიოტობა“ - განაცხადა გერმანიის კანცლერმა სიტყვით გამოსვლისას. ამ ტიპის განცხადებას მისი დასავლელი მოკავშირეები უკრაინის ომამდე ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ.

თავის მხრივ, ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებში ალიანსის წევრები ყოველთვის უცხადებდნენ მხარდაჭერას ენერგორესურსების დივერსიფიკაციას, თავდაცვაში

ინვესტირებას, გაფართოების პოლიტიკის ერთგულებასა და ალიანსის მეზობელი სახელმწიფოებისა და პარტნიორების მხარდაჭერას უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიის ზემოხსენებული გადაწყვეტილებები ბოლოს და ბოლოს მისი ევროპული, საერთო პოლიტიკური კურსის გაზიარებაა.

ამავდროულად, ეს შედეგია გერმანიის მოკავშირეთა ზეწოლისა, რაც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ერთადერთი საკითხი, რომელშიც გერმანია თავად იყო ლობისტის როლში, ალიანსის ჩრდილოეთით გაფართოება და ფინეთისა და შვედეთის მიღებაა. მიუხედავად ალიანსის წევრობისა, დანარჩენ საკითხებში მისი მოკავშირეები მუდმივად დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ გერმანიის მხრიდან.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ომმა დააჩქარა/განაპირობა გერმანიის ალიანსის საერთო ხედვასთან დაახლოება. ბოლო წლების განმავლობაში, გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა არასდროს ყოფილა ისეთ თანხვედრაში ნატოს საერთო „ევროპულ“ იდეასთან, როგორც დღესაა. ამასთანავე, უჩვეულოა, რომ ალიანსსსა და გერმანიას ერთნაირი წარმოდგენა აქვს რუსეთზე.

ბიბლიოგრაფია

- Chazan, Guy. "Germany approves 100 bn fund to modernise its armed forces", Financial Times, June 3, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197
- European Parliament. "Outcome of the Madrid NATO Summit". June, 2022. Available at: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2022/733604/EPRS_ATA(2022)733604_EN.pdf
- Gordin, R. Michael. & Pancevski, Bojan. "Germany Blocks NATO Ally From Transferring Weapons to Ukraine", The Wall Street Journal, January 21, 2022. Available at: https://www.wsj.com/articles/germany-blocks-nato-ally-from-transferring-weapons-to-ukraine-11642790772
- Herszenhorn, David M. & Bayer, Lili. & Von Der Burchard, Hans. "Germany to send Ukraine weapons in historic shift on military aid", Politico, February 26, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/ukraine-war-russia-germany-still-blocking-arms-supplies/
- Katsioulis, Christos. "Where is Germany's foreign policy heading?" IPS, March, 10, 2022. Available at: https://www.ips-journal.eu/topics/foreign-and-security-policy/where-exactly-is-germanys-foreign-policy-heading-5782/
- Kwiatskowska, Anna. & Frymark, K. "Germany in the Russian-Ukrainian conflict: a political or humanitarian mission?", Centre for Eastern Studies, February, 18. Available at: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2015-02-18/germany-russian-ukrainian-conflict-a-political-or-a
- Martin, Nik. "Nord Stream 2: The gas pipeline's second power struggle", Deutsche Welle, February 8, 2022. Available at: https://www.dw.com/en/nord-stream-2-the-gas-pipelines-second-power-struggle/a-60613442
- NATO. "2022 NATO Summit." NATO, June 30, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_196144.htm
- NATO. "NATO 2022 Strategic Concept". June 29, 2022. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf
- NATO. "NATO 2030". June, 2021. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/6/pdf/2106-factsheet-nato2030-en.pdf
- Nord Stream. "The Pipeline". Accessed July 21, 2022. Available at: https://www.nord-stream.com/the-project/pipeline/
- Rettman, Andrew. "Merkel: Nord Stream 2 is 'political'", euobserver, April 11, 2018. Available at: https://euobserver.com/green-economy/141570
- Szymanska, Zuzanna. "Cermany aims to get 100% of energy from renewable sources by 2035", Reuters, February 28, 2022. Available at: https://www.reuters.com/business/sustainable-business/germany-aims-get-100-energy-renewable-sources-by-2035-2022-02-28/
- The Federal Chancellor. "After the Watershed". The Federal Government. July 19, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/search/after-the-watershed-2063256

– The Federal Government. “Germany agrees to alliance expansion”. June 8, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-expansion-2060644
– The Federal Government. “NATO has not been this important for many years”. June 20, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-summit-madrid-2058998
– The Federal Government. “Scholtz at the NATO summit in Madrid”. June 30, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/search/nato-summit-madrid-2058998
– Weise, Zia. “Germany shelves Nord Stream 2 pipeline”, Politico, February 22, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/germany-to-stop-nord-stream-2/
– Wettengel, Julian. “Gas pipeline Nord Stream 2 links Germany to Russia, but splits Europe”, Clean Energy Wire, April 20, 2022. Available at: https://www.cleanenergywire.org/factsheets/gas-pipeline-nord-stream-2-links-germany-russia-splits-europe

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

Zeitenwende გერმანიის საგარეო პოლიტიკაში: გავლენა ნატოზე

ავტორი: ლია ჩხეტიანი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

2022 წლის 27 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან რამდენიმე დღეში, ბუნდესტაგის რიგგარეშე სხდომაზე გერმანიის ახლადარჩეულმა კანცლერმა, ოლაფ შოლცმა, განაცხადა, რომ უკრაინაში პუტინის ომი გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის „გარდამტეხი მომენტი“ (Zeitenwende) უნდა გამხდარიყო.[1] აღნიშნული გულისხმობდა, გერმანიის შეიარაღებული ძალების (Bundeswehr) მოდერნიზაციის მიზნით, 100 მილიარდი ევროს მოცულობის სპეციალური ფონდის შექმნას, გერმანიის კონსტიტუციაში (Grundgesetz) შესაბამისი ცვლილებების გატარებას, ასევე, თავდაცვაზე ხარჯების მშპ-ის 2%-ზე უფრო მეტ ოდენობამდე თანდათანობით გაზრდას, რაც ნატოს წევრობიდან მომდინარე ვალდებულებას აქამდეც წარმოადგენდა, თუმცა გერმანია ბოლო წლებში მას არ ასრულებდა, და ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას.[2] ბუნდესტაგში ისტორიულ გამოსვლამდე ერთი დღით ადრე, შოლცმა, ასევე, საბოლოოდ თქვა უარი გერმანიის ტრადიციულ პოლიტიკაზე, თავი შეეკავებინა კონფლიქტის ზონებში იარაღის გაგზავნისგან და დათანხმდა როგორც უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას, ასევე, ნება მისცა სხვა ქვეყნებს გერმანიის ტერიტორიის გავლით იგივე გაეკეთებინათ.[3]

ძალის გამოყენებისგან თავის ნებაყოფლობითი შეკავების მრავალწლიანი პოლიტიკის, გერმანულ საზოგადოებაში მძლავრი პაციფისტური განწყობებისა და 2000-იანი წლებიდან რუსეთთან განსაკუთრებით მჭიდრო ეკონომიკური კავშირებისა და მეგობრული ურთიერთობის ფონზე, შუქნიშნის კოალიციის მკაცრი რეაქცია უკრაინაში მიმდინარე ომზე, მათ შორის, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან გათავისუფლების მცდელობა და უკრაინის იარაღით მომარაგებაზე თანხმობა, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ, მართლაც, გერმანიის საგარეო პოლიტიკაში რევოლუციური ცვლილებების მომსწრენი ვართ. მოსალოდნელია, რომ ამ გარდაქმნებს გრძელვადიანი ეფექტები ექნება, ეს კი, შედეგად, განამტკიცებს ტრამპის მმართველობის პერიოდში საკმაოდ დაზიანებულ აშშ-სა და გერმანიის სტრატეგიულ პარტნიორობას, უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს შეუქმნის აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და სტრატეგიულად გააძლიერებს ნატოს ინტერესებს ევროპის კონტინენტზე.

---

[1] The Federal Government, “Policy Statement by Olaf Scholz, Chancellor of the Federal Republic of Germany and Member of the German Bundestag, 27 February 2022 in Berlin”, Website of the Federal Government, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/policy-statement-by-olaf-scholz-chancellor-of-the-federal-republic-of-germany-and-member-of-the-german-bundestag-27-february-2022-in-berlin-2008378

[2] Ibid.

[3] Politico EU, “Germany to Send Ukraine Weapons in Historic Shift on Military Aid”, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/ukraine-war-russia-germany-still-blocking-arms-supplies/

მოცემულ ესეში, თავდაპირველად, განხილულია გერმანიის გაერთიანებისშემდგომი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, უკრაინაში ომის დაწყებამდე გერმანიის ურთიერთობის ხასიათი, ერთი მხრივ, ნატოსთან, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთთან და ომის მიმდინარეობისას გერმანიის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მეორე ნაწილში აღწერილია ნატოს შიდა გამოწვევები და ღირებულებითი კრიზისის ნიშნები უკრაინაში ომის დაწყებამდე პერიოდში, ომზე ნატოს რეაქცია და ალიანსის შიგნით განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის, გერმანიის ჩართულობით; დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია უკრაინის ომის შემდგომ პერიოდში ნატოს პოლიტიკის შესაძლო მიმართულებები და მათში გერმანიის როლი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ძვრების გათვალისწინებით.

1. გერმანიის საგარეო პოლიტიკა უკრაინის ომამდე და შემდეგ

1.1 გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

1990 წელს, გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შემდეგ, ჰანს-დიტრიხ გენშერმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) ვიცეკანცლერმა განაცხადა, რომ ახლა „გერმანია მეგობრებით არის გარშემორტყმული“.[4] საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ გერმანიის საგარეო პოლიტიკა სწორედ ამგვარ აღქმას დაეფუძნა. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა „სამოქალაქო ძალაუფლების“ (Zivilmacht) პრინციპმა.[5] აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უარის თქმას აგრესიულ და ძალისმიერ პოლიტიკაზე და უპირატესობის მინიჭებას ინსტიტუტებზე დაფუძნებული თანამშრომლობისა და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის.[6] გერმანია ცდილობდა ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებაზე დაფუძნებული სტატუსკვოსა და ცივი ომის შემდეგ მიღწეული სტაბილურობის შენარჩუნებას.[7] საგარეო პოლიტიკის წარმმართველ ძირითად პრინციპებად იქცა მულტილატერალიზმი, ძალის გამოყენებისგან ნებაყოფლობით თავის შეკავება და მშვიდობის მშენებლობა, მსოფლიოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და

[4] Institut Montaigne, “Germany and the Zeitenwende”, 2022. Available at: https://www.institutmontaigne.org/en/blog/germany-and-zeitenwende
[5] Schmidt Siegmar, Hellmann Gunther, Wolf Reinhard, Handbuch Zur Deutschen Außenpolitik, (Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 2007) 73.
[6] გარაისი სვენ ბერნჰარდ, „გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: შესავალი“, (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021) 87.
[7] Thomas Bagger, “The World according to Germany: Reassessing 1989”, Atlantik-Brücke e.V., 2019. Available at: https://www.atlantik-bruecke.org/the-world-according-to-germany-reassessing-1989/

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, ევროკავშირისა და ტრანსატლანტიკური ალიანსის გაძლიერება და გლობალური ეკონომიკური კავშირების გაფართოება.[8] გერმანია, რომელიც ცივი ომის „ვარშავის პაქტის“ წევრებსა და დასავლელ მოკავშირეებს შორის გამყოფი პუნქტის როლს ასრულებდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ეპოქაში საკუთარ როლს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემაკავშირებელ ხიდად აღიქვამდა. მას მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური კავშირები ჰქონდა პოსტკომუნისტური სივრცის ევროპულ ქვეყნებთან და ხელს უწყობდა მათ დემოკრატიულ განვითარებასა და ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში.

1.2 გერმანიის ურთიერთობები რუსეთთან

გერმანიის საგარეო პოლიტიკაში, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პრინციპი „ცვლილება ვაჭრობის გზით“ (Wandel durch Handel/change through trade), რომელიც გულისხმობს საერთაშორისო ვაჭრობით დემოკრატიული ღირებულებებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დიფუზიას დემოკრატიული სახელმწიფოებიდან ავტორიტარულ ქვეყნებში და, საბოლოოდ, მათი დემოკრატიზაციის ხელშეწყობას.[9] პრინციპი „ცვლილება ვაჭრობის გზით“ 70-იანი წლების გერმანიაში სოციალ-დემოკრატი კანცლერის, ვილი ბრანდტის, მიერ აღმოსავლეთ გერმანიასთან ურთიერთობის წარმმართველი Ostpolitik-ის მთავარი პრინციპის: „ცვლილება დაახლოების გზით“ (Wandel durch Annäherung) მოდიფიცირებული ვერსიაა. აღსანიშნავია, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგაც Ostpolitik-ის ამ მიდგომის ნიშნები, ძირითადად „ცვლილება ვაჭრობის გზით“ მიდგომაში გამოხატული, კვლავ შეინიშნებოდა რუსეთის მიმართ გერმანიის დამოკიდებულებაში.[10] გერმანიასა და რუსეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები სწორედ „ცვლილება ვაჭრობის გზით“ პრინციპზე იყო დაფუძნებული. თუმცა, უკრაინის ომის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა „ახალი აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Neue Ostpolitik) შემუშავებაზე, რომელიც არა რუსეთთან თანამშრომლობაზე, არამედ იმგვარი

[8] Federal Foreign Office, “Germany’s Foreign and European Policy Principles”, 2019. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/policy-principles/229790
[9] Rainer Hank, “Hanks Welt: Gefährliche Polemik Am „Wandel Durch Handel“,” Frankfurter Allgemeine Zeitung, 2022. Available at: https://www.faz.net/aktuell/wirtschaft/wandel-durch-handel-ehrenrettung-einer-leitidee-18109718-p2.html
[10] Albrecht von Lucke, “Putins Krieg: Das Ende Unserer Illusionen“, Blätter Für Deutsche Und Internationale Politik,” 2022. Available at: https://www.blaetter.de/ausgabe/2022/april/putins-krieg-das-ende-unserer-illusionen

უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე იქნება დაფუძნებული, რომლის მთავარ ამოცანა სწორედ რუსეთისგან თავდაცვა იქნება.[11]

რუსეთსა და გერმანიას შორის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი 2000-იანი წლებიდან, გერჰარდ შროდერის კანცლერობის დროს, მიიღო და კიდევ უფრო გაღრმავდა ანგელა მერკელის მმართველობის პერიოდში. შროდერის დროს დაიწყო ბალტიის ზღვაზე გამავალი მილსადენის, „ჩრდილოეთის ნაკადი 1“-ის მშენებლობაც, რომელმაც გერმანიის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების გაზრდაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანა. 2015 წელს კი, იქამდე ერთი წლით ადრე რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიუხედავად, ანგელა მერკელმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობას მხარი დაუჭირა. მისი აზრით, ურთიერთდამოკიდებულების გაზრდის შედეგად, რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობები სტაბილურობას მიაღწევდა.[12] შედეგად, გერმანიაში გაზის 55%-ის იმპორტიორი რუსეთი გახდა.[13]

ასევე, მჭიდრო იყო გერმანიისა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობაც. მაგალითად, 2021 წელს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის საერთო ბრუნვა 60 მილიარდ ევროს აღწევდა, რაც წინა, 2020 წლის, ბრუნვას 34%-ით აღემატებოდა.[14] გერმანიის ახლანდელმა პრეზიდენტმა, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა, რომელიც 2014-2017 წლებში საგარეო მინისტრის პოსტს იკავებდა და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ მისი მხრიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მხარდაჭერა შეცდომა იყო და გერმანიის ხელისუფლებას აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების გაფრთხილებები უფრო მეტი სერიოზულობით უნდა მიეღო.[15]

[11] Deutsche Welle, “SPD Skizziert Neue Ostpolitik“, 2022. Available at: https://www.dw.com/de/spd-skizziert-neue-ostpolitik/a-62416535
[12] Deutsche Welle, “Russian Gas in Germany: A Complicated 50-Year Relationship”, 2022. Available at: https://www.dw.com/en/russian-gas-in-germany-a-complicated-50-year-relationship/a-61057166
[13] Deutsche Welle, “Germany’s Russia Policy in Tatters after Russian Invasion of Ukraine“, 2022. Available at: https://www.dw.com/en/germanys-russia-policy-in-tatters-after-russian-invasion-of-ukraine/a-60874697
[14] Statistisches Bundesamt, “Facts on Trade with Russia”, 2022. Available at: https://www.destatis.de/EN/Press/2022/02/PE22_N010_51.html
[15] Deutsche Welle, “German President Steinmeier Admits ‘Mistakes’ over Russia Policy“, 2022. Available at: https://www.dw.com/en/german-president-steinmeier-admits-mistakes-over-russia-policy/a-61362153

1.3 გერმანია ნატოში

ძალის გამოყენებისგან ნებაყოფლობით თავის შეკავების პრინციპიდან გამომდინარე, გერმანიის შეიარაღებული ძალები მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციების შესრულებით შემოიფარგლებოდნენ. შესაბამისად, გერმანიას ყოველთვის თავშეკავებული პოზიცია ჰქონდა ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიმართ. ამის მიუხედავად, გერმანია ნატოს თითქმის ყველა მისიაში მონაწილეობდა, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ ყველაზე მეტი ოდენობის ფინანსური კონტრიბუცია ნატოში გერმანიისგან ხორციელდება და ნატოს სამსახურში მყოფი პერსონალის ოდენობის მიხედვით გერმანია წევრებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს.[16] გარდა ამისა, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ევროპაში გერმანია სამხედრო პერსონალისა და მასალების ლოჯისტიკური ცენტრის ფუნქციას ატარებს, აქვე მდებარეობს რამშტაინის ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გერმანიამ უდიდესი როლი შეასრულა ნატოს თავდაცვის განახლებული კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ევროპაში რეგიონული სტაბილურობის მიღწევასა და აღმოსავლეთით გაფართოებაში.[17]

აღნიშნულის მიუხედავად, გერმანიას ნატოს წევრი სხვა სახელმწიფოები ხშირად აკრიტიკებდნენ მხოლოდ თავდაცვაზე ორიენტირებული სამხედრო პოლიტიკის გამო და საყვედურობდნენ, რომ ის ნატოს სამხედრო ოპერაციებში მხოლოდ ალიანსის სხვა წევრების მიმართ სოლიდარობის გამო მონაწილეობდა.[18] გარდა ამისა, გერმანია, რომელიც ევროპის უდიდეს ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს, წლების განმავლობაში არღვევდა ნატოს შეთანხმებას თავდაცვაზე მშპ-ის 2%-ის ხარჯვის შესახებ. შედარებისთვის, 2021 წელს აშშ-ის თავდაცვის ხარჯები 3.52%-ს, საფრანგეთის - 2.01%- ის, დიდი ბრიტანეთის - 2.29%-ს, ხოლო გერმანიისა - 1.53%-ს შეადგენდა.[19]

ამ მიდგომის გამო, აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, გერმანია რამდენჯერმე მკაცრად გააკრიტიკა, რამაც არა მარტო აშშ-სა და გერმანიის

[16] Statista.com, "Number of Military Personnel in NATO Countries 2019" . Available at: https://www.statista.com/statistics/584286/number-of-military-personnel-in-nato-countries/
[17] გარაისი სვენ ბერნჰარდ, „გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: შესავალი", (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021) 223.
[18] გარაისი სვენ ბერნჰარდ, „გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: შესავალი", (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021) 110.
[19] World Population Review, "NATO Spending by Country 2020", 2020. Available at: https://worldpopulationreview.com/country-rankings/nato-spending-by-country

ხანგრძლივ პარტნიორობაში, არამედ ასევე ალიანსის შიგნითაც განხეთქილების ნიშნები შექმნა. 2018 წელს ბრიუსელში გამართულ ნატოს სამიტზე ტრამპმა განაცხადა, რომ ენერგოდამოკიდებულების დამსახურებით გერმანია რუსეთისგან სრულად კონტროლდებოდა, რაც ნატოს ინტერესებისთვის დამაზიანებელი იყო.[20] 2020 წელს ტრამპმა აღნიშნა, რომ გერმანია ამერიკელი ჯარისკაცების ხარჯზე იღებდა სარგებელს მაშინ, როცა თვითონ 2%-იანი ხარჯვის ვალდებულებას არ ასრულებდა. ამის გამო, ტრამპმა გერმანიის ტერიტორიიდან ამერიკული სამხედრო ძალების ნაწილის გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.[21]

არადა, ნატოში აშშ-ისა და გერმანიის მჭიდრო თანამშრომლობა სათავეს ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან იღებს. აშშ, როგორც ნატოს ლიდერი სახელმწიფო, გერმანიის უსაფრთხოების მთავარი გარანტორი იყო როგორც ცივი ომის, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ტრამპის განცხადებებმა ევროპაში გააქტიურა დისკუსია იმის შესახებ, რომ აშშ-ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა პრიორიტეტი აღარ იქნებოდა და ევროპულ ქვეყნებს საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა ეზრუნათ.

1.4 გერმანიის ნაბიჯები უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ

უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე, 22 თებერვალს, ოლაფ შოლცმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო.[22] ივნისში გერმანიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა შოლცის მიერ დაანონსებული თავდაცვის 100-მილიარდიანი ფონდის დაარსებას.[23] ომის დაწყების შემდეგ უკრაინა გერმანიას მუდმივად აწვდის ტანკსაწინააღმდეგო იარაღს, საზენიტო რაკეტებს, ტყვიამფრქვევებს, საბრძოლო მასალებს და სხვა სამხედრო საქონელს თავდაცვის ბუნდესვერის მარაგებიდან. გერმანიამ უკრაინის დასახმარებლად

[20] CNBC, “Trump Slams Germany at NATO Summit: It’s ‘Totally Controlled by Russia”, 2018. Available at: https://www.cnbc.com/2018/07/11/trump-slams-germany-at-nato-summit-says-its-a-captive-of-russia.html
[21] Deutsche Welle, “Donald Trump Accuses Germany of ‘Making a Fortune’ off US Soldiers“, 2020. Available at: https://www.dw.com/en/trump-nato-germany/a-54451443
[22] Reuters, “Germany Freezes Nord Stream 2 Gas Project as Ukraine Crisis Deepens“, 2022. Available at: https://www.reuters.com/business/energy/germanys-scholz-halts-nord-stream-2-certification-2022-02-22/
[23] Financial Times, “Germany Approves €100bn Fund to Modernise Its Armed Forces”, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197

სამხედრო ინვენტარის შესაძენად მილიარდი ევრო გამოყო.[24] მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა საზოგადოებრივ აზრშიც: თუ ომის დაწყებამდე მოსახლეობის მხოლოდ 21% უჭერდა მხარს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას, რუსეთის შეჭრის შემდეგ ამ მაჩვენებელმა 61%-ს მიაღწია.[25] ომის პირველ თვეებში გერმანია უარს ამბობდა უკრაინისთვის მომაკვდინებელი იარაღის მიწოდებაზე, თუმცა, აპრილის ბოლოსთვის გერმანიამ უკრაინისთვის მძიმე იარაღის მიწოდებაზე თანხმობა განაცხადა.[26] ამის მიუხედავად, ქვეყანა ხშირად გააკრიტიკეს იარაღის მიწოდების პროცესის გაჭიანურების გამო. გერმანია შეუერთდა დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, როგორიცაა, მაგალითად, რუსული ბანკების გამოთიშვა SWIFT-ის სისტემიდან, Sputnik-ისა და Russia Today-ის მაუწყებლობის შეწყვეტა, რკინის, ოქროს, ქვანახშირის იმპორტის აკრძალვა და სხვ.[27] ასევე, ქვეყანა რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას რაც შეიძლება სწრაფად ცდილობს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბაერბოკმა განაცხადა, რომ გერმანია 2022 წლის ზაფხულისთვის გაანახევრებდა, წლის ბოლოსთვის კი სრულად შეწყვეტდა რუსეთიდან ნავთობის იმპორტს.[28]

2. ნატო უკრაინაში ომის დაწყებამდე და შემდეგ

2.1 შიდა კრიზისის ნიშნები

ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი, რომელმაც პუტინს აფიქრებინა, რომ უკრაინის დაპყრობას დასავლეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გარეშე შეძლებდა, უკანასკნელ წლებში ნატოს წევრ ქვეყნებს შორის განხეთქილებისა და ალიანსში ღირებულებითი კრიზისის ნიშნები იყო, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ სტრატეგიულ საფრთხეებთან გასამკლავებლად ალიანსს კოორდინირებული პოლიტიკის გატარება გაუჭირდებოდა. ნატოს წევრებს შორის გაუცხოებისა და

[24] Die Bundesregierung, "Wie Unterstützt Deutschland Die Ukraine Militärisch?", Webseite der Bundesregierung, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/faq-waffenlieferungen-2027766
[25] Center for European Policy Analysis (CEPA), "Germany's Turning Point", 2022. Available at: https://cepa.org/germanys-turning-point/
[26] CNN, "Germany Agrees to Send Heavy Weapons to Ukraine after Major Policy U-Turn", 2022. Available at: https://edition.cnn.com/2022/04/26/europe/germany-weapons-ukraine-intl/index.html
[27] Council of the European Union, "Timeline - EU Restrictive Measures against Russia over Ukraine", 2022. Available at: https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/history-restrictive-measures-against-russia-over-ukraine/
[28] BBC News, "Germany Rules out Immediate End to Russian Oil Imports", 2022. Available at: https://www.bbc.com/news/business-61164894

წინააღმდეგობრივი ინტერესების გაძლიერების გამოხატულება იყო, პირველ რიგში, აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ მიდგომა, რომლის ფარგლებშიც ტრამპმა არაერთხელ, საკმაოდ უხეშად, გაუსვა ხაზი, რომ ნატოს წევრებს შორის თავდაცვის ხარჯებისა და პასუხისმგებლობების თანაბარი გადანაწილება უნდა მომხდარიყო. აღნიშნული, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, გერმანიასა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გაციების საფუძველიც გახდა. ამასთან, უკანასკნელ წლებში აშშ-ში ნომერ პირველ საგარეო საფრთხედ რუსეთის ნაცვლად ჩინეთი აღიქმებოდა, შესაბამისად, ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ აშშ-ის ინტერესი შედარებით ნაკლები იყო. ამავდროულად, საფრანგეთსა და გერმანიაში ხშირად მიმდინარეობდა საუბარი აშშ-სგან „სტრატეგიული ავტონომიის“ მოპოვების აუცილებლობაზე.[29] ჯერ კიდევ 2021 წლის ბოლოს ანალენა ბაერბოკი მოითხოვდა, რომ აშშ-ს გერმანიის ტერიტორიიდან ბირთვული რაკეტები გაეყვანა.[30] 2019 წელს კი საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ აშშ აღარ იყო დაინტერესებული ევროპის დაცვით და ნატოს მდგომარეობა „ტვინის სიკვდილს“ აგონებდა.[31] გარდა ამისა, ნატოს ლეგიტიმურობას დამატებით ჩრდილს აყენებდა უნგრეთისა და თურქეთის სვლა ავტორიტარიზმისკენ და ალიანსთან მათი აშკარად შეუთანხმებელი ქმედებები.[32]

პრეზიდენტად ჯო ბაიდენის არჩევის შემდეგ აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი ადგილი დაეთმო ისტორიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის აღდგენასა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაძლიერებას,[33] თუმცა ავღანეთიდან ჯარების გაყვანის ნაჩქარევი და არასათანადოდ ორგანიზებული ოპერაცია,[34] რომელიც ახლო აღმოსავლეთში ნატოსა და აშშ-ის 20-წლიანი პოლიტიკის მარცხის

[29] Politico EU, “To Save NATO, Destroy It”, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/save-nato-alliance-west-destroy/
[30] Mopo, “Sollten Wir Die US-Atombomben Aus Dem Land Verbannen?”, 2021. Available at: https://www.mopo.de/news/politik-wirtschaft/sollten-wir-die-us-atombomben-aus-dem-land-verbannen/
[31] The Economist, “Emmanuel Macron Warns Europe: NATO Is Becoming Brain-Dead”, 2019. Available at: https://www.economist.com/europe/2019/11/07/emmanuel-macron-warns-europe-nato-is-becoming-brain-dead
[32] CNN, “How Erdogan’s Turkey Became NATO’s Wild Card”. Available at: https://edition.cnn.com/2022/06/29/middleeast/turkey-nato-erdogan-mime-intl/index.html
[33] House of Commons Library, “President Biden’s Foreign Policy: One Year In”, 2022. Available at: https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-9447/
[34] The New Yorker, “How America Failed in Afghanistan“, 2021. Available at: https://www.newyorker.com/news/q-and-a/how-america-failed-in-afghanistan

სიმბოლოდ იქცა, აშშ-ის, როგორც გლობალური პოლიტიკური მოთამაშის, მსოფლიო გავლენის დასასრულის მომასწავებელ ნიშნად იქნა აღქმული.[35] ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ უკრაინის ომამდე ნატო არა მარტო შიდა წინააღმდეგობებს განიცდიდა, არამედ 21-ე საუკუნეში ალიანსის ღირებულებითი ორიენტირების გადაფასების საჭიროების წინაშეც იდგა.

2.2. ნატოს ქმედებები უკრაინაში ომის შემდეგ

აღწერილი შიდაპოლიტიკური პრობლემებისა და იდეური კრიზისის ფონზე, რუსეთისთვის მოულოდნელად, ნატოს წევრმა ქვეყნებმა უპრეცედენტოდ სწრაფი, შეთანხმებული და ერთიანიპასუხის განვითარება შეძლეს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ნატოს წევრი ქვეყნები ხელახალი ძალით შეაკავშირა.[36] ომის დაწყებიდან ნატომ აღმოსავლეთ ევროპაში თავისი პოზიციები კიდევ უფრო გაამყარა და იქ მობილიზებული სამხედრო ძალების რაოდენობა 40 000-მდე გაზარდა, აშშ-მა კი უკრაინის დასახმარებლად ჯამში 1.7 მილიარდი დოლარი გამოყო.[37] ნატომ, ასევე, დააარსა ოთხი ახალი საბრძოლო ჯგუფი ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში და გააძლიერა აქამდე არსებული ჯგუფები ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და პოლონეთში. ნატოს წევრმა ქვეყნებმა, ასევე, განამტკიცეს თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და გააძლიერეს მზადყოფნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული და ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ.[38]

მადრიდის სამიტი

29-30 ივნისს მადრიდში ნატოს სამიტი გაიმართა, რომელზეც, ნატოს წევრი სახელმწიფოების გარდა, უკრაინის პრეზიდენტიც იყო მიწვეული. სამიტი, თავისი

[35] The New Yorker, "Does the Great Retreat from Afghanistan Mark the End of the American Era?", 2021. Available at: https://www.newyorker.com/news/our-columnists/does-the-great-retreat-from-afghanistan-mark-the-end-of-the-american-era
[36] Foreign Affairs, "Why Putin Underestimated the West," 2022. Available at: https://www.foreignaffairs.com/articles/russian-federation/2022-04-07/why-putin-underestimated-west?check_logged_in=1
[37] Ibid.
[38] NATO, "NATO's Response to Russia's Invasion of Ukraine", 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm#:~:text=NATO%20condemns%20in%20the%20strongest

არსით, ისტორიული მნიშვნელობის იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველად ალიანსის ისტორიაში, ევროატლანტიკური სივრცის ყველაზე პირდაპირ და მნიშვნელოვან საფრთხედ რუსეთის ფედერაცია დასახელდა.[39] ამაზე დაყრდნობით, ნატომ ახალი სტრატეგიული კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც ალიანსის მთავარ ამოცანად 360-გრადუსიანი მიდგომის საფუძველზე კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ასახელებს. სამიტის წევრები შეთანხმდნენ სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ძალების მობილიზებაზე, შეკავებისა და თავდაცვის უნარების განმტკიცებაზე და 300 000-მდე ჯარისკაცის საომარ მზადყოფნაში მოყვანაზე. მადრიდში გადაწყდა, რომ ნატო გააგრძელებდა უკრაინის მხარდაჭერას რუსეთთან ომში, სადამდეც ეს საჭირო იქნებოდა ომში უკრაინის გასამარჯვებლად და ხელს შეუწყობდა ბოსნია-ჰერცეგოვინის, საქართველოსა და მოლდოვის თავდაცვითი უნარების გაუმჯობესებასაც.[40] სამიტზე, ასევე, მხარი დაუჭირეს ალიანსში ახალი წევრების, ფინეთისა და შვედეთის, მიღებას.[41] ამდენად, მადრიდის სამიტმა აჩვენა, რომ უკრაინის ომის შემდეგ ნატოს წევრი ქვეყნები მტკიცედ არიან გაერთიანებულნი უკრაინის მხარდასაჭერად და ერთსულოვნად თანხმდებიან საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებზე.[42] სამიტზე ნატოს ერთიანი პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი სწორედ გერმანიის კანცლერი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანია აქტიურად ჩაებმებოდა აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო ბრიგადების განთავსების პროცესში და განაგრძობდა უკრაინის სამხედრო და ჰუმანიტარულ დახმარებას. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ნატოს მნიშვნელობა მსოფლიოსა და ევროპაში მშვიდობის მისაღწევად ასეთი გადამწყვეტი მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა.[43]

დასკვნა

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მომხდარი Zeitenwende, დასავლური სახელმწიფოების ერთიანობა უკრაინის მხარდასაჭერად და ნატოს კოორდინირებული პასუხი აჩვენებს, რომ

[39] NATO, "Madrid Summit Declaration Issued by NATO Heads of State and Government", 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm
[40] Ibid.
[41] The Guardian, "Nato 2022 Madrid Summit: What Has Been Agreed?," 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed
[42] POLITICO EU, "5 Lessons from the NATO Summit", 2022. Available at: https://www.politico.com/news/2022/06/30/5-lessons-from-the-nato-summit-00043518
[43] The Federal Government, "NATO Summit Sets Important Course for the Future", Website of the Federal Government. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-summit-madrid-2058998

დასავლეთში, უპირველეს ყოვლისა კი, გერმანიაში, რუსეთთან დაკავშირებული ოპტიმისტური ილუზიები და დაყვავების პოლიტიკა საბოლოოდ დასრულდა. ნათელია, რომ დასავლური სახელმწიფოები მზად არიან, უკრაინას ომში მხარდაჭერა ხანგრძლივად გაუწიონ, თუმცა ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების გარანტიებზე საუბარი უკრაინაში ომის დასრულებამდე ნაადრევია. აშშ-ში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის ხელახალი არჩევის შემთხვევაში, რუსეთის წინაშე ევროპის მარტო დარჩენის რისკები საკმაოდ მაღალია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გერმანული Zeitenwende გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნდეს და გერმანიამ, საფრანგეთთან ერთად, აქტიური წვლილი შეიტანოს ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ევროპის კონტინენტზე ნატოს სტრატეგიული ინტერესების დაცვაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გერმანია, როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს წამყვანი ერთ-ერთი სახელმწიფო, აქტიურად მონაწილეობს უკრაინის მხარდაჭერაში, არსებობს ეჭვებიც, რომ გერმანულ Zeitenwende-ს რეალური შინაარსი და არსებითი სტრატეგია, რომელიც მას გრძელვადიან საგარეოპოლიტიკურ კურსად გარდაქმნიდა, ჯერჯერობით არ გააჩნია და მას ჯერ კიდევ სჭირდება სახალხო ლეგიტიმაციის მოპოვება.[44]

იმ შემთხვევაში, თუ Zeitenwende გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მართლაც გრძელვადიან ცვლილებებს გამოიწვევს, ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ გერმანიის მონაწილეობით ნატოს წევრმა ევროპულმა სახელმწიფოებმა ევროპის კონტინენტის თავდაცვის გარანტიების დამოუკიდებლად შექმნა შეძლონ. ნატოში უსაფრთხოების ვალდებულებების მეტნაკლებად თანაბარი გადანაწილება და თავდაცვის მიზნების უზრუნველყოფაში გერმანიის აქტიური მონაწილეობა კი აშშ-სა და გერმანიას შორის სტაბილურ სტრატეგიულ კავშირს უზრუნველყოფს და მინიმუმამდე შეამცირებს ისეთი პრეცედენტების გამეორებას, როგორიც ტრამპის მიერ გერმანიის ტერიტორიიდან 2%-იანი ხარჯვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სამხედრო ძალების გაყვანა იყო. გერმანიის მიერ სამხედრო ხარჯების გაზრდა და უსაფრთხოების აქტიური პოლიტიკის გატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების განსამტკიცებლადაც. თავის მხრივ, ნატოს წევრებმა გაერთიანებული ძალებით უნდა ეცადონ, რომ გერმანიაში შექმნილი ,,მომენტუმი“ გამოიყენონ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სპეციალური გეგმა შეიმუშაონ, რომელშიც გერმანიას, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და ისტორიული კავშირებიდან გამომდინარე, წამყვანი როლი მიენიჭება. ამგვარად, ნატოსთვის შესაძლებელი გახდება, რომ ევროპის კონტინენტზე რეგიონულ სტაბილურობას აშშ-ის საგარეო

[44] Stefan Mair, “The National Security Strategy and the Zeitenwende in German Foreign Policy,” Verfassungsblog, 2022. Available at: https://verfassungsblog.de/the-national-security-strategy-and-the-zeitenwende-in-german-foreign-policy/

პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების შემთხვევაშიც კი მიაღწიოს, გერმანია კი, თავის მხრივ, თებერვალში აღებული კურსის შენარჩუნების შემთხვევაში შეძლებს, რომ სამეზობლოში მშვიდობასა და უსაფრთხოებას მიაღწიოს.

დასასრულს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შიშები, რომ გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა შეიძლება გერმანიის გეოპოლიტიკური ინტერესების იმგვარი ტრანსფორმაცია გამოიწვიოს, რომ მან ევროპის კონტინენტზე დამოუკიდებელი რეგიონული პოლიტიკის გატარება დაიწყოს და ნაკლებად გაითვალისწინოს ნატოს სტრატეგიული ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრება განხილვას იმსახურებს, ამ ეტაპზე მსგავსი პროგნოზის საფუძველი არ არსებობს.

გერმანიის უკანასკნელი თვეების პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს, რომ გერმანია თავის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას კოლექტიურად, მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის ინტერესების კონტექსტში, განიხილავს. გარდა იმისა, რომ გერმანიამ პირობა დადო, რომ შეასრულებს ნატოს წინაშე მშპ-ის მინიმუმ 2%-ის სამხედრო ხარჯების გაღების ვალდებულებას, ის, ასევე, გააფართოებს ნატოს ბატალიონებს ბალტიისპირეთში და ნატოს მაღალი მზადყოფნის ძალებს დაამატებს 15000-კაციან სატანკო დივიზიას, 65 ვერტმფრენს და 20 ხომალდს.[45] საჯარო განცხადებებში გერმანიის ლიდერები, ასევე, მუდმივად ხაზს უსვამენ გერმანიის ვალდებულებას, გაამართლოს ნატოსა და ევროკავშირში პარტნიორების მოლოდინები, აქტიური წვლილი შეიტანოს ტრანსატლანტიკური კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და გააძლიეროს ნატოს ძალები ევროპის კონტინენტზე.[46] კანცლერმა შოლცმა პირობა დადო, რომ გერმანია გააძლიერებდა ნატოს ძალებს აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში,[47] ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ბაერბოკმა ნიუ იორკში აგვისტოს დასაწყისში განხორციელებული ვიზიტისას განაცხადა, რომ გერმანიის გრძელვადიანი მიზანია, გააძლიეროს ,,ნატოს ევროპული სვეტი"[48] და ,,უწინამძღოლოს აშშ-სა და ევროპას

[45] American Institute for Contemporary German Studies, "The Zeitenwende: Germany's Reluctant Revolution", 2022. Available at: https://www.aicgs.org/publication/the-zeitenwende-germanys-reluctant-revolution/

[46] Deutshce Welle, "Olaf Scholz: NATO partners can 'rely on Germany', 2022. Available at: https://www.dw.com/en/olaf-scholz-nato-partners-can-rely-on-germany/a-62216259

[47] Deutsche Welle, "Germany`s Scholz vows to strengthen NATO`s eastern flank", 2022. Available at: https://www.dw.com/en/germanys-scholz-vows-to-strengthen-natos-eastern-flank/a-62049752

[48] Federal Foreign Office, "Seizing the Transatlantic Moment: Our Common Responsibility in a New World - Speech by Foreign Minister Annalena Baerbock at The New School in New York", 2022. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/-/2545662

შორის თანამშრომლობას".[49] ამასთან, გერმანია, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, აქტიურად ცდილობს, გათავისუფლდეს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგანაც.[50]

აღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მომხდარი Zeitenwende, გრძელვადიან სტრატეგიად ქცევის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გააძლიერებს ნატოს სტრატეგიულ ინტერესებს ევროპის კონტინეტზე და ხელს შეუწყობს აშშ-სა და ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის შენარჩუნებას.

[49] Ibid.
[50] Politico EU, "Here's what EU countries are doing to save energy ahead of winter", 2022. Available at: https://www.politico.eu/article/eu-countries-save-energy-winter/

ბიბლიოგრაფია

- გარაისი სვენ ბერნჰარდ, „გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: შესავალი“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021;
- American Institute for Contemporary German Studies, “The Zeitenwende: Germany`s Reluctant Revolution”, 6 July, 2022. Available at: https://www.aicgs.org/publication/the-zeitenwende-germanys-reluctant-revolution/ (07.08.2022);
- Bagger, Thomas, “The World according to Germany: Reassessing 1989“, Atlantik-Brücke e.V., 14 February, 2019. Available at: https://www.atlantik-bruecke.org/the-world-according-to-germany-reassessing-1989/ (07.08.2022);
- BBC News, “Germany Rules out Immediate End to Russian Oil Imports“, 20 April, 2022. Available at: https://www.bbc.com/news/business-61164894 (07.08.2022);
- Center for European Policy Analysis (CEPA), “Germany’s Turning Point“, 4 March, 2022. Available at: https://cepa.org/germanys-turning-point/ (07.08.2022);
- CNBC, “Trump Slams Germany at NATO Summit: It’s ‘Totally Controlled by Russia”, 11 July, 2018. Available at: https://www.cnbc.com/2018/07/11/trump-slams-germany-at-nato-summit-says-its-a-captive-of-russia.html (07.08.2022);
- CNN, “Germany Agrees to Send Heavy Weapons to Ukraine after Major Policy U-Turn,” 26 April, 2022. Available at: https://edition.cnn.com/2022/04/26/europe/germany-weapons-ukraine-intl/index.html (07.08.2022);
- CNN, “How Erdogan’s Turkey Became NATO’s Wild Card,” Available at: https://edition.cnn.com/2022/06/29/middleeast/turkey-nato-erdogan-mime-intl/index.html (07.08.2022);
- Council of the European Union, “Timeline - EU Restrictive Measures against Russia over Ukraine,” 4 May, 2022. Available at: https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/history-restrictive-measures-against-russia-over-ukraine/ (07.08.2022);
- Deutsche Welle, “Donald Trump Accuses Germany of ‘Making a Fortune’ off US Soldiers“, 5 August, 2020. Available at: https://www.dw.com/en/trump-nato-germany/a-54451443 (07.08.2022);
- Deutsche Welle, “German President Steinmeier Admits ‘Mistakes’ over Russia Policy“, 5 April, 2022. Available at: https://www.dw.com/en/german-president-steinmeier-admits-mistakes-over-russia-policy/a-61362153 (07.08.2022);
- Deutsche Welle, “Germany`s Scholz vows to strengthen NATO`s eastern flank”, 7 June, 2022. Available at: https://www.dw.com/en/germanys-scholz-vows-to-strengthen-natos-eastern-flank/a-62049752 (08.08.2022);
- Deutsche Welle, “Germany’s Russia Policy in Tatters after Russian Invasion of Ukraine“, 24 February, 2022. Available at: https://www.dw.com/en/germanys-russia-policy-in-tatters-after-russian-invasion-of-ukraine/a-60874697 (07.08.2022);

- Deutsche Welle, “Russian Gas in Germany: A Complicated 50-Year Relationship“, 3 September, 2022. Available at: https://www.dw.com/en/russian-gas-in-germany-a-complicated-50-year-relationship/a-61057166 (07.08.2022);
- Deutshce Welle, “Olaf Scholz: NATO partners can ‘rely on Germany’“, 22 June, 2022. Available at: https://www.dw.com/en/olaf-scholz-nato-partners-can-rely-on-germany/a-62216259 (08.08.2022);
- Federal Foreign Office, “Germany’s Foreign and European Policy Principles”, 9 October, 2019. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/policy-principles/229790 (07.08.2022);
- Federal Foreign Office, “Seizing the Transatlantic Moment: Our Common Responsibility in a New World - Speech by Foreign Minister Annalena Baerbock at The New School in New York”, 2 August, 2022. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/-/2545662 (08.08.2022);
- Financial Times, “Germany Approves €100bn Fund to Modernise Its Armed Forces“, 3 June, 2022. Available at: https://www.ft.com/content/d24a5196-fa4e-415c-a9d5-bc19fad93197 (07.08.2022);
- Foreign Affairs, “Why Putin Underestimated the West,” 13 May, 2022. Available at: https://www.foreignaffairs.com/articles/russian-federation/2022-04-07/why-putin-underestimated-west?check_logged_in=1 (07.08.2022);
- House of Commons Library, “President Biden’s Foreign Policy: One Year In”, 9 February, 2022. Available at: https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-9447/ (07.08.2022);
- Institut Montaigne, “Germany and the Zeitenwende”, 2 June, 2022. Available at: https://www.institutmontaigne.org/en/blog/germany-and-zeitenwende (07.08.2022);
- NATO, “Madrid Summit Declaration Issued by NATO Heads of State and Government”, 29 June, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_196951.htm (22.07.2022);
- NATO, “NATO’s Response to Russia’s Invasion of Ukraine”, 7 July, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm#:~:text=NATO%20condemns%20in%20the%20strongest (07.08.2022);
- Politico EU, “Germany to Send Ukraine Weapons in Historic Shift on Military Aid”, 26 February, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/ukraine-war-russia-germany-still-blocking-arms-supplies/ (07.08.2022);
- Politico EU, “Here's what EU countries are doing to save energy ahead of winter”, 4 August, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/eu-countries-save-energy-winter/ (08.08.2022);
- Politico EU, “To Save NATO, Destroy It,” 30 June, 2022. Available at: https://www.politico.eu/article/save-nato-alliance-west-destroy/ (07.08.2022);
- Reuters, “Germany Freezes Nord Stream 2 Gas Project as Ukraine Crisis Deepens“, 22 February, 2022. Available at: https://www.reuters.com/business/energy/germanys-scholz-halts-nord-stream-2-certification-2022-02-22/ (07.08.2022);
- Statista.com, “Number of Military Personnel in NATO Countries 2019“. Available at:

https://www.statista.com/statistics/584286/number-of-military-personnel-in-nato-countries/ (07.08.2022);

- Stefan Mair, "The National Security Strategy and the Zeitenwende in German Foreign Policy", Verfassungsblog, 22 March, 2022. Available at: https://verfassungsblog.de/the-national-security-strategy-and-the-zeitenwende-in-german-foreign-policy/ (07.08.2022);
- The Economist, "Emmanuel Macron Warns Europe: NATO Is Becoming Brain-Dead", 7 November, 2019. Available at: https://www.economist.com/europe/2019/11/07/emmanuel-macron-warns-europe-nato-is-becoming-brain-dead (07.08.2022);
- The Federal Government, "NATO Summit Sets Important Course for the Future", Website of the Federal Government. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/nato-summit-madrid-2058998 (07.08.2022);
- The Federal Government, "Policy Statement by Olaf Scholz, Chancellor of the Federal Republic of Germany and Member of the German Bundestag, 27 February 2022 in Berlin", Website of the Federal Government, 27 February, 2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-en/news/policy-statement-by-olaf-scholz-chancellor-of-the-federal-republic-of-germany-and-member-of-the-german-bundestag-27-february-2022-in-berlin-2008378 (07.08.2022);
- The Guardian, "Nato 2022 Madrid Summit: What Has Been Agreed?," 30 June, 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed (07.08.2022);
- The New Yorker, "Does the Great Retreat from Afghanistan Mark the End of the American Era?", 15 August, 2021. Available at: https://www.newyorker.com/news/our-columnists/does-the-great-retreat-from-afghanistan-mark-the-end-of-the-american-era (07.08.2022);
- The New Yorker, "How America Failed in Afghanistan", 15 August, 2021. Available at: https://www.newyorker.com/news/q-and-a/how-america-failed-in-afghanistan (07.08.2022);
- World Population Review, "NATO Spending by Country 2020", 27 November, 2020. Available at: https://worldpopulationreview.com/country-rankings/nato-spending-by-country (07.08.2022);
- Albrecht von Lucke, "Putins Krieg: Das Ende Unserer Illusionen", Blätter Für Deutsche Und Internationale Politik," April, 2022. Available at: https://www.blaetter.de/ausgabe/2022/april/putins-krieg-das-ende-unserer-illusionen (07.08.2022);
- Deutsche Welle, "SPD Skizziert Neue Ostpolitik", 7 September, 2022. Available at: https://www.dw.com/de/spd-skizziert-neue-ostpolitik/a-62416535 (07.08.2022);
- Die Bundesregierung, "Wie Unterstützt Deutschland Die Ukraine Militärisch?", Webseite der Bundesregierung. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/faq-waffenlieferungen-2027766 (07.08.2022);
- Mopo, "Sollten Wir Die US-Atombomben Aus Dem Land Verbannen?", 29 October,

2021. Available at: https://www.mopo.de/news/politik-wirtschaft/sollten-wir-die-us-atombomben-aus-dem-land-verbannen/ (07.08.2022);

- Rainer Hank, “Hanks Welt: Gefährliche Polemik Am „Wandel Durch Handel“, Frankfurter Allgemeine Zeitung, 20 June, 2022. Available at: https://bit.ly/3aWtQ70 (07.08.2022);
- Schmidt Siegmar, Hellmann Gunther, Wolf Reinhard, Handbuch Zur Deutschen Außenpolitik. Wiesbaden: Verlag für Sozialwissenschaften, 2007.

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ფინეთის და შვედეთის გაწევრიანება, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაძლიერების საწინდარი

ავტორი: ბექა ირომაშვილი



NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში მსოფლიო პოლიტიკაში არაერთი ძვრა გამოიწვია, მათ შორის ერთ-ერთი კი ფინეთისა და შვედეთის, წარსულში ნეიტრალიტეტის მქონე ევროპული სახელმწიფოების, ნატოში გაწევრიანების გადაწყვეტილება გახლავთ.

ამ პერიოდში ნატოს მოკავშირე სახელმწიფოებმა უკვე ხელი მოაწერეს გაწევრიანების პროტოკოლს ფინეთისა და შვედეთისთვის, რამაც რატიფიკაციის პროცესს გზა გაუხსნა.[1] თუმცა, ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა თურქეთთან რამდენიმეკვირიანი კონსულტაციები, რომლებიც შვედეთისა და ფინეთის მიერ ტერორისტული ჯგუფების (განსაკუთრებით, ქურთისტანის მუშათა პარტიის "PKK") მხარდაჭერას უკავშირდებოდა. ეს დაბრკოლება თურქეთს, ფინეთსა და შვედეთს შორის ხელმოწერილმა სამმხრივმა მემორანდუმმა დაასრულა.[2]

კითხვა, თუ რა გავლენა ექნება ამ ორი სახელმწიფოს წევრობას ალიანსის გაძლიერებაზე, უკვე მრავალი ათწლეულია ისმის და, ვინაიდან ფინეთსა და შვედეთს წევრობამდე სულ მცირე ნაბიჯებიღა დარჩა, საჭიროა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორი ქვეყნის ნატოს კონტექსტში განხილვა - მათი წევრობის სარგებლის ანალიზი.

დასმული კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომი მიმოიხილავს ფინეთისა და შვედეთის ისტორიას და ნატოსთან თანამშრომლობას, მათ თავდაცვით შესაძლებლობებს, აგრეთვე, ამ ორი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებებს ნატოს კონტექსტში. ამავე დროს, ამ ორი პრაქტიკულად ახალი წევრის კიბერ და თავდაცვით შესაძლებლობებს.

ფინეთისა და შვედეთის ნეიტრალიტეტი, როგორც მათი ისტორია

1917 წლის რუსული რევოლუციის შემდეგ, ფინეთი როგორც მოსკოვისგან, ისე სხვა ევროპული სახელმწიფოებისთვის წარმოადგენდა „საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყანას". ამ დროს, არჩეული ნეიტრალიტეტი 1939 წელს ზამთრის ომით დასრულდა. 1940 წელს, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, ფინეთის გერმანულ სამხედრო ძალებთან გაერთიანება, არა მარტო ნეიტრალიტეტის საბოლოოდ დასრულებას ნიშნავდა, არამედ 4 წლის თავზე, გარდაუვალი წაგების ფონზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში ახალი მიდგომის ჩამოყალიბებას. სწორედ, ზემოთ აღნიშნულმა უბიძგა ფინეთს სრული

[1] NATO. 2022. "NATO Allies Sign Accession Protocols for Finland and Sweden." NATO. July 5, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_197763.htm
[2] Trilateral memorandum between Türkiye, Finland and Sweden, Nato. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/220628-trilat-memo.pdf

ნეიტრალიტეტისკენ, რათა საბჭოთა კავშირი მშვიდად ყოფილიყო ვრცელი საზღვრის იქით. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კრიტიკული პერიოდი დადგა - ფინეთიდან ბალკანეთამდე (Cordon Sanitaire) ყველა ქვეყანა საბჭოთა კავშირის მიერ უკვე ოკუპირებული ან ოკუპაციის ზღვარზე იყო. ფინელები უყურებდნენ ევროპის ცვალებად რუკას, ამ ცვლილებებს კი სამხედრო ინტერვენციები უძღოდა წინ.

1948 წელს ფინეთმა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმებას“ მოაწერა ხელი საბჭოთა კავშირთან.[3] ამ შეთანხმებამ ფინეთს საშუალება მისცა, შეენარჩუნებინა მრავალპარტიული საპარლამენტო სისტემა და არ ყოფილიყო ვარშავის პაქტის ნაწილი, თუმცა ეს, ასევე, საგარეო პოლიტიკაში მკაცრ საზღვრებს გულისხმობდა - არანაირი პოზიცია კონფლიქტებში და არანაირი წევრობა დასავლურ ალიანსებში. ფინეთი ამ დროს ევროპის აღდგენის პროგრამის დახმარებაზეც უარს ამბობს (მარშალის გეგმა). პაასიკივი-კეკონენის დოქტრინის მოქმედების დროს ნებისმიერი, თუნდაც დასავლური სავაჭრო ორგანიზაციები, მოსკოვისთვის საეჭვო იყო, ფინეთისთვის კი - გამაფრთხილებელი ნიშანი.[4] ფინეთი მუდმივად ცდილობდა ბალანსი ეპოვა საკუთარ ინტერესებსა და საფრთხეს შორის, რომელიც აღმოსავლეთ მეზობლისგან მოდიოდა. მცირე ნაბიჯებით, თუმცა მაინც, ფინეთი ცდილობდა საბჭოთა გავლენის სფეროსგან გამოსვლას - 1955 წელს გაეროსა და ჩრდილოურ საბჭოში გაწევრიანებით, ხოლო 1961 წელს თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის (EFTA) ასოცირებული წევრობით. 1960-იანი წლებიდან ფინეთი ცდილობდა საკუთარი პოლიტიკური ნაბიჯებისთვის გამოეყენებინა საბჭოთა კავშირის ევროპულ უსაფრთხოებაში თანამშრომლობის ინიციატივა - კონფერენცია (CSCE) 1975 წელს, ჰელსინკიში ჩატარდა. კონფერენციის შინაარსი ცივი ომის იმპერატივების შეკავებას გულისხმობდა. ადამიანის უფლებების შესახებ წესების შემოღება იდეოლოგიური ბრძოლის გეოპოლიტიკური სფეროს საზღვრებს გასცდა, რაც 1986 წელს ფინეთს დაეხმარა, გამხდარიყო EFTA-ს სრულფასოვანი წევრი. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის წამიდან ევროპული სტრუქტურა შეიცვალა, ფინეთს პრეზიდენტმა მაუნო კოივისტომ „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება“ გაუქმებულად გამოაცხადა. უკვე შემდეგ წელს, ფინეთმა ევროკავშირის წევრობაზე შეიტანა განაცხადი.[5]

[3] Jaan Siitonen. 2017. Finland, Sweden & NATO: Did Trump Change Everything? Helsinki, Finland: European Liberal Forum.
[4] Prospects for Finland and their implications for the other Scandinavian countries, US NATIONAL INTELLIGENCE ESTIMATE Number 28.5.-62. 16 May, 1962.
[5] Jaan Siitonen. 2017. Finland, Sweden & NATO: Did Trump Change Everything? Helsinki, Finland: European Liberal Forum.

შვედეთის რეალობა განსხვავებული იყო - 1812 წლის შემდეგ შვედებს ომი არ ენახათ (1810-1812 წლებში, ალნგლო-შვედური ომში, ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა, რადგან არც ერთი ბრძოლა არ ყოფილა). შვედეთის მშვიდობიანობა მოიცავდა მეგობრულ ურთიერთობებს მეზობლებთან, ხოლო ფინეთი ბუფერის როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირთან. სამხედრო დანახარჯების აუცილებლობის არარსებობამ შვედეთის ეკონომიკური, ცხოვრების სტანდარტებისა და ინდუსტრიალიზაციის ზრდა გამოიწვია. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას შვედეთისთვის მარტივი იყო გამოეცხადებინა ნეიტრალიტეტი და გვერდზე გამდგარიყო. შვედეთის გაწევრიანება ერთა ლიგასა და, შემდეგ, გაეროში სწრაფი, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკურ დონეზე დებატების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება იყო - შეუძლია კი ისეთ ნეიტრალურ ქვეყანას, როგორიც შვედეთია, საფრთხეში ჩააგდოს საკუთარი ნეიტრალიტეტი, უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნისთვის მუშაობისთვის. შვედეთი შეუერთდა გაეროს, ჩრდილოურ საბჭოსა და EFTA-ს. შვედური „რეალპოლიტიკა“ უპირატესობას ფლობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.[6]

ფინეთისა და შვედეთის ნეიტრალიტეტი სხვადასხვაგვარად იყო აღქმული. ფინეთის პოზიცია გასაგებად პრაგმატულია, რუსეთთან ისტორიული ურთიერთობისა და საერთო საზღვრის გამო. შვედეთის შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი არა ისტორიული პროცესების ლოგიკური შედეგი, არამედ კომფორტისთვის გაკეთებული არჩევანია.[7]

აღსანიშნავია, რომ თუნდაც ცივი ომის პერიოდში მშვიდობის მისიებში შვედეთი და ფინეთი აქტიურად გზავნიდნენ (საკუთარი ზომის გათვალისწინებით) შეიარაღებულ ძალებს მსოფლიოს გარშემო.

შეცვლილ მსოფლიო პოლიტიკური გარემოში უკვე 1995 წლიდან ორივე სახელმწიფო ევროკავშირის წევრი იყო. თუ შვედეთი, პირველ რიგში, ეკონომიკური მოტივებით გაწევრიანდა ევროკავშირში (მისი ექსპორტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში იყო), ფინეთმა იგივე უსაფრთხოების მიზეზით გააკეთა. 1989-1991 წლებში რადიკალურად შეცვლილმა გეოპოლიტუკურმა სიტუაციამ განსაზღვრა ფინეთის განსხვავებული ინტერესი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობაში, თუმცა სამხედრო მიუმხრობლობის დაკარგვის გარეშე. წევრობასთან ერთად, ფინეთმა და შვედეთმა მიიღეს დამკვირვებლის სტატუსი დასავლეთ ევროპულ გაერთიანებაში (WEU), რომელიც თავდაცვით ალიანსად იყო მიჩნეული. ნეიტრალური ფინეთისა და შვედეთისთვის ეს პრობლემური საკითხი იყო, მათ სურდათ ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP) მაქსიმალურად განყენებული ყოფილიყო სამხედრო მოცემულობისგან. თუმცა, მიუხედავად სურვილისა და ამ

[6] Ibid.
[7] Ibid.

მიმართულებით გადადგმული ნაბიჯისა, ევროკავშირის კრიზისების მართვის გაზრდა 1997 წელს, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა, მაინც კრიზისების მართვა და კონფლიქტების პრევენცია მივიდა მეტ სამხედრო მოქმედებების ასახვამდე პეტერსბერგის ამოცანებსა და ამსტერდამის შეთანხმებაში (1999). ამ დროს უკვე შეიქმნა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, მოგვიანებით კი დასავლეთ ევროპული გაერთიანება, გაუქმდა. რადგან შეთანხმება ითვალისწინებს სოლიდარობასა და საერთო დახმარებას, რამაც ევროკავშირის ერთი ნაბიჯით მიუახლოვა თავდაცვით გაერთიანებას, შვედეთი და ფინეთი უკვე ვერ იწოდებოდნენ ნეიტრალურად, მაგრამ ისინი რჩებოდნენ სამხედრო მიუმხრობლად. სამხედრო მიუმხრობლობა უკვე წარსულში დარჩა, როცა ფინეთმა და შვედეთმა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ გადაწყვიტეს საბოლოოდ გამხდარიყვნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები, თუმცა მიუხედავად მიუმხრობლობისა, ისინი წარსულში აქტიურად თანამშრომლობდნენ ნატოსთან.

მოკლედ ფინეთისა და შვედეთის ნატოსთან პარტნიორობის ისტორია

მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი და შვედეთი ნეიტრალიტეტის მომხრეები იყვნენ, ისინი სამი ათწლეულია რაც ნატოსთან სწორედ სამხედრო მიუმხრობლობისა და მდგრადი ეროვნული პოლიტიკური კონსენსუსის დამყარებული პოლიტიკით ურთიერთობენ. ორივე ქვეყანას თითქმის იდენტური მიმართულების ურთიერთობები ჰქონდა ნატოსთან - 1994 წელს პარტნიორობა მშვიდობისთვის (PfP) შეერთებას მოჰყვა 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში მონაწილეობა. ორივე ქვეყანას მიეცა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა. ფინეთი და შვედეთი იყვნენ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კონტრიბუტორი ნატოს გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიებში კოსოვო, ერაყსა და ავღანეთში. ამასთან, 2014 წლის უელსის სამიტის შედეგად ჩამოყალიბებული პარტნიორული ურთიერთმოქმედების ინიციატივის ფარგლებში, ოთხ სხვა ქვეყანასთან[8] ერთად შვედეთი და ფინეთი „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (Enhanced Opportunity Partners, EOP) სტატუს ატარებდნენ.[9]

როგორც ფინეთი, ასევე შვედეთი აქტიურად თანამშრომლობდნენ ნატოსთან, ამავე დროს, ორივე ქვეყანა დღემდე წარმატებით უმკლავდებოდა საგარეო საფრთხეებს.

[8] ავსტრალია, ფინეთი, საქართველო, იორდანია, შვედეთი და უკრაინა.
[9] NATO. 2022. “Partnership Interoperability Initiative.” NATO. February 22, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_132726.htm

ამ ორი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი და სამხედრო მიუმხრობლობა, თავის მხრივ, გულისხმობს საკუთარი თავდაცვისუნარიანობის მაღალ ხარისხს, რადგან ისინი რჩებოდნენ დაუცველნი მომდინარე საფრთხისგან, შესაბამისად, ორივე ქვეყანა წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას, როცა საქმე ეხება თავდაცვისუნარიანობას.

ფინეთისა და შვედეთის თავდაცვითი შესაძლებლობები

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ბევრი ევროპული სახელმწიფოსგან განსხვავებით, ფინეთმა არ შეამცირა თავდაცვის დანახარჯები და არ მიმართა მხოლოდ მცირე რაოდენობის მაღალ პროფესიონალი და სპეციალიზებული სამხედრო ძალების განვითარებას. გამომდინარე რუსეთთან ვრცელი საზღვრისა, ჰელსინკიმ შეინარჩუნა ძლიერი ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, რომლის ქვაკუთხედი დიდი ზომის, კარგად გაწვრთნილი რეზერვი და სავალდებულო სამხედრო სამსახურია. ეს ორი უკანასკნელი, ნაცვლად დიდი აქტიური სამხედრო ძალებისა, ფინეთს ანგარიშგასაწევ თავდაცვისუნარიანს ხდიდა მაშინაც კი, როცა თავდაცვაზე დახარჯული ბიუჯეტი საკმარისი არ იყო.[10] ამავე დროს, ფინეთი აქტიურად ყიდულობდა სამხედრო აღჭურვილობას. 2021 წელს 64 ერთეული ამერიკული F-35 მოიერიშე თვითმფრინავი შეიძინა,[11] ამას წინ უძღოდა 2017 წელს კორეული K9 Thunder ჯავშანმანქანა, 2014 წელს ნიდერლანდებისგან შეძენილი სარაკეტო სისტემები და Leopard 2A6 ტანკები, 2012 წელს AGM-158 საჰაერო ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები აშშ-სგან. ასევე, ბოლო წლებში ფინეთი აქტიურად მუშაობს ფლოტის აღჭურვილობის მოდერნიზებისთვის - Hamina-ს კლასის სარაკეტო ნავი, ცვლადი სიღრმის სონარული სისტემები. ამავე დროს, ფლოტის განახლების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს შვედეთთან. საზღვაო ძალების განვითარება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ფინეთისთვის მომარაგების უსაფრთხოება და ვაჭრობა ბალტიის ზღვის ღია საზღვაო გზებზე გადის.[12]

სავალდებულო სამხედრო სამსახური ფინეთში კონსტიტუციითა განსაზღვრული და ფინეთის ყველა 18-60 წლის მამაკაც მოქალაქეს ავალდებულებს ეროვნულ

[10] OSSA, HELJÄ, and TOMMI KOIVULA. 2022. “What Would Finland Bring to the Table for NATO?” War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/

[11] Lehto, Essi, and Mike Stone. 2021. “Finland Orders 64 Lockheed F-35 Fighter Jets for $9.4 Bln.” Reuters, December 10, 2021, sec. Aerospace & Defense. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/lockheed-f-35-jet-wins-finnish-fighter-competition-source-2021-12-10/

[12] OSSA, HELJÄ, and TOMMI KOIVULA. 2022. “What Would Finland Bring to the Table for NATO?” War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/

თავდაცვაში მიიღოს მონაწილეობა. სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიცავს როლების მიხედვით 6, 9 ან 12 თვეს და წლების განმავლობაში განმეორებას. ფინეთის სამხედრო სამსახურში ყოველ წელს დაახლოებით 22 ათასი (ყოველი ასაკობრივი ჯგუფის 2/3) გაწვეული იწვრთნება. ადგილობრივ მოსახლეობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს დიდი მხარდაჭერა აქვს, მათ შორის მხარს უჭერენ მოდერნიზებულ, გენდერულად თანასწორ სამხედრო სამსახურს.[13] აქტიური სამხედროების რიცხვი მცირეა - 19 000 სამხედროს ემატება 3 000 ძლიერი სამხედრო სასაზღვრო მოსამსახურე, რომლებიც, მობილიზაციის დროს, სრულად ან ნაწილობრივ თავდაცვით ძალებში გაერთიანდებიან. სრული მობილიზებული სახმელეთო ჯარი 280 000 სამხედროსგან შედგება, ასევე, გათვალისწინებულია 870,000 რეზერვისტი.[14] საჰაერო და საზღვაო ძალები მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით მუდმივ მზადყოფნაში გახლავთ. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ფინეთი გაზრდის რეზერვისტთა განმეორებით სამხედრო მომზადების რიცხვს წლიურად. თურქეთის შემდეგ ფინეთის არტილერია უძლიერესია ევროპაში (1500 სისტემა).[15] ამავე დროს, აღსანიშნავია ფინელების მზადყოფნა საკუთარი ქვეყნის დაცვისთვის საშუალოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მზადაა, დაიცვას საკუთარი ქვეყანა ნებისმიერ ფასად, ეს ისტორიულად დამახასიათებელია ფინური საზოგადოებისთვის.[16]

მიუხედავად უკვე ორსაუკუნოვანი სამხედრო მიუმხრობლობისა, შვედეთს წარსულში დიდი ბრძოლები აქვს გადატანილი ბალტიის ზღვისა და საკუთარი ტერიტორიებისთვის. 200 წლის წინ სწორედ რუსეთთან დათმო თითქმის მთელი ფინეთი, ამიტომ, შვედებმა კარგად იციან რუსეთთან მეტოქეობა ბალტიის ზღვაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის, რასაც ცივი ომის დროსაც შესამჩნევი სახე ჰქონდა.[17] შვედეთი საკუთარი სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის დასაცავად

[13] Ibid.
[14] Kauranen, Anne. 2022. "Finland Is Ready to Fight Russia If Attacked - Defence Chief." Reuters, June 22, 2022, sec. Aerospace & Defense. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/finland-is-ready-fight-russia-if-attacked-defence-chief-2022-06-22/
[15] Vanttinen, Pekka. 2022. "Finland Goes Missile Shopping, Moors Itself to Western Security Structures." Www.euractiv.com. March 7, 2022. Available at: https://www.euractiv.com/section/politics/short_news/finland-goes-missile-shopping-moors-itself-to-western-security-structures/
[16] YLE NEWS. 2022. "Survey: Record Number of Finns Willing to Defend Country in Event of Military Attack." News. May 18, 2022. Available at: https://yle.fi/news/3-12450765
[17] Deni, John R. 2022. "Sweden Would Strengthen NATO with Fresh Thinking and an Able Force." Atlantic Council. May 18, 2022. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/sweden-would-strengthen-nato-with-fresh-thinking-and-an-able-force/

მიმართავდა სტრატეგიულ კულტურას, რომლის არსი სიძლიერის საშუალებით თავდაცვასა და შეკავებას გულისხმობდა. ცივი ომის დასრულებიდან დღემდე რუსული საფრთხის პრაქტიკულმა არარსებობამ შვედეთის თავდაცვითი ძალა შეამცირა და ქვეყნის სტრატეგია ბალტიის საზღვრებს გასცდა.[18] შვედეთი აქტიურ სამსახურში მყოფ დაახლოებით 24 000 სამხედროსა და 31 800 რეზერვისტს მოიცავს.[19] შვედეთის ფლობს ერთ-ერთ ძლიერ და ეფექტურ საზღვაო ძალებს ევროპაში. შვედეთის განკარგულებაში არის HSwMS Gotland (3 ერთეული), რომელიც გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით გამანადგურებლებისა და ბირთვული წყალქვეშა ნავების მწყობრიდან გამოყვანაში; თუნდაც ისეთის, როგორიც USS Ronald Reagan ატომური ავიამზიდია.[20] 2 ერთეული Södermanland წყალქვეშა ხომალდი, 7 ერთეული სადაზვერვო ხომალდი, 9 ბომბსაწინააღთმდეგო ხომალდი, 13 ერთეული საპატრულო ხომალდი და 9 ერთეული სპეციალიზებული ფუნქციის შემსრულებელი ხომალდი.

ამასთან ერთად, შვედეთი ფლობს 120 ტანკს (Leopard 2A tanks), ასევე, საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებებს (CV90). რასაც თან ახლავს სახმელეთო ბრონირებული, მექანიზებური, საჰაერო-დესანტური, ბირთვული თავდაცვითი და საჰაერო თავდაცვით სისტემები (მათ შორის Patriot).[21] შვედეთის საჰაერო ძალებით მოიცავს Gripen JAS 39 (70 ერთეული) გამანადგურებლებს, ამასთან, C-130H, Saab 340, Gulfsteam G550 საჰაერო გადამყვანებს. სპეციალური დავალებისთვის განკუთვნილ და მოდიფიცირებულ Saab 340 და Gulfstream IV,[22] რაც შვედეთს ერთ-

[18] Ibid.
[19] OSSA, HELJÄ, and TOMMI KOIVULA. 2022. "What Would Finland Bring to the Table for NATO?" War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/
[20] Roblin, Sebastian. "How a Cheap Swedish Submarine 'Ran Rings' around a US Aircraft Carrier and Its Sub-Hunting Escorts." Business Insider. Business Insider, July 13, 2021. Available at: https://www.businessinsider.com/how-swedish-sub-ran-rings-around-us-aircraft-carrier-escorts-2021-7
[21] "Sweden Would Strengthen NATO with Fresh Thinking and an Able Force." 2022. Atlantic Council. May 18, 2022. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/sweden-would-strengthen-nato-with-fresh-thinking-and-an-able-force/
[22] WDMMA. 2021. "Swedish Air Force (2022)." Available at: https://www.wdmma.org/swedish-air-force.php

ერთ ყველაზე ეფექტურ და ძლიერ საჰაერო ძალების მფლობელ სახელმწიფოდ აქცევს.[23]

აუცილებელია, ვისაუბროთ თავდაცვით ინდუსტრიაზე. ფინეთის შემთხვევაში, საკუთარი თავდაცვითი ინდუსტრია მნიშვნელოვანი ელემენტია მომსახურებასა და მიწოდებაში, თუმცა გამოყენებული პროდუქტების 40-60% ექსპორტირებულია (საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ხომალდები, დამცავი აღჭურვილობა). თავდაცვითი ინდუსტრია მცირე და საშუალო ზომის კერძო კომპანიებისგან შედგება 1,84 მლრდ დოლარის ბრუნვით.[24] შესაბამისად, ფინეთის თავდაცვითი ინდუსტრია თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმზეა, თუმცა ექსპორტისა და საკუთარი ინდუსტრიის ბალანსი ფინეთს საკმარისად დაცულ სახელმწიფოდ უკვე რამდენიმე ათწლეულია აქცევს.

ამ სექტორში შვედეთი ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა (და ფინეთის უდიდესი პარტნიორი თავდაცვით ინდუსტრიაში). უდიდესი მოთამაშეები Saab, BAE Hägglunds და BAE Bofors (შვედეთი Saab-ით წარმოდგენილია SIPRI-ს სიაში, სადაც 100 უდიდესი თავდაცვითი ინდუსტრიის მქონე სახელმწმიფო შედის).[25] ამასთან, 2019-2024 წლებში შვედეთი 34 მლრდ დოლარის ინვესტიციას ახორციელებს ინდუსტრიაში,[26] რაც გაზრდის იმ 28 000 დასაქმებულის რიცხვს, რომლებიც ამჟამად არიან ჩართულნი შვედეთის თავდაცვით ინდუსტრიაში.

საკუთარი ინდუსტრიის ხარჯზე, შვედეთი არა მარტო უზრუნველყოფს საკუთარ თავდაცვით შესაძლებლობებებს მაღალი ხარისხის ტექნიკით, აღჭურვილობით, ხომალდებით (როგორიცაა: Stockholm, Göteborg, Visby, Styrsö, Koster, Gotland, Södermanland და სხვ.), არამედ უპრობლემოდ ზრუნავს საკუთარი ტექნიკის

[23] Nilsen, Thomas. 2022. "As Finland and Sweden Join NATO, Norfolk Command Beefs up Readiness in Alliance's Northern Flank." The Independent Barents Observer. May 15, 2022. Available at: https://thebarentsobserver.com/en/node/9739

[24] OSSA, HELJÄ, and TOMMI KOIVULA. 2022. "What Would Finland Bring to the Table for NATO?" War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/

[25] Peter Nordlund (2022) Sweden and Swedish Defence – Introduction to the Special Issue, Defence and Peace Economics, 33:4, 387-398, DOI: 10.1080/10242694.2021.2003529

[26] Businesswire. 2019. "The Future of the Swedish Defense Industry (2019-2024): Expected to Invest $34 Billion in Its Armed Forces over the Forecast Period - ResearchAndMarkets.com." Available at: https://www.businesswire.com/news/home/20190322005171/en/The-Future-of-the-Swedish-Defense-Industry-2019-2024-Expected-to-Invest-34-Billion-in-Its-Armed-Forces-Over-the-Forecast-Period---ResearchAndMarkets.com

განახლებაზე და მოდერნიზებაზე. ამასთან, ინოვაციური ტექნოლოგიები დაეხმარება მომავალ ათწლეულში განსახორციელებელ თავდაცვითი ინდუსტრიულ პროექტებში (მაგალითად; Visby Gen 2, Blekinge-class წყალქვეშა ნავები,[27] JAS 39 E/F მოიერიშეები და სხვ.). შვედეთის თავდაცვითი ინდუსტრიის საექსპორტო რეგიონული წილი, 2020 წლის გაანგარიშებით, ევროკავშირზე (27,2%), ახლო აღმოსავლეთზე (20,5%), ჩრდილოეთ ამერიკაზე (15,5%), სამხრეთ ამერიკაზე (11,9%), სამხრეთ აზიაზე (9,1%), დანარჩენ ევროპაზე (7,5%), მსოფლიოს სხვა რეგიონებზე (დაახლ. 8%).[28] წლიური ბრუნვა კი, 2021 წლის მონაცემებით, 332 მლრდ დოლარია (ბოლო 7 წლის მაქსიმუმი).[29]

შესაბამისად, შვედეთის თავდაცვითი ინდუსტრია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ნატოს წევრ ქვეყნებთან, კიდევ უფრო გააძლიერებს ნატოს თავდაცვით ინდუსტრიას. ამასთან, ნატოში გაწევრიანება ნიშნავს, რომ შვედეთის ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი გახდება ნატოს პარტნიორი (მათ შორის, საქართველო) სახელმწიფოებისთვის.

რაც შეეხება ამ ორი ქვეყნის თავდაცვით ბიუჯეტს - ფინეთის თავდაცვითი ბიუჯეტი უკვე აღემატება მშპ-ის 2%-ს (2021 წელი), ხოლო შვედეთი 2%-იან ნიშნულს 2028 წელს მიაღწევს. ფინეთი 2022 წელს მშპ-ის 1,9%-ზე მეტს (5,2 მლრდ აშშ დოლარი)[30] ხარჯავს თავდაცვაზე, რასაც დაემატება დამატებითი 700 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. 2023 წელს კი დამატებით 788 მლნ აშშ დოლარია გათვალისწინებული, რაც ჯამურად თავდაცვაზე დახარჯულ ბიუჯეტს მშპ-ის 2,2%-ს გაუტოლებს.[31] 2023-2026 წლის პერიოდში კი დამატებით 2,4 მილიარდის ზრდა

[27] GDC. 2022. "Saab Group Lays Keel for Swedish Navy's Blekinge-Class Submarine." Global Defense Corp. July 18, 2022. Available at: https://www.globaldefensecorp.com/2022/07/19/saab-group-lays-keel-for-swedish-navys-blekinge-class-submarine/

[28] Löfven, Stefan. 2021. "Strategisk Exportkontroll 2020 – Krigsmateriel Och Produkter Med Dubbla Användningsområden." Regeringens Skrivelse 2020/21:114, April.

[29] Statista Search Department. 2022. "Sweden: Arms Exports 2021." Statista. April 27, 2022. Available at: https://www.statista.com/statistics/865412/exports-of-arms-from-sweden/

[30] Vanttinen, Pekka. 2022. "Finland Goes Missile Shopping, Moors Itself to Western Security Structures." Www.euractiv.com. March 7, 2022. Available at: https://www.euractiv.com/section/politics/short_news/finland-goes-missile-shopping-moors-itself-to-western-security-structures/

[31] OSSA, HELJA, and TOMMI KOIVULA. 2022. "What Would Finland Bring to the Table for NATO?" War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/

იგეგმება. თავის მხრივ, შვედეთის მთავრობამ 320 მლნ აშშ დოლარის ზრდა გამოცხადა ამ წელს, 2022 წლის მონაცემებით შვედეთი უკვე ხარჯავდა 8 მლრდ აშშ დოლარს თავდაცვაზე. 2025 წლისთვის კი 40%-იანი ზრდა იგეგმება, რაც ჯამურად თავდაცვით ბიუჯეტს 12 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლებს. ეს მაშტაბური თავდაცვითი ბიუჯეტის ზრდა ბალტიის ზღვის უსაფრთხოებას ახალ დონეზე აიყვანს იმის გათვალისწინებით, რომ ბალტიის ქვეყნები თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქცის 2%-ს უკვე ხარჯავენ.[32] აშკარაა, რომ შვედეთი და ფინეთი, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოები არიან, თუმცა მათი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა მათი მდებარეობიდან გამომდინარეობს.

ფინეთისა და შვედეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

არქტიკის ყინულის საფარი 2050 წლისთვის უკვე დრამატულად შემცირებული იქნება.[33] ეს ფაქტი, ასევე, დრამატულად ცვლის მსოფლიო სავაჭრო, უსაფრთხოების, პოლიტიკის ყურადღებისა და მობილიზების ცენტრს. ყინულის დნობა ნიშნავს არა მხოლოდ დამალული რესურსებით მდიდარი რეგიონის გამოჩენას, არამედ უმოკლეს და უსაფრთხო (მეკობრეებისგან) სავაჭრო გზასაც აზიიდან ევროპისა და ამერიკისაკენ და პირიქით. დღეს ნატო რეგიონში წარმოდგენილია 5 წევრით: კანადა, დანია (გრენლანდია), ისლანდია, ნორვეგია და ამერიკის შეერთებული შტატები. გარდა ამ ხუთი სახელმწიფოსა, არქტიკის ქვეყნებს მიეკუთვნება, ასევე, რუსეთი, ფინეთი და შვედეთი. ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების შემდეგ, ნატო 8-დან 7 ქვეყნით იქნება წარმოდგენილი არქტიკაში, შესაბამისად, არქტიკის საბჭო, რომელიც უკვე შემდგარია და მთავარი ორგანო იქნება არქტიკაში მიმდინარე მოვლენებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სერიოზულად მოექცევა ნატოს ინტერესების ფარგლებში.

[32] Öberg, Janna, Aku Kähkönen, and Robin Forsberg. 2022. "Implications of a Finnish and Swedish NATO Membership for Security in the Baltic Sea Region". Wilson Center. June 29, 2022. Available at: https://www.wilsoncenter.org/article/implications-finnish-and-swedish-nato-membership-security-baltic-sea-region

[33] ESA climate office. 2020. "Simulations Suggest Ice-Free Arctic Summers by 2050." The European Space Agency. May 13, 2020. Available at: https://climate.esa.int/en/projects/sea-ice/news-and-events/news/simulations-suggest-ice-free-arctic-summers-2050/

ნატოს კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ჩინეთის ზრდაა,[34] მათ შორის არქტიკისადმი მისი ამბიციებიც მოიაზრება.[35] ზედმიწევნით განსაზღვრულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთისთვის რეგიონის სავაჭრო გზების პოტენციალს. ამავე დროს, ჩინეთი აქტიურად არის ჩართული რუსეთთან არქტიკის პოტენციალის გამოყენების პროექტებში - იამალის გათხევადებული ბუნებრივი გაზის პროექტი, ასევე, ტაიმირის ჩრდილოეთით არსებული დიდი ნავთობის საბადოს ათვისებისა პროექტი, ზარუბინოს პორტი, არხანგელსკის ღრმა წყლოვანი პორტი.[36] ჩინეთი იმკვიდრებს ადგილს არქტიკაში, მის გავლენებს კი დაბალანსება სჭირდება.

შესაბამისად, შვედეთისა და ფინეთის წევრობა ერთმნიშვნელოვნად გააფართოებს ნატოს გავლენებს არქტიკის რეგიონში, რომელიც მიჩნეულია, რომ მომავალში მსოფლიოს სავაჭრო-საგზაო ცენტრი გახდება.

ყველაზე ცალსახა და მყისიერი სამხედრო-სტრატეგიული მოგება, რომელიც ნატოს ფინეთსა და შვედეთს წევრობის შედეგად ხელეწიფება, არის ბალტიის ზღვა. ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი ნატოს მნიშვნელოვანი წევრები არიან, თუმცა, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე რთულად დასაცავი რეგიონის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. რუსეთს, ბელორუსსა და ანკლავ კალინინგრადს შორის მოქცეული რეგიონი მუდმივად იწოდება, როგორც ნატოს სამხედრო თავდაცვითი გამოწვევა. რუსეთს ესტონეთსა და ლატვიის დედაქალაქებში შესასვლელად მაქსიმუმ 60 საათი დასჭირდება.[37] გოტლანდის კუნძული, რომელიც ბალტიის ზღვის ცენტრშია მოთავსებული, კვეთს ერთადერთ საზღვაო გზას, რომელიც რუსეთს დასავლეთთან აქვს. ამავე დროს, ბალტიის ზღვა სრულად შემოიფარგლება ნატოს წევრი სახელმწიფოებით, რაც რუსეთის გავლენებს და სავარაუდო სამხედრო თავდასხმებს (საზღვაო, სახმელეთო თუ საჰაერო) შეამცირებს. ნატოსა და შვედეთის გაერთიანებულმა წვრთნამ, რომელიც ბალტიის ზღვაში სავარაუდო

[34] NATO. NATO 2022 Strategic Concept. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf
[35] THE STATE COUNCIL THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA, Full text: China's Arctic Policy, 2018. Available at: http://english.www.gov.cn/archive/white_paper/2018/01/26/content_281476026660336.htm
[36] Chun, Zhang. 2020. "China's 'Arctic Silk Road' Projects." Chinadialogueocean. January 9, 2020. Available at: https://chinadialogueocean.net/en/climate/12569-chinas-arctic-silk-road-projects/
[37] Barndollar, Jonathan Askonas, Gil. 2022. "With Finland and Sweden in NATO, the U.S. Can Finally Pivot to the Pacific." Foreign Policy. July 12, 2022. Available at: https://foreignpolicy.com/2022/07/12/finland-sweden-nato-us-europe-pacific-military-pivot-strategy-geopolitics/

თავდასხმის სიმულაციას ახდენდა, გამოკვეთა ხსენებული გოტლანდის მნიშვნელობა.[38]

ამავე დროს, 1340 კმ-ით გაზრდილი საზღვარი რუსეთთან, სახელმწიფოსთან, რომელიც ალიანსის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად არის მიჩნეული, ფინეთის გაწევრიანების შემთხვევაში, ნატოსთვის უფრო სარგებლის, ვიდრე ზიანის მომტანია. პირველ რიგში, საზღვარი გადის ჭაობებსა და ტბებზე, შესაბამისად, სახმელეთო თავდასხმის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გასასვლელების კონტროლი შესაძლებელია (ეს ბევრად განსხვავებული მოცემულობაა, ვიდრე ის, რასაც ახლა უკრაინაში ვხედავთ). ყველაზე დიდი სარგებელი კი ფინეთის საზღვარია კოლის ნახევარკუნძულთან. ამ ტერიტორიაზე რუსეთს საკუთარი ბირთვული არსენალის უმნიშვნელოვანესი ნაწილი აქვს განლაგებული. ფინეთის გაწევრიანება კი ზეწოლას ზრდის და რუსეთის მხრიდან ძალების მობილიზების აუცილებლობას აჩენს, რაც სხვა რეგიონებში მისი პოტენციალის შემცირებას ნიშნავს. ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, ფინეთი აგროვებდა შეუფასებელ სადაზვერვო ინფორმაციას აღმოსავლეთ საზღვრის აქტივობებთან დაკავშირებით.

ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ მდებარეობას, ნატოს აღმოსავლეთის ფრონტი (რომელიც მუდმივად განიცდის ძალების დეფიციტს) უფრო ძლიერდება. ზოგადად ალიანსი კი, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თვალსაზრისით, უფრო თავდაცვისუნარიანი ხდება, რაც რუსეთს აიძულებს მიიღოს ზომები და უფრო მეტი დანახარჯი მიმართოს თავდაცვაზე. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორი შეთანხმებით გაწევრიანდებიან ალიანსში შვედეთი და ფინეთი.

შეთანხმების არსებული ან ახალი ვერსია შეიძლება ვიხილოთ. მაგალითად, ნორვეგია - მხოლოდ წევრობისთვის საჭირო ატრიბუტები და საკუთარი შეზღუდვები - ბირთვული იარაღისა და უცხოური სამხედრო ბაზების არ არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე და ფინმარკის ტერიტორიის „არაპროვოკაციული“ დაცვა. მოკავშირეების შეზღუდული აქტივობა აღმოსავლეთ 24-გრადუსიანი გრძედის აღმოსავლეთით. განსხვავებით ნორვეგიისგან, ბალტიისპირა ქვეყნებმა და პოლონეთმა წევრობას განსაკუთრებული თავისებურება დაუმატეს - ნატოს მუდმივი უცხოური სამხედრო ყოფნა საკუთარ ტერიტორიაზე. გერმანიის შემთხვევაში კი ყოფილი გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური შეიარაღებული ძალებისა და ბირთვული შეიარაღების განთავსებისგან უარის თქმა. ან ნატოს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება არ განათავსოს მსგავსი იარაღი

[38] CSIS Understanding the Russian Military Today. 2021. “Are Current Russian Expeditionary Capabilities Capable of a Coup de Main in Sweden?” Available at: https://www.csis.org/analysis/are-current-russian-expeditionary-capabilities-capable-coup-de-main-sweden

ცენტრალურ ევროპაში.[39] შესაბამისად, თუ როგორ შეიცვლება რეგიონის უსაფრთოხების პროექცია, ამას შეთანხმება გვიჩვენებს, თუმცა სავარაუდოა, უკრაინაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ქვეყნები მეტად გადაიხრებიან მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ.

ინფორმაციის გაცვლა, კიბერუსაფრთხოება, პროპაგანდა

კრიტიკულ გეოსტრატეგიულ მდებარეობასთან ერთად, ფინეთი და შვედეთი წამყვანი ქვეყნები არიან 5G ტექნოლოგიებსა და კიბერუსაფრთხოებაში.[40] ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ინფორმაციის სწრაფად გაცვლის უზრუნველყოფისთვის და, მეორე მხრივ, ამ ინფორმაციის უსაფრთხოდ გადაცემისთვის. ნატოს კიბერუსაფრთხოების წვრთნები კიდევ აჩვენებს, თუ რაოდენ განვითარებულნი არიან ფინეთი და შვედეთი ამ სფეროში.[41] ამავე დროს, ორივე ქვეყანა ეროვნული კიბერუსაფრთხოების ინდექსში წამყვან ქვეყნებს შორის არიან.[42] დამატებით, ფინეთს შედარებითი უპირატესობა აქვს ნატოს ქვეყნებთან არა მარტო კიბერუსაფრთხოების ექსპერტიზაში, არამედ სადაზვერვო ინფორმაციის მოწოდებაში მისი მდებარეობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. დაზვერვა არ არის ნატოს პირდაპირი ამოცანა და დაზვერვა ხშირად არ არის გაცვლადი ინფორმაცია მულტილატერალურ კონტექსტში, თუმცა ნატოს შიგნით ის კოლექტიური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ნატოს შიგნით, ამ კონტექსტში, ფინეთის როლი გაიზრდება, რადგან ის პირდაპირი ჯაშუშობის საწინააღმდეგო სტრატეგიიდან უფრო ფართო სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების პოლიტიკაში გადაიზრდება, ეს კი ნატოს დამატებით უპირატესობას მისცემს. ამავე დროს, ფინეთის ექსპერტიზა ვრცელდება ჰიბრიდული

[39] MINISTRY FOR FOREIGN AFFAIRS of Finland. THE EFFECTS OF FINLAND'S POSSIBLE NATO MEMBERSHIP. 2016.
[40] Öberg, Janna, Aku Kähkönen, and Robin Forsberg. 2022. "Implications of a Finnish and Swedish NATO Membership for Security in the Baltic Sea Region". Wilson Center. June 29, 2022. Available at: https://www.wilsoncenter.org/article/implications-finnish-and-swedish-nato-membership-security-baltic-sea-region
[41] "NATO Allies and Partners Participate in Large-Scale Cyber Defence Exercise." NATO. April 22, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_194902.htm?utm_medium
[42] National Cyber Security Index 2022. Available at: https://ncsi.ega.ee/ncsi-index/?order=rank

საფრთხეებისგან თავდაცვის, როგორც საერთო საზოგადოებრივი მზაობის, კონტექსტში.[43]

შვედეთი იმ ქვეყნების სიაშია, რომელიც უკვე თავდასხმით კიბერ შესაძლებლობებზე მუშაობს. ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, რომელიც შეიარაღებული ძალების მართვის სისტემების დაცვასა და სხვა ინციდენტებისგან თავის დაზღვევაზე არის პასუხისმგებელი. ხოლო მეორე განყოფილება ცალკე მდგარი სამხედრო ერთეულია, რომელიც უშუალოდ ეკუთვნის შვედეთის შეიარაღებულ ძალების ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის სისტემების განყოფილებას (FMTIS).[44] შვედეთის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ ნებისმიერი ტიპის კომპიუტერული ქსელის ოპერაცია (CNO) განახორციელონ.[45]

ნატოს ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტი ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლაა,[46] რომელშიც კიბერუსაფრთხოება და პროპაგანდა უდიდეს როლს თამაშობს. ფინეთი და შვედეთი კი ამ საკითხებში გამოცდილი და მოწინავე სახელმწიფოები არიან. ფინეთი (1-ლი) და შვედეთი (მე-4) შედიან მსოფლიოს მოწინავე 5 ქვეყანაში მოსახლეობის ყალბი ინფორმაციის ფილტრაციის საუკეთესო უნარებით. ფინური ფაქტების გადამოწმების სააგენტო (Faktabaari) აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან და აქტიურად მონაწილეობდა რუსული პროპაგანდის თავიდან არიდებაში, მათ შორის 2014 წლის რუსეთის შეჭრის შემდეგ ყირიმში, რასაც ინტერნეტში რუსეთის მიერ პროპაგანდის გაზრდა მოჰყვა.[47]

დასკვნა

ნაშრომიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ის ასპექტები, რომლებიც ნატოს ცვლილებას გამოიწვევს. თუმცა, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება ალიანს გააძლიერებს.

---

[43] MINISTRY FOR FOREIGN AFFAIRS of Finland. THE EFFECTS OF FINLAND'S POSSIBLE NATO MEMBERSHIP. 2016.
[44] Försvarsmakten. 2022. "Nytt It-Försvarsförband Stärker Sveriges Cyberförsvarsförmåga." Försvarsmakten. January 22, 2022. Available at: https://www.forsvarsmakten.se/sv/aktuellt/2022/01/nytt-it-forsvarsforband-starker-sveriges-cyberforsvarsformaga/
[45] Forces, Swedish Armed. 2020. "Cyber Defence." Försvarsmakten. May 7, 2020. Available at: https://www.forsvarsmakten.se/en/about/organisation/cyber-defence/
[46] NATO. 2021. "NATO's Response to Hybrid Threats." NATO. March 16, 2021. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm
[47] Mackintosh, Eliza. 2019. "Finland Is Winning the War on Fake News. Other Nations Want the Blueprint." CNN. Available at: https://edition.cnn.com/interactive/2019/05/europe/finland-fake-news-intl/

- ისტორიულად ნეიტრალური და შემდგომში მიუმხრობელი ფინეთი და შვედეთი გამოირჩევიან სტაბილური ეკონომიკით, მყარი დემოკრატიული ინსტიტუტებით, საზოგადოებრივი კონსენსუსითა და მზაობით გაიზიარონ ნატოს უმთავრესი პრინციპები. ნატოსთან თავსებადობა, ასევე, გამოიხატება ორი სახელმწიფოს მზარდ თავდაცვით დანახარჯებში, რომლებიც მარტივად მიუახლოვდება და გადააჭარბებს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს, ვინაიდან ორივე ქვეყანამ უკვე გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი და მის კიდევ უფრო გაზრდას გეგმავენ. ამასთან, ნატოს გაფართოების სხვა რაუნდებისგან განსხვავებით, ფინეთსა და შვედეთს არ სჭირდებათ სამხედრო მოდერნიზება ან დიდი დანახარჯები ნატოს მხრიდან;

- სამხედრო მიუმხრობლობის სტატუსმა ორივე ქვეყანას თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება აიძულა. ფინეთი ათწლეულების განმავლობაში წარმატებით უმკლავდებოდა რუსეთთან 1000 კილომეტრზე მეტი საერთო საზღვრის დაცვას, რასაც ერთვის მისი სერიოზული სამხედრო შესაძლებლობები, მოწინავე არტილერია, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, კარგად მომზადებული რეზერვისტი და მცირერიცხოვანი, მაგრამ ეფექტური მუდმივი ჯარი. ამას ემატება უახლესი საბრძოლო ტექნიკა და პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოში იარაღის მთავარ მწარმოებლებთან. მეორე მხრივ, შვედეთს კარგად მომზადებული, შედარებით მრავალრიცხოვანი მუდმივი ჯარი და მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე საზღვაო და საჰაერო ძალები ჰყავს. ამ ყველაფერს კიდევ უფრო აძლიერებს ძლიერი სამხედრო ინდუსტრია;

- ორივე ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა უბრალოდ საჩუქარია ნატოსთვის იმ რეგიონების, კერძოდ ბალტიის ზღვისა და ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის, დასაცავად, რომლებიც ისტორიულად სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენდა ალიანსისთვის. ფინეთს გაწევრიანების შემთხვევაში, გაზრდილი საზღვარი რუსეთთან სტრატეგიული მოგებაა: ერთი მხრივ, კოლის ნახევარკუნძულზე მდებარე რუსულ ბირთვულ არსენალზე ზეწოლა, მეორე მხრივ, კი 1340 კილომეტრიანი, თუმცა მაინც ძნელად შემოსაღწევი საზღვარი (განსხვავებით უკრაინისგან), რაც ეხმარება ნატოს ძალზე ეფექტურად დაიცვას საზღვარი და აიძულოს რუსეთი, დახარჯოს რესურსი ამ საზღვრის გასამაგრებლად და ბირთვული არსენალის დასაცავად. ბალტიის ზღვაში კი, შვედეთისა და ფინეთს გაწევრიანებით, ბალანსი ნატოს მხარეს გადაიხრება. როგორც ამბობენ, ბალტიის ზღვა ,,ნატოს ტბად“ გადაიქცევა. უმნიშვნელოვანესი გოტლანდის კუნძული, რომელიც სტრატეგიულ წერტილს წარმოადგენს ყველა ტიპის თავდაცვითი თუ თავდასხმითი ოპერაციებისთვის ბალტიის ზღვაში;

- არქტიკის საკითხში ნატო წევრების მაქსიმალური რაოდენობით იქნება წარმოდგენილი, რაც უმნიშვნელოვანესია მომავალში ნატოს გავლენებისთვის აღნიშნულ რეგიონში. არქტიკაში რუსეთის გეოგრაფიული დომინირებისა და ჩინეთის გააქტიურებული ინვესტიციების ფონზე, არქტიკის საბჭოში 8-დან 7 წევრით წარმოდგენილი ალიანსი მომავალში, სავაჭრო, ეკონომიკური, სატრანსპორტო თვალსაზრისით, რეგიონის ეპიცენტრში იქნება.

- ჰიბრიდული საფრთხეების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფინეთისა და შვედეთის წევრობა კიდევ ერთი დამატებითი გამარჯვებაა ნატოსთვის. უკრაინის ომის ფონზე (ისევე, როგორც 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრისა თუ ყირიმის ანექსიის შემდეგ), გაზრდილი ინფორმაციული ომი არ ჩამოუვარდება სახმელეთო ომს. ფინეთი და შვედეთი ჰიბრიდული საფრთხეებისგან თავის დაცვის კარგი მაგალითები არიან და, შესაბამისად, ნატოსთვის, და განსაკუთრებით მისი პარტნიორებისთვის (მაგალითად, საქართველოსთვის), როგორც უკვე ნატოს წევრი ფინეთი და შვედეთი უფრო მარტივად ხელმისაწვდომი დონორები გახდებიან ამ საკითხებში.

მნიშვნელოვანია, თუ შეთანხმების როგორი ტექსტი იქნება ფინეთისა და შვედეთის ნატოს წევრობის დოკუმენტში. ფინეთი რუსეთს მთავარ საფრთხედ აღიქვამდა, შვედეთს კი ისტორიული ცოდნა აქვს თუ „ვინ“ არის რუსეთი. აღნიშნულით, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგს კიდევ ისეთი ორი იდეოლოგიური წევრი შეურთდება, რომლებიც, რუსეთთან მიმართებაში, საკუთარ პოზიციებს ნათლად გამოხატავენ - რუსეთის საფრთხის აღქმადობის დონე ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა ალიანსში, განსაკუთრებით კი დასავლეთევროპული ქვეყნებისთვის.

ბიბლიოგრაფია

- Barndollar, Jonathan Askonas, Gil. 2022. "With Finland and Sweden in NATO, the U.S. Can Finally Pivot to the Pacific." Foreign Policy. July 12, 2022. Available at: https://foreignpolicy.com/2022/07/12/finland-sweden-nato-us-europe-pacific-military-pivot-strategy-geopolitics/;
- Businesswire. 2019. "The Future of the Swedish Defense Industry (2019-2024): Expected to Invest $34 Billion in Its Armed Forces over the Forecast Period - ResearchAndMarkets.com". Available at: https://www.businesswire.com/news/home/20190322005171/en/The-Future-of-the-Swedish-Defense-Industry-2019-2024-Expected-to-Invest-34-Billion-in-Its-Armed-Forces-Over-the-Forecast-Period---ResearchAndMarkets.com;
- Chun, Zhang. 2020. "China's 'Arctic Silk Road' Projects." Chinadialogueocean. January 9, 2020. Available at: https://chinadialogueocean.net/en/climate/12569-chinas-arctic-silk-road-projects/;
- CSIS Understanding the Russian Military Today. 2021. "Are Current Russian Expeditionary Capabilities Capable of a Coup de Main in Sweden?". Available at: https://www.csis.org/analysis/are-current-russian-expeditionary-capabilities-capable-coup-de-main-sweden;
- Deni, John R. 2022. "Sweden Would Strengthen NATO with Fresh Thinking and an Able Force." Atlantic Council. May 18, 2022. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/sweden-would-strengthen-nato-with-fresh-thinking-and-an-able-force/;
- ESA climate office. 2020. "Simulations Suggest Ice-Free Arctic Summers by 2050." The European Space Agency. May 13, 2020. Available at: https://climate.esa.int/en/projects/sea-ice/news-and-events/news/simulations-suggest-ice-free-arctic-summers-2050/;
- Forces, Swedish Armed. 2020. "Cyber Defence." Försvarsmakten. May 7, 2020. Available at: https://www.forsvarsmakten.se/en/about/organisation/cyber-defence/;
- Försvarsmakten. 2022. "Nytt It-Försvarsförband Stärker Sveriges Cyberförsvarsförmåga." Försvarsmakten. January 22, 2022. Available at: https://www.forsvarsmakten.se/sv/aktuellt/2022/01/nytt-it-forsvarsforband-starker-sveriges-cyberforsvarsformaga/;
- GDC. 2022. "Saab Group Lays Keel for Swedish Navy's Blekinge-Class Submarine." Global Defense Corp. July 18, 2022. Available at: https://www.globaldefensecorp.com/2022/07/19/saab-group-lays-keel-for-swedish-navys-blekinge-class-submarine/;
- Kauranen, Anne. 2022. "Finland Is Ready to Fight Russia If Attacked - Defence Chief." Reuters, June 22, 2022, sec. Aerospace & Defense. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/finland-is-ready-fight-russia-if-attacked-defence-chief-2022-06-22/;
- Lehto, Essi, and Mike Stone. 2021. "Finland Orders 64 Lockheed F-35 Fighter Jets for $9.4 Bln." Reuters, December 10, 2021, sec. Aerospace & Defense. Available at: https://www.reuters.com/business/aerospace-defense/lockheed-f-35-jet-wins-finnish-fighter-competition-source-2021-12-10/;
- Löfven, Stefan. 2021. "Strategisk Exportkontroll 2020 – Krigsmateriel Och Produkter Med Dubbla Användningsområden." Regeringens Skrivelse 2020/21:114, April;
- Mackintosh, Eliza. 2019. "Finland Is Winning the War on Fake News. Other Nations Want the Blueprint." CNN. Available at: https://edition.cnn.com/interactive/2019/05/europe/finland-fake-news-intl/;
- MINISTRY FOR FOREIGN AFFAIRS of Finland. THE EFFECTS OF FINLAND'S POSSIBLE NATO MEMBERSHIP. 2016;

- National Cyber Security Index 2022. Available at: https://ncsi.ega.ee/ncsi-index/?order=rank;
- NATO. 2021. "NATO's Response to Hybrid Threats". Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm;
- NATO. NATO 2022 Strategic Concept. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf;
- NATO. 2022. "NATO Allies and Partners Participate in Large-Scale Cyber Defence Exercise." Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_194902.htm?utm_medium;
- NATO. 2022. "NATO Allies Sign Accession Protocols for Finland and Sweden". Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_197763.htm;
- NATO. 2022. "Partnership Interoperability Initiative". https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_132726.htm;
- NATO. 2022. "Trilateral memorandum between Türkiye, Finland and Sweden". Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/220628-trilat-memo.pdf;
- Nilsen, Thomas. 2022. "As Finland and Sweden Join NATO, Norfolk Command Beefs up Readiness in Alliance's Northern Flank." The Independent Barents Observer. May 15, 2022. Available at: https://thebarentsobserver.com/en/node/9739;
- OSSA, HELJÄ, and TOMMI KOIVULA. 2022. "What Would Finland Bring to the Table for NATO?" War on the Rocks. May 9, 2022. Available at: https://warontherocks.com/2022/05/what-would-finland-bring-to-the-table-for-nato/;
- Öberg, Janna, Aku Kähkönen, and Robin Forsberg. 2022. "Implications of a Finnish and Swedish NATO Membership for Security in the Baltic Sea Region". Wilson Center. https://www.wilsoncenter.org/article/implications-finnish-and-swedish-nato-membership-security-baltic-sea-region;
- Peter Nordlund (2022) Sweden and Swedish Defence – Introduction to the Special Issue, Defence and Peace Economics, 33:4, 387-398, DOI: 10.1080/10242694.2021.2003529;
- Prospects for Finland and their implications for the other Scandinavian countries, US NATIONAL INTELLIGENCE ESTIMATE Number 28.5.-62 16 May 1962;
- Roblin, Sebastian. "How a Cheap Swedish Submarine 'Ran Rings' around a US Aircraft Carrier and Its Sub-Hunting Escorts." Business Insider. Business Insider, July 13, 2021. Available at: https://www.businessinsider.com/how-swedish-sub-ran-rings-around-us-aircraft-carrier-escorts-2021-7;
- Siitonen, Jaan. 2017. Finland, Sweden & NATO: Did Trump Change Everything? Helsinki, Finland: European Liberal Forum;
- Statista Search Department. 2022. "Sweden: Arms Exports 2021." Statista. April 27, 2022. Available at: https://www.statista.com/statistics/865412/exports-of-arms-from-sweden/;
- Sweden Would Strengthen NATO with Fresh Thinking and an Able Force." 2022. Atlantic Council. May 18, 2022. Available at: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/sweden-would-strengthen-nato-with-fresh-thinking-and-an-able-force/;
- THE STATE COUNCIL THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA, Full text: China's Arctic Policy. 2018. Available at: http://english.www.gov.cn/archive/white_paper/2018/01/26/content_281476026660336.htm;
- Vanttinen, Pekka. 2022. "Finland Goes Missile Shopping, Moors Itself to Western Security Structures." Available at: https://www.euractiv.com/section/politics/short_news/finland-goes-missile-shopping-moors-itself-to-western-security-structures/;
- WDMMA. 2021. "Swedish Air Force (2022)." Available at: https://www.wdmma.org/swedish-air-force.php;
- YLE NEWS. 2022. "Survey: Record Number of Finns Willing to Defend Country in Event of Military Attack." Available at: https://yle.fi/news/3-12450765.

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნატოს აღმოსავლეთ ევროპის ფლანგი - ალიანსის მზარდი პოლიტიკური ძალა რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის კონტექსტში

ავტორი: ანა აბრამიძე

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი ნატოს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლო როლს ასრულებს - 1949 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO) ჩამოყალიბებისა და, შემდგომ, რამდენიმე რაუნდად წარმართული გაფართოების უპირველესი მიზანი აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-დან (მოგვიანებით რუსეთიდან) მომდინარე საფრთხის შეკავება და დაბალანსება იყო. 2021 წლის ბოლოს რუსეთის ფედერაციის მიერ ნატოს ჯარების 1997 წლის გაფართოების მდგომარეობამდე დაბრუნების მოთხოვნამ და 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ აჩვენა, რომ ევროპის კონტინენტის პოლიტიკურ თეატრში სსრკ-ის როლის რუსეთის ფედერაციით ჩანაცვლების მიუხედავად აღმოსავლეთ ევროპის როლი არ შეცვლილა - ის წარმოადგენს ინტერესების გადაკვეთის წერტილს და რუსული აგრესიის შეკავების პლაცდარმს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოები, უპირველესად კი ბალტიის ზღვისპირა ქვეყნები: ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი და პოლონეთი, რუსული აგრესიის საერთო ისტორიასა და გამოცდილებას იზიარებენ. 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ ამავე ქვეყნების ტერიტორიაზე მუდმივად ხდება ნატოს სამხედრო დანაყოფების განლაგება და გაძლიერება.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსისთვის აღმოსავლეთ ევროპას მხოლოდ სტატიკური როლი არ გააჩნია. ეს გულისხმობს იმას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იმის გარდა, რომ წარმოადგენენ რუსეთის აგრესიის შეკავების მოწინავე ხაზს, ასევე, თამაშობენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ნატოს შიგნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო მზარდ პოლიტიკურ როლს ასრულებენ ალიანსის დღის წესრიგის შედგენასა და განხორციელებაში თანამშრომლობის ინიციატივების გაჟღერებით, ალიანსის შიგნით ნატოს გაფართოებისა და სამხედრო წარმომადგენლობის გაძლიერების ლობირებით და შედარებით სკეპტიკურ წევრებისთვის პოლიტიკური წნეხის შექმნის კუთხით. ეს როლი განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთის უკრაინისადმი მიმართული 2014 წლის და 2022 წლის აგრესიის შემდეგ. შესაბამისად, კვლევითი ნაშრომის მიზანია გამოავლინოს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ალიანსზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოთამაშედ ჩამოყალიბების პროცესზე და უპასუხოს საკვლევ კითხვას თუ როგორ შეიცვალა აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური როლი, გავლენა და მნიშვნელობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ანუ რამდენად წარმოიქმნება ნატოს აღმოსავლეთ ბანაკი ორგანიზაციის მზარდ პოლიტიკურ ცენტრად.

რუსეთიდან მომდინარე საფრთხის აღქმის ცვლილება ნატოს დოკუმენტებში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავის მისიას უპირველესად რუსეთიდან მომდინარე საფრთხის საპირისპიროდ ახორციელებდა და ახორციელებს, ანუ ნატოს არსებობისა და ფუნქციონირების საბაბები პირდაპირ და ირიბად უკავშირდებოდა და უკავშირდება რუსეთს. ამ თვალსაზრისით, ნატოს ჩამოყალიბებიდან მისი არსებობა ორ განსხვავებულ პერიოდად შეიძლება დაიყოს: ცივი ომის პერიოდში და ცივი ომის შემდეგ.[1] ცივი ომის პერიოდში, ერთი მხრივ, ნატო და დასავლეთი სამყარო და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები ერთმანეთისთვის ყველაზე მკაფიოდ დაპირისპირებულ ძალებს წარმოადგენდნენ და, შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმთავრესი მიზანი სსრკ-დან მომავალი საფრთხის შეჩერება-შეკავება იყო. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან, ნატომ განსხვავებული პოზიცია დაიკავა ყოფილ მეტოქეებთან და ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების გარანტირების სტრატეგიად მათთან თანამშრომლობა და მშვიდობის შენარჩუნების პროცესში მათი აქტიური ჩართვა მიიჩნია. თუმცა ნატოს 2022 წლის მადრიდის სამიტზე მიღებული უსაფრთხოების კონცეფცია გვიჩვენებს, რომ ალიანსმა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაინაცვლა სადაც გადააფასა ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებისთვის მომდინარე საფრთხე და ის სტრატეგიები, რომლებიც ამ საფრთხის წყაროსთან მიმართებით უნდა გამოიყენებოდეს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ 2022 წლის უსაფრთხოების სტრატეგია ნატოს ახალი ერის დასაწყისად მიიჩნევა,[2] რაც ხასიათდება განახლებული გეოსტრატეგიული შეჯიბრებით. მადრიდის სამიტზე მიღებული კონცეფცია წარმოადგენს რუსეთიდან მომდინარე საფრთხის აღქმის მიმართ ნატოს პოლიტიკურ ხედვაში გაჩენილი ცვლილების მკაფიო გამოხატულებას.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების დოკუმენტების გაანალიზება და მათში რუსეთისადმი დამოკიდებულების ცვლილების გამოსახვა იძლევა ნატოს ხედვის ტრანსფორმაციის წარმოჩენისა და, შემდეგ, ამ ცვლილებებში აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების როლის გამოკვეთის საშუალებას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ალიანსის დოკუმენტების ანალიზისთვის საინტერესო პერიოდი ცივი ომის დასრულების შემდეგ იწყება, როცა საბჭოთა კავშირის დაშლისა და მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ძვრების

---

[1] NATO. Strategic Concepts. North Atlantic Treaty organization. 2022. 18 Jul. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_56626.htm.

[2] Ibid.

პროცესში ნატომ გამოაქვეყნა მეხუთე სტრატეგიული კონცეფცია. ის ხაზს უსვამს წარსულში ნატოსთან დაპირისპირებული ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობაში ჩართვის აუცილებლობას. ასევე, გამოკვეთილია ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების ყველაზე მცირე სამხედრო ძალებით უზრუნველყოფის აუცილებლობა სხვა სახელმწიფოებთან დიალოგისა და თანამშრომლობის წარმართვისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით.[3]

1999 წელს შემუშავებულ მეექვსე სტრატეგიული კონცეფციაში რუსეთს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში უნიკალური როლი აქვს მინიჭებული. რუსეთთან პარტნიორობა კი ევროატლანტიკურ სივრცეში ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს მიმართულებადაა წარმოდგენილი.[4]

ლისაბონის სამიტზე შემუშავებული მეშვიდე სტრატეგიული კონცეფცია 2010 წლით თარიღდება და მასში რუსეთთან თანამშრომლობა სტრატეგიულ მნიშვნელობად არის აღიარებული.[5]

თუმცა ბოლო, მერვე სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მადრიდში 2022 წლის ივნისში გამართულ სამიტზე შეიმუშავეს, მხედველობაში იღებს რუსეთთან მიმართებით შეცვლილ გეოპოლიტიკურ კონტექსტს: 2014 წლის ყირიმის ანექსიას და 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ არაპროვოცირებული და გაუმართლებელი ომის დაწყებას. შესაბამისად, უსაფრთხოების კონცეფცია პირველად ამბობს, რომ რუსეთი ახორციელებს აგრესიულ ქმედებებს მეზობლების წინააღმდეგ, რომ ევროატლანტიკური სივრცე არ იმყოფება მშვიდობის მდგომარეობაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები ირღვევა. რაც მთავარია, სამი ათწლეულის შემდეგ პირველადაა ნახსენები, რომ რუსეთის ფედერაცია ყველაზე მნიშვნელოვან და პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს

---

[3] NATO. The Alliance's New Strategic Concept (1991). North Atlantic Treaty Organization. 1991. November 7-8. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm

[4] NATO. The Alliance's Strategic Concept (1999). North Atlantic Treaty Organization. 1999. April 24. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27433.htm

[5] NATO. Active Engagement, Modern Defence. North Atlantic Treaty Organization. 2010. November 19. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_68580.htm

მოკავშირეების უსაფრთხოებისთვის ევროატლანტიკურ სივრცეში და რომ რუსეთი გავლენის სფეროების აღსადგენად იყენებს სამხედრო აგრესიის ფორმებს სხვა არაკონვენციურ მეთოდებთან ერთად.[6]

ნათლად ჩანს, რომ რუსეთისა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხის აღქმა ალიანსში შეცვლილია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნატოს პოლიტიკამ რუსეთის მიმართ თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. ესე ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების როლზე ალიანსის ახალ რეალობაში შებიჯებისა და რუსეთის მიმართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულების შეცვლის პროცესში. ამასთანავე, მიმოიხილავს ნატოს სხვა წევრ სახელმწიფოებზე აღმოსავლეთ ფლანგის გავლენას.

აღმოსავლეთ ევროპის ფლანგის სახელმწიფოების გავლენა ნატოზე

2014 წლის შემდეგ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას მოჰყვა უელსის სამიტი, რომელზეც გადაიდგა რუსეთის აგრესიის შეკავებისთვის აუცილებელი, თუმცა იმ ეტაპისთვის არასაკმარისი ნაბიჯები, რაც შედარებით დაბალანსდა 2016 წელს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებით. ვარშავის სამიტის შემდეგ პოლონეთმა მიიღო შეერთებული შტატების ინტენსიური წარმომადგენლობის გარანტიები მის ტერიტორიაზე. ბალტიის სახელმწიფოები 2015 წლიდან ითხოვდნენ ბატალიონის ზომის გაძლიერებული სამხედრო წარმომადგენლობების განთავსებას თავიანთ ტერიტორიებზე, სამიტის შემდგომ კი ალიანსისგან მათ მიიღეს მოთხოვნებზე დამაკმაყოფილებელი საპასუხო ქმედებები. რუმინეთს კი მიეცა შესაძლებლობა, რუმინულ ბრიგადაზე დაფუძნებული მრავალეროვნული ბრიგადა შეექმნა.[7] ვარშავის სამიტზე, ასევე, ფაქტობრივად განისაზღვრა ნატოს აღმოსავლეთ ბანაკის შემადგენლობა, რომელიც, ძირითადად, მოიცავს პოლონეთს, ბალტიის სახელმწიფოებსა და რუმინეთს,[8] შესაბამისად, იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ რუსეთის მიმართ ნეგატიური აღქმები და აქტიურად მოითხოვდნენ და მოითხოვენ ნატოს წარმომადგენლობის გაზრდას თავიანთ ტერიტორიებზე.

---

[6] NATO. NATO 2022 Strategic Concept. North Atlantic Treaty Organization. 2022. June 29. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf

[7] Ibid.

[8] Justyna Gotkowska. NATO's Eastern Flank – a new paradigm. Center for Eastern Studies. 2016. July 13. Available at: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2016-07-13/natos-eastern-flank-a-new-paradigm

შედეგად, 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ დაიწყო ნატოს აღმოსავლეთ ბანაკის უსაფრთხოების სტრატეგიის გადახედვა და შეცვლა და 2016 წელს ვარშავაში მოკავშირეებმა დარწმუნების სტრატეგიიდან შეკავების სტრატეგიაზე გადასვლა გადაწყვიტეს.

ეს გამოიხატა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპული მოკავშირეების მიერ ნატოს წარმომადგენლობის გაზრდის მოთხოვნების საპასუხოდ „გაძლიერებული მოწინავე განლაგების“ (eFP - enhanced Forward Presence) ამოქმედებით. ამ ფონზე, აღმოსავლეთის ფლანგის მოკავშირეებმა არაერთხელ გამოხატეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტერიტორიული თავდაცვის (territorial defence) სტრატეგიაზე გადასვლის სურვილი.[9]

eFP მოიცავს პოლონეთში, ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში ორმაგი მიზნით განლაგებულ 4 საბრძოლო ბატალიონს - ერთი მხრივ, ისინი აჩვენებენ ალიანსის წევრების სოლიდარობას აღმოსავლეთ ფლანგის სახელმწიფოების მიმართ და კოლექტიური თავდაცვის პრინციპის პატივისცემას, მეორე მხრივ, კი ისინი აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის შემაკავებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.[10]

2022 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი გაუმართლებელი და არაპროვოცირებული ომის დაწყების შემდეგ, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგი განსაკუთრებით გააქტიურდა. აქტიურობა გამოხატული იყო ნატოს თავდაცვითის სტრატეგიების გადახედვისა და შეცვლის მოთხოვნაში, აღმოსავლეთ ფლანგზე ნატოს წარმომადგენლობის გაზრდაში, ნატოსა და რუსეთის ურთიერთობების გადახედვასა და უკრაინის მიმართ მხარდაჭერის გამოხატვაში. პოლონეთი და განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნები ახდენდნენ ზეწოლას ნატოს წამყვან სახელმწიფოებზე - მათ შორის გერმანიაზე. შედეგად, ნატომ გააძლიერა წარმომადგენლობითობა ბალტიის ზღვისპირა სახელმწიფოებსა და პოლონეთში და აღმოსავლეთ ევროპის დამატებით 4 სახელმწიფოში საბრძოლო ძალები განალაგა.

---

[9] Amélie Zima. Why the eFP? Some insights on the 2016 NATO Warsaw. Fondation pour la Recherche Stratégique. 2021. August 31. Available at: https://www.frstrategie.org/en/publications/nato-briefs-series/why-efp-some-insights-2016-nato-warsaw-summit-2021

[10] Ibid.

შედარებისთვის, 2021 წლის ოქტომბერში ნატოს სამხედრო ძალების რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპაში 4,000 სამხედროს შეადგენდა. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ იგივე მონაცემები ათჯერ გაიზარდა და 2022 წლის მარტში 40,000 სამხედრო შეადგინა.[11] კონტინგენტები პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოების გარდა განთავსდა სლოვაკეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. თუმცა ხაზგასმითაა აღსანიშნი, რომ ნატოს აღმოსავლეთ სახელმწიფოები ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში სტატიკური როლით არ შემოიფარგლებიან, ანუ ისინი უბრალოდ არ წარმოადგენენ ნატოს ჯარების განთავსების ადგილსამყოფელს. პირიქით, აღმოსავლეთ ფლანგის სახელმწიფოები რუსეთთან გასატარებელი პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრაში აქტიურად მონაწილეობენ. სწორედ ეს ტენდენცია გამოიკვეთა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ბალტიის სახელმწიფოები, კერძოდ ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, "Tripwire" კონცეფციის "Forward Defence" (მოწინავე თავდაცვის) კონცეფციით ჩანაცვლების მოთხოვნით გამოვიდნენ, ანუ მოითხოვეს აღმოსავლეთ ფლანგის იმგვარი გაძლიერება, რომელიც რუსეთს აგრესიის დაწყებამდე შეაკავებს და არ იქნება კონცენტრირებული ნატოზე თავდასხმის შემთხვევაში საპასუხო ქმედებებზე.[12]

მადრიდის სამიტამდე ივნისის დასაწყისში გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ვილნიუსს ესტუმრა, სადაც მან შეხვედრები ბალტიის სახელმწიფოების ლიდერებთან ბალტიის რეგიონისა და ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე გამართა.[13]

ლიეტუვის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ტერორისტული სახელმწიფოს, რუსეთის, იმპერიალისტურ ქმედებებს დემოკრატიული სახელმწიფოებისგან ძლიერი პასუხი უნდა მოჰყვეს ბალტიის სახელმწიფოების სამხედრო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებით და, შეკავების სტრატეგიის (deterrence) ნაცვლად, მოწინავე თავდაცვის (forward defence) სტრატეგიის დანერგვით.

შეხვედრაზე მან, ასევე, განაცხადა, რომ ლიეტუვა მზადაა უმასპინძლოს კიდევ უფრო მეტ შეიარაღებულ ძალას და გამოთქვა მოლოდინი, რომ მადრიდის სამიტი

---

[11] Henry Foy. Nato's eastern front: will the military build-up make Europe safer?. Financial Times. 2022. May 4. Available at: https://www.ft.com/content/a1a242c3-9000-454d-bec7-c49077b2cc6c

[12] Sam Meredith. Russia's neighbors fear NATO's defense plans are not fit for purpose and they could be quickly overrun. CNBC. 2022. June 27. Available at: https://www.cnbc.com/2022/06/27/russia-ukraine-war-baltic-nations-push-for-change-at-nato-summit.html

[13] DW News. Leaders from the Baltic States call on Germany for support. YouTube. 2022. June 7. Available at: https://www.youtube.com/watch?v=RQ0m2w4cKjY

მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანდა ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებისთვის.[14]

ლატვიისა და ესტონეთის პრემიერ მინისტრებმაც მსგავსი სიგნალები გააჟღერეს და აღნიშნეს, რომ ევროპის უსაფრთხოებისთვის ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია და მადრიდის სამიტზე ელოდებოდნენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობდა. თუმცა, რაც მთავარია, ნატოს სახელმწიფოებზე, და განსაკუთრებით გერმანიაზე, ზეწოლა მხოლოდ სხვადასხვა დროს კრიტიკული შინაარსის განცხადებების გაკეთებით არ შემოიფარგლება.

ომის დაწყების შემდეგ ბალტიის ზღვის სახელმწიფოების საბჭომ, რომელშიც ბალტიისპირა სახელმწიფოების გარდა სკანდინავიის ქვეყნები, პოლონეთი და გერმანია ერთიანდება, ერთსულოვნად დაგმო რუსეთის უკრაინაში შეჭრა და გერმანია ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. გერმანიას უნდა ელიდერა ბალტიის ზღვის სახელმწიფოების საბჭოსთვის,[15] რომლის წევრები (განსაკუთრებით კი ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი) გამოკვეთილად და მკაფიოდ გმობდნენ რუსეთის ქმედებებს.

გერმანია ბალტიისპირეთის ქვეყნების კრიტიკის ობიექტი გახდა იმის გამოც, რომ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას ყოყმანით უდგებოდა.[16]

ბალტიისპირა ქვეყნების წარმომადგენლებს მკაცრი რეაქცია ჰქონდათ საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, განცხადებაზე, რომელიც მოკავშირეებს რუსეთის სახის შენარჩუნებაზე ზრუნვას და პუტინის დამცირების თავიდან არიდებას ურჩევდა. ამ კუთხით, ბალტიისპირა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ უკომპრომისოდ დააფიქსირეს უკმაყოფილება ნატოს წევრი სახელმწიფოს მხრიდან რუსეთთან მიმართებით რიტორიკის შერბილების მცდელობაზე.

---

[14] Ibid.

[15] Richard Walker. As Baltic Sea countries rally against Russia, Germany feels pressure to lead. Deutsche Welle. 22022 May 27. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1704519/as-baltic-sea-countries-rally-against-russia-germany-feels-pressure-to-lead

[16] Richard Walker. Baltic Sea countries rally together against Russia. Deutsche Welle. 2022. May 25. Available at: https://www.dw.com/en/baltic-sea-countries-rally-together-against-russia/a-61935095

შედეგად, მივიღეთ სიტუაცია, რომელშიც გერმანიის რუსეთთან ხანგრძლივი პარტნიორული და თანამშრომლობითი ურთიერთობებისა და საფრანგეთის მიერ 2019 წელს რუსეთთან „სტრატეგიული დიალოგის“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან შეუთანხმებელი წარმართვის გამო არსებობს უნდობლობა ბერლინისა და პარიზის მიმართ.[17] ამ კუთხით, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი ბალტიის ზღვისპირა ქვეყნებსა და პოლონეთს, აქვთ თავიანთი აზრის მათზე უფრო მკაფიოდ დაფიქსირების „ფუფუნება“.[18]

აღმოსავლეთ ფლანგს კიდევ ერთი ფაქტორი უმაგრებს ზურგს - უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებული ომის დაწყებამ დაარწმუნა დასავლეთ ევროპელები, რომ იმ ქვეყნების მიერ გაჟღერებული გაფრთხილებებისთვის, რომლებსაც რუსეთთან ნეგატიური ისტორიული გამოცდილება აკავშირებთ (უპირველესად ესაა პოლონეთი და ბალტიისპირა ქვეყნები), უნდა მოესმინათ.[19]

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანალენა ბერბოკმა, ისიც კი აღიარა, რომ გერმანია შეცდა, როდესაც ბალტიის სახელმწიფოების გაფრთხილებებს რუსეთიდან მომავალი საფრთხეების შესახებ სათანადო ყურადღება არ დაუთმო. ამასთანავე, მან გაფრთხილებების არიდებასა და რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების გაღრმავების მცდელობას, მათ შორის ,,ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ამოქმედების სურვილს „ცალსახა შეცდომები“ უწოდა და დაამატა, რომ ნატომ უნდა გააძლიეროს სამხედრო წარმომადგენლობა ბალტიისპირა რეგიონსა და პოლონეთში.[20]

შესაბამისად, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ფლანგის სახელმწიფოების პოზიციის გათვალისწინება ნატოსა და ევროკავშირის დღის წესრიგში დგება.

აღმოსავლეთ ევროპული ფლანგიც სულ უფრო და უფლო აძლიერებს თანამშრომლობას და საერთო ხმის დაფიქსირებას რუსეთთან მიმართებაში განსახორციელებელი პოლიტიკის საკითხებზე. ივნისის დასაწყისში ლატვიის დედაქალაქ რიგაში დახურული შეკრება გაიმართა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ბალტიის რეგიონზე მომართულ გაზრდილ ყურადღებას, რაც ნატოსა და

---

[17] Christoph Hasselbach. War in Ukraine: Is Germany losing its EU leadership role? Deutsche Welle. 2022. May 20. Available at: https://www.dw.com/en/war-in-ukraine-is-germany-losing-its-eu-leadership-role/a-61879431

[18] Ibid.

[19] Saulius Jakučionis. 'We did not hear Baltics' concerns on Russia', says German foreign minister. BNS. 2022. April 21. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1677821/we-did-not-hear-baltics-concerns-on-russia-says-german-foreign-minister

[20] Ibid.

ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგზე თანამშრომლობის გასაღრმავებლად და ერთიანი პოზიციისა და პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად შესაბამის პირობებს ქმნის. ამავე შეხვედრაზე აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნების ერთობაში უკრაინის ყოფნის მნიშვნელობასაც გაუსვეს ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ევროპის სახელმწიფოები ჯერ კიდევ შორს არიან პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით „გადაწონონ" დასავლეთ ევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით კი გერმანია-საფრანგეთ-იტალიის რუსეთისადმი შედარებით რბილი განწყობები, მათ მაინც აქვთ დიდი მორალური, ექსპერტული და პოლიტიკური პოტენციალი, რომ სულ უფრო ხშირად გააჟღერონ მკაცრი, მომთხოვნი და შეუპოვარი ტონი რუსეთის წინააღმდეგ.[21]

ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ იმ სიტუაციაში, როცა ევროპას არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც ჩამოაყალიბებდა და შეაჯერებდა ნატოსა თუ ევროკავშირის წევრების ხედვას ომის დასრულებასთან დაკავშირებით (ომი უნდა დასრულდეს უკრაინის მიერ დათმობებით, თუ ომი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ უკრაინისთვის უფრო სასარგებლო პირობები არ შეიქმნება), ბალტიის სახელმწიფოებსა და პოლონეთს უპირატესობა ეძლევათ.[22] ისინი საუკეთესოდ აღიქვამენ შექმნილ სიტუაციას ევროპის კონტინენტზე და სათანადოდ აფასებენ საფრთხეებს.

ბოლოს, იმის საილუსტრაციოდ, რომ ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე გამოდგება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, ამერიკელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადება - მისი სიტყვებით ბალტიის ზღვისპირა სახელმწიფოები და პოლონეთი, რუსეთთან მიმართებაში, ნატოსა და ევროკავშირის პოლიტიკას განსაზღვრავენ და ამ ორგანიზაციებს ლიდერობენ.[23] რუსეთის

---

[21] Dalia Bankauskaitė and Dominykas Milasius. A Fortified Eastern Flank to Face Down Putin. Center for European Policy Analysis. 2022. June 8. Available at: https://cepa.org/a-fortified-eastern-flank-to-face-down-putin/

[22] Ibid.

[23] Lietuvos nacionalinis radijas ir televizija. Lavrov claims 'Russophobic' Baltics and Poland guiding NATO policy. 2022. January 21. LRT. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1594604/lavrov-claims-russophobic-baltics-and-poland-guiding-nato-policy

ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით სწორედ ეს სახელმწიფოები აიძულებენ ნატოს „ანტირუსული“ პოლიტიკა გაატარონ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე.

დასკვნა

კითხვას, თუ როგორ შეიცვალა აღმოსავლეთ ევროპის ფლანგის სახელმწიფოების როლი და გავლენა ალიანის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ და რამდენად ვართ რეგიონის მზარდ პოლიტიკურ ძალად წარმოქმნის პროცესის მომსწრე, პასუხი ნატოს მადრიდის სამიტისას მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზით უნდა გაეცეს.

რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მადრიდის სამიტამდე ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი მუდმივად ითხოვდნენ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებას, მოწინავე თავდაცვის (forward defence) სტრატეგიის შემუშავებას და რუსეთის, როგორც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის საფრთხისშემცველი სახელმწიფოს, დასახელებას.[24] მადრიდის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები და შემუშავებული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია გვიჩვენებს, რომ ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის სახელმწიფოთა მოთხოვნებისა და სურვილების მაქსიმალური გათვალისწინება მოხდა. აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო წარმომადგენლობითობა გაათმაგდა და არსებული თავდაცვის ძალები ბრიგადის ზომამდე გაიზარდა - შესაბამისად 3000-დან 5000 სამხედრომდე.[25]

ესტონეთის პრემიერ მინისტრის, კაია კალასის, განცხადების საპასუხოდ, რომ ამჟამინდელი თავდაცვის სტრატეგიის მიხედვით (რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მცირე, სიმბოლური რაოდენობის ძალის განთავსებას მოიცავდა), რუსეთს ექნებოდა საკმარისი დრო თავდასხმის შემთხვევაში ესტონეთის დედაქალაქი ტალინი აბსოლუტურად გაენადგურებინა, ნატოს უსაფრთხოების 2022 წლის კონცეფციაში ყურადღება გამახვილდა რუსეთის აგრესიის შეკავებისა და

[24] BNS &TBT. Madrid summit is probably last chance to stop Russia – Lithuanian president. The Baltic Times. 2022 June 2029. Available at:

https://www.baltictimes.com/madrid_summit_is_probably_last_chance_to_stop_russia___lithuanian_president/

[25] Martin Belam. NATO 2022 Madrid summit: what has been agreed? The Guardian. 2022 June 30. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed

მოწინავე თავდაცვის სტრატეგიაზე.[26] შესაბამისად, ნატო აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო წარმომადგენლობითობის გაზრდით შეეცდება შეაკავოს რუსული აგრესია რუსეთისთვის მისი განხორციელების შესაძლებლობების მინიმუმამდე შემცირებით.

და ბოლოს, ახალი კონცეფცია ის ერთადერთი დოკუმენტია, რომელშიც რუსეთი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის პირდაპირ და ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ იდენტიფიცირდება.[27]

დამატებით გასათვალისწინებელია აღმოსავლეთ ფლანგის სახელმწიფოებში იდეური ერთიანობა, რუსეთის მიმართ განსახორციელებელი პოლიტიკის საერთო ხედვის არსებობა და ისტორიული გამოცდილება, რომელიც ამ ქვეყნებს აძლევს სიტუაციის ობიექტური ანალიზის უნარსა და, ამასთანავე, მორალურ უპირატესობას ისაუბრონ ნატოსთვის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და შესაბამისი საპასუხო პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობების შესახებ. ამ მოცემულობით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბალტიის ზღვის ქვეყნებსა და პოლონეთს რუსეთთან მიმართებაში არსებულ საკითხებზე აქვთ გავლენისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცენტრალურ სახელმწიფოებზე ზეწოლის მოხდენის შესაძლებლობაც.

ბოლოს, ერთხმად მოქმედების სურვილი, რაც ივნისის დასაწყისში რიგაში გამართულმა შეხვედრამ დაადასტურა, აღმოსავლეთ ფლანგს აძლევს პოტენციალს, ნატოს წინაშე არსებული სამხედრო-პოლიტიკური გამწვევების ფონზე, სულ უფრო მეტად იქონიონ გავლენა სხვა წევრებსა და უფრო მსხვილი მასშტაბით ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ლოგიკურია დასკვნა, რომ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, ნატოს აღმოსავლეთევროპული ფლანგი ალიანსში სულ უფრო და უფრო მზარდ ძალად ჩამოყალიბების პროცესს გადის.

ბიბლიოგრაფია

[26] NATO. NATO 2022 Strategic Concept. North Atlantic Treaty Organization. 2022. June 29. Available at : https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf

[27] Ibid.

- Bankauskaitė, Dalia., Milasius, Dominykas. A Fortified Eastern Flank to Face Down Putin. Center for European Policy Analysis. 2022. June 8. Available at : https://cepa.org/a-fortified-eastern-flank-to-face-down-putin/ (22.07.2022);
- Belam, Martin. NATO 2022 Madrid summit: what has been agreed? The Guardian. 2022 June 30. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/30/nato-2022-madrid-summit-what-has-been-agreed (22.07.2022);
- BNS &TBT. Madrid summit is probably last chance to stop Russia – Lithuanian president. The Baltic Times. 2022 June 2029. Available at: https://www.baltictimes.com/madrid_summit_is_probably_last_chance_to_stop_russia___lithuanian_president/ (22.07.2022);
- DW News. Leaders from the Baltic States call on Germany for support. YouTube. 2022. June 7. Available at: https://www.youtube.com/watch?v=RQ0m2w4cKjY (21.07.2022);
- Foy, Henry. Nato's eastern front: will the military build-up make Europe safer?. Financial Times. 2022, May 4. Available at: https://www.ft.com/content/a1a242c3-9000-454d-bec7-c49077b2cc6c (21.07.2022);
- Gotkowska, Justyna. NATO's Eastern Flank – a new paradigm. Center For Eastern Studies. 2016. July 13. Available at: https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2016-07-13/natos-eastern-flank-a-new-paradigm (21.07.2022);
- Hasselbach, Christoph. War in Ukraine: Is Germany losing its EU leadership role? Deutsche Welle. 2022 May 20. Available at: https://www.dw.com/en/war-in-ukraine-is-germany-losing-its-eu-leadership-role/a-61879431 (22.07.2022);
- Jakučionis, Saulius. 'We did not hear Baltics' concerns on Russia', says German foreign minister. BNS. 2022. April 21. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1677821/we-did-not-hear-baltics-concerns-on-russia-says-german-foreign-minister (22.07.2022);
- Lietuvos nacionalinis radijas ir televizija. Lavrov claims 'Russophobic' Baltics and Poland guiding NATO policy. 2022. January 21. LRT. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1594604/lavrov-claims-russophobic-baltics-and-poland-guiding-nato-policy (22.07.2022);
- Meredith, Sam. Russia's neighbors fear NATO's defense plans are not fit for purpose and they could be quickly overrun. CNBC. 2022, June 27. Available at: https://www.cnbc.com/2022/06/27/russia-ukraine-war-baltic-nations-push-for-change-at-nato-summit.html (21.07.2022);

- NATO. Strategic Concepts. North Atlantic Treaty Organization. 2022. 18 Jul. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_56626.htm (20.07.2022);
- NATO. The Alliance's New Strategic Concept (1991). North Atlantic Treaty Organization. 1991. November 7-8. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (20.07.2022);
- NATO. The Alliance's Strategic Concept (1999). North Atlantic Treaty Organization. 1999. April 24. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27433.htm (20.07.2022);
- NATO. Active Engagement, Modern Defence. North Atlantic Treaty Organization. 2010. November 19. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_68580.htm (20.07.2022);
- NATO. NATO 2022 Strategic Concept. North Atlantic Treaty Organization. 2022. June 29. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf (20.07.2022);
- Walker, Richard. As Baltic Sea countries rally against Russia, Germany feels pressure to lead. Deutsche Welle. 2022 May 27. Available at: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1704519/as-baltic-sea-countries-rally-against-russia-germany-feels-pressure-to-lead (21.07.2022);
- Walker, Richard. Baltic Sea countries rally together against Russia. Deutsche Welle. 2022. May 25. Available at: https://www.dw.com/en/baltic-sea-countries-rally-together-against-russia/a-61935095 (22.07.2022);
- Zima, Amélie. Why the eFP? Some insights on the 2016 NATO Warsaw. Fondation pour la Recherche Staregique. 2021, August 31. Available at: https://www.frstrategie.org/en/publications/nato-briefs-series/why-efp-some-insights-2016-nato-warsaw-summit-2021 (21.07.2022).

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

თურქეთი: ნატოს სანდო მოკავშირე თუ მერყევი აქტორი განსხვავებული ინტერესებით?

ავტორი: მარიამ ბეჟანიშვილი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ანარქიულია, რაც გულისხმობს ზეეროვნული მმართველობის არარსებობას. ეს ქმნის გარემოებას, სადაც თითოეული სახელმწიფო არის სუვერენული და თავად განსაზღვრავს გარკვეული გადაწყვეტილების ე.წ. ,,მოგება-დანახარჯებს“ (cost-benefit calculation). ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის თეორიის მიხედვით, თანამშრომლობა ანარქიის პირობებში, დიდწილად, ეფუძნება აქტორთა საერთო ინტერესების შედეგად შექმნილ ორგანიზაციებს. მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ და მზარდმა კომუნისტურმა საფრთხემ, ნატოს სახით, სათავე დაუდო ისეთი ალიანსის ფორმირებას, რომელმაც წარმატებულად გაართვა თავი ცივი ომის პერიოდში დასახულ მიზნებს, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ შეიძინა ფუნქციონირების ახალი განზომილება, დაძლია იდენტობის კრიზისი და მიზნად დაისახა ცვალებად უსაფრთხოების გარემოში საფრთხეების მიმართ ადაპტირება და დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

თურქეთი 1952 წლიდან ნატოს წევრი სახელმწიფოა და ამ დროიდან უნიკალურ როლს ასრულებს ალიანსის ინტერესების განხორციელებაში. იგი იქცა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის მნიშვნელოვან საყრდენად კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას, თუმცა, თურქეთის გეოპოლიტიკური ამბიციების ზრდის პარალელურად, გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი ალიანსის შიგნით. დღესდღეობით თურქეთი სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალით ნატოს უძლიერესი წევრი სახელმწიფოა და განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატოს სამხრეთი ფლანგის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაში.

თურქეთის ეროვნული ინტერესებით შთაგონებული საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ალიანსის სიმტკიცის საკითხს და მნიშვნელოვნად ამცირებს არსებული საფრთხეების წინაშე ადეკვატურად რეაგირების ალბათობას. რუსეთთან ტაქტიკური თანამშრომლობა და უთანხმოება ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან მიუთითებს სერიოზულ ღირებულებით კრიზისზე ორგანიზაციის შიგნით, რაც აღვივებს რევიზიონისტულ სახელმწიფოთა ზრახვებს და სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს საერთაშორისო წესრიგს.

ტრანსატლანტიკური ალიანსის ერთიანობის პრობლემა დღემდე აქტუალური საკითხია, გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილებების პარალელურად კი არსებით როლს იძენს მოწინავე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის თანმიმდევრულობა და მოცემულ ისტორიულ მომენტში არსებული საგარეო გამოწვევების მიმართ დროული რეაგირება. ამდენად, აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებული იქნება ის ფაქტორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ თურქეთის მნიშვნელობა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ფუნდამენტური მიზნების განხორციელების

საკითხში და შევაფასოთ, რა განაპირობებს თურქეთის, როგორც ნატოს არასანდო მოკავშირის სტატუსის ფორმირებას.

თემის ფარგლებში განხილული იქნება თურქეთის ტრანსფორმირებული საგარეოპოლიტიკური მიმართულების გავლენა ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე, რუსეთთან რეორიენტირების მაპროვოცირებელი ფაქტორები, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მნიშვნელობა და თურქეთის პოზიცია ალიანსის ნორდიკულ გაფართოებასთან დაკავშირებით.

თურქეთის წინააღმდეგობრივი როლი ევროატლანტიკურ სივრცეში

ცივი ომის პერიოდში თურქეთი აქტიურად თანამშრომლობდა დასავლეთთან, 1990-იან წლებში კი, შიდაპოლიტიკური ცვლილებებისა და არასტაბილური ვითარების მიუხედავად, თურქეთის საგარეოპოლიტიკური ვექტორი მიმართული იყო ევროინტეგრაციისკენ. საკვანძო მომენტი, რომლის შემდეგადაც ტრანსფორმირდება მისი ტრადიციული პოლიტიკური მიმართულება, უკავშირდება ხელისუფლების სათავეში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ მოსვლას. ტერმინი ნეოოსმანიზმი, რომელიც 1980-იან წლებში ჩამოყალიბდა და თურგუთ ოზალის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი კონცეფცია იყო, ძირითადად, სწორედ აჰმედ დავუთოღლუსა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ასოცირდება. ეს განაპირობა ამ პერიოდში თურქეთის ოსმალურ წარსულზე განსაკუთრებულმა აქცენტირებამ და პოპულარიზაციამ. დავუთოღლუ თავის წიგნში „სტრატეგიული სიღრმე“ საუბრობს სწორედ თურქეთის „მისიაზე“ შეავსოს ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ძალაუფლების ვაკუუმი.[1]

თურქეთი, როგორც მნიშვნელოვანი პლაცდარმი ალიანსის ინტერესების გასატარებლად, თამაშობდა უდიდეს როლს ნატოს მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში ავღანეთში, კოსოვოსა და ბოსნიაში. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგი არის ნატოს თავდაცვის სფეროში ერთ-ერთო მსხვილი კონტრიბუტორი და, ფინანსური თვალსაზრისით, დიდი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებაში. საგულისხმოა, რომ 1954 წლიდან თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული ინჯირლიკის საავიაციო ბაზაზე არსებული ამერიკული B-1 ტიპის ბომბდამშენები წარმოადგენდა ნატოს ბირთვული შეკავების

[1] სანდრო ბაკურაძე. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში. კავკასიური სახლი, 2020. ხელმისაწვდომია: http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2020/03/Turkey-FP-after-CW.pdf

მნიშვნელოვან კომპონენტს. ასევე, დიდი დატვირთვა აქვს იზმირის ბაზას, სადაც თავმოყრილია ნატოს სახმელეთო ძალები (NATO Land Command Forces).[2]

საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, დემოკრატიის მდგომარეობის თვალსაზრისით, გაუარესებული მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს დასავლურ საზოგადოებაში. ამით, საეჭვო ხდება თურქეთის ლოიალობა და პატივისცემა ევროატლანტიკური ღირებულებების მიმართ. თავის მხრივ, ავტორიტარული რეჟიმის ეფექტების ზრდის ტენდენცია ამცირებს ნატოს ძირითადი მიზნებისა და ფასეულობების განხორციელებას. დემოკრატიის ხარვეზები, ადამიანის ძირითადი უფლებების, მედიის თავისუფლებისა და უმცირესობების დაცვით კუთხით, კიდევ უფრო აფერხებს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს თურქეთში უმაღლეს პირთა უკმაყოფილო განწყობების კონსტრუირებაზე.

Freedom House-ის 2022 წლის მონაცემებით, თურქეთში პოლიტიკური უფლებები (16/40) და სამოქალაქო თავისუფლება (16/40) კვლავ დაბალ ნიშნულზეა და ამ მაჩვენებლებით ნატოს ერთადერთ „არათავისუფალ“ წევრად რჩება.[3] ამის მიუხედავად, ერდოღანი თვლის, რომ დასავლური ინსტიტუტები მას სათანადოდ არ აფასებენ და აქტიურად სპეკულირებს მიგრანტთა საკითხით. 2016 წელს მან ევროკავშირ-თურქეთის ხელშეკრულების დარღვევა და „ჭიშკრის გახსნაზეც“ კი გააკეთა განცხადება, რაც თეორიულად ევროპისთვის უდიდეს სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების წარმოქმნასთანაა დაკავშირებული.[4]

თურქეთის არასანდო პოზიციების შესაფასებლად ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი წლების განმავლობაში ვეტოს ადებდა პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ავსტრიასთან ნატოს თანამშრომლობას. ამის ფონზე კი ვენა ითხოვდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების ყოველგვარი დიალოგის შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ჩიხიდან გამოსასვლელად კონსენსუსს მიაღწიეს, ამ ფაქტმა ხაზი გაუსვა ერთიანობის ნაკლებობას და ანტაგონიზმის მაღალ დონეს.[5]

---

[2] Perry World House. The NATO-Turkey Relationship: Envisioning Future Prospects Amidst Growing Rifts. 2021. Available at: https://global.upenn.edu/sites/default/files/perry-world-house/NATO-Turkey.pdf

[3] Freedom House. Freedom in the World 2022. Available at: https://freedomhouse.org/country/turkey/freedom-world/2022

[4] Tulay Karadeniz & Nick Tattersall. Erdogan warns Europe that Turkey could open migrant gates. Reuters. 2016, November 25. Available at: https://www.reuters.com/article/us-turkey-europe-erdogan-idUSKBN13K0R6

[5] Antoine Got. Turkey's Crisis with the West: How a New Low in Relations Risks Paralyzing NATO. 2020, November 19. Available at: https://warontherocks.com/2020/11/turkeys-crisis-with-the-west-how-a-new-low-in-relations-risks-paralyzing-nato/

თურქეთი, სასურველი პოლიტიკური მანევრირების უზრუნველსაყოფად, აქტიურად ცდილობს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას და ხმელთაშუაზღვისპირეთში საკუთარი ტერიტორიული წყლების ფარგლებში ნახშირწყალბადოვანი რესურსების მოპოვებას, რაც აყალიბებს ინტერესთა კონფლიქტს საბერძნეთსა და საფრანგეთთან. მზარდი დაძაბულობა წარმოშობს ინციდენტების მთელ სერიას, რომლებიც, შესაძლოა, ნებისმიერ დროს გადაიზარდოს სამხედრო დაპირისპირებაში. თავის მხრივ, საფრანგეთის გეოპოლიტიკური ამბიციები იკვეთება თურქეთის დასახულ მიზნებთან. 2020 წლის აგვისტოში საფრანგეთმა გაგზავნა გამანადგურებელი თვითმფრინავი და ფრიგატი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რათა მხარი დაეჭირა საბერძნეთისთვის თურქული „ექსპანსიონიზმის“ წინააღმდეგ. მაკრონი თურქულ მხარეს ადანაშაულებდა სადავო წყლებში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებაში. ერდოღანმა კი საპასუხოდ აღნიშნა, რომ „თუ ჩვენ შეგვიძლია საღად მოქმედება, ჩვენ შევძლებთ მომგებიანი გამოსავლის პოვნას, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს“.[6]

საფრანგეთისა და თურქეთის დაპირისპირებას მრავალმხრივი განზომილება აქვს, რომელთა ამოსავალი წერტილი გეოპოლიტიკური ინტერესებია. საფრანგეთის პრეზიდენტი არ ერიდება 2016 წლის შემდეგ გაუარესებულ დემოკრატიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით კრიტიკას. აღნიშნული წინააღმდეგობის გამოვლინება იყო საფრანგეთის მიერ სომხეთის მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისას, სადაც თურქეთი აზერბაიჯანის ინტერესების მიხედვით მოქმედებდა. გარდა ამისა, საფრანგეთი აგრძელებს ლიბიაში ჰაფტარის ფრაქციის მხარდაჭერას. [7]

თურქეთის შიგნით ევრაზიონისტული და ნაციონალისტი უმაღლესი პირები აცხადებენ, რომ ნატო არ პასუხობს თურქეთის უსაფრთხოების ყველა გამოწვევას. „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ კი მნიშვნელოვნად გაუარესდა თურქეთის რეგიონული უსაფრთხოების გარანტიები. ამდენად, მიიჩნევენ, რომ თურქეთმა უნდა შეიმუშაოს უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც დაეყრდნობა მხოლოდ საკუთარ ძლიერებას.

აშშ-თურქეთის დისტანცირებული ურთიერთობა

აშშ-სა და თურქეთს შორის პარტნიორობა ცივი ომის განმავლობაში განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდებოდა და საბჭოთა ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. 1947

[6] BBC. France sends jets and ships to tense east Mediterranean. 2020, August 13. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-53767792
[7] Perry World House. The NATO-Turkey Relationship: Envisioning Future Prospects Amidst Growing Rifts. 2021. Available at: https://global.upenn.edu/sites/default/files/perry-world-house/NATO-Turkey.pdf

წელს, „ტრუმენის დოქტრინის“ ფარგლებში, დახმარება აღმოუჩინეს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იდგნენ კომუნიზმის საფრთხის წინაშე. იმ დროიდან აშშ კარგად აფასებდა თურქეთის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, სადაც კომუნისტური რეჟიმის დამყარება ახლო აღმოსავლეთში დესტაბილიზაციას გააღრმავებდა და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ბზარს შეიტანდა.

ცივი ომის განმავლობაში აშშ-თურქეთის თანამშრომლობა საკმაოდ სწორხაზოვანი იყო, ისრაელთან ერთად კი ამერიკამ გაიჩინა სანდო პარტნიორი ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის განმტკიცებისთვის. ორმხრივ ურთიერთობებში საგარეოპოლიტიკური რყევები ხელისუფლების სათავეში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ მოსვლის შემდეგ შეინიშნება. ამავე წელს თურქეთმა არ დაუჭირა მხარი აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციას, ხოლო ამერიკელ სამხედროებს არ მიეცათ თურქეთიდან ერაყში ტრანზიტის უფლება.

ალიანსის ფარგლებში სერიოზული კრიზისი შეინიშნება თურქეთში 2016 წლის წარუმატებელი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რამაც პრეზიდენტ ერდოღანს გაუმყარა ეჭვები დასავლეთის არასანდოობაში. იგი უშედეგოდ მოითხოვს აშშ-ისგან ისლამისტი სასულიერო ლიდერის, ფეთჰულა გულენის, ექსტრადირებას, რომელიც მიჩნეულია გადატრიალების მთავარ ორგანიზატორად.[8] აღნიშნულმა მოვლენამ კიდევ უფრო გააღრმავა სკეპტიციზმი თურქეთში დასავლური ინსტიტუტების მიმართ და, შესაბამისად, ერდოღანმა დაიწყო ალიანსის ინტერესებთან შეუთავსებელი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც, მისი გათვლებით, გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გარანტიებს უზრუნველყოფდა.

შემდეგი საკითხი, რამაც ურთიერთობების გაუარესება გამოიწვია აშშ-სა და თურქეთს შორის, არის რუსეთისაგან S-400 თავდაცვითი სისტემის შეძენა. ამ ნაბიჯმა გაამწვავა ვითარება არა მხოლოდ თურქეთსა და აშშ-ს შორის, არამედ ალიანსიც სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. სამთავრობო უწყებები ამ გადაწყვეტილების მიღების სამ განზომილებას ასახელებენ: რუსეთთან ახლო ურთიერთობების დამყარება მეტი ავტონომიურობის მისაღწევად ნატოსთან თანამშრომლობის კონტექსტში; მათი (S-400-ების), როგორც სავაჭრო ბერკეტის, გამოყენება და ბოლოს, შიდა პოლიტიკური მიზნებისთვის.

ხაზგასასმელია, რომ ნატოს ერთიანი და კოლექტიური მოქმედებებისთვის თავსებადობა მნიშვნელოვანი კომპონენტია, აღნიშნული თავდაცვითი სისტემა კი ვერ ერგება დასავლურ შეიარაღებას. გარდა ამისა, წარმოქმნის საფრთხეს

[8] Al Jazeera. Turkey's failed coup attempt: All you need to know. 2017, July 15. Available at: https://www.aljazeera.com/news/2017/7/15/turkeys-failed-coup-attempt-all-you-need-to-know

უახლესი ავიაგამანადგურებლების, F-35-ის, თურქეთისთვის გადაცემის შემთხვევაში რუსეთის მიერ მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე. თურქეთის ამ გადაწყვეტილებამ სერიოზული დაპირისპირება წარმოშვა, რაზეც აშშ-ის პასუხი საკმაოდ მკაცრი იყო. მის წინააღმდეგ დაწესდა სანქციები „ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სანქციების შესახებ არსებული კანონის (CAASTA)"-ის ფარგლებში. გარდა ამისა, თურქეთი გაირიცხა F-35-ის პროგრამიდან, რომლის გადაცემასაც აშშ აპირებდა.[9]

ეს ყოველივე დიდ გავლენას ახდენდა თურქეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ისედაც ხასიათდებოდა უმუშევრობის მაღალი დონით, დევალვაციით, ინფლაციით, თუ საგარეო ვალებით. აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობას ამწვავებს ქვეყანაში შექმნილი პრობლემები ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის, დემოკრატიზაციის ნაკლებობისა და ავტორიტარიზმის ელემენტების ზრდის კუთხით.

თურქეთის ეროვნული ინტერესების გატარებით ნაკარნახები საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები ამცირებს მისი, როგორც სანდო მოკავშირის, სტატუსს და სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს ალიანსის კოლექტიური და მყისიერი მანევრირების შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან საყრდენს ნატოს სამხრეთ ფლანგის უსაფრთხოების განმტკიცებაში, ალიანსის უძლიერეს წევრ, აშშ-სთან მყიფე ურთიერთობა და რუსეთთან, მისი ბალანსირების მიზნით, გამოყენება ალიანსის წარმატებულად ფუნქციონირებას აფერხებს.

უთანხმოება სირიაში თურქეთის ჩართულობის კონტექსტში

სირიაში მიმდინარე მოვლენებმა რამდენიმე ასპექტში გამოკვეთა ალიანსის შიგნით არსებული უთანხმოება, ინტერესთა კონფლიქტი ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის და თურქეთის მერყევი, საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. თურქეთმა დასავლეთის მხრიდან დაიმსახურა კრიტიკა სირიის კრიზისში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ფორმირების გამო. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა აღნიშნა, რომ „თურქეთი აგრძელებს არაკოორდინირებულ, აგრესიულ მოქმედებებს იმ რეგიონში, რომელიც მათი [ალიანსის] ინტერესების სფეროა".[10]

[9] Mehmet Yegin. Turkey between NATO and Russia: The Failed Balance. 2019, June 28. Available at: https://www.swp-berlin.org/en/publication/turkey-between-nato-and-russia-the-failed-balance/
[10] France 24. NATO is suffering 'brain death', argues French president Macron.2019, November 7. Available at: https://www.france24.com/en/20191107-macron-claims-nato-is-suffering-brain-death

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თურქეთის პოზიციის ფორმირების მაპროვოცირებელი ფაქტორები და ინტერესები სირიის კონფლიქტში ჩართულობასთან მიმართებით. თურქეთი საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოყალიბებულ ქურთულ დასახლებებს. ნიშანდობლივია, რომ თურქეთი პოტენციური საფრთხის აღკვეთისთვის არ ერიდება პირდაპირი სამხედრო აგრესიის გამოყენებას. ჯერ კიდევ 2016 წლის 24 აგვისტოს „თავისუფალ სირიის არმიასთან (FSA)“ ერთად განახორციელა ოპერაცია „ევფრატის ფარი“ და მიაღწია სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიზნებს. [11]

სირია წარმოადგენს დაპირისპირების სცენას დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე აშშ-ისა და თურქეთის ინტერესები მეტწილად საერთო იყო, ვაშინგტონის მიერ YPG-ის მხარდაჭერა სერიოზული დაპირისპირების საგნად იქცა. თურქეთი ამ უკანასკნელს „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ აფილირებულ ტერორისტულ ორგანიზაციად და მის ერთ-ერთ ფრთად მოიაზრებს.

ამდენად, თურქეთი აქტიურად მოითხოვს აშშ-ისგან პროქურთული „ხალხთა დაცვის ნაწილები“-სთვის დახმარებისა და იარაღის მიწოდების შეწყვეტას. 2018 წლის 20 იანვარს მოკავშირე „თავისუფალი სირიის არმიასთან ერთად“ დაიწყო სამხედრო ოპერაცია “Olive Branch” სირიაში, აფრინის რეგიონში, რომელიც, დიდწილად, უკავშირდებოდა თურქეთის პოზიციების შესუსტებას და თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის შიშს.[12] აღნიშნული ნაბიჯი საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ სირიის კონფლიქტი მან ახალ ფაზაში გადაიყვანა. ამ ნაბიჯის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორად განიხილება 2018 წლის იანვარში აშშ-ის განცხადება, რომელიც იუწყებოდა სირიის ტერიტორიაზე რეგულარული სამხედრო დანაყოფების ფორმირებას პროქურთული ძალების საფუძველზე. [13]

თურქეთსა და აშშ-ს შორის სირიის კონტექსტში მდგომარეობის დასტაბილურება განაპირობა 2018 წლის 19 დეკემბერს დონალდ ტრამპის მოულოდნელმა განცხადებამ სირიიდან ამერიკული სამხედრო ნაწილების გამოყვანასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანწილად ცვლიდა ძალთა ბალანსს ჩრდილოეთ

[11] Sinan Ulgen. Operation Euphrates Shield: Aims and Gains. 2017, January 19. Available at: https://carnegieeurope.eu/2017/01/19/operation-euphrates-shield-aims-and-gains-pub-67754
[12] Polat Urundul. Turkey's Operation Olive Branch: Why is Turkey Attacking the YPG in Syria? 2018, March 22. Available at: https://www.e-ir.info/2018/03/22/turkeys-operation-olive-branch-why-is-turkey-attacking-the-ypg-in-syria/
[13] ზურა ბატიაშვილი.თურქეთის სამხედრო ოპერაცია აფრინში - ახალი ფაზა სირიის კონფლიქტში. რონდელის ფონდი. 2018 წელი, 26 თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://gfsis.org.ge/ge/blog/view/797

სირიაში და აშშ-ის, როგორც სანდო მოკავშირის, იმიჯს ზიანს აყენებდა. YPG-ის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე თურქეთს მანევრირების ფართო შესაძლებლობა მიეცა ისე, რომ არ დაძაბულიყო აშშ-სთან ურთიერთობები.[14]

აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა ლაკმუსი ალიანსის წევრთა განსხვავებული ინტერესების განსაზღვრისთვის. ტრამპის გადაწყვეტილებას მოყვა ნატოს წევრ სახელმწიფოთა მხრიდან კრიტიკა. საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, ნატოს შიგნით მიმდინარე მოვლენებს „ტვინის სიკვდილი" უწოდა, რადგან სამხედრო ალიანსის უსაფრთხოების მთავარი კონტრიბუტორი (აშშ-ის სახით) არ პასუხობდა კოლექტიურ ნებას და ინტერესებს. საფრანგეთმა კი მიიღო გადაწყვეტილება თავად დაეტოვებინა სირიაში სამხედროები და გამოეცხადებინა მხარდაჭერა YPG-სთვის.[15]

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ცვალებადი დინამიკა

მიუხედავად თურქეთსა და რუსეთს შორის მთელი რიგი საკითხების მიმართ უთანხმოებისა, მათ შორის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირების დამყარება, ძირითადად, პრაგმატული მოტივებით იყო განპირობებული. ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში თურქი ელიტა განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანტიკომუნისტური განწყობებით, თუმცა, მწირი ენერგეტიკული რესურსების გამო, 1984 წლიდან თურქეთმა ბუნებრივი აირის შესყიდვა დაიწყო. 2003 წელს ექსპლუატაციაში შედის ლურჯი ნაკადის გაზსადენი, რამაც საფუძველი ჩაუყარა თურქეთ-რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობას ენერგეტიკული კუთხით. გარდა ამისა, 2020 წელს ასევე ექსპლუატაციაში შევიდა თურქული ნაკადი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა რუსეთის ეკონომიკური გავლენა თურქეთზე. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის დამოკიდებულება არაა ცალმხრივი, რადგან რამდენადაც თურქეთისთვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი აირის იმპორტირება, ასევე რუსეთისთვის თურქეთი რჩება უმსხვილეს პარტნიორად.[16] ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის

[14] Mark Landler, Helene Cooper & Eric Schmitt. Trump to Withdraw U.S. Forces from Syria, Declaring 'We Have Won Against ISIS'. 2018, December 19. Available at: https://www.nytimes.com/2018/12/19/us/politics/trump-syria-turkey-troop-withdrawal.html
[15] BBC. NATO alliance experiencing brain death, says Macron. 2019, November 7. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-50335257
[16] O Ukşal and E H Mikail. The energy context of Turkish-Russian relations: is it cooperation or competition? IOP Conference Series: Earth and Environmental Science. 2021. Available at: https://iopscience.iop.org/article/10.1088/1755-1315/937/4/042045/pdf

გარდა, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებობს ინტენსიური სავაჭრო კავშირები სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროებში.

ეკონომიკური ურთიერთობები იმდენად განსაზღვრავს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს, რომ 2015 წლის ინციდენტმაც კი ვერ ჩაშალა თურქსტრიმის ამოქმედებაზე დაწყებული მოლაპარაკებები. თუმცა, რუსული ავიაგამანადგურებლის ჩამოგდებას რუსეთის მხრიდან მკაცრი რიტორიკა მოჰყვა და სანქციების დაწესებასთან ერთად შეაჩერა უვიზო მიმოსვლა.[17]

რუსეთთან თურქეთის პარტნიორობა რჩება ნატოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან შიდა გამოწვევად, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთ-თურქეთის არათავსებადი ინტერესები არ კვეთს მჭიდრო თანამშრომლობის კონტურებს. მათი ინტერესები განსხვავებულია სირიის საკითხის მიმართ, ვინაიდან ისინი კონფლიქტში ჩართულ განსხვავებულ აქტორებს უჭერენ მხარს. 2020 წელს რუსეთმა იდლიბის პროვინციაში დაბომბა თურქეთის პოზიციები, ნატო კი მხარს უჭერს თურქეთს სირიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე და გმობს ასადის რეჟიმს. თავდასხმის შემდეგ, ნატოს მე-4 მუხლის საფუძველზე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოიწვია ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომლის ფარგლებშიც ალიანსმა საჰაერო თავდაცვის გაძლიერების გადაწყვეტილება მიიღო.[18] თურქეთი და რუსეთი ერთმანეთს ადანაშაულებენ სამხედრო ესკალაციასა და ასტანისა/სოჭის შეთანხმებების დარღვევაში. აღსანიშნავია, ასევე, მომდევნო თვეში ერდოღანის ვიზიტი კიევში, რომლის დროსაც მან უკრაინული არმიის დახმარებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და კიდევ ერთხელ აღნიშნა რუსეთის უკანონო ქმედებები ყირიმში.[19]

თურქეთის პრაგმატულ საგარეოპოლიტიკურ ბუნებასა და ეროვნული ინტერესებით შთაგონებულ გადაწყვეტილებებს ადასტურებს 4 აგვისტოს ერდოღანის ვიზიტი სოჭში. ვლადიმერ პუტინთან 4 საათიანი დიალოგის შედეგი კი თურქეთ-რუსეთის თანამშრომლბის გარღმავების პერსპექტივები იყო სატრანსპორტო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობისა და ფინანსურ სფეროებში. გარდა ამისა, ორი ქვეყნის პრეზიდენტი შეთანხმდა სირიაში ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებულ მოქმედებაზე. ამან კიდევ ერთხელ ცხადყო თურქეთის მთავარი მამოძრავებელი

[17] Kalev Stoicescu & Hille Hanso. Turkey's Future Role in NATO: An Indispensable and Difficult Ally. International Centre for Defence and Security. 2022, January. Page 18. Available at: https://icds.ee/wp-content/uploads/2022/01/ICDS_Policy_Paper_Turkey%C2%B4s_Future_Role_in_NATO_Stoicescu_Hanso_January_2022-1.pdf
[18] NATO. Press Point. 2020, February 28. Link: https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_173931.htm
[19] AP News. Turkish president denounces Russia's annexation of Crimea. 2020, February 3. Available at: https://apnews.com/article/524f4f446de653f5dd9368ff19e744fb

მოტივები ეროვნული ინტერესების გატარების კუთხით, თუნდაც ეწინააღმდეგებოდეს ნატოს ფუნდამენტურ პრინციპებს.[20]

ნატოს ნორდიკული გაფართოება

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით დაწყებული დისკუსიები არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი დასავლური სამყაროს კონსლიდირებული ბრძოლისა უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ. შეცვლილი უსაფრთხოების გარემო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შვედეთმა და რუსეთის უშუალო მოსაზღვრე ფინეთმა დაიწყეს ფიქრი ნატოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოხვედრაზე. აღნიშნული ქვეყნების მიერ გაწევრიანებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადების შემდეგ ალიანსის წევრთა შორის ღია უკმაყოფილება მხოლოდ თურქეთმა გამოხატა. საკუთარი პოზიციის ასახსნელად ერდოღანმა განმარტა, რომ ორივე სახელმწიფოს ტერიტორია წარმოადგენს „არაერთი ტერორისტული დაჯგუფების“ თავშესაფარს.[21] აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ეტაპზე გაწევრიანებასთან დაკავშირებული დიალოგების დაწყების ინიციატივა დაბლოკა თურქეთმა და, მისი ოფიციალური განცხადების თანახმად, ეს პროცესი წინააღმდეგობაში მოდიოდა მის ეროვნულ ინტერესებთან. იქიდან გამომდინარე, რომ ალიანსში გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება კონსენსუსის პრინციპს, თურქეთის მხრიდან ვეტოს უფლების გამოყენება შეუძლებელს გახდის შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანებას, რომელიც დიდწილად შეუწყობს ხელს ალიანსის პოზიციების გაძლიერებას და რუსეთის საფრთხის დაბალანსებას შეცვლილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

საგულისხმოა, რომ თურქეთი აქტიურად უჭერს მხარს ნატოს გაფართოებას და მათ შორის საქართველოს ევროინტეგრაციასაც. თუმცა, ის ფაქტი, რომ შვედეთი და ფინეთი ქურთების თავშესაფარ ქვეყნებს წარმოადგენს და ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიარებულ ქურთისტანის მუშათა პარტიას მფარველობენ,[22] თურქეთს ამ საკითხის პოლიტიკური ვაჭრობის მექანიზმად გამოყენების საშუალებას აძლევს.

[20] Reuters. Putin and Erdogan agree to boost cooperation, some rouble payments for gas. 2022, August 5. Available at: https://www.reuters.com/business/energy/putin-erdogan-agreed-partial-payments-gas-roubles-interfax-2022-08-05/
[21] Realpolitika. თურქეთი უარს ამბობს ფინეთთან და შვედეთთან ნატოს წევრობაზე მოლაპარაკებებზე. 2022, 16 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/turqeti-uars-ambobs-finettan-da-shvedettan-natos-tsevrobaze-molaparakebebze
[22] Ibid.

2022 წლის 28 ივნისს, ნატოს სამიტის დაწყებამდე, კი გაიმართა სამმხრივი შეხვედრა ერდოღანს, ფინეთის პრეზიდენტ ნიინისტოს, შვედეთის პრემიერ მინისტრ მაგდალენა ანდერსონსა და იენს სტოლტენბერგს შორის. შეხვედრის ფარგლებში, ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს სამმხრივ მემორანდუმს, რომელმაც დაადასტურა თურქეთის ნება და მხარდაჭერა შვედეთისა და ფინეთის მადრიდის სამიტზე მოწვევასთან დაკავშირებით, რათა გახდნენ ნატოს წევრები.[23] თურქეთის მკაცრი რიტორიკა შეიცვალა შვედეთისა და ფინეთის მთავრობების მხრიდან დათმობების სანაცვლოდ. მათ პირობა დადეს, რომ მოხსნიდნენ 2019 წელს თურქეთის სირიაში ინტერვენციის შემდეგ ამოქმედებულ იარაღის ემბარგოს და არ დაუჭერდნენ მხარს თურქეთის მიერ აღიარებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს. ორიოდე კვირის შემდეგ კი ერდოღანის განცხადების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი ვერ ხედავს წინსვლას შვედეთისა და ფინეთის მიერ მიცემული პირობის შესრულების თვალსაზრისით, რამაც, შესაძლოა, თურქეთის პარლამენტი „აიძულოს“ მათი ალიანსში გაწევრიანება დაბლოკოს.[24]

შავი ზღვის უსაფრთხოება თურქეთის საგარეო პოლიტიკურ პრიზმაში

თურქეთის საგარეო პოლიტიკას ბოლო წლების განმავლობაში, დიდწილად, განსაზღვრავს „საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ძალების დაბალანსების“ კონცეფცია, რომლის საბოლოო მიზანი დამოუკიდებელ მოთამაშედ ჩამოყალიბების სურვილია. ყირიმის ანექსიის შემდეგ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა შავი ზღვის რეგიონმა, სადაც დასავლეთის პოზიციები და რუსეთის ექსპანსიონისტური ამბიციების ურთიერთშეჯახება მოხდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში თურქეთი შავი ზღვის აუზში მოქმედებს, როგორც უდიდესი რეგიონალური სამხედრო ძალა. იგი იყო ინიციატორი, ხელი შეეწყო თანამშრომლობის მრავალმხრივი ფორმატის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფდა თურქეთის რეგიონული ლიდერობის ინსტიტუციონალიზებას. მისი პოზიციების ქვაკუთხედი იყო შავი ზღვის აუზში სტატუსკვოს შენარჩუნება, რათა არ გაძლიერებულიყო ექსტრარეგიონული ძალები, რუმინეთისა და

[23] President of the Republic of Finland. Official Statement. 2022, June 26. Available at: https://www.presidentti.fi/en/press-release/statement-by-president-the-republic-of-finland-sauli-niinisto-on-28-june-2022/?fbclid=IwAR2tZEdSMH1rppHTQUzwU0-G5UjPY3ZIzhnbrhZmY8PFVErV50zCTY4FEHY

[24] Reuters. Erdogan says Turkey will freeze Finland, Sweden's NATO bids if promises not kept. 2022, July 18. Available at: https://www.reuters.com/world/erdogan-says-turkey-will-freeze-finland-swedens-nato-bids-if-promises-not-kept-2022-07-18/

ბულგარეთის ნატოში გაწევრიანებამ კი შეასუსტა შავი ზღვის ,,მცველის“ (gatekeeper) როლი.

ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთის მზარდმა მილიტარიზაციამ და დარღვეულმა სამხედრო ბალანსმა თურქეთის პოზიციების შესუსტება განაპირობა. ყირიმელი თათრების მხარდაჭერის მიუხედავად, ის მაინც არ შეუერთდა 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ეს ნაბიჯი კი აიხსნება ერდოღანის პრაგმატული, გრძელვადიანი ინტერესების განხორციელების მოტივით.

შავი ზღვაში ნატოს ჩართულობასთან დაკავშირებით რიტორიკა შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2015 წელს რუსეთის სირიაში სამხედრო ინტერვენციამ და, მოგვიანებით, თურქეთის მიერ რუსული ავიაგამანადგურებლის ჩამოგდებას ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დაძაბვა მოყვა. სიტუაციური საჭიროებებიდან გამომდინარე, თურქეთის მკაცრი რიტორიკა ხშირად იცვლება გარკვეული კომპრომისებით. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს 2016 წლის ვარშავის სამიტი, სადაც ერდოღანი გამოვიდა ნატოს წარმომადგენლობის ზრდის ინიციატივით შავი ზღვაში, რათა ეს უკანასკნელი არ გადაქცეულიყო „რუსულ ტბად“.[25]

რუსეთის სამხედრო ძლიერების დასაბალანსებლად ნატომ დააფუძნა “tailored forward presence”, რომელიც წარმოადგენს მულტინაციონალურ ბატალიონის ზომის დაჯგუფებას საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო კომპონეტეტების გაერთიანებით. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ნატომ საკუთარ თავზე აიღო შავ ზღვაში ოპერაციების ჩასატარებლად სამეთაურო-საკონტროლო ღონისძიებების ოპერირება.[26] თურქეთის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში იყო პოზიტიური, ამასთან მონაწილეობას იღებს საზღვაო წვრთნებში.

მიუხედავად ამ აქტივობებისა, მკაფიოდ უსვამს ხაზს მონტროს კონვენციით გათვალისწინებული პირობების დაცვას, რომლებიც განაპირობებს კიდეც თურქეთის ტრადიციულ როლს ამ რეგიონში. მონტროს კონვენციის განსაზღვრული პირობებით ლიმიტირებულია არასანაპირო სახელმწიფოების გემების რაოდენობა, მათი სატრანზიტო დრო და ტონაჟი. ეს გარემოება კი ხელს უშლის ალიანსს ეფექტური და მასშტაბური სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმას რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების დასაბალანსებლად.

ამდენად, თურქეთი მხარს უჭერს ნატოს შეზღუდულ აქტივობებსა და ჩართულობას შავ ზღვაში წმინდად პრაგმატული მიზნებით. მისი მერყევი პოზიციებიდან გამომდინარე ალიანსი სულ უფრო ნაკლებად მოიაზრებდა თურქეთს სანდო

[25] Joshua Kucera. Erdogan, In Plea To NATO, Says Black Sea Has Become "Russian Lake". 2016, May 12. Available at: https://eurasianet.org/erdogan-plea-nato-says-black-sea-has-become-russian-lake
[26] NATO. NATO's military presence in the east of the Alliance. 2022, July 8. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm

პარტნიორად შავი ზღვის რეგიონში, ამიტომაც ნატომ რეფოკუსირება რუმინეთზე მოახდინა, რომელიც მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია ალიანსის უსაფრთხოების კუთხით აღმოსავლეთ ფლანგზე.

გარკვეული უთანხმოების მიუხედავად, შავი ზღვის რეგიონში თურქეთს აღარ შეუძლია ტრადიციული, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებების კვალდაკვალ. იმის გარდა, რომ რუსეთი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ახორციელებს შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზებას, შექმნა A2/AD (შეღწევის საწინააღმდეგო და ტერიტორიული შეზღუდვის სისტემა), რომელმაც დააწინაურა მისი პოზიციები და გაზარდა წვდომის მასშტაბები. ამ გზით, რუსეთს საშუალება მიეცა გამყარებინა თავისი პოზიციები სირიაში და უფრო შორს წასულიყო დასავლური ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ თვალსაზრისით კი ალიანსის ინტერესების დასაცავად და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს ნატოს ერთიანობა და მისი აქტიური თანამშრომლობა წევრ თუ პარტნიორ სახელმწიფოებთან თავდაცვისუნარიანობის ამაღლების კუთხით.

დასკვნა

ალიანსში გაწევრიანების დღიდან თურქეთი თამაშობს დიდ როლს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში და, თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მოიაზრება ნატოს ინტერესების ძირითად საყრდენად ახლო აღმოსავლეთში. აკადემიურ წრეებში აქტიურად საუბრობენ ნატოს, როგორც ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის, როლის შესუსტებაზე. მსგავსი სკეპტიციზმი კი უკავშირდება არა ცვალებად უსაფრთხო გარემოსთან ადაპტირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არამედ მის წევრ სახელმწიფოთა შორის კოლექტიური ნებისა და ერთიანობის ნაკლებობას.

თურქეთის ამბიციების დიაპაზონი მეზობლებთან „ნულოვანი პრობლემების პოლიტიკიდან“ დაწინაურდა რეგიონში დამოუკიდებელ მოთამაშედ ჩამოყალიბების სურვილამდე, რისთვისაც ეს უკანასკნელი მიმართავს ბალანსირების პოლიტიკას დასავლეთსა და რუსეთს შორის. ერთი მხრივ, ევროპულ ინსტიტუტებთან გაუარესებული ურთიერთობის ფონზე ამყარებს ტაქტიკური ხასიათის კავშირებს რუსეთთან. მეორე მხრივ, რეგიონში ამ უკანასკნელის სამხედრო უპირატესობის ზრდა და ძალის პროექცია უბიძგებს ტრანსატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობას უსაფრთხოების გარანტიების შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს პრაგმატული ეროვნული ინტერესების გატარება და სარგებლის მიღება სისტემის მნიშვნელოვან აქტორებთან, თუნდაც დროებითი თანამშრომლობით.

განხილულმა მაგალითებმა ცხადყო, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ერდოღანის მმართველობის პირობებში არ ყოფილა სწორხაზოვანი და ეფუძნებოდა მის პირად აღქმებს, შეფასებებსა თუ თურქეთის როლის განსაზღვრებას საერთაშორისო სისტემაში. ამდენად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაში უდიდეს როლს თამაშობს პიროვნული დონე. წინამდებარე მოსაზრებას კი კიდევ უფრო ამყარებს 2017 წლის 16 აპრილს ჩატარებული რეფერენდუმი თურქეთში, რომლის პირობებითაც გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, მის ხელში აკუმულირდა ძალაუფლების დიდი ნაწილი და გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.[27]

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა არ ატარებს ჰარმონიულ ხასიათს და ვითარების ძლიერ გამწვავებამ თურქეთის წევრობის საკითხიც კი აქცია განხილვის საგნად არაოფიციალურ წრეებში, ორმხრივი საჭიროების გამო, ნაკლებად სავარაუდოა მისი საგარეო პოლიტიკური ვექტორის კარდინალური ცვლილება და რუსეთთან მჭიდრო კავშირების დამყარება გრძელვადიან პერსპექტივაში. თურქეთისთვის არც ექსპანსიონისტური და იმპერიალისტური იდეებით შეპყრობილი სახელმწიფო მოიაზრება სანდო პარტნიორად. სირიის გარდა ისინი სასწორის სხვადასხვა მხარეს დგანან ლიბიაში მიმდინარე კრიზისშიც და არ უჭერს რუსეთის მიერ შთაგონებულ ეთნოკონფლიქტებს პოსტსაბჭოთა სივრცეში (აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და დნესტრისპირეთის შემთხვევები). სხვადასხვა პოზიცია აქვთ, ასევე, მთიანი ყარაბაღისა და კოსოვოს საკითხების მიმართაც.

ერდოღანის არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილებებისა და ალიანსის კოლექტიურ ინტერესებზე წინ ეროვნული, სახელმწიფოებრივი ამოცანების დაყენება თურქეთს ნატოს ნაკლებად სანდო წევრად აქცევს. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება მიუთითებს ალიანსის ძირითადი ღირებულებებიდან გადახვევის ტენდენციაზე, თუმცა თურქეთის წინაშე მდგარი გამოწვევები და ახალი გეოპოლიტიკური რეალობა არსებით მნიშვნელობას სძენს ნატოს უსაფრთხოების გარანტიებს. დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციების შესუსტების ხარჯზე, ქვეყანაში ავტორიტარიზმის ელემენტების ზრდის მიუხედავად კი, გაცხადებულად მიისწრაფვის ევროკავშირში ინტეგრაციისკენ და არ გამოხატავს დაინტერესებას რუსული ინიციატივის, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მიმართ.

ალიანსის შიგნით წარმოქმნილი პრობლემები და საერთო გადაწყვეტილების მიღების უუნარობა „მწვანე შუქს“ უნთებს რუსეთს დასახული მიზნების მისაღწევად. ამ მოსაზრებას კი ადასტურებს ბუქარესტის სამიტზე გამოხატული არაერთსულოვნება საქართველოსთვის და უკრაინისთვის მაპის მიცემასთან

[27] Mark Lowen. Why did Turkey hold a referendum? BBC. 2017, April 16. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-38883556

დაკავშირებით. ნატოსთან თანამშრომლობა დიდ გავლენას ახდენს ასევე საქართველოს საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის დეკლარირებული კურსია ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანება. თურქეთის რუსეთთან დაახლოება კი ხელს შეუწყობს მის მიზანს შეინარჩუნოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები საკუთარ ორბიტაზე და იმოქმედოს „არშემდგარი“ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ტაქტიკით.

ამდენად, ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ცალკეულ საკითხებში დაპირისპირების და „მერყევი“ აქტორის სტატუსის მიუხედავად, თურქეთის როლი ალიანსის გაძლიერებასა და ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებაში კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. რუსეთის მზარდი მილიტარიზაცია, უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესია და შავი ზღვის აუზში ძალის პროექცია დიდწილად უქმნის საფრთხეს ნორმებსა და წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო მშვიდობას, ამიტომ კოლექტიური უსაფრთხოების მოტივით კონსოლიდირებული მხარის არჩევა თურქეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებშიც შედის.

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ფინეთისა და შვედეთის სავარაუდო გაწევრიანების გავლენა ალიანსზე

ავტორი: ლუკა ჩიტიანი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

შესავალი

რუსეთ-უკრაინის ომმა ევროპაში დამკვიდრებული აღქმები ძირფესვიანად შეცვალა. მოსაზრება, რომ ღირებულებებზე დაფუძნებული წესრიგი უკონკურენტო იყო და კონვენციური ომი, ევროპის კონტინენტზე მაინც, მხოლოდ ისტორიას წარმოადგენდა, გაბათილდა. 23 თებერვლის ხანგრძლივი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მომდევნო დღეს პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბრძანებით, რუსული ჯარები უკრაინაში შეიჭრნენ.

აღნიშნული მოვლენა, შოკისმომგვრელი და, ამავდროულად, გამომაფხიზლებელი აღმოჩნდა ევრო-ატლანტიკური სახელმწიფოებისთვის. მათ მკაფიო მხარდაჭერა გამოხატეს ძალადობის მსხვერპლი უკრაინისადმი და სანქციების უპრეცენდენტო პაკეტი დაუწესეს რუსეთს. კიდევ ერთი საინტერესო მოვლენაა, ის რომ მერყევი ქვეყნები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან დაყვავება და დათმობებზე წასვლა მომგებიანი არ არის. ეს კარგად გამოჩნდა 2008 და 2014 წლების მაგალითებზე. განსაკუთრებით ეს საკითხი მტკივნეული აღმოჩნდა სკანდინავიური ქვეყნებისთვის, ფინეთისა და შვედეთისთვის. ფინეთი სწორედ რუსეთის გამო იკავებდა თავს ალიანსში გაწევრიანებისგან. თუმცა, უკრაინის მაგალითმა წარმოაჩინა, რომ რუსეთთან მიმართებით უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს. ამან ფინეთს უბიძგა, გადაედგა აქამდე წარმოუდგენელი ნაბიჯი და სურვილი გამოეხატა ალიანსში წევრობისთვის. შვედეთიც თავისი მეზობლის გზას დაადგა.

იმის ფონზე, რომ რუსეთისთვის ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება მკვეთრად გამოხატული „წითელი ხაზი“ იყო,[1] ალიანსის მის მეზობლად გაფართოების შესაძლებლობა საინტერესო იმპლიკაციების შემცველია. ეს, თავისთავად, გავლენას მოახდენს ნატოსა და რუსეთის ურთიერთობებზეც. რაც ახალ რეალობას ქმნის ალიანსისთვის. აქედან გამომდინარე, ესეს ფარგლებში პასუხი გაეცემა კითხვას: „რა გავლენას ახდენს შვედეთისა და ფინეთის მიერ ნატოს წევრობის სურვილი ალიანსზე?“

გამომდინარე ზემოხსენებული კითხვის კომპლექსურობიდან, პასუხის მოძიების გამარტივებისთვის, საჭიროა ქვეკითხვების შემოღებაც, რომლებიც ეტაპობრივად წარმოაჩენენ ძირითად კითხვაზე პასუხს. ეს ქვეკითხვებია: რა ცვლილება გამოიწვია რუსეთ-უკრაინის ომმა ევროპული ქვეყნების გეოპოლიტიკურ აღქმაში?; რას ნიშნავს ალიანსის წევრობა ფინეთისა და შვედეთისთვის?; რას ნიშნავს ფინეთისა და შვედეთის ალიანსთან დაახლოვება რუსეთისთვის?; რა გამოწვევებს აწყდებიან ფინეთი და შვედეთი გაწევრიანების პროცესში?; ზემოხსენებულ

[1] Vladimir Soldatkin, Andrew Osborn. "Putin warns Russia will act if NATO crosses its red lines in Ukraine". Reuters. November 30, 2021. Available at: https://www.reuters.com/markets/stocks/putin-warns-russia-will-act-if-nato-crosses-its-red-lines-ukraine-2021-11-30/

კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: შინაარსის ანალიზი, დისკურს ანალიზი და შემთხვევის შესწავლა.

რაც შეეხება უშუალოდ ნაშრომის სტრუქტურას, იგი დიდწილად ზემოხსენებული ქვეკითხვების თანმიმდევრობას მიჰყვება და თითოეული ქვეთავი ეცდება, პასუხი გასცეს ერთ კითხვას. საბოლოოდ კი დასკვნაში შეჯამდება ნაშრომის მიგნებები და, ამავდროულად, პასუხი გაეცემა მთავარ საკვლევ კითხვას.

რუსეთ-უკრაინის ომი და ევროპა

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უდავო ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატებია, წევრთა უმრავლესობა ევროპის კონტინენტზე მდებარეობს. ალიანსის წესდებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები კონსენსუსის საფუძველზე მიიღება[2]. რის გამოც, თითოეული წევრის აღქმებს საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ალიანსის მოქმედებებზე. სწორედ ამის გამო არის პრიორიტეტული ევროპის კონტინენტზე გავრცელებული ხედვებისა და მისი ცვლილებების გაგება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროკავშირი მშვიდობის პროექტია. მისი მიზანი დამანგრეველი ომის შემდეგ, ეკონომიკური გაძლიერება და მომდევნო კონფლიქტების პრევენცია იყო. გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ევროკავშირის იდენტობის ნაწილად იქცა. ევროკავშირი გახდა ყველაზე ძლიერი არგუმენტი კანტის „დემოკრატიული მშვიდობის თეორიის“ გასამყარებლად.[3] აშკარაა, რომ ეს იდეა წევრმა სახელმწიფოებმა სწრაფადვე აიტაცეს. ზემოხსენებული სენტიმენტი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ფრენცის ფუკუიამამ, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ლიბერალური დემოკრატიების უპირობო გამარჯვება გამოაცხადა. ევროკავშირი გარკვეულწილად მოსწყდა „რეალპოლიტიკურ“ რეალობას და მიზნად ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის წარმართვა დაისახა.[4] ღირებულებების ქონაში თავისთავად ცუდი არაფერია. იმ შემთხვევის გარდა, როცა ღირებულებები ზღუდავს მოქნილობას და რეალობის შეცვლილ აღქმას აჩენს.

---

[2] NATO. "Consensus decision-making at NATO". June 14, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49178.htm

[3] Andreas Raspotnik, Andreas Østhagen. "The End of an Exceptional History: Re-Thinking the EU-Russia Arctic Relationship". E-IR. March 23, 2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/03/23/the-end-of-an-exceptional-history-re-thinking-the-eu-russia-arctic-relationship/

[4] David Pimenta. "Opinion – The Impact of the Russia-Ukraine War on European Nationalism". E-IR. May 11, 2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/05/11/opinion-the-impact-of-the-russia-ukraine-war-on-european-nationalism/

ეს შემთხვევა განსაკუთრებით მარტივი დასანახია რუსეთთან ურთიერთობების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან ევროპა აქტიურად ეხმარებოდა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ რუსეთს. ელცინის რეჟიმზე მილიარდობით ევრო იხარჯებოდა იმ იმედით, რომ რუსეთის დემოკრატიზაციას ხელი შეეწყობოდა და იგი ევროკავშირის მჭიდრო აღმოსავლელ პარტნიორად ჩამოყალიბდებოდა. აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნები მშვიდობის დამყარების გზად ისევ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ევროპულ ღირებულებებს ხედავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გაცემული თანხები უგზო-უკვლოდ იკარგებოდა რუსული კორუფციის მორევში და არსებითი პროგრესი რუსეთის დემოკრატიცაზიის კუთხით არ აღინიშნებოდა, ევროპელები ჯიუტად მისდევდნენ იდეას, რომ ამ ქვეყანასთან მეგობრული საუბრები შესაძლებელია. ვერც ჩეჩნეთის შემთხვევამ შეცვალა მათი მოსაზრება.[5] აღნიშნული ტენდენცია არც 21-ე საუკუნეში შეცვლილა. პუტინის რეჟიმთანაც ევროპული სახელმწიფოები დადებითი ხასიათის ურთიერთობის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი არ იყო საკმარისი, რომ დაერწმუნებინა ევროპელი გადაწყვეტილების მიმღებნი, რომ რუსეთი თამაშის წესებს არ ემორჩილება, რის გამოც მოგება მისთვის უფრო მარტივი იქნებოდა. იგივე შეიძლება ითქვას 2009 წლის გაზის კრიზისის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის უდიდესი ნაწილი დადგა საფრთხის წინაშე, პოლიტიკური ნება დამოკიდებულების შესაცვლელად არ გამოჩენილა. შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა 2014 წლის ყირიმის ანექსია იყო. ეს იყო შემთხვევა, როცა ქვეყანამ პირდაპირ შეიერთა მეორე ქვეყნისგან წაგლეჯილი ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ამ მოვლენას საკმაოდ ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა, საგარეო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. ამ მუდმივმა დაძაბულობამ და, ამავდროულად, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში დამკვიდრებულმა განცდამ, რომ ევროპაში და შესაბამისად ნატოშიც უძლურება ბატონობდა, შეამზადა სცენა 2021-2022 წლის მოვლენებისთვის[6].

სწორედ ამ მოვლენებმა დაარწმუნა ევროპელი პოლიტიკოსები, რომ დაყვავების გზა ევროპისთვის დამანგრეველ შედეგებს მოიტანს. ალიანსის წევრებს, თავიდანვე ჰქონდათ საკმაოდ მძაფრი რეაქცია უკრიანის საზღვრებთან რუსული ჯარების მობილიზაციაზე. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ცენტრალური ბირთვი სახელმწიფოები არ ანიჭებდნენ ამ საკითხს საკმარის სიმწვავეს. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2022 წლის 24 თებერვლიდან, როცა რუსეთმა სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები წამოიწყო უკრიანის წინააღმდეგ.

[5] Jannie Wedel. "Aid to Russia". IPS. September 1, 1998. Available at: https://ips-dc.org/aid_to_russia/
[6] Annika Hedberg. "The EU has been sleepwalking into war – but it's Germany and France who have a lot to answer for". EPC. March 07, 2022. Available at: https://www.epc.eu/en/Publications/The-EU-has-been-sleepwalking-into-war--But-its-Germany-and-France~467134

მხოლოდ სრულმასშტაბიანი ომი გახდა დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისთვის გამოფხიზლების საშუალება.

ომმა რამდენიმენაირი ცვლილება შეიტანა ევროპულ აღქმებში. პირველი იყო ის, რომ ომმა გამოავლინა შედარებით პრორუსული აქტორები ევროპაში - ქვეყნები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდნენ უკრიანისთვის იარაღის გადაცემაზე. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ორბანის უნგრეთია. ეს ქვეყანა არამარტო შემაფერხებელი იყო ანტირუსული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არამედ დღემდე აგრძელებს თანამშრომლობას რუსეთთან.[7] ამ პროცესს გარკვეულწილად სელექციური როლიც ჰქონდა ევროპაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა ნაციონალიზმის დაბრუნება იყო. თუ აქამდე ევროპული ღირებულებების პრიზმაში ნაციონალიზმი ნეგატიურ კონტექსტში იყო აღქმული, რუსეთ-უკრაინის ომმა შეცვალა ეს აღქმა. ომში, ორი ქვეყნის დაპირისპირების მიღმა, ჩანს ორი სახის ნაციონალიზმის ჭიდილი. რუსეთის შემთხვევაში, ესაა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური, იმპერიალისტური ნაციონალიზმი, უკრაინისაში კი - პოზიტიურ კონტექსტში აღქმული, გამომდინარე მისი კონტრიმპერიალისტური ბუნებიდან. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ევროპული სახელმწიფოების მიერ კანტიანური ღირებულებებიდან გადახვევას.[8] საბოლოო და ყველაზე მნიშნველოვანი ცვლილება, რომელიც ომმა მოიტანა ევროპის კონტინენტზე, არის ე.წ. „ევროპის გეოპოლიტიკური გამოღვიძება“. ევროპამ საბოლოოდ დაინახა, რომ მშვიდობის პროექტის როლი აუცილებლად არ გულისხმობს ძალაზე უარის თქმას. პირიქით, რიგ შემთხვევებში, მათი ტანდემი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. აქამდე ევროკავშირი საყოველთაოდ მიიჩნეოდა „რბილი ძალის“ აქტორად. ახლა კი ევროპელებმა საკუთარი პერსპექტივა „ხისტი ძალის“ კონტექსტშიც დაინახეს.[9] ქვეყნებისთვის უკვე პრიორიტეტული გახდა თავდაცვის ხარჯების ზრდა. კიდევ ერთხელ განახლდა საუბარი აქამდე ტაბუდადებულ ევროპულ ჯარზე.[10]

ცალსახაა, რომ ევროპის კონტინენტზე დამკვიდრებულ შეხედულებებში შესული ცვლილებები პირდაპირ აისახება ალიანსის მოქმედებებზეც. სწორედ ამიტომ დაეთმო ამ საკითხს ასეთი ვრცელი მიმოხილვა. უფრო პროაქტიული წევრები

[7] Euronews. "Hungary's top diplomat visits Moscow to negotiate gas supplies despite EU bid to cut deliveries". July 22, 2022. Available at: https://www.euronews.com/2022/07/21/hungarys-top-diplomat-visits-moscow-to-negotiate-gas-supplies-despite-eu-sanctions

[8] Pimenta, "Opinion – The Impact of the Russia-Ukraine War on European Nationalism".

[9] Alexandra de Hoop Scheffer, Gesine Weber. "Russia's War on Ukraine: the EU's Geopolitical Awakening". GMF. March 08, 2022. Available at: https://www.gmfus.org/news/russias-war-ukraine-eus-geopolitical-awakening

[10] Raspotnik; Østhagen, "The End of an Exceptional History: Re-Thinking the EU-Russia Arctic Relationship".

გულისხმობს უფრო პროაქტიულ ალიანსს. სწორედ ევროპის კონტინენტზე გაცრელებული ამ სენტიმენტის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი გამოვლინება იყო ფინეთისა და შვედეთის მიერ გამოხატული სურვილი, გაწევრიანებულიყვნენ ალიანსში.

უფრო ახლოს ნატოსთან

როგორც უკვე აღინიშნა, ომმა ევროპული ქვეყნების გეოპოლიტიკური გამოღვიძება გამოიწვია. ალიანსის წევრებმაც კი იგრძნეს, რომ აგრესორის მოთხოვნები უფრო და უფრო გაიზრდებოდა. როდესაც ქვეყანა არ ერიდება სრულმასშტაბიან ომსაც კი, მისგან უკვე ნებისმიერი სახის ავანტიურა არის მოსალოდნელი. განსაკუთრებით კარგად ეს ესმით ქვეყნებს, რომლებსაც გააჩნიათ რუსეთთან ინტერაქციის გამოცდილება. მართლაც, თუ დავაკვირდებით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები უფრო აქტიური და რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ არიან მიდრეკილები, ვიდრე დასავლური ევროპის ქვეყნები. რუსეთთან მკვეთრად ნეგატიური ურთიერთობის გამოცდილება გააჩნია ფინეთს, ხოლო შვედეთის უსაფრთხოება მჭიდროდაა გადაჯაჭვული ამ უკანასკნელთან, რის გამოც მათი მოქმედებები ტანდემში ხორციელდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფინეთისა და რუსეთის ურთიერთობების ისტორია და ტერმინი „ფინლანდიზაცია“. ეს ტერმინი სათავეს 1948 წლის „მეგობრობის შეთანხმებიდან იღებს“ და დღეს უკვე უფრო ზოგადი მნიშვნელობაც გააჩნია. ზამთრის ომის შემდეგ ფინელებმა შეძლეს დაეცვათ თავიანთი სუვერენიტეტი, თუმცა ეს ტერიტორიის 10%-ის ფასად დაუჯდათ. 1948 წლის შეთანხმება ტექნიკურად სუვერენიტეტის გარანტია და ნეიტრალიტეტის პირობა იყო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მას გაცლებით უფრო უარესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნიშნავდა, რომ ფინეთს, ფაქტობრივად, უარი უნდა ეთქვა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, მაგალითად ფინელმა პოლიტიკოსებმა ვერ გამოთქვეს პროტესტი 1956 წელს უნგრეთში და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე მოვლენებზე. უფრო მეტიც, ფინური მედია თავს იკავებდა საბჭოური პოლიტიკის კრიტიკაზე და, გარკვეულწილად, საკუთარ თავს უწესებდა ცენზურას ამ მიმართულებით. მაგალითად, წიგნი „არქიპელაგი გულაგის“ ფინური თარგმანი საწყის ეტაპზე არ გამოიცემოდა.[11] ზემოხსენებული აშკარად მიუთითებს, რომ შეთანხმება სცდებოდა ფორმალურ მხარეს და გაცილებით უფრო მეტი ნეგატიური ეფექტები ჰქონდა, ვიდრე ეს ფურცელზე იყო აღწერილი. ფინეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის, ალექსანდერ შტუბის, თქმით, ,,ფინლანდიზაცია“, ეს

[11] The Economist. "What is “Finlandisation”?". February 11, 2022. Available at: https://www.economist.com/the-economist-explains/2022/02/11/what-is-finlandisation

იყო სირცხვილი ქვეყნის ისტორიაში, როცა ქვეყანას არ შეეძლო დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა.[12]

ამ ნეგატიურმა ისტორიულმა გამოცდილებამ, მიმდინარე მოვლენების ფონზე, მიიყვანა ფინეთი გადაწყვეტილებამდე, რომ კიდევ უფრო გაეზარდა უსაფრთხოების დონე ქვეყანაში. შვედეთის შემთხვევაშიც, რუსეთს რამდენჯერმე დაურღვევია შვედეთის ავიასივრცის საზღვრები და რუსული წყალქვეშა ნავები შეუმჩნევიათ სტოკჰოლმის არქიპელაგის გარშემო. შვედეთიც აშკარად არ გრძნობდა თავს უსაფრთხოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ, რის გამოც 2016 წელს მან თავისი არმია დააბრუნა კუნძულ გოტლანდზე (სურათი 1), სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტზე.[13] ამ ფაქტორების გათვალისწინებით და ორი ქვეყნის უსაფრთხოების გადაჯაჭვულობიდან გამომდინარე, 18 მაისს სახელმწიფოებმა ოფიციალური განაცხადი გააკეთეს ნატოში გაწევრიანების თაობაზე.[14]

[12] ფორმულა. "ფინეთის ყოფილი პრემიერი: არც იფიქროთ ამაზე, ფინლანდიზაცია იყო ფინეთის შეურაცხყოფა". 13 აპრილი, 2022. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/68649
[13] Phelan Chatterjee. "Sweden and Finland's journey from neutral to Nato". BBC. June 29, 2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61397478
[14] NATO. "Finland and Sweden submit applications to join NATO". May 18, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_195468.htm

სურათი 1: კუნძული გოტლანდი; მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი შვედეთისთვის. გარდა ამისა, კუნძულს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ბალტიისპირეთის დაცვისთვის.

წყარო: RUSI

აღსანიშნავია, რომ 1994 წლიდან მოყოლებული, ფინეთი და შვედეთი ნატოს ოფიციალური პარტნიორები არიან და მონაწილეობას იღებენ ნატოს სხვადასხვა მისიაში. ორივე ქვეყანას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ალიანსთან და ტექნოლოგიური თვალსაზრისით თავსებადი არიან ნატოს ძალებთან. ფინეთი უკვე ასრულებს მოთხოვნას, რომლის თანახმადაც თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე მეტი უნდა დაიხარჯოს, შვედეთი კი გეგმავს ამ პირობის შესრულებას.[15] აღსანიშნავია ისიც, რომ ფინეთი და შვედეთი არ იქნებიან სახელმწიფოები, რომლებიც უძლურების გამო დაცვას ეძებენ ნატოში. პირიქით, შვედეთი, და განსაკუთრებით ფინეთი, შესაძლოა, გახდეს მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ალიანსისთვის. ფინეთი წლების განმავლობაში აძლიერებდა თავის სამხედრო და სადაზვერვო შესაძლებლობლებს, შესაბამისად, სარგებელი, რომლის მიღებაც ამ პარტნიორობიდან შეიძლება, ორმხრივია.[16]

ცალკე აღებული ეს ორი ქვეყანა არ არის გადამწყვეტი ძალის მქონე. თუმცა, მათ მაინც გააჩნიათ ანგარიშასაწევი ძალა, განსაკუთრებით, ნატოს კონტექსტში, რადგან ორივე მათგანს აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ გაწევრიანდნენ ნატოში ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ომის პირობებში, შვედეთს 60 000-ზე მეტი ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლია.[17] გარდა ამისა, შვედეთს გააჩნია 121 ტანკი, 387 ნავი და 210 თვითმფრინავი.[18] კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია ფინეთის შესაძლებლობები. ფინეთს ომის დროს 280 000 ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლია.[19] გარდა ამისა, ფინეთს გააჩნია 239 ტანკი, 29 ნავისა და 179 თვითმფინავისაგან.[20]

---

[15] Chatterjee, "Sweden and Finland's journey from neutral to Nato".
[16] Bradley Bowman, Ryan Brobst, Jack Sullivan, and John Hardie. "Finland and Sweden in NATO are strategic assets, not liabilities". Jul 20, 2022. Available at: https://www.defensenews.com/opinion/commentary/2022/07/20/finland-and-sweden-in-nato-are-strategic-assets-not-liabilities/
[17] Corporal Frisk. "The Swedish Wartime Army". June 10, 2018. Available at: https://corporalfrisk.com/2018/06/10/the-swedish-wartime-army/
[18] Ibid.
[19] Aleksi Teivainen, "Finland to raise wartime strength to 280,000 troops". February 17, 2017. Available at: https://www.helsinkitimes.fi/finland/finland-news/domestic/14544-finland-to-raise-wartime-strength-to-280-000-troops.html
[20] Finnish Defense Forces. "MATERIEL AND EQUIPMENT OF THE FINNISH DEFENCE FORCES". Available at: https://puolustusvoimat.fi/en/equipment

მას, ასევე, გააჩნია დასავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერი არტილერია. გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, ფინეთის მოსახლეობა გამოირჩევა მაღალი მორალით. მოსახლეობის 76% მზადაა იბრძოლოს საკუთარი ქვეყნის დასაცავად.[21] ამგვარად, ფინეთი და შვედეთი არიან ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ თავაცვის უნარი. ამ თვალსაზრისით, მათი ნატოში გაწევრიანება კიდევ უფრო გააძლიერებს ალიანსს.





შვედეთისა და ფინეთის სამხედრო შესაძლებლობები

მადრიდის სამიტზე შეთანხმების შემდეგ, 4 ივლისს, ფინეთმა და შვედეთმა ოფიციალურად დაადასტურეს თავიანთი სურვილი და შესაძლებლობა, რომ ნატოს წევრები გამხდარიყვნენ. შემდეგი ეტაპი წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოების მიერ გაწევრიანების რატიფიცირებაა.[22] რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უკვე დაადასტურა მოთხოვნა.[23]

ამგვარად, ნატოში გაწევრიანება ორ ქვეყანაზე გაავრცელებს მეხუთე მუხლს, ანუ კოლექტიურ თავდაცვას, რაც, თავისთავად, მკვეთრად გაზრდის ამ სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობასა და შეკავების ფაქტორს. ეს, გარკვეულწილად, შეამცირებს საფრთხის აღქმას რუსეთის მხრიდან არასტაბილური გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში.

[21] Tilastokeskus. „Findikaattori-palvelun ylläpito on keskeytetty“. Available at: https://www.stat.fi/ajk/findikaattori-palvelun-yllapito-keskeytetty
[22] NATO. "Finland and Sweden complete NATO accession talks". July 04, 2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_197737.htm
[23] Patricia Zengerle. "U.S. Senate committee backs accession of Finland, Sweden to NATO". Reuters. July 20, 2022. Available at: https://www.reuters.com/world/us-senate-committee-backs-accession-finland-sweden-nato-2022-07-19/

კიდევ ერთი უსიამოვნება რუსეთისთვის

რუსეთის მიერ გაცხადებული მიზეზი უკრაინასთან და საქართველოსთან მიმართებაში განხორციელებული მოქმედებებისთვის, ნატოს გაფართოების საშიშროებაა. შესავალში ნახსენები „წითელი ხაზებიც“ სწორედ ამ საკითხს ეხება. რუსეთი მუდმივად იშველიებს 1990-იანებში ნატოს მიერ გაცემულ დაპირებებს, რათა ,,ჩირქი მოსცხოს“ ალიანსის ქმედებებს და გაამართლოს თავისი იმპერიალისტური ზრახვები. მართლაც, პუტინმა დაუყონებლივ გამოთქვა გაცხადებული უკმაყოფილება ამ საკითხის გარშემო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთი ომით დაკავებულმა ვერ შეძლო ისეთი ამბიციური და რადიკალური განცახდების გაკეთება, როგორისაც სურდა. პუტინის თქმით, შვედეთსა და ფინეთს შეუძლიათ, რომ იმ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ, რომელშიც უნდათ, რადგან მათთან არანაირი ტერიტორიული დავა არ აქვს, თუმცა მისთვის მიუღებელია ნატოს ინფრასტრუქტურის განთავსება. ამავდროულად, მისი განცხადებით, „აქამდე ქვეყნებს შორის პრობლემა არ ყოფილა, მომავალში კი აუცილებლად იქნება“. პუტინის რეაქცია ,,დაგვირგვინდა“ განცხადებით, რომ იგი გმობს „ნატოს იმპერიალისტურ ამბიციებს“.[24]

ამ განცხადებების უკან აშკარად დამალულია შიში, რომელსაც რამდენიმე გამომწვევი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, იგი ვერ ახერხებს, ისეთივე რეაქცია ჰქონდეს ფინეთთან და შვედეთთან მიმართებაში, როგორიც ჰქონდა უკრაინასთან, რაც, თავის მხრივ, სისუსტის მანიშნებელია. გარდა ამისა, სპეციფიკურად ფინეთის გაწევრიანება საფრთხის შემცველია რუსეთისთვის. ამ მოვლენით, რუსეთს ფაქტობრივად გაუორმაგდება ნატოსთან საზღვარი, რაც კიდევ უფრო დიდი საფრთხის აღმქას შექმნის ქვეყანაში. ეს, თავის მხრივ, გაზრდის ეკონომიკურ წნეხს რუსეთზე.[25]

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ შედეგებს, რომლებიც დადგება შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანების შემთხვევაში. რუსეთს უდიდესი წყალქვეშა ფლოტი გააჩნია, რომლის მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ბაზა ბალტიის ზღვაში მდებარეობს. ეს იძლევა საშუალებას, რომ წყალქვეშა ნავებმა ამერიკელებისგან მალულად განახორციელონ სვლები. ფინეთისა და შვედეთის წევრობა ბალტიის ზღვას, ფაქტობრივად, ,,ნატოს ტბად“ გადააქცევს, რაც იმდენად შეამცირებს სივრცეს რუსული ხომალდების მანევრირებისთვის, რომ მათთვის შეუძლებელი

[24] AlJazeera. "Putin condemns NATO's 'imperial ambitions', warns Finland, Sweden". 29 June, 2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/29/putin-condemns-natos-imperial-ambitions-warns-finland-sweden

[25] Wess Mitchell. "Putin's War Backfires as Finland, Sweden Seek to Join NATO". USIP. May 26, 2022. Available at: https://www.usip.org/publications/2022/05/putins-war-backfires-finland-sweden-seek-join-nato

გახდება ფარული მოძრაობა. ფარულობა წყალქვეშა ფლოტის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. ამ ფაქტორის გაქრობის შემთხვევაში, რუსული საზღვაო ძალების ძლიერება ფაქტობრივად განახევრდება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ფინეთის საზღვრის გამოყენების შესაძლებლობა. რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების სერიოზული ნაწილი კონცენტრირებულია ჩრდილოეთში, მურმანსკის ობლასტში. აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ ეს მხარე ცენტრთან ერთი გზით და ერთი რკინიგზითაა დაკავშირებული, რომლის სიგრძეც 700 კილომეტრია (სურათი 2). ამის ფონზე, რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო ინფრასტრუქტურა, სერიოზული დივერსიული საფრთხის წინაშე დგება, რომელსაც ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების სერიოზულად დასუსტება შეუძლია. უკრაინის ომმა გამოაჩინა რუსეთის სერიოზული ლოჯისტიკური პრობლემები და დივერსიების ეფექტურობა. აღნიშნული გზა მურმანსკამდე კიდევ უფრო სერიოზული გამოწვევის შემქმნელი შეიძლება გახდეს ქვეყნისთვის.[26]

სურათი 2: მურმანსკის კორიდორი

წყარო: Caspian Reports

[26] CaspianReport. "Finland joining NATO would crush Russian power". Youtube. May 19, 2022. Available at: https://www.youtube.com/watch?v=9dIjrNwXgrU

ამგვარად, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანება რუსეთისთვის სერიოზული სტრატეგიული გამოწვევის შემქმნელი იქნება. მისი წყალქვეშა ფლოტი, ფაქტობრივად, უძლური გახდება დაფარულობის თვალსაზრისით, ხოლო ცენტრალური მნიშვნელობის გზა სერიოზული დივერსიული საფრთხის წინაშე დადგება. ამ ყველაფრის ფონზე, ვლადიმერ პუტინის გამოსვლაში იკითხება შიში და ამავდროულად უძლურება, გააკეთოს უფრო რადიკალური განაცხადი. ამგვარად, ნატოს პოტენციური გაფართოება ჩრდილოეთში სერიოზული გამოწვევების შემქმნელია რუსეთისთვის და ბიძგის მიმცემია, რომ გაფანტოს თავისი სამხედრო შესაძლებლობები, რაც დადებითი მოვლენაა უკრაინისა და საქართველოსთვის.

გამოწვევები გაწევრიანების გზაზე

გაწევრიანებას სერიოზული მხარდაჭერა აქვს ორივე ქვეყანაში, განსაკუთრებით - ფინეთში. რაც შეეხება შვედეთს, აქ გადაწყვეტილება დიდწილად დამოკიდებულია ფინეთზე. როცა გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა 76% იყო ფინეთში, შვედეთში ეს სურვილი მხოლოდ 53%-ს ჰქონდა.[27] აქედან გამომდინარე, შვედეთის შიგნით ამ ეტაპზეც კი საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობაა. ეს დიდწილად იდეოლოგიითაა განპირობებული, რადგან შვედეთი მსოფლიოში წამყვანი ბირთვული განიარაღების ადვოკატი არის. ნატოს სკეპტიკოსების თქმით, ნეიტრალიტეტზე უარის თქმა, შვედეთს მოუსპობს საშუალებას მედიატორის როლი შეასრულოს ქვეყნებს შორის, როგორც იგი ამას 1980-იან წლებში აკეთებდა.[28]

გარდა ამისა, რასაკვირველია, არსებობს საფრთხის აღქმაც, რომ ნატოში გაწევრიანება რუსეთის მიერ დადგენილი წითელი ხაზის გადაკვეთა იქნება და, შესაბამისად, საფრთხეს შექმნის ამ ქვეყნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ აღქმას უმრავლესობა არ იზიარებს, სავარაუდოდ, ქვეყნები მაინც მოერიდებიან საკუთარ ტერიტორიაზე ნატოს სტრატეგიული იარაღების განთავსებას, რათა თავიდან აიცილონ რუსეთის პროვოცირება.[29]

გარდა ზემოხსენებულისა, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებას წევრებს შორისაც ჰყავს მოწინააღმდეგე - თურქეთი. თურქეთს საკმაოდ ცვალებადი დამოკიდებულება აქვს საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად, იგი ეწინააღმდეგებოდა ორი ქვეყნის გაწევრიანებას, რადგან ისინი ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) მხარდამჭერებად მიიჩნეოდნენ. ამავე ქვეყნებში

[27] Tuomas Forsberg. "Finland and Sweden's Move to NATO". PRIO. May 9, 2022. Available at: https://blogs.prio.org/2022/05/finland-and-swedens-move-to-nato/
[28] Chatterjee. "Sweden and Finland's journey from neutral to Nato".
[29] Ibid.

იმალებოდნენ, თურქეთში ძებნილი ინდივიდები, რომლებსაც გარკვეული პოზიციები ეჭირათ PKK-ში.[30] ამის შემდეგ, თურქეთმა, შვედეთმა და ფინეთმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც მოთხოვნების გათვალისწინებას შეეხებოდა. 28 ივნისს, მადრიდის სამიტამდე, თურქეთმაც გამოთქვა სურვილი, მხარი დაეჭირა შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებისთვის.[31] მიუხედავად ამისა, თეირანში პუტინთან შეხვედრის შემდეგ, ერდოღანმა თავისი მოთხოვნები განაახლა.[32]

ამგვარად, ნატოში ინტეგრაციის გზაზე ფინეთსა და შვედეთს რამდენიმე სხვადასხვა სირთულის გამოწვევა ხვდებათ. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თურქეთის ფაქტორია, რომელიც არა მხოლოდ აფერხებს გაწევრიანების პროცესს, არამედ წარმოაჩენს, რომ ალიანსის შიგნით არის არასტაბილური რეგიონული აქტორი, რომელიც საკუთარ ინტერესებს საერთოზე უფრო მაღლა აყენებს.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში მიმოხილული იყო საკითხები, როგორიცაა: შეცვლილი გეოპოლიტიკური ხედვები ევროპაში; ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების სურვილის გამომწვევი მიზეზები და გავლენა ამ ქვეყნებზე; ამ უკანასკნელის შედეგები რუსეთისთვის და გამოწვევები გაწევრიანების გზაზე. როგროც შესავალში აღინიშნა, დროა პასუხი გაეცეს კითხვას: „რა გავლენას ახდენს შვედეთისა და ფინეთის მიერ ნატოს წევრობის სურვილი ალიანსზე?“

მოკლე პასუხი იქნებოდა ის, რომ ალიანსი ამ მოვლენით სერიოზულად ძლიერდება. უფრო ვრცლად, გაძლიერების გამომწვევი მიზეზი შემდეგია: პირველ რიგში, ნატოს პოტენციურად უერთდება ორი ეკონომიკურად ძლიერი და, სამხედრო თვალსაზრისით, ანგარიშგასაწევი ძალა. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთისა და ნატოს საზღვარი გაორმაგდება, რაც რუსულ თავდაცვით უნარებს მკვეთრად შეამცირებს. გარდა ამისა, გაძლიერდება ნატოს თავდაცვის შესაძლებლობები,

[30] Jo Adetunji. "Why Turkey isn't on board with Finland, Sweden joining NATO – and why that matters". The Conversation. May 17, 2022. Available at: https://theconversation.com/why-turkey-isnt-on-board-with-finland-sweden-joining-nato-and-why-that-matters-183277
[31] Dan Sabbagh. "Turkey lifts objections to Finland and Sweden's Nato bid". The Glardian. June 28, 2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/28/turkey-lifts-objections-to-finland-and-swedens-nato-bid
[32] John Haltiwanger. "Right before meeting with Putin in Iran, Turkey's Erdogan threatens to 'freeze' Sweden and Finland's NATO membership". Insider. Jul 19, 2022. Available at: https://www.businessinsider.com/turkey-erdogan-threatens-to-freeze-sweden-finland-nato-membership-2022-7

განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში. ეს მხარე ყველაზე მოწყვლადი იყო რუსული აგრესიის მიმართ. ბალტიის ზღვის „ნატოს ტბად“ ქცევა მკვეთრად შეზღუდავს რუსეთის მიერ ძალის პროექციის შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ყურადღებაა გასამახვილებელი ახალ პლაცდარმზეც, არქტიკაზეც, სადაც რუსეთი აქტიურად ცდილობს ინფრასტრქუტურის განვითარებას. ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების შემთხვევაში, ყველა არქტიკული სახელმწიფო, გარდა რუსეთისა ალიანსის შემადგენლობაში იქნება, რაც შექმნის შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს ერთიანი კონცეფცია ამ რეგიონთან მიმართებით და უკეთ შეიზღუდოს რუსული ექსპანსიის სურვილები. ამავდროულად, უკეთ დაცული ევროპა, მეტ საშუალებას მისცემს ამერიკას, კონცენტრირდეს ჩინეთის საკითხზე.[33]

საბოლოოდ, თუკი გაწევრიანების გზაზე არსებული გამოწვევები დაიძლევა და ფინეთი და შვედეთი მართლაც გახდებიან ალიანსის წევრები, ეს ძირფესვიანად შეცვლის ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას და მკვეთრად გააძლიერებს ნატოს. ამავდროულად კი, შეიზღუდება რუსეთის ამბიციები კონტინენტზე.

[33] Jonathan Masters. "Ukraine: Conflict at the Crossroads of Europe and Russia". CFR. April 1, 2022. Available at: https://www.cfr.org/backgrounder/ukraine-conflict-crossroads-europe-and-russia

ბიბლიოგრაფია:

- ფორმულა. "ფინეთის ყოფილი პრემიერი: არც იფიქროთ ამაზე, ფინლანდიზაცია იყო ფინეთის შეურაცხყოფა". 13 აპრილი, 2022, ბოლო წვდომა 17.07.2022. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/68649
- Adetunji, Jo. "Why Turkey isn't on board with Finland, Sweden joining NATO – and why that matters". The Conversation. May 17, 2022. Accessed, 18.07.2022. Available at: https://theconversation.com/why-turkey-isnt-on-board-with-finland-sweden-joining-nato-and-why-that-matters-183277
- AlJazeera. "Putin condemns NATO's 'imperial ambitions', warns Finland, Sweden". 29 June, 2022. Accessed 18.07.2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/29/putin-condemns-natos-imperial-ambitions-warns-finland-sweden
- Bowman, Bradley; Brobst, Ryan; Sullivan, Jack and Hardie, John. "Finland and Sweden in NATO are strategic assets, not liabilities". Jul 20, 2022. Accessed, 21.07.2022. Available at: https://www.defensenews.com/opinion/commentary/2022/07/20/finland-and-sweden-in-nato-are-strategic-assets-not-liabilities/
- CaspianReport. "Finland joining NATO would crush Russian power". Youtube. May 19, 2022. Accessed 18.07.2022. Available at: https://www.youtube.com/watch?v=9dIjrNwXgrU
- Chatterjee, Phelan. "Sweden and Finland's journey from neutral to Nato". BBC. June 29, 2022. Accessed 17.07.2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-61397478
- Corporal Frisk. "The Swedish Wartime Army". June 10, 2018. Accessed, 30.07.2022. Available at: https://corporalfrisk.com/2018/06/10/the-swedish-wartime-army/
- Euronews. "Hungary's top diplomat visits Moscow to negotiate gas supplies despite EU bid to cut deliveries". July 22, 2022. Acccessed 22.07.2022. Available at: https://www.euronews.com/2022/07/21/hungarys-top-diplomat-visits-moscow-to-negotiate-gas-supplies-despite-eu-sanctions
- Finnish Defense Forces. "MATERIEL AND EQUIPMENT OF THE FINNISH DEFENCE FORCES". Accessed, 30.07.2022. Available at: https://puolustusvoimat.fi/en/equipment
- Forsberg, Tuomas. "Finland and Sweden's Move to NATO". PRIO. May 9, 2022. Accessed 18.07.2022. Available at: https://blogs.prio.org/2022/05/finland-and-swedens-move-to-nato/
- Haltiwanger, John. "Right before meeting with Putin in Iran, Turkey's Erdogan threatens to 'freeze' Sweden and Finland's NATO membership". Insider. Jul 19,

2022. Accessed 18.07.2022. Available at: https://www.businessinsider.com/turkey-erdogan-threatens-to-freeze-sweden-finland-nato-membership-2022-7

- Hedberg, Annika. "The EU has been sleepwalking into war – but it's Germany and France who have a lot to answer for". EPC. March 07, 2022. Accessed, 16.07.2022. Available at: https://www.epc.eu/en/Publications/The-EU-has-been-sleepwalking-into-war--But-its-Germany-and-France~467134
- Masters, Jonathan. "Ukraine: Conflict at the Crossroads of Europe and Russia". CFR. April 1, 2022. Accessed, 19.07.2022. Available at: https://www.cfr.org/backgrounder/ukraine-conflict-crossroads-europe-and-russia
- Mitchell, Wess. "Putin's War Backfires as Finland, Sweden Seek to Join NATO". USIP. May 26, 2022. Accessed 18.07.2022. Available at: https://www.usip.org/publications/2022/05/putins-war-backfires-finland-sweden-seek-join-nato
- NATO. "Consensus decision-making at NATO". June 14, 2022. Accessed 15.07.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49178.htm
- NATO. "Finland and Sweden complete NATO accession talks". July 04, 2022. Accessed, 17.07.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_197737.htm
- NATO. "Finland and Sweden submit applications to join NATO". May 18, 2022. Accessed, 17.07.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_195468.htm
- Pimenta, David. "Opinion – The Impact of the Russia-Ukraine War on European Nationalism". E-IR. May 11, 2022. Accessed, 16.07.2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/05/11/opinion-the-impact-of-the-russia-ukraine-war-on-european-nationalism/
- Raspotnik, Andreas and Østhagen, Andreas. "The End of an Exceptional History: Re-Thinking the EU-Russia Arctic Relationship". E-IR. March 23, 2022. Accessed, 16.07.2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/03/23/the-end-of-an-exceptional-history-re-thinking-the-eu-russia-arctic-relationship/
- Sabbagh, Dan. "Turkey lifts objections to Finland and Sweden's Nato bid". The Glardian. June 28, 2022. Accessed, 18.07.2022. Available at: https://www.theguardian.com/world/2022/jun/28/turkey-lifts-objections-to-finland-and-swedens-nato-bid
- Scheffer, Alexandra de Hoop and Gesine Weber. "Russia's War on Ukraine: the EU's Geopolitical Awakening". GMF. March 08, 2022. Accessed, 16.07.2022. Available at: https://www.gmfus.org/news/russias-war-ukraine-eus-geopolitical-awakening

- Soldatkin, Vladimi and Osborn, Andrew. "Putin warns Russia will act if NATO crosses its red lines in Ukraine". Reuters. November 30, 2021. Accessed 15.07.2022. Available at: https://www.reuters.com/markets/stocks/putin-warns-russia-will-act-if-nato-crosses-its-red-lines-ukraine-2021-11-30/
- Teivainen, Aleksi. “Finland to raise wartime strength to 280,000 troops”. February 17, 2017. Accessed, 30.07.2022. Available at: https://www.helsinkitimes.fi/finland/finland-news/domestic/14544-finland-to-raise-wartime-strength-to-280-000-troops.html
- The Economist. "What is “Finlandisation”?". February 11, 2022. Accessed, 17.07.2022. Available at: https://www.economist.com/the-economist-explains/2022/02/11/what-is-finlandisation
- Tilastokeskus. „Findikaattori-palvelun ylläpito on keskeytetty“. Accessed, 30.07.2022. Available at: https://www.stat.fi/ajk/findikaattori-palvelun-yllapito-keskeytetty
- Wedel, Jannie. "Aid to Russia". IPS. September 1, 1998. Accessed 17.07.2022. Available at: https://ips-dc.org/aid_to_russia/
- Zengerle, Patricia. "U.S. Senate committee backs accession of Finland, Sweden to NATO". Reuters. July 20, 2022. Accessed, 17.08.2022. Available at: https://www.reuters.com/world/us-senate-committee-backs-accession-finland-sweden-nato-2022-07-19/

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

რუსეთის ომი უკრაინაში, როგორც ნატოს შემაკავში-რებელი ფაქტორი: ილუზია თუ რეალობა?

ავტორი: მარიამ მიქიანი

NATO OTAN
This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

,,საერთო საფრთხე მოსისხლე მტრებსაც კი აერთიანებს''
არისტოტელე

შესავალი

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა ომმა უმნიშვნელოვანესი ძვრები გამოიწვია საერთაშორისო სისტემაში. აგრესიამ, რომელსაც კრემლი უკრაინის გაცხადებული პროდასავლური მისწრაფებების საპასუხოდ ახორციელებს, მრავალი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მიდგომა შეცვალა რუსეთის მიმართ.[1] ამგვარ მოცემულობაში, კიდევ უფრო გაიზარდა დაინტერესება ნატოს ერთიანობის საკითხის გარშემო და გაჩნდა მოსაზრება, რომ უკრაინის ომმა მსოფლიო ნატოს ,,რენესანსამდე'' მიიყვანა.[2]

ნაშრომის აქტუალობა ეჭვებს არ აჩენს, რამეთუ ის შეისწავლის 21-ე საუკუნის ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტის გარშემო არსებულ პრობლემებს. ისევე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სამხედრო ალიანსის - ნატოს გამოწვევებს.

მოცემული ესეს მიზანია, დაადგინოს უკრაინის ომის გავლენა ნატოზე. საკვლევი კითხვა ამგვარად ფორმულირდა: რა გავლენას ახდენს რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებული აგრესია ნატოს ერთიანობასა და რელევანტურობაზე?

ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ალიანსის შიგნით მწვავე აზრთა სხვადასხვაობა სუფევს, რაც, საბოლოოდ, არაეფექტურს ხდის ნატოს ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ აზრთა სხვადასხვაობა სრულიად ბუნებრივია, ხოლო რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებულმა ბარბაროსულმა აგრესიამ ნატოს წევრები, მიუხედავად მათი განსხვავებული ინტერესებისა, მიიყვანა დასკვნამდე, რომ რუსეთი თანამედროვე მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენს და რეაგირებისას ერთიანობა აუცილებელია მათივე სამომავლო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. სწორედ, ხსენებული ჰიპოთეზის გარშემო ხდება კვლევა, მიგნებებს კი დასკვნის სახით შემოგთავაზებთ.

[1] Tom Nagorski. ''The war in Ukraine has already changed the world''. GRID. 28.02.2022. Available at: https://www.grid.news/story/ukraine-russia/2022/02/28/the-war-in-ukraine-has-already-changed-the-world/
[2] Sonya Angelica Diehn. ''5 ways the Ukraine war has changed the world''. DW. 03.06.2022. Available at: https://www.dw.com/en/5-ways-the-ukraine-war-has-changed-the-world/a-62006500

ნატოს ერთიანობა და ეფექტურობა უკრაინის ომის ჭრილში

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ქმედითობისა და ერთიანობის საკითხი დიდი ხანია განხილვის საგანს წარმოადგენს. ნატოს ეფექტურობისადმი სკეპტიკურად განწყობილთა შორის მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებიც გვევლინებოდნენ. 2019 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, ალიანსი აღწერა, როგორც ,,ტვინმკვდარი'' ორგანიზაცია, რითიც ხაზი გაუსვა ტრანსატლანტიკური გაერთიანების მთავარი გარანტორის, ამერიკის შეერთებული შტატების, შესუსტებულ როლსა და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ნეგატიურ განწყობას ნატოს მიმართ.[3]

სკეპტიკურ დამოკიდებულებას ალიანსის მიმართ სხვა მრავალ მიზეზთა შორის ისიც იწვევდა, რომ ნატოს პოლიტიკური ხედვა აღარ ასახავდა იმ რეალობას, რომელიც მსოფლიოში არსებობდა. ალიანსი 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით ხელმძღვანელობდა, რომლის თანახმადაც უსაფრთხოების გარემო შემდეგნაირად იყო აღწერილი: ,,დღეს, ევროატლანტიკურ არეალზე მშვიდობა სუფევს, ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიის საწინააღმდეგოდ მიმართული კონვენციური შეტევის საფრთხე დაბალია." ემანუელ მაკრონი აღნიშნავდა, რომ ნატო არ იყო მზად ახალი გამოწვევებისა და საფრთხეებისთვის და იქედან გამომდინარე, რომ აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ზურგს აქცევდა გაერთიანებას, მაკრონის მოსაზრებით, აუცილებელი იყო ევროპის, როგორც ცალკეული გეოპოლიტიკური ძალის, აღქმა და მის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ვაშინგტონისგან დამოუკიდებლად.[4]

თუმცაღა, ჯერ კიდევ 2020 წელს გამოიცა ალიანსის გენერალური მდივნის მიერ შედგენილი დოკუმენტი "NATO 2030: United for a New Era", რომელიც პრობლემების ანალიზსა და რეკომენდაციების გაცემას ემსახურებოდა და მასშივე გამოიკვეთა, რომ ნატო თავისი არსებობის მერვე ათწლეულში, როგორც წარმატების, ისე გამოწვევების შედეგად, მსოფლიოს ისტორიის ყველაზე წარმატებული გაერთიანებაა, რომლის მთავარ ძალას ცვლილებებთან ადაპტირების უნარი წარმოადგენს. ალიანსის დაარსება ცივი ომის პერიოდში საერთო საფრთხის წინაშე გაერთიანების საჭიროებამ განაპირობა, რომელმაც კოლექტიური თავდაცვის პრინციპი წარმოშვა. დღესაც, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვაკუთხედი მეხუთე მუხლია,

[3] BBC. ''NATO alliance experiencing brain death, says Macron''. 19.11.2019. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-50335257
[4] Rose Gottemoeller. ''NATO, 'brain dead' no more''. POLITICO. 18.12.2020. Available at: https://www.politico.eu/article/nato-military-alliance-emmanuel-macron-russia-baltic-brain-dead-no-more/

რომლის მიხედვითაც ,,შეიარაღებული თავდასხმა ერთზე, გულისხმობს თავდასხმას ყველაზე". თუმცა, დასაწყისიდანვე, ნატო სამხედრო ალიანსზე მეტი იყო. მან პოლიტიკური როლიც შეითავსა, რაც გულისხმობს მოკავშირეების გაერთიანებას საერთო სტრატეგიული ხედვის ქვეშ, საერთო ღირებულებებით, ინტერესებითა და ბედით შეკავშირებული საზოგადოების შექმნას.[5]

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ევროპის, ისე გლობალურ წესრიგზე და მსოფლიოს მთავარი სამხედრო ალიანსის საკითხის აქტუალიზებაც გამოიწვია. უკრაინის ომის დაწყებიდან ჯერ კიდევ ერთი თვის თავზე, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, ბრუტალურმა პოლიტიკამ დიდ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ნატოს გამოღვიძებაა.[6]

ნატოს გამოღვიძება სხვადასხვაგვარად გამოიხატა, მათ შორის კი ახალი სტრატეგიული კონცეფციის შექმნით. სტრატეგიული კონცეფცია უმთავრესი დოკუმენტია ნატოს პოლიტიკური და სამოქმედო ტაქტიკის შემუშავებისთვის. ცივი ომის დასრულების შემდეგ იგი დაახლოებით ყოველ ათ წელში ახლდებოდა, ბოლო სტრატეგიული კონცეფცია კი, როგორც უკვე ვახსენეთ, 2010 წლის იყო. საინტერესოა, ვუპასუხოთ შეკითხვას, თუ რამ გამოიწვია დოკუმენტის განახლების საჭიროება. 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში რუსეთთან ურთიერთობების კომპონენტში, აქცენტი კეთდებოდა სტრატეგიული პარტნიორობის შესაძლებლობაზე, ნატო-რუსეთის პარტნიორობის 1997 წლის აქტის საფუძველზე. თუმცაღა, კრემლის ქმედებების შედეგად, მსოფლიო შეიცვალა და ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების გამოწვევები გაიზარდა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა 2010 წლის კონცეფციის განახლება და იმ დაშვების შეცვლა, რომ ევროატლანტიკური სივრცე მშვიდობის მდგომარეობაში იყო და სამხედრო თავდასხმა ნაკლებად მოსალოდნელი გახლდათ. 2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუსეთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეა ალიანსისა და ევროატლანტიკური სივრცისთვის. აქედან გამომდინარე, აქცენტი გადავიდა საერთო შეკავებისა და კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე, რაც ახალ კონცეფციაში აისახა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ

[5] NATO. ''NATO 2030: United for a New Era''. 15.11.2020. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf

[6] Jonathan Guyer. ''NATO was in crisis. Putin's war made it even more powerful''. VOX. 25.03.2022. Available at: https://www.vox.com/22994826/nato-resurgence-biden-trip-putin-ukraine?fbclid=IwAR1cky-q98q_8W9lS5jnSqmdLwYxANmklvKJzY8ua9foFFkEZHQ3ahyo1qI

ნატო კვლავ იტოვებს საშუალებას, შესაძლებლობისამებრ იმოქმედოს კრიზისის პრევენციისა და მართვის ტაქტიკით.[7]

ნატოს შეკავებისა და თავდაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტი სამხედრო წარმომადგენლობის დემონსტრირებაა ალიანსის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში. ნატომ გაზარდა თავისი სამხედრო წარმომადგენლობა ხსენებულ ტერიტორიაზე, რაც რუსეთის აგრესიული ქცევის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. ალიანსის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ ,,რუსეთი არის ყველაზე საყურადღებო და პირდაპირი საფრთხე წევრების უსაფრთხოების, ევროატლანტიკური სივრცის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის".[8] 2022 წლის თებერვლის შემდეგ ნატოს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ გააძლიერებდნენ არსებულ სამხედრო ჯგუფებს და განალაგებდნენ 4 მრავალეროვან დანაყოფს: ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში. ამ გადაწყვეტილებამ სამხედრო ჯგუფების რაოდენობა 8-მდე გაზარდა და გაორმაგა ნატოს აღმოსავლეთ ნაწილში მყოფი სამხედროების წარმომადგენლობა. დამატებით, 2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სამხედრო ჯგუფები საჭიროების შემთხვევაში ბატალიონების ზომიდან ბრიგადის ზომამდე გაიზრდება. ამა წლის ივნისის მონაცემებით, ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული სამხედრო დანაყოფების რაოდენობა, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება ნატოს ბრძანებებს, 40 000-ია, ხოლო ევროპის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების ძალების რაოდეობა 100 000-ს აღწევს (იხ: რუკა.1).[9]

[7] Federal Foreign Office. ''NATO's new Strategic Concept''. 30.06.2022. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/internationale-organisationen/nato-node/strategic-concept-nato/2540276
[8] NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION. ''NATO's military presence in the east of the Alliance''. 8.07.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm
[9] Ibid.

რუკა. 1 (https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm)

ალიანსი, რომელიც დღეს 30 ქვეყანას მოიცავს, როგორც უკვე ვახსენეთ, თავდაპირველად, საბჭოთა კავშირის შესაკავებლად შეიქმნა. არცთუ დიდი ხნის წინათ, კრიტიკოსები ეჭვობდნენ, რომ ნატო 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური რეალობისთვის აღარ იყო შესაბამისი. თუმცაღა, ზემოთ მოცემული ფაქტები ამტკიცებს, რომ საერთო თავდაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია კვლავაც უმთავრესი აქტორია.[10]

საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის აღარ იყო პრიორიტეტული ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების გარანტირება, ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, ადმინისტრაციაში მოსვლისა და უკრაინის დასახმარებად აშშ-ის ჩართულობის შემდეგ არცთუ საფუძვლიანი ჩანს. სტატისტიკაზე დაყრდნობით, რუსეთის სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ, 2022 წლის 1-ლ ივლისამდე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 42.6 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია უკრაინას; აქედან: 23.78 მილიარდი - სამხედრო, 9.95 მილიარდი - ფინანსურ, ხოლო 8.89 მილიარდი - ჰუმანიტარულ კომპონენტებში.[11]

[10]Ibid.
[11] Statista. ''Aid to Ukraine from the United States since the Russian invasion 2022, by type''. 18.07.2022. Available at: https://www.statista.com/statistics/1311176/aid-ukraine-united-states/



წყარო: https://www.statista.com/statistics/1311176/aid-ukraine-united-states/

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად ასახავს ნატოს საერთო პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით. ალიანსი გმობს რუსეთის მიერ წამოწყებულ სამხედრო აგრესიას და საერთაშორისო სამართლის დარღვევებს, რომელიც მოიცავს ომის დანაშაულსა და ადამიანის უფლებათა მკაფიო შებღალვას რუსი ჯარისკაცების მხრიდან. დამატებით, ალიანსი მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დემოკრატიულ სწრაფვებს. ნატო არ აღიარებს უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ, თვითგამოცხადებულ ,,დონეცკის სახალხო რესპუბლიკასა'' და ,,ლუჰანსკის სახალხო რესპუბლიკას''. ნაცვლად ამისა, ალიანსი ხსენებულს მიიჩნევს საერთაშორისო სამართლის დარღვევად და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვად. დამატებით, ნატოს 2022 წლის მადრიდის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაძლიერდეს CAP (Comprehensive Assistance Package) ინიციატივა. ინიციატივა გულისმობს უკრაინის დახმარებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: უსაფრთხო კომუნიკაციები, კიბერ თავდაცვა და მედეგობა, საწვავი, სამედიცინო დახმარება, საბრძოლო ჯავშანი, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხისგან თავდასაცავი აღჭურვილობა და პორტატული ანტიდრონ სისტემები. მოკავშირეები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ დაეხმარონ უკრაინას საბჭოთა კავშირის დროინდელი იარაღის თანამედროვე, ნატოს აღჭურვილობით

ჩანაცვლებაში. დამატებით, ალიანსი აწვდის უკრაინას უმნიშვნელოვანეს ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებას, მათ შორის, მილიონობით ომისგან გამოქცეული უკრაინელი ლტოლვილის ალიანსის წევრ სახელმწიფოებში მიღების გზით.[12]

ესეს შემდეგ ნაწილში მიმოვიხილავ ნატოს ერთიანობის საკითხის სკეპტიკოსების არგუმენტებს უკრაინის ომის კონტექსტში.

აზრთა სხვადასხვაობა ალიანსში

ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ნატოს წევრებს შორის არსებული შეუთანხმებლობა უკრაინის ომის საკითხებზე მსჯელობისას ნათლად გამოიკვეთა. პოლონეთის ვიცე პრემიერის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ, შეიარაღებული სამშვიდობო ძალის ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად უკრაინაში გაგზავნის შესახებ, განსხვავებული პოზიციები წარმოაჩინა. ესტონეთის თავდაცვის მინისტრის მხრიდან ეს ,,ერთ-ერთ შესაძლებლობად'' შეფასდა, რომელიც, შესაძლოა, ნატოს განეხილა. თუმცა, სხვა ხელისუფლებებმა უკან დახევა ამჯობინეს. ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრმა განაცხადა ,,ჯერ კიდევ ძალიან ადრეა ამის განსახილველად". აზრთა სხვადასხვაობა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხის გარშემოც გამოიკვეთა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა (15 მარტი) ,,ჩვენ ამ ომისგან შორს უნდა დავიჭიროთ თავი.. აქედან გამომდინარე, არ უნდა გავგზავნოთ დანაყოფები თუ იარაღი საომარ ზონაში". რამდენიმე დღის შემდეგ, ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა, კირილ პეტკოვმა, გააჟღერა, რომ მისი ქვეყანა არ ჩაერთვება უკრაინაში არსებულ ,,დაპირისპირებაში'' და არ მიაწვდის იარაღს ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ნატოს წევრებს შორის არსებული შეუთანხმებლობა უკრაინის ომის საკითხებზე მსჯელობისას ნათლად გამოიკვეთა. პოლონეთის ვიცე პრემიერის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ, შეიარაღებული სამშვიდობო ძალის ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად უკრაინაში გაგზავნის შესახებ, განსხვავებული პოზიციები წარმოაჩინა. ესტონეთის თავდაცვის მინისტრის მხრიდან ეს ,,ერთ-ერთ შესაძლებლობად'' შეფასდა, რომელიც, შესაძლოა, ნატოს განეხილა. თუმცა, სხვა ხელისუფლებებმა უკან დახევა ამჯობინეს. ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრმა განაცხადა ,,ჯერ კიდევ ძალიან ადრეა ამის განსახილველად". აზრთა სხვადასხვაობა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხის გარშემოც გამოიკვეთა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა (15

[12] NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION. ''Relations with Ukraine''. 08.07.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_37750.htm

მარტი) ,,ჩვენ ამ ომისგან შორს უნდა დავიჭიროთ თავი.. აქედან გამომდინარე, არ უნდა გავგზავნოთ დანაყოფები თუ იარაღი საომარ ზონაში". რამდენიმე დღის შემდეგ, ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა, კირილ პეტკოვმა, გააჟღერა, რომ მისი ქვეყანა არ ჩაერთვება უკრაინაში არსებულ ,,დაპირისპირებაში'' და არ მიაწვდის იარაღს.[13]

თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ მოცემული მონაცემები ომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი თვის ვადაშია გამოქვეყნებული. აქედან გამომდინარე, განცხადებებიც ძველია. ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული პირების მოსაზრებები იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით განსხვავდება, ნატოს დაქსაქსულობის მაჩვენებელი არ არის. მეტიც, განახლებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოცემული ქვეყნების მიდგომები შეიცვალა. მაგალითად, 30 მარტისთვის ნიდერლანდებს დაახლოებით 50 მილიონი ევროს ღირებულების იარაღი ჰქონდა მიწოდებული უკრაინისთვის.[14]

რაც შეეხება ბულგარეთს, ქვეყნის პრემიერ მინისტრის პოზიცია, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებული იყო ბულგარეთის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მაღალი ხარისხით. მას შემდეგ, რაც 24 თებერვალს პუტინი უკრაინაში შეიჭრა, ევროკავშირში გამძაფრდა დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და როდის უნდა გადაეწყვიტა გაერთიანებას რუსულ ბუნებრივ აირსა და საწვავზე დამოკიდებულების პრობლემა. 8 მარტს ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ემხრობოდა რუსეთის წინააღმდეგ წამოყენებულ სანქციებს, სოფიას არ შეეძლო უარი ეთქვა საწვავისა და გაზის იმპორტზე. თუმცაღა, ბულგარეთი, პოლონეთთან ერთად, ენერგოსტრატეგიის გადახედვისა და შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა, ვინაიდან რუსულმა გიგანტმა, ,,გაზპრომმა'', 2022 წლის 27 აპრილს შეწყვიტა ხსენებული ქვეყნების გაზმომარაგება. გაზპრომის გადაწყვეტილების მიზეზი ბულგარეთისა და პოლონეთის მხრიდან გაზის საფასურის რუბლებში გადახდაზე უარის თქმა გახდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კრემლმა კიდევ ერთხელ გამოიყენა ენერგოდამოკიდებულების ბერკეტი, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და ხსენებულმა ქვეყნებმა, მიუხედავად ზეწოლისა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და დასავლური სამყაროს რაციონალურ პოზიციას არ უღალატეს. [15]

[13] Ted Galen Carpenter. ''Just How United In NATO (and the World) against Russia?''. CATO INSTITUTE. 23.03.2022. Available at: https://www.cato.org/commentary/just-how-united-nato-world-against-russia
[14] NL#TIMES. ''The Netherlands has already supplied over 50 million euros worth of weapons to Ukraine''. 31.03.2022. Available at: https://nltimes.nl/2022/03/31/netherlands-already-supplied-50-million-euros-worth-weapons-ukraine
[15] Tony Wesolowsky. ''Despite Doomsday Predictions, Bulgaria Proves There Is Life After Russian Gas''. 20.05.2022. Available at: https://www.rferl.org/a/bulgaria-life-after-russian-gas/31860510.html

გერმანია

წლების განმავლობაში გერმანიის პოლიტიკური მიდგომა შემდეგ პრინციპებს ეფუძნებოდა: 1. დიპლომატიისა და თანამშრომლობის გზის არჩევა, თუნდაც ქვეყნის უდიდეს სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებთან, 2. დიალოგის შენარჩუნებისთვის ძალისხმევის გაწევა და ურთიერთობის გაწყვეტისა და ,,ხიდების დაწვისგან'' თავის შეკავება და 3. სამხედრო ზეწოლაზე, როგორც უთანხმოებების გადაწყვეტის მექანიზმზე, უარის თქმა. ამ მიდგომის საფუძვლები ქვეყნის მე-20 საუკუნის ისტორიაში, მესამე რაიხის მიერ ჩადენილი დანაშაულების ნუსხაშია. ნაცისტური პერიოდის შემდეგ, ბერლინისთვის საკრალური მნიშვნელობის გახდა შემდეგი პრინციპები: ომის საშინელების გააზრება და მისი ნებისმიერ ფასად თავიდან არიდების მცდელობა; დიქტატორული მმართველობის ნაკლოვანება და ლიბერალური დემოკრატიის შენარჩუნება; აგრესორებისადმი დაყვავების მიდგომის საფრთხისშემცველობა და მათი შეჩერების აუცილებლობა. ხსენებულ მიდგომას ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, მათ შორის, გერმანიის პარტნიორ სახელმწიფოებშიც. სამხედრო ბიუჯეტის გაზრდაზე უარის თქმა ფასდებოდა, როგორც ბერლინის ,,ეგოისტური'' აკვიატება, რომელიც ევროპის უსაფრთხოების გაძლიერებას უშლიდა ხელს. მეტიც, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე, გერმანია ჯიუტად აცხადებდა უარს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე და მოკავშირეებსაც უკრძალავდა გერმანული წარმოების შეიარაღების გაგზავნას უკრაინაში. ამას ემატებოდა გერმანულ-რუსული ,,განსაკუთრებული ურთიერთობების“ არსებობა, რომელიც ეკონომიკურ კოოპერაციასა და დიალოგის შენარჩუნების მიდგომას ეფუძნებოდა.[16]

რუსეთ-უკრაინის ომი გარდამტეხი მოვლენა აღმოჩნდა გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის. რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებული აგრესიის შედეგად, ფუნდამენტური ცვლილება მოხდა გერმანიის თავდაცვისა და ენერგოპოლიტიკაში. გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა, განაცხადა, რომ ქვეყანა გაზრდის თავდაცვის დანახარჯებს და დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს, რათა შეამციროს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. 27 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გერმანია 100 მილიარდ ევროს გამოყოფს თავდაცვისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა 2024 წელს მშპ-ის 2%-ზე მეტს შეიარაღებაზე დახარჯავს.[17] ბერლინის გადაწყვეტილებით შეწყდა ,,ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილსადენის

[16] Björn Alexander Düben. ''Opinion - Germany's Flawed Russia Policy Has Its Roots in a Misreading of History''. 09.05.2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/05/09/opinion-germanys-flawed-russia-policy-has-its-roots-in-a-misreading-of-history/

[17] FRANCE 24. ''Has war in Ukraine revived NATO?''. 03.03.2022. Available at: https://www.france24.com/en/europe/20220303-has-war-in-ukraine-revived-nato

პროექტი, რომელიც გააორმაგებდა გერმანიის მიერ გამოყენებული რუსული ბუნებრივი აირის მოცულობას და უზრუნველყოფდა მის ტრანსპორტირებას ბალტიის ზღვის გავლით; გაზსადენის მშენებლობა დაახლოებით 11 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდა, თუმცა მას შემდეგ, რაც თებერვალში რუსეთის ხელისუფლებამ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ორი პრორუსული კონფლიქტური რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა, ხსენებული პროექტის სერტიფიცირების პროცესი შეწყდა.[18]

დამატებით, ბერლინი დასთანხმდა უკრაინისთვის იარაღის გადაცემას, რაც ცივი ომის შემდეგ წარმოებული გერმანული საგარეო პოლიტიკის ისტორიულ ცვლილებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ გერმანიიდან გაგზავნილი შეიარაღება უკრაინაში პირველად ივნისის თვეში ჩავიდა. მათ შორის ჰაუბიცები, იარაღები, ყუმბარები და ა.შ.[19]

27 ივლისის მონაცემებით, გერმანიის მიერ უკრაინისთვის გაგზავნილი შეიარაღება გამოქვეყნდა ქვეყნის პარლამენტის ვებ-გვერდზეც.[20]

როგორც უკვე ვახსენეთ, გერმანიისა და რუსეთის პარტნიორობა ათწლეულების განმავლობაში ,,განსაკუთრებულ ურთიერთობებსა'' და ეკონომიკურ კავშირებს მოიცავდა, თუმცაღა გერმანიის კანცლერის მიერ 27 თებერვალს ბუნდესტაგის წინაშე გამოსვლისას გაკეთებული განცხადების შემდეგ ცხადი გახდა ბერლინის პოზიცია:

„ჩვენ გარდამტეხ ეპოქაში ვცხოვრობთ და ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ამ მოვლენების შემდეგ აღარ იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. მთავარი შეკითხვაა, მოახერხებს თუ არა ძალა სამართლის დამარცხებას. მივცემთ თუ არა საშუალებას პუტინს, რომ მე-19 საუკუნეში დაგვაბრუნოს, დიდი ძალების პაექრობის დროში? თუ შეგვიძლია, რომ მოვიკრიბოთ ძალა და პუტინის მსგავს აგრესორებს ადგილი მივუჩინოთ. ეს ჩვენს ძალისხმევას მოითხოვს. დიახ, ჩვენ დანამდვილებით გვსურს დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, დემოკრატია და კეთილდღეობა".[21]

ცხადია, კრემლზე ენერგოდამოკიდებულების პრობლემა გერმანიას რთულ მდგომარეობაში აყენებს. ქვეყნის ენერგომოწყვლადობას ალტერნატიული მომმარაგებლებისა და შიდა რესურსების ნაკლებობა განაპირობებს. გარდა ამისა,

[18] Holly Ellyatt. ''Nord Stream 2 cost $11 billion to build. Now, the Russia-Europe gas pipeline is unused and abandoned''. CNBC. 31.03.2022. Available at: https://www.cnbc.com/2022/03/31/the-nord-stream-2-pipeline-lies-abandoned-after-russia-invaded-ukraine.html
[19] DW. ''First heavy weapons from Germany arrive in Ukraine''. 21.06.2022. Available at: https://www.dw.com/en/first-heavy-weapons-from-germany-arrive-in-ukraine/a-62211051
[20] Die Bundesregierung. ''Military assistance to Ukraine''. 27.07.2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/lieferungen-ukraine-2054514
[21] Soeren Kern. ''Germany, in Historic Reversal, Abandons Pro-Putin Russia Policy''. GATESTONE INSTITUTE. 01.03.2022. Available at: https://www.gatestoneinstitute.org/18283/germany-russia-policy

ბერლინის გრძელვადიანი ,,სუფთა ენერგიის'' მოხმარების გეგმა ხელს უშლის ალერნატიული მეთოდების გამოყენებას. თუმცაღა ყველაზე მწვავე კრიზისის შიშმა გერმანია აიძულა რამდენიმე ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგური გაეხსნა. გარდა ამისა, ფასები მუდმივად იზრდება. ხელისუფლებამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც გაზის მოხმარების შემცირებას ისახავს მიზნად. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, ივლისის შუა რიცხვებში ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 70%-ის მოსაზრებით, გერმანიამ უნდა გააგრძელოს უკრაინის მხარდაჭერა.[22]

ყოველივე ზემოხსენებული მკაფიოდ ასახავს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ისტორიულ ცვლილებას და იმ გარდამტეხ გავლენას, რომელიც უკრაინის ომმა იქონია ბერლინზე.

შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრების სურვილი და თურქეთის პოზიცია

გარდა უკვე ხსენებული ცვლილებებისა, რუსეთის აგრესიამ და არსებული უსაფრთხოების სტრუქტურის ნგრევის მცდელობამ ისიც გამოიწვია, რომ ფინეთი და შვედეთი, რომლებიც სამხედრო ალიანსების წევრობისგან წლების განმავლობაში იკავებდნენ თავს, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობის მსურველები გახდნენ. ფინურმა და შვედურმა მთავრობებმა წევრობის შესახებ ოფიციალური განაცხადი ალიანსში 18 მაისს შეიტანეს.[23]

ფინეთი მიუმხრობლობის ტაქტიკას მეორე მსოფლიოს ომის დასრულების შემდეგ მიჰყვებოდა. შვედეთის მიუმხრობლობის მიდგომა კი ორ საუკუნეს ითვლის. ორივე სახელმწიფო მოქმედებდა მოქალაქეების ინტერესებისამებრ, რომლებიც რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამდე, 24 თებერვლამდე, არ მიიჩნევდნენ საჭიროდ ალიანსში გაწევრებას. თუმცა, უკვე მაისის შუა რიცხვებში საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა და თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხსენებულმა ორმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გამხდარიყო. კონსულტაციის შემდეგ ნატოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს წევრობის აპლიკაციები. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა კი განაცხადა, რომ:

[22] Emily Schultheis. ''How Germany Is Preparing for a Looming Energy Crisis''. TIME. 28.07.2022. Available at: https://time.com/6201449/germany-energy-crisis-preparing-russia/
[23] Jonathan Masters. ''How NATO Will Change If Finland and Sweden Become Members''. COUNCIL ON FOREIGN RELATIONS. 29.06.2022. Available at: https://www.cfr.org/in-brief/how-nato-will-change-if-finland-and-sweden-become-members

„ჩრდილოეთში ორი ახალი ნატოს წევრი სახელმწიფოს ყოლა გაზრდის ჩვენს უსაფრთხოებას და გააღრმავებს კოოპერაციას საზღვრის გასწვრივ“.[24]

მართლაც, შვედეთისა და ფინეთის ალიანსში დამატება ბევრად უფრო ამარტივებს ნატოს ჩრდილოეთ ფლანგის დაცვას. ორივე ქვეყანა ფლობს ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას და, გარდა ამისა, ორივე სახელმწიფოს აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან მუშაობის გამოცდილება, რომელიც ათწლეულებს ითვლის. აქედან გამომდინარე, მათი ალიანსის ნაწილად ქცევა მნიშვნელოვნად გააძლიერებს რეგიონულ უსაფრთხოებას.

გარდა ამისა, შვედეთისა და ფინეთისთვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სანდო პარტნიორია. რამეთუ ნატოს არსებობა და, შესაბამისად, ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების გარანტირებულობა, აშშ-ისთვის საკვანძო მნიშვნელობისაა, ვინაიდან მშვიდობიანი და სტაბილური ევროპა ამერიკას საშუალებას აძლევს მსოფლიოს სხვა ნაწილებზე აქცენტირდეს.[25]

მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ფინეთისა და შვედეთის ალიანსში მიღების სარგებლისმომტანობა, მათ მისაღებად აუცილებელია ნატოს ამჟამინდელი 30 წევრი ქვეყნის თანხმობა. სწორედ, აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას თურქეთის მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის მიერ თვითნებურად მოქმედება და დასავლური სამყაროსკენ მიმართული საკმაოდ მკაცრი რიტორიკა არახალი ამბავია.[26] მიუხედავად იმისა, რომ ანკარამ უკრაინისა და რუსეთის ომში მედიატორის როლი შეითავსა და მხარს უჭერს უკრაინას როგორც პოლიტიკურ, ისე დიპლომატიურ თუ სამხედრო სფეროებში, იგი ამავდროულად პრაგმატულ კოოპერაციაშია რუსეთთან. რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობების სპეციფიკა გამომდინარებს ანკარის ენერგოდამოკიდებულებიდან რუსეთის რესურსებზე, რუსეთში ექსპორტზე და ტურისტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ თურქეთის ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ანკარა არ შეერთებია რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს და კომფორტულ გარემოს სთავაზობს რუსულ ბიზნესსაც. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის მიერ უკრაინის ბაირაქთარებით მომარაგება ერთობ მნიშვნელოვანია უკრაინისთვის და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც

[24] EDITORIALS. ''Big Step Toward NATO Membership for Finland and Sweden''. 27.07.2022. Available at: https://editorials.voa.gov/a/big-step-toward-nato-membership-for-finland-and-sweden/6675692.html
[25] James Jay Carafano. ''Why Sweden and Finland Joining NATO Makes Perfect Sense''. The Heritage Foundation. 6.07.2022. Available at: https://www.heritage.org/global-politics/commentary/why-sweden-and-finland-joining-nato-makes-perfect-sense
[26] ლეილა ჩხეტიანი. ,,დანაწევრებული ალიანსი: რამდენად ერთიანია ნატო დღეს?''. 2022. GCSD. ხელმისაწვდომია: https://gcsd.org.ge/storage/files/doc/NATO%20publication%20-%20final.pdf

ხმელეთზე, ისე წყალში. ხსენებული ნათლად წარმოაჩენს, რომ თურქეთის პოლიტიკა არცთუ მყარია და გარკვეულ მანევრირებას ეფუძნება დასავლეთსა და რუსეთს შორის.[27]

საინტერესოა, თუ რატომ უწევს წინააღმდეგობას თურქეთი შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრებას. ანკარა ამტკიცებს, რომ ნორდიკული ქვეყნები ეხმარებიან ქურთულ შეიარაღებულ ჯგუფებს და მოითხოვს ტერორისტებისთვის დაფინანსების შეწყვეტას. ხსენებული ინფორმაცია შვედეთის მთავრობამ უარყო. გარდა ამისა, ანკარა მოითხოვს თურქეთისთვის ხელსაყრელი სავაჭრო პირობების დაწესებას (არსებული ბარიერების მოხსნით) შეიარაღებაზე.[28]

მადრიდში გამართულ ნატოს სამიტზე თურქეთს, ფინეთსა და შვედეთს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ხსენებული სამი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ დაიცავდნენ ერთმანეთის უსაფრთხოებას და შეასრულებდნენ დადებულ პირობებს. ნატოს გენერალურმა მდივანმა, იან სტოლტენბერგმა, და თურქეთის პრეზიდენტის წარმომადგენლობამ, თავიანთ განცხადებებში დაადასტურეს, რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება. შვედეთის პრემიერ მინისტრმა, მაგდალენა ანდერსონმა, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა:

„მნიშვნელოვანი მემორანდუმი გაფორმდა შვედეთს, ფინეთსა და თურქეთს შორის. ის გზას უკვალავს შვედეთის მიღებას ნატოში“.[29]

უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით, თურქეთის მხარე არ არის კმაყოფილი არსებული მდგომარეობით. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ, გააკრიტიკა შვედეთი და ფინეთი ,,ტერორის პროპაგანდის'' დაშვების გამო და დასძინა, რომ შვედეთს ჯერაც არ გადაუცია ანკარისთვის ის ეჭვმიტანილები, რომლებსაც თურქეთში ბრალი ედებათ ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეში. მინისტრის განცხადებით:

„მათ (შვედეთმა და ფინეთმა) უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, ან ჩვენ დავბლოკავთ მათ ნატოში გაწევრებას“.[30]

---

[27] Yevgeniya Gaber. ''Turkey's Policy on the Russian-Ukrainian War''. UKRAINE WORLD. 19.07.2022. Available at: https://ukraineworld.org/articles/opinions/turkey-russian-ukrainian-war

[28] ALJAZEERA. ''Why did Turkey lift its veto on Finland and Sweden joining NATO?''. 29.06.2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/29/why-did-turkey-lift-its-veto-on-finland-sweden-joining-nato-explainer

[29] Humeyra Pamuk and Anne Kauranen. ''Turkey lifts veto on Finland, Sweden joining NATO, clearing path for expansion''. REUTERS. 29.06.2022. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-press-turkey-finland-sweden-hope-nato-breakthrough-2022-06-28/

[30] Deutsche Welle. ''Turkey says Sweden and Finland not fulfilling NATO deal''. 27.07.2022. Available at: https://www.msn.com/en-us/news/world/turkey-says-sweden-and-finland-not-fulfilling-nato-deal/ar-AA101KAm

თურქეთის პრეზიდენტი, რეჯეპ თაიპ ერდოღანი, ითხოვს, რომ შვედეთმა და ფინეთმა შეასრულონ პირობები, რომლებიც მადრიდის სამიტზე დადეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი ინტეგრაციის პროცესის ,,გაყინვით'' იმუქრება.[31] თურქეთის პრეზიდენტი 19 ივლისს თეირანში რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს, შეხვდა და განაცხადა, რომ კრემლის მეთაურთან კიდევ ერთ შეხვედრას გეგმავს, ამჯერად - სოჭში 5 აგვისტოს. ერდოღანს რუსეთ-უკრაინის ომში მედიატორის პოზიცია უჭირავს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი მოქმედებებით წელავს შვედეთისა და ფინეთის ნატოში ინტეგრაციის პროცესს, რაც შეიძლება რომ რუსეთის სასარგებლო ქმედებად შეფასდეს. თუმცაღა ისიც აშკარაა, რომ ხსენებული სახელმწიფოების ალიანსში მიღება მხოლოდღა დროის საკითხია და, დასავლეთის მხრიდან გაზრდილი ზეწოლის შემთხვევაში, თურქეთი ვეღარ მოახერხებს პროცესის ჩაშლას.[32] დამატებით, უნდა ითქვას, რომ ანკარის მხრიდან რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებული აგრესია დაგმობილია, თუმცა თურქეთი ორივე მხარესთან ინარჩუნებს ურთიერთობებს და პრაგმატულ პოლიტიკას ემხრობა. სწორედ ამის გამო, ერდოღანი ვერ მოახერხებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და დასავლეთის ინტერესების წინააღმდეგ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას და მხოლოდღა გაწელავს ფინეთისა და შვედეთის მიღების პროცესს.[33]

შეცვლილი აღქმები: რუსეთი, როგორც საფრთხე მსოფლიო მშვიდობისთვის

მოცემული ვითარების ასახსნელად, საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის სკოლა დაგვეხმარება. ამ მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს პერმანენტული, მოცემული რეალობა. სისტემა არსებობს გაზიარებული აღქმების საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მას არა მატერიალური, არამედ იდეური ხასიათი გააჩნია. ამ ხედვის თანახმად,

[31] DW. ''Turkey threatens to 'freeze' Finland, Sweden NATO bids''. 18.07.2022. Available at: https://www.dw.com/en/turkey-threatens-to-freeze-finland-sweden-nato-bids/a-62514469
[32] Brady Knox. ''Erdogan to meet Putin again as Turkey threatens to block NATO expansion''. Washington Examiner. 27.07.2022. Available at: https://www.msn.com/en-us/news/world/erdogan-to-meet-putin-again-as-turkey-threatens-to-block-nato-expansion/ar-AAZZVLI
[33] RadioFreeEurope. ''Erdogan Says Russia's Invasion of Ukraine Is 'Unacceptable', But Is Keeping Ties With Both Nations''. 28.02.2022. Available at: https://www.rferl.org/a/erdogan-russian-invasion-unacceptable-ukraine/31728802.html

საერთაშორისო სისტემის მოქმედ აქტორებში არსებობს აღქმები, რომლებიც ცვალებადია დროსთან და ვითარებასთან ერთად.[34]

სწორად ამგვარ მოცემულობაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მიუხედავად ნატოს წევრი სახელმწიფოების განსხვავებული ინტერესებისა, ალიანსი, როგორც ერთიანობა, ძლიერდება მაშინ, როდესაც ჩნდება საერთო მტრის სახე, რომელიც გამოწვევას უქმნის ცალკეული სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და კონტინენტისა და მსოფლიოს მშვიდობას. აქედან გამომდინარე, რუსეთმა თავისი გაუმართლებელი სამხედრო აგრესიის, ბრუტალური ომის დანაშაულებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, ნატოსთვის შექმნა მტრის ხატი, რომელმაც ორგანიზაციას განუახლა მოქმედების მოტივაცია.[35]

ჩინეთი - კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ნატოს ერთიანობისთვის

გარდა რუსეთ-უკრაინის მოვლენებისა, ნატოს ერთიანობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ჩინეთის ფაქტორის განხილვაც. 2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტზე მიღებულ სტრატეგიულ კონცეფციაში ვკითხულობთ:

*„ევროატლანტიკური სივრცე არ არის მშვიდობის მდგომარეობაში... რუსეთის ფედერაცია ყველაზე დიდ და პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს მოკავშირეების უსაფრთხოებისთვის. ტერორიზმი არის ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობის ასიმეტრიული გამოწვევა. **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაცხადებული ამბიციები და იძულებითი პოლიტიკა გამოწვევაა ჩვენი ინტერესების, უსაფრთხოებისა და ღირებულებებისთვის...**“[36]*

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, არსებობის ისტორიაში პირველად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა უსაფრთხოების გამოწვევად და ყოველივე ეს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ასახა. დოკუმენტი ხასიათდება რუსეთისკენ მიმართული მკაცრი რიტორიკით. თუმცაღა, დამატებით, უკვე ჩინეთის სამხედრო ამბიციებს,

[34] ეკა აკობია. ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია''. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 2006.
[35] Adam Taylor. ''Did Putin inadvertently create a stronger NATO?''. The Washington Post. 30.06.2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/30/putin-nato-sweden-finland-stronger/
[36] NATO. ''NATO 2022 STRATEGIC CONCEPT''. 29.06.2022. Available at: https://www.nato.int/strategic-concept/

თაივანთან დაძაბულ ურთიერთობებსა და მის მჭიდრო კავშირებს მოსკოვთან აღიარებს, როგორც გამოწვევას ევროატლანტიკური სივრცისთვის.[37]

ნატოს გადაწყვეტილება, რომ გამოეცხადებინა ჩინეთი, როგორც უსაფრთხოების გამოწვევა ევროატლანტიკური სივრცისთვის, რამდენიმე ფაქტორს ეფუძნება. პირველ რიგში, ეს არის ბუნებრივი პასუხი ჩინეთის გაძლიერებაზე, რამაც, შესაძლოა, სამყარო უნიპოლარული (აშშ-ის ჰეგემონობით) საერთაშორისო სისტემიდან, ბიპოლარულ სისტემად გარდასახოს. ნავარაუდევია, რომ 2026 წლისთვის ჩინეთის ეკონომიკა 25%-ით დიდი იქნება აშშ-ის ეკონომიკასთან შედარებით, რაც საშუალებას მისცემს ბეიძინს, კიდევ უფრო გაზარდოს თავდაცვის ბიუჯეტი. ცხადია, ყოველივე ეს ძალთა ახალ განაწილებას გამოიწვევს, რაც ბიძგს აძლევს აშშ-სა და სხვა ევროატლანტიკური სივრცის სახელმწიფოებს, რომ დროულად მოახდინონ რეაგირება ჩინეთის გაძლიერებაზე.

მეორე ფაქტორი ჩინეთის ტექნოლოგიური განვითარებაა. წლების განმავლობაში სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიცირებამ ევროპულ სახელმწიფოებსა და ჩინეთს შორის საშუალება მისცა ბეიძინს აეთვისებინა კიბერტექნოლოგიები და სხვა პროდუქტები, რომლებიც მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოიტანა. აქედან გამომდინარე, ჩინეთს საშუალება აქვს პოლიტიკური ინტერესებისამებრ გამოიყენოს კიბერ სფეროც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ალიანსის მთავარი კონტრიბუტორის, ამერიკის შეერთებული შტატების ხედვებთან მორგებაა. ევროპის კონტინენტის უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს აშშ-ის ძალისხმევა და პოტენციალი. ვაშინგტონის სტრატეგიული ფოკუსის აზიაზე გადატანა ევროპულ სახელმწიფოებს უბიძგებთ, შეიცვალონ თავიანთი ხედვა ჩინეთთან დაკავშირებით და ერთგვარად მოერგონ აშშ-ის ინტერესებს, რათა გარანტირებული დარჩეს ევროპის კონტინენტის უსაფრთხოება.

მეოთხე ფაქტორი ჩინეთის იდეოლოგიური ცვლილებაა, რაც გულისხმობს მის დაახლოებას ავტორიტარული ტიპის მმართველობასთან. იდეოლოგიური გადასვლა ანადგურებს ჩინეთის იმიჯს დასავლურ სახელმწიფოებში და იწვევს მისი, როგორც საფრთხის აღქმას.

ბოლო და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ჩინეთ-რუსეთის ახლო ურთიერთობებია. მიმდინარე უკრაინის ომის რეალობაშიც კი, ჩინეთი რჩება რუსეთის

[37] ALJAZEERA. ''NATO declares China a security challenge for the first time''. 06.06.2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/30/nato-names-china-a-strategic-priority-for-the-first-time

ახლო ეკონომიკურ და დიპლომატიურ პარტნიორად, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს ევროატლანტიკურ სივრცეში.[38]

მიმდინარე მოვლენებისა და თაივანის საკითხზე არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, უკვე ცხადი ხდება ჩინეთის რეალური ზრახვები. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერის, ნენსი პელოსის მიერ თაივანში შესაძლო ვიზიტის ამბის გავრცელების შემდეგ, ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა მკაცრად გააფრთხილა აშშ, რომ თავი შორს დაეჭირა ჩინეთ-თაივანის კონფლიქტში ჩარევისგან. ბეიძინი დიდი ხანია ირწმუნება, რომ თაივანი, რომელიც დამოუკიდებელი კუნძულია, მის ტერიტორიას წარმოადგენს და აპირებს ,,დაიბრუნოს'' ის, თუნდაც ძალის გამოყენებით.[39] მაშინაც კი, როდესაც პელოსის ვიზიტი დაიწყო, დაზუსტებული არ იყო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ჩავიდოდა თუ არა სპიკერი თაივანში, რაც, ჩინეთისგან წამოსული მუქარების შემდეგ, პელოსის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოხდა.[40] საბოლოოდ, მიუხედავად ბეიძინის მკაცრი გაფრთხილებებისა, ნენსი პელოსი მაინც ეწვია თაივანს და კუნძულზე 24 საათი გაატარა. სწორედ პელოსი გახდა პირველი ამერიკელი სპიკერი, რომელიც კუნძულს 25 წლის განმავლობაში ესტუმრა. პელოსიმ დაადასტურა, რომ აშშ-ს პოლიტიკა არ შეცვლილა და მისი მხარდაჭერა თაივანის მიმართ მტკიცეა.[41]

ნენსი პელოსის ვიზიტის პასუხად, 2 აგვისტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება, რომელშიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული ბეიძინის პოზიცია. ჩინეთი:

„მკაცრად ეწინააღმდეგება და გმობს ხსენებულ ვიზიტს"[42]

ბეიძინი მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ვიზიტი ნეგატიურ გავლენას ახდენს აშშ-ჩინეთის ურთიერთობებზე და

[38] Foreign Policy. ''NATO's New Division of Labor on Russia and China Won't Be Easy''. 11.07.2022. Available at: https://foreignpolicy.com/2022/07/11/nato-strategy-china-russia-threat-europe-asia-geopolitics/
[39] Jane Perlez. ''Why Pelosi's Proposed Taiwan Visit Is Raising U.S-China Tensions''. The New York Times. 29.07.2022. Available at: https://www.nytimes.com/2022/07/29/world/asia/china-taiwan-pelosi-explained.html
[40] David Sanger and Vivian Wang. ''Pelosi Goes to Singapore, but Is Silent on Taiwan''. The New York Times. 31.07.2022. Available at: https://www.nytimes.com/2022/07/31/world/asia/pelosi-taiwan-china.html
[41] Lili Pike and Tom Nagorski. ''Nancy Pelosi's Taiwan visit is over. Now come the aftershocks - Chinese fury, trade bans and military drills''. GRID. 03.08.2022. Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/03/nancy-pelosis-taiwan-visit-is-over-now-come-the-aftershocks-chinese-fury-trade-bans-and-military-drills/
[42] Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. ''Statement by the Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China''. 02.08.2022. Available at: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202208/t20220802_10732293.html

არღვევს ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. განცხადებაში ვკითხულობთ:

„ჩინეთი და აშშ ორი ძლიერი სახელმწიფოა. ხსენებული ქვეყნების ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთპატივისცემის, მშვიდობიანი თანაარსებობის, დაპირისპირებისგან თავის შეკავებისა და ორმხრივად მომგებიანი კოოპერაციის პრინციპებზე. თაივანის საკითხი ჩინეთის საშინაო პრობლემაა და არც ერთ სახელმწიფოს აქვს უფლება შეითავსოს მოსამართლის როლი ხსენებულ საკითხთან მიმართებით... ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტოს ჩინეთის საშინაო პრობლემებში ჩარევა"[43]

ყოველივე ზემოთქმული ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ ჩინეთი კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ზრდის ნატოს არსებობის მნიშვნელობას. იმ პირობებში, როცა ბეიძინი ახალ გლობალურ ძალად გვევლინება, რომელსაც რუსეთზე ბევრად უფრო დიდი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი აქვს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი დამაბალანსებელი ალიანსის არსებობა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლოა უზრუნველყოს დასავლური სახელმწიფოების უსაფრთხოება.

დასკვნა

რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებულმა აგრესიამ მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო სისტემა. ცვლილება აისახა როგორც რუსეთის, როგორც საერთაშორისო საფრთხედ აღქმის კომპონენტში, ისე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რელევანტურობის ზრდაში. მოცემული ესეს საკვლევი კითხვა იყო თუ რა გავლენას ახდენს რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებული აგრესია ნატოს ერთიანობასა და რელევანტურობაზე. ხსენებულ კითხვაზე პასუხი შემდეგია: რუსეთის მიერ უკრაინის მისამართით განხორციელებული აგრესია აძლიერებს ნატოს და მეტად რელევანტურს ხდის მის როლს საერთაშორისო ასპარეზზე. მოცემულ მსჯელობას ადასტურებს შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრიანების სურვილი, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ნატოს და გაზრდის მის სამხედრო პოტენციალს.[44] ნატოს საკითხის აქტუალიზებას ხაზს უსვამს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მიღებაც.

[43] Ibid.
[44] Luke Coffey. ''Why and how Sweden and Finland will strengthen NATO''. ARAB NEWS. 22.05.2022. Available at: https://www.arabnews.com/node/2086746

რუსეთ-უკრაინის ომმა გამოკვეთა ევროპის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების პრობლემა. ხსენებული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მას შემდეგ, რაც ,,გაზპრომმა'' მომარაგება შეუწყვიტა ევროპულ სახელმწიფოებს. თუმცაღა, ევროპული ქვეყნების ერთიანობამ და გაზის საფასურის რუბლებში გადახდაზე უარის თქმამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ დასავლეთის პოზიცია რუსეთის წინააღმდეგ იმაზე ერთიანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.[45] აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩინეთის ფაქტორიც, რომელიც ნატოს ერთიანობისა და რელევანტურობის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელია. განსაკუთრებით, ბოლოს დროს თაივანში ნენსი პელოსის ვიზიტის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა მკაფიოდ წარმოაჩინა ბეიძინის რეალური მისაწრაფებები და საფრთხისშემცველობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი შეიძლება ითქვას, რომ 2022 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, როგორც ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების მთავარი გარანტორის არსებობის მნიშვნელობა და გაზარდა მისი რელევანტურობა. საერთო მტრის სახემ, რომელიც რუსეთის ფედერაციის ბარბაროსულმა ქმედებებმა შექმნა ევროპისა და ამერიკისთვის, ალიანსის წევრ სახელმწიფოებს კიდევ უფრო ნათლად დაანახა კოოპერაციის აუცილებლობა. ყოველივე ზემოხსენებულის შეჯამებით დასკვნა შემდეგია: 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომმა დადებითი გავლენა იქონია ნატოზე ერთიანობის, რელევანტურობისა და გაძლიერების კომპონენტებში.

[45] Jorge Liboreiro. ''Which EU countries have been totally or partially cut off from Russian gas''. Euronews. 07.07.2022. Available at: https://www.euronews.com/my-europe/2022/07/07/which-eu-countries-have-been-totally-or-partially-cut-off-from-russian-gas

ბიბლიოგრაფია:

- აკობია, ეკა. ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია''. 2006. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- ჩხეტიანი, ლეილა. ,,დანაწევრებული ალიანსი: რამდენად ერთიანია ნატო დღეს?''. GCSD. 2022. ბოლო წვდომა, 30.07.2022. ხელმისაწვდომია: https://gcsd.org.ge/storage/files/doc/NATO%20publication%20-%20final.pdf
- ALJAZEERA. "NATO declares China a security challenge for the first time''. 06.06.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/30/nato-names-china-a-strategic-priority-for-the-first-time
- ALJAZEERA. "Why did Turkey lift its veto on Finland and Sweden joining NATO?''. 29.06.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.aljazeera.com/news/2022/6/29/why-did-turkey-lift-its-veto-on-finland-sweden-joining-nato-explainer
- BBC. "NATO alliance experiencing brain death, says Macron''. 19.11.2019. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.bbc.com/news/world-europe-50335257
- Carafano, James. "Why Sweden and Finland Joining NATO Makes Perfect Sense''. The Heritage Foundation. 6.07.2022. Accessed, 29.07.2022. Available at: https://www.heritage.org/global-politics/commentary/why-sweden-and-finland-joining-nato-makes-perfect-sense
- Carpenter, Galen. "Just How United in NATO (and the World) against Russia?''. CATO INSTITUTE. 23.03.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.cato.org/commentary/just-how-united-nato-world-against-russia
- Coffey, Luke. "Why and how Sweden and Finland will strengthen NATO''. ARAB NEWS. 22.05.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.arabnews.com/node/2086746
- Deutsche Welle. "Turkey says Sweden and Finland not fulfilling NATO deal''. 27.07.2022. Accessed, 29.07.2022. Available at: https://www.msn.com/en-us/news/world/turkey-says-sweden-and-finland-not-fulfilling-nato-deal/ar-AA101KAm
- Die Bundesregierung. "Military assistance to Ukraine''. 27.07.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.bundesregierung.de/breg-de/themen/krieg-in-der-ukraine/lieferungen-ukraine-2054514
- Diehn, Sonya. "5 ways the Ukraine war has changed the world''. DW. 03.06.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.dw.com/en/5-ways-the-ukraine-war-has-changed-the-world/a-62006500
- Düben, A, Björn. "Opinion - Germany's Flawed Russia Policy Has Its Roots in a Misreading of History''. 09.05.2022. Accessed, 25.07.2022. Available at: https://www.e-ir.info/2022/05/09/opinion-germanys-flawed-russia-policy-has-its-roots-in-a-misreading-of-history/
- DW. "First heavy weapons from Germany arrive in Ukraine''. 21.06.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.dw.com/en/first-heavy-weapons-from-germany-arrive-in-ukraine/a-62211051

- DW. “Turkey threatens to 'freeze' Finland, Sweden NATO bids’’. 18.07.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.dw.com/en/turkey-threatens-to-freeze-finland-sweden-nato-bids/a-62514469
- EDITORIALS. “Big Step Toward NATO Membership for Finland and Sweden’’. 27.07.2022. Accessed, 30.07.2022. Available at: https://editorials.voa.gov/a/big-step-toward-nato-membership-for-finland-and-sweden/6675692.html
- Ellyatt, Holly. “Nord Stream 2 cost $11 billion to build. Now, the Russia-Europe gas pipeline is unused and abandoned’’. CNBC. 31.03.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.cnbc.com/2022/03/31/the-nord-stream-2-pipeline-lies-abandoned-after-russia-invaded-ukraine.html
- Federal Foreign Office. “NATO's new Strategic Concept’’. 30.06.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/internationale-organisationen/nato-node/strategic-concept-nato/2540276
- Foreign Policy. “NATO's New Division of Labor on Russia and China Won't Be Easy’’. 11.07.2022. Accessed, 06.08.2022. Available at: https://foreignpolicy.com/2022/07/11/nato-strategy-china-russia-threat-europe-asia-geopolitics/
- FRANCE 24. “Has war in Ukraine revived NATO?’’. 03.03.2022. Accessed, 25.07.2022. Available at: https://www.france24.com/en/europe/20220303-has-war-in-ukraine-revived-nato
- Gaber, Yevgeniya. “Turkey's Policy on the Russian-Ukrainian War’’. UKRAINE WORLD. 19.07.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://ukraineworld.org/articles/opinions/turkey-russian-ukrainian-war
- Gottemoeller, Rose. “NATO, 'brain dead' no more’’. POLITICO. 18.12.2020. Accessed, 30.07.2022. Available at: https://www.politico.eu/article/nato-military-alliance-emmanuel-macron-russia-baltic-brain-dead-no-more/
- Guyer, Jonathan. “NATO was in crisis. Putin's war made it even more powerful’’. VOX. 25.03.2022. Accessed, 03.08.2022. Available at: https://www.vox.com/22994826/nato-resurgence-biden-trip-putin-ukraine?fbclid=IwAR1cky-q98q_8W9lS5jnSqmdLwYxANmklvKJzY8ua9foFFkEZHQ3ahyo1qI
- Kern, Seren. Germany, in Historic Reversal, Abandons Pro-Putin Russia Policy. GATESTONE INSTITUTE. 01.03.2022. Accessed, 01.08.2022. Available at: https://www.gatestoneinstitute.org/18283/germany-russia-policy
- Knox, Brady. “Erdogan to meet Putin again as Turkey threatens to block NATO expansion’’. Washington Examiner. 27.07.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.msn.com/en-us/news/world/erdogan-to-meet-putin-again-as-turkey-threatens-to-block-nato-expansion/ar-AAZZVLI
- Liboreiro, Jorge. “Which EU countries have been totally or partially cut off from Russian gas’’. Euronews. 07.07.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.euronews.com/my-europe/2022/07/07/which-eu-countries-have-been-totally-or-partially-cut-off-from-russian-gas
- Masters, Jonathan. “How NATO Will Change If Finland and Sweden Become Members’’. COUNCIL ON FOREIGN RELATIONS. 29.06.2022. Accessed, 04.08.2022. Available at: https://www.cfr.org/in-brief/how-nato-will-change-if-finland-and-sweden-become-members

- Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. “Statement by the Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China’’. 02.08.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/zxxx_662805/202208/t20220802_10732293.html
- Nagorski, Tom. “The war in Ukraine has already changed the world’’. GRID. 28.02.2022. Accessed, 30.07.2022. Available at: https://www.grid.news/story/ukraine-russia/2022/02/28/the-war-in-ukraine-has-already-changed-the-world/
- NATO. “NATO 2022 STRATEGIC CONCEPT’’. 29.06.2022. Accessed, 25.07.2022. Available at: https://www.nato.int/strategic-concept/
- NATO. “NATO 2030: United for a New Era’’. 15.11.2020. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf
- NL#TIMES. “The Netherlands has already supplied over 50 million euros worth of weapons to Ukraine’’. 31.03.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://nltimes.nl/2022/03/31/netherlands-already-supplied-50-million-euros-worth-weapons-ukraine
- NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION. “NATO's military presence in the east of the Alliance’’. 8.07.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm
- NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION. “Relations with Ukraine’’. 08.07.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_37750.htm.
- Pamuk, Humeyra, and Kauranen, Anne. “Turkey lifts veto on Finland, Sweden joining NATO, clearing path for expansion’’. REUTERS. 29.06.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.reuters.com/world/europe/us-press-turkey-finland-sweden-hope-nato-breakthrough-2022-06-28/
- Perlez, Jane. “Why Pelosi's Proposed Taiwan Visit Is Raising U.S-China Tensions.'' The New York Times. 29.07.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.nytimes.com/2022/07/29/world/asia/china-taiwan-pelosi-explained.html
- Pike, Lili, and Nagorski, Tom. '”Nancy Pelosi's Taiwan visit is over. Now come the aftershocks - Chinese fury, trade bans and military drills.'' GRID. 03.08.2022. Accessed, 05.08.2022. Available at: https://www.grid.news/story/global/2022/08/03/nancy-pelosis-taiwan-visit-is-over-now-come-the-aftershocks-chinese-fury-trade-bans-and-military-drills/
- RadioFreeEurope. “Erdogan Says Russia's Invasion of Ukraine Is 'Unacceptable', But Is Keeping Ties with Both Nations’’. 28.02.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.rferl.org/a/erdogan-russian-invasion-unacceptable-ukraine/31728802.html
- Sanger, David, and Wang, Vivian. “Pelosi Goes to Singapore, but Is Silent on Taiwan.'' The New York Times. 31.07.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.nytimes.com/2022/07/31/world/asia/pelosi-taiwan-china.html
- Schultheis, Emily. “How Germany Is Preparing for a Looming Energy Crisis’’. TIME. 28.07.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://time.com/6201449/germany-energy-crisis-preparing-russia/

– Statista. “Aid to Ukraine from the United States since the Russian invasion 2022, by type’’. 18.07.2022. Accessed, 30.07.2022. Available at: https://www.statista.com/statistics/1311176/aid-ukraine-united-states/
– Taylor, Adam. “Did Putin inadvertently create a stronger NATO?’’. The Washington Post. 30.06.2022. Accessed, 25.07.2022. Available at: https://www.washingtonpost.com/world/2022/06/30/putin-nato-sweden-finland-stronger
– Wesolowsky, Tony. “Despite Doomsday Predictions, Bulgaria Proves There Is Life After Russian Gas’’. 20.05.2022. Accessed, 02.08.2022. Available at: https://www.rferl.org/a/bulgaria-life-after-russian-gas/31860510.html

ნატო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ

This publication is supported by
NATO's Public Diplomacy Division

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT